

გნათობი



ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შუახალი
ხაზართველს საზოცთა მწარლები კაზობიის ოცბანო

წელიწადი ოცდამეთოცმეტე

6902

3

★

მარტი



19

სახელგამი
თბილისი

55

შინაარსი

ალიო მირცხულავა — სტალინს (ლექსი)	38-3
შალვა ამისულაშვილი — ლენინთან ფიცდადებულო (ლექსი)	4
დავით სულაშვილი — უცხო მხარეში (მოგონებათა ფურცლები)	5
გიორგი კაჭახიძე — ზვენი მოყვარე და მეგობარი (ლექსი)	56
ლადო მრეღაშვილი — ქვის ნატეხი (მოთხრობა)	58
მუხრან მაკავარიანი — ლექსები	63
ზურაბ ღორთქიფანიძე — განაფხელის წინ. ორი ხატება, წინანდლის ღამეში (ლექსები)	65
ნოდარ შამანაძე — დედა (ლექსი)	67
ედუარდ უფიანი — ძველი წარწერა. სამკორელი ბიძენები (მოთხრობები)	68
პენრი ლოუსონი — ორი ნოველა. თარგმანი ინგლისურიდან ე. ხაჩიძისა	72
უილიამ შექსპირი — უინძორელი მხიარული. ქალები (პიესა) თარგმანი ინგლისურიდან ვ. კეღელიძისა	76

ქრიტიკა და კვლევითი მუშაუნი

გიორგი ციციშვილი — იდეური ჩანაფიქრი და მისი მხატვრული განსახიერება	110
შალვა აღმაშვილი — შარლ ლუი მუნტესკიე	127
ბენო გორდენიანი — მიხეილ ზინი საქართველოში	132

შემოკმედეზიტი ტრიბუნა

ლადო ავალიანი — რას მოითხოვს პრინციპული კრიტიკა	145
---	-----

ბიბლიოგრაფია

გივი მიქაძე — მასალის ტყვეობაში	152
ილია ტყეშელაშვილი — წიგნი დიდ რუს სალხე	155
ელგუჯა მაღრაძე — კარგი თარგმანი	157
ვარლამ შიშიგური — სახალხო განათლების მოღვაწეები	159

მთავარი რედაქტორი **ს. ჩიქოვანი**
 სარედაქციო კოლეგია:
დ. ბენაშვილი, დ. კალანდაძე (პ/მგ. მდივანი) ე. ღორთქიფანიძე,
პ. რატიანი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/IV 55 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10. უე 01283
 შეკვეთის ნომერი 149. ტირაჟი 6.000

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფიკამომცემლობის
 ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

ალიო მიჩხელაძე



ს ბ ა ღ ი ნ ს

ორჯერ გიხილე: სინათლით სავსე
შენი ღიმილი გვათბობდა ყველას,
მშობლიურ ცაზე — დარბაზის თავზე
ის დიდხანს ენთო, ვით ცისარტყელა.

მზე თითქოს კრემლში ბრწყინავდა მაშინ,
გაღმოგვეყურებდი პირმომცინარე,
შემდეგ გიხილე: ცოვ აკლდამაში
ლენინის გვერდით იწექ მძინარე.

ვით დაეიჯერო: მზე ჩაქრეს ოდეს,
რომ არ გვათბობდეს თვალის გახელით?
ო, არა, არა! დე, მტერი ძრწოდეს,
სიკვდილს აშინებს თქვენი სახელი.

გმირთა ცხოვრება კიდიდან-ვიდით
წინსვლა და ბრძოლა იყო თავიდან,
გვემაღლებს თქვენი სიმართლე დიდი
ხალხში სიცოცხლედ რომ გადავიდა.

მალა აიხუაფილი



ღენინთან ფიცადებულო

კაცი მართალზე მართალი, სახმელეთოზე განთქმული,
ღონით კი არა, გონებით იყავი გოლიათური.

მუხებს არ შეშურებიათ ამ ცისქვეშ შენი სიმაღლე,
შენ სული გქონდა მაღალი, იღებდი ყველა სიმაგრეს.

შენი გმირობის გამგონი — გახუნდა ყველა ზღაპარი.
სიკეთით სავსე თვალეში გენთო სიმართლის ლამპარი.

ციმბირის ყინვებს გაუძელ ქართული ცეცხლით გამთბარმა,
ძველ სამყაროსთან კიდილი შენი ზეიმით დამთავრდა.

ღარიბულ ქობში შობილო, ფიცადებულო ღენინთან,
უხსოვარ დროის მოწამე — მზეც ამაყობდა შენითა.

შენ, მართალია, ბრძოლის დროს ღრუბელს არ ჰგავდი იერიით,
მაგრამ თვითველ სიტყვაში იყავ მეხვიეთ ძლიერი.

საიდან იყავ წასული, ბრძოლაში რომ არ გვევარგა,
სამშობლოს ტრფობა გემოსა გულ-მკერდზე რკინის პერანგად.

ფოლადი ტყდება, ქვა ცვდება, ტალღა ჩერდება მდინარის,
კაცს ჩაეძინოს მოღლილსა, გამკვირვებელი ვინ არის?!

ღენინთან ფიცადებულო, ისევ ღენინთან მიხველი,
სამშობლოსადმი ვალმოხდილს მზერა მოგიდა ფიცხელი...

და როცა მავზოლეუმთან გრგვინვა გაისმა ქვემეხთა,
ასე შეგონა ორთავეს გულები ოდნავ შეგერბათ...

აყვავდა ქართლის ველები, აყვავდა ქართლის ზეგნებიც, —
ვარდუყვავილებით შეემოსეთ თქვენი უკვდავი ძეგლები.

— გაფრინდი, შავო მერცხალო! — გულიდან გულზე გადადის,
იქნება მიაღწიოსო მავზოლეუმის კარამდის!



უცხო მხარეში

მოგონებათა ფურცლები

გონების თვალთ ვიხედები შორეულ წარსულში და მინდა მეხსიერებაში აღვადგინო ცხრაასხუთი წლის რევოლუციის შემდეგ ემიგრაციაში გატარებული ათი ზამთარი და ეს ერთი ნაწყვეტი ჩემი ცხოვრებისა შეუფერადებლად ავსახო. ამისათვის ესარგებლობ ხელნაწერებით, ჩემს არქივში რომ აღმოჩნდა დღიურების სახით.

დიდი ჩანია მას შემდეგ, მაგრამ წარსულის სურათი ისე ცხადად, მკვეთრად მახსენდება, თითქოს ეს გუშინ იყო. ახლა, შორიდან რომ ვაყურებ იმ განვლილ გზას, მინდა, ერთხელ კიდევ განვიცადო შორეული წარსული, ესოდენ დიდ იმედს რომ აძლევდა ჩემს ყმაწვილკაცობას.

ბავშვობიდან ოცნება მიყვარდა, ვუმზერდი მოწმენდილ ცაზე ჩამავალ მზის სხივების ელვარებას, მთების წვეროებზე აღისფრად შედებულ ღრუბლებს, და ჩემი სული უცნობ მომავლი-საკენ ილტვოდა, წინ, მშვენიერებისაკენ ისწრაფვოდა. თითოღვით მოეფარებოდა მთის მწვერვალებს აღმოდებული დიდი ბურთი. უცბად ჩაქრებოდა აგიზგიზებული ხანძარი. ლილისფერი მოედინებოდა გარემოს და მწუხრდებოდა მიდამო და ჩემს გულსაც სევდა მწვეოდა.

მიყვარდა ყოველი საგნის შეცნობა, ნოვლენის მიზეზების გარკვევა, შინაარსის მიგნება. ამიტომ ყველაფერს ხელით უნდა შეეხებოდი, სათამაშო უნდა გამეჩხრიკა, დამეშალა, დამერღვია, რომ გამეგო, როგორ და რისთვის იყო ასე გაყვებული.

ვერ მოვისვენებდი, სანამ არ გავტეხდი კაკალს, თვითველ ლუბანს კანს ავაცლიდი, გემოს ვაუწისინჯავდი. საგანი ჯერ ძლიერ მიმიზიდავდა თავისი გარეგ-

ნული სილამაზით, ვატრიალებდი ხელში, ვუმზერდი, მისი მშვენიერებით ვტკებოდი, ოცნებით კიდევ უფრო ვაღერადებდი, ალტაცებული და აღფრთოვანებული ვიყავი, მაგრამ დიდხანს არ დავიცდიდი,—სათამაშოს უსათუოდ დავშლიდი, დაჭირდი, დავარღვევი, ისევ შევეკრავდი, მაგრამ მერე ის მე აღარ მიზიდავდა. შორს ვისროდი. ახალ გასართობს ვეძებდი.

მახსოვს, ბავშვობისას, ერთ დღეობაზე უამრავ ხალხს მოეყარა თავი. ისმოდა ყვირილი, ძახილი, ლავლავი, არდნის ჰყვიტინი და ცხენების ქიხინი.

ტილოს კარვის გარშემო ხალხი შეკრებილიყო. შიგნიდან მოისმოდა ტიკინების ლაპარაკი, ყვირილი და ჰყვილი. ამას მოჰყვებოდა ხალხის სიცილ-ხარხარი და ღრიანცელი. კარვის შესასვლელთან ვიდექი, გაფაციებული ვიქირებოდი ფარდის კარებში, რომელიც დროდადრო შემსვლელთათვის იხსნებოდა, რომ თვალი მომეკრა თოჯინების ცეკვა-თამაშისათვის.

ერთმა ნაბდიანმა კაცმა შემამჩნია. თავის ნაბადში გამზვია, შუერი გადაიხადა და კარავში შემოყვანა, მალე უკანა რიგებიდან წინა რიგებისაკენ წავიწიე. ეხედავ პატარა, აწოწებულ ტილოს ოთახს, რომლის ფანჯარაზე ხტუნავენ და ლაპარაკობენ თოჯინები. ერთი გრძელცხვირა „პეტრუშკა“ ყვირის, ჯაგრობს, ხელში ჯოხი უჭირავს და მეორე თოჯინას ცხვირ-პირში სცემს. მოკლავს. მოკლულს ფანჯარაზე დაკიდებს. მერე კუმბოს მოიტანს, კუმბოში ჩააწვეს და ტირილ-გოდებით წაასვენებს.

ყველა იცინოდა, ხარხარებდა. მე კი სულ სხვა რამე მიზიდავდა, — რა იყო შიგნით, როგორ იყო მოწყობილი ყვე-

ლაფერი ეს, რისგან ხტოდა ტივინა, ვინ ლაპარაკობდა, რა ამოძრავებდა?

არ მომწონდა, როცა ზოგიერთი ამხანაგი საკრებულოში თავს გამოიდებდა, ცდილობდა თავი გამოეჩინა, წინა რიგებში დგებოდა, რათა შეემჩნიათ და უფრო მეტი პატივი და ღირსება მიენიჭებინათ მისთვის. ზიზღს მგვრიდა, როცა თავის ამალღებისათვის ვინმე სხვას ამცირებდა და თავის თავს გუნდრუქს უკმევდა.

მზობლავდა მოკრძალებული ადამიანი, პატიოსნად რომ ატარებდა ცხოვრებას და სიმართლის თქმას არ ერიდებოდა.

* * *

გარბოდნენ წლები ჩემი ცხოვრებისა. ცხრაასხუთი წელი! პეტერბურგსა და მოსკოვში გაჩნდა ბარიალები. დაიწყო მუშათა რევოლუციური გამოსვლა—ამან საქართველოშიც მძლავრი გამოძახილი პოვა. არ დარჩენილა არც ერთი კუთხე, რომ მუშათა და გლეხთა ბრძოლა არ დაწყებულყო ფეთქებულბურჟუაზიის დასამხობად.

იმ დროს ქიათურის ბოლშევიკურ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა მიხა დავითაშვილი, რომელთანაც ერთად მე ვმუშაობდი. ბრძოლით გატაცება დიდი იყო. ერთუზიანებით აღსავსე წითელრაზმელები ბერდანებსა და მკერდზე გამოწყრივებულ ვაზნებს მედიდურად ატარებდნენ. ტყვიებს ხელის გულზე ათამაშებდნენ, ელოლიავებოდნენ, ითვლიდნენ... ბრძოლისათვის ემზადებოდნენ. მთელი ძალა-უფლება რევოლუციონერების ხელში გადმოვიდა.

ცხრაასხუთი წლის დეკემბერში ხმა გაერცელდა, რომ ქუთაისში ბარიალებია აღმართული, კახაკებს რაზმელები შეეტყენენ და შეეკლას მოითხოვენო. თუმცა ორგანიზაციას ამის შესახებ არავითარი ცნობა არ ჰქონდა მიღებული, მაგრამ ბრძოლამოწყურებულნი რაზმელებისათვის საქმარისი იყო ეს ძახილი—მათ ქუთაისში წასვლა მოითხოვეს.

სადგურზე პატარა ორთქლმავალი ელოდა რაზმელებს. ისინი მალაროები-

დან ამოდირდნენ, მიჰყებოდნენ შარაგზებს წითელი დროშებით, რევოლუციური სიმღერებით.

სადგურზე თავი მოუყრია ქიათურის ბოლშევიკური ორგანიზაციის წევრებს: მტკიცე და ურყვე ბოლშევიკს მიხა დავითაშვილს, გულწრფელ რევოლუციონერს გუცა პარკაძეს, დიდრონ შავთვალება გამხდარ „ავგუსტულას“—მელიტონ ფილიას, რევოლუციით გატაცებულ ახალგაზრდა გოგონას ფაცია ვალდავაძეს, მუშების აგიტატორს, არწივისთვალება სტეპკო ინწკირველს, მოწინავე მუშას—ალექსის, „უელეზნის“—ბაქრაძესა და სხვებს. ყველა აღზუნებული და მზიარულია, ერთმანეთს შესცივინან.

ვაგონებში ქედვია. პატარებელი დაიჭრა.

— ნახვამდის, ნახვამდის! — იძახოდნენ წამსვლელები.

— ნახვამდის. გამარჯვებით დაბრუნებამდის! — ულოცავდნენ მათ გზას გამცილებლები.

ზესტაფონში რომ ჩავედი, გამოირკვა, ქუთაისს წასვლა არ იყო საჭირო. ძალა-უფლება უკვე რევოლუციონერების ხელში გადასულიყო, ჩვენი რაზმელები ზესტაფონის რაზმელებთან ერთად სკოლის შენობასა და სადგურში დაბანაკდნენ.

მალე რაზმმა გადაწყვიტა— ზესტაფონში ხარაგაულსა და წიფაში მოღარაჯე მეფის ჯარისკაცები განეიარაღებინა, ასეც მოხდა. ახლა რაზმელები ბერდანების მაგიერ „კანცოვკებით“ შეიარაღდნენ. წიფის ჯარისკაცების განეიარაღების დროს თბილისიდან მამველად მოსულ სალდათებთან მოგვიხდა შეტაკება. სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა. ორგანიზაციამ უკან დახევა გადაწყვიტა. იმავე დროს მოსკოვისა და რუსეთის სხვა ქალაქებში თვითმპყრობლობამ არაადამიანური სისასტიკით დაიწყო რევოლუციური გამოსვლების ჩახშობა.

ქუთაისში მოწვეულმა პარტიულმა კონფერენციამ გადაწყვიტა, გადაეშალა იარაღი და ამხანაგები არალეგალურ მუშაობაზე გადაეყვანა.

თბილისიდან წამოსული აღიხანოვის დამსჯელი რაზმი დასავლეთ საქართველოში ზღაპრულ გველეშაბივით გაიქიმა, იგი შემოერთებოდა დაბას თუ სოფელს და მოითხოვდა მსხვერპლს, არბევდა წითელრაზმელების ოჯახებს, ცეცხლს უკიდებდა სახლებს, ხვრეტდა სოფელში შემთხვევით დარჩენილ რევოლუციონერებს, მათ თანამოაზრე მოქალაქეებს; ცეცხლდა, აოხრებდა ქვეყანას. ცეცხლითა და მახვილით ვრცელდებოდა რეაქცია.

ქუთაისის ორგანიზაციის დაველებით, არალეგალური მუშაობისათვის მისევე ქიათურაში წავედი, მაგრამ იქ მუშაობა შეუძლებელი იყო ჯაშუშების, პროვოკატორებისა და იმ ჯარისკაცთა გააფთრებული თარეშის გამო, რომელნიც ქიათურაში გამოვეზავნათ რევოლუციონერთა შესაპყრობად.

თბილისში ჩამოვედი. აქაც სასტიკი რეაქცია მძვინვარებდა. ქუჩებში, ოფიცრის თანხლებით, დადიოდა ჯარისკაცთა ჯგუფი და გამეღელ-გამომღელეს ჩხრეკდა. ორგანიზაციის მუშაობა დარღვეული იყო. ამხანაგებმა დამავალეს ბორჯომში წაესულიყავი პარტიული ორგანიზაციის აღსადგენად. წავედი, მაგრამ ის კი არ ვიცოდი, რომ ჩვენ შიერ ქიათურაში განიარაღებული სალდათები ახლა სხვა პოლკში განაწილებულნი, აქ, საზაფხულო კარვებში იყვნენ დაბანაკებული.

რამდენიმე დღის შემდეგ ქუჩაში მიმავალი მიცნეს.

თუმცა ღამე იყო, მაგრამ ელექტრონით სკამარისად განათებულ ქუჩაში აშედეგნა სამიოდე სალდათი. ერთი მათგანი მიუბრუნდა დანარჩენებს და უთხრა: „განა ეს ის არ არის, ბელაგორში რომ თავს დაგვეცა შეიარაღებული რაზმელებით და ჩვენი მეთაური დავიდოვი მოჰკლა!“ — „ეგ არის, ნამდვილად ეგ არის!“ — დაუდასტურეს დანარჩენებმა და გონს არ ვიყავი მოსული, რომ მომცვიდნენ, მკლავები გამიკავეს, პიჯაკის კალთები ხელზე დაიხვიეს, ცემით და მუჯღუგუნის კვრით ქუჩა გამატარეს.

ზალე თავიანთ შტაბში შემოყვანეს, როცა მათთან უფროსი ოფიცერი გამოვიდა, ერთი მთგანი წინ გამოიჭიმა და მოახსენა: „აი, დავიჭმრეთ, თქვენო აღმატებულებავ. ბელაგორში ამან მოჰკლა ჩვენი კომანდირი დავილოვი!“.

— აა! მაშ, ეს თქვენ ბრძანდებით, ვაებატონო?! Молодец Сердюк!.. მიუბრუნდა სალდათს — Кровь убитого Давыдова вопиет к мщению! ველარსად წახვალთ ჩვენი კლანჭებიდან, გაჩვენებთ, როგორ უნდა ამართოთ ხელი ჩვენი მეფისა და მისი დამცველების წინააღმდეგ! — მაღალი, ქალარა წვერ-ულვაშებიანი პოლკოვნიკი მრისხანებდა, თვალებს აბრიალებდა.

მეორე ოთახიდან სამიოდე ოფიცერი გამოვიდა. ერთს თითებში სათამაშო ქალაღლი ეკავა. გამტერებული მიცქეროდა.

— ნახეთ, ბატონებო, აი, თურმე ვინ ყოფილა ჩვენი დავილოვის მკვლელი! — უთხრა მათ უფროსმა.

დაბნეული ვიდექი. ვხედავდი, ხსნა არსიდან იყო. თითქოს შეიცვალა სამყარო — იქით დარჩა თავისუფალი ქვეყანა, ლალად მოსიარულე ზალხი, მზე და სიხარული, აქეთ კი მე, შეპყრობილი და ჯალათების ხელში ჩავარდნილი.

რასაკვირველია, უარყყოფდი ჩემს იქ ყოფნას. ვამბობდი, რომ სალდათებმა ვილაცას მიმამსგავსეს-მეთქი.

— არა, თქვენო აღმატებულებავ, ნამდვილად ეს იყო. კარგად მახსოვს. მაშინ ხალათი ეცვა და თავზე ყაბალახი ეხურა. ნამდვილად ამან გავვისტუმრა ზესტაფონში და დავილოვის ებიდან ამოღებული სისხლიანი ფული დაგვირიჯა. — ამბობდა სალდათი.

— ვერა, ყმაწვილო. ველარ მოგვატყუებთ. ვიცით, ვიცით. იქნებ ახლა აქ იმიტომ ჩამოხვედი, რომ ახლა ჩვენ გვაღვევო თვალი! — გაიძახოდა გაცოფებული ოფიცერი.

საიდანღაც გაჩნდა ბოქაული, რომელსაც შეიდი შეიარაღებული კახაკი

ახლდა. ჩემი გვარი და სახელი ჩაიწე-
რა.

— წაიყვანეთ, ხელი არ ახლოთ, თითი
არ მიაკაროთ, მაგრამ თუ გაქცევა მოინ-
დომოს, იქვე მოჰკალით! — უბრძანა უფ-
როსმა კახაყებს.

შეეშფოთდი, მიგზვდი, რასაც ნიშნავ-
და ეს ბრძანება. მომაგონდა: წინა კვი-
რას ჩემი ამხანაგი იცა რიჩინაშვილი
მოჰკლეს პოლიციელებმა გზაში.

ჭალაქის ქუჩებს გავცილდით. მტკვრის
სანაპიროს გავყევი. აქეთ რად წამომი-
ყვანეს? ერთ მხარეს მტკვარი მიდუღუ-
ნებდა, მეორე მხარეს დაბალუჩქიანი
გორაკი გასდევდა. კახაყები ერთმანეთს
ეჩურჩულებოდნენ. ვარსკვლავებით მო-
ქედილი ცა შეემა ღრუბელმა დაჰფარა.
თითქოს გულზე ლოდი დამაწვა, გონება
კი ვამახვილდა.

უკანინდან ფეხის ხმა მომესმა. ვილაც
ჩქარი ნაბიჯით გვიახლოვდებოდა. რომ
გაგვისწორდა, შედგა. ახლაგაზრდა ოფი-
ცერი იყო. მან დამშვიდებით გამოჰკით-
ხა სალდათებს: ვინ ვიყავი, რატომ დამა-
ტუსალეს და სად მიყავდით.

ლაპარაკის კილოზე შევატყვე, რომ
ქართველი იყო.

ბუჩქნარმა ჩვენსკენ მოიწია, სანაპირო
ქუჩაც მდინარეს დაუახლოვდა. უფრო
შკაფიოდ გაისმა მტკვრის ჩხრიალი. მო-
კენჭილ შარაგზაზე კახაყების წაღების
ბაჟიბუკი გაისმოდა. უცერად ყველანი
გაიფანტნენ, ვინტოვები მხრებიდან ჩა-
მოილეს, ხელში მოიმარჯვეს, ბუჩქები-
საკენ გაიქცნენ, მარტო დავრჩი, მაგრამ
მიგზვდი, რასაც მიპირებდნენ; ერთ სალ-
დათს წავავლე მკლავში ხელი, არ გა-
ვუშვი. ოფიცერმა ხმალი ამოიღო, ჩემს
წინ დადგა. ბუჩქებიდან კი ისმოდა „ეს-
როლე! ესროლე!“ — ჩახმახიც ააჩხა-
ქუნეს.

დაბნეული ვდგავარ. ოფიცრის ჩურ-
ჩული შემომესმა: ნუ გეშინიაო. ახლა კი
მიგზვდი, რისთვის აგვედევნა ოფიცერი,
და ისე, როგორც ძილში მაჯლაჯუნა
გახრჩობს, შესაზარი სიზმრისაგან თავი
ეკარ დაგიღწევია, გინდა იყვირო, ხმა არ
ამოდის, გინდა გაიქცე. ფეხები არ გე-

მოარჩილება, ვერც ხელებს ამოძრავებ,
ხსნა არსიდან არი, ილუპებო და უც-
ხად გამოგლეციება, ათრთოლებული
სხეული დამშვიდდება, გონება და-
წყნარდება... ასეთი შეება ვიგრძენი.

შზაკვრული განზრახვა ვერ შეასრუ-
ლეს. როცა კახაყები დაბრუნდნენ, ოფი-
ცერი შეეკითხა:

— ტუსალი რად მიატოვეთ? რატომ
გაიფანტეთ?

— ბუჩქებიდან შრიალი შემოგვესმა.
გვეგონა, ამისი ამხანაგებო იყვნენ იქ
ჩასაფრებულნი. — იცრუეს მათ.

— მერე ტუსალი უნდა მიგეტოვებო-
ნათ? რომ გაქცეულიყო?

— სად წავიდოდა, თქვენო კეთილშო-
ბილებავე. ვესროდით.

გზა განვაგრძეთ. ტრიალ მინდორზე
გავედით. გამოჩნდა სალდათების თეთრი
კარვები.

კარვებიდან ნამძინარევი სალდათები
გამოცვივდნენ. მათაც მიცვენეს.

— ცოცხალი რატომ მოიყვანეთ?

— იარაღი თუ არ გქონდათ, ქვით
მაინც გაუწყვეტდით თავს.

— ფუ, თქვე გლახებო! — უყვიროდა
ერთი ამხანი ფელდფებელი — ჯარისკა-
ცებს, რომლებმაც მე დამატუსალეს.

— ამას დავიჭერდი და ცოცხალს გა-
ვუშვებდი?

— თქვე დაწყევლილებო, თქვენა!
ახლა რა? სასამართლოში მისცემენ,
შეიძლება გაამართლონ კიდეც. ან ციმ-
ბირში გადაასახლონ. სხვა ხომ არაფე-
რი? შეიძლება ციმბირიდან გამოიქცეს,
ისევ თავს დაგვესხას! — არ ცხრებოდა
ფელდფებელი.

ოფიცერმა ერთი კარავი გაათავისუფ-
ლებინა. სამი გუშაგი გამოიწვია, ორი
წინ და ერთი უკან დააყენა, სასტიკი
ბრძანება გასცა:

— კარავში არავინ შეუშვათ, გესმით?
სრულიად არავინ! ახლოს არავინ მიე-
დეს. არავინ გაბედოს მასთან ლაპარაკ.
გესმით? თქვენ კი დაწყნარდით, კარ-
ვებში შედით! — ერთხელ კიდევ შემო-

ხედა, თითქოს მეუბნებოდა: ნურაფრის გეშინიაო.

შემდეგ გავიგე, ეს ოფიცერი — გვარად ჯომარდიძე — ნამდვილად ჩემს გადასარჩენად წამოსულიყო.

კარავში დაებორჩალობდი. პაპიროსს პაპიროსზე ვეწეოდი. სალდათები მაინც არ მცილდებოდნენ, მაგრამ კარავში შემოსვლას კი ვერ ბედავდნენ, შორიახლო იდგნენ და ილანძლებოდნენ, იმუქრებოდნენ:

— ეი, ძმებო, იციო, რა? მთელმა ასეულმა რომ პირი შეეკრათ, ხიშტებზე ავაგოთ და მტკვარში გადავაგდოთ, გეფიცებით, ყველას ვერ დაგესჯიან, — გაიძახოდა წითური მალალი ჯარისკაცი.

გათენებამდე ჯერ კიდევ ბევრი დროა, ხომ შეიძლება წითური სალდათის ავტაციამ გასკრას? ვინ იცის, კიდევ ვინილავ მზეს, ხვალინდელ დღეს...

სალდათები არ ცხრებოდნენ. ერთი მათგანი მომიახლოვდა და თითქმის მუდარით შემეკითხა.

— ნამდვილად თქვი. შენ არ იყავი? ტყუილად რატომ უარყოფ? ხომ შენ დაგვირიგე სისხლიანი ფული. ხომ ეს იყო მიტრუხა?

— ეს იყო ნამდვილად.

— ჰო, აბა, ახლა რაღას იტყვი? — მხარზე ჯერ ბერდანა გქონდა გადაკიდებული, მერე კი ჩვენი ვინტოვკა. ასე არ იყო?

გათენებამდის არ მომცილდნენ. მოშორებით მტკვრის ზურგი თევზის კანივით ლაპლაპებს. ჩიტების ეივილ-ხივილმა გარემო გამოაღვიძა. შორეული მთის წვერი გაბრწყინდა, გაღმა ტყეს ალი მოედო და ხეების ჩრდილი გაგრძელდა. მცხუნვარე მზის სხივებმა გაათბო ქვეყანა. ისევ მზე, ისევ სიცოცხლე. ასეთი დიადი და ბრწყინვალე მზის ამოსვლა არასოდეს მენახა!

მეორე დღეს გამომძიებელმა სალდათებს დაჰკითხა. ყველა ერთხმად ამბობ-

და: ეგ არის ნამდვილად დავიდიოვის მკვლელო.

იმდღესვე გამაგზავნეს ქუთაისში. ცხეში რომ შევედი და ამხანაგებს შევხვდი, იმედით აიგის ჩემი გული.

ჩვენი საქმე სამხედრო-საველე სასამართლოს გადაეცა, გამოძიება წელიწადნახევარი გრძელდებოდა. დახვრეტა ან სამუდამო კატორღა არ აგვიცდებოდა.

პარტიამ ჩვენი განთავისუფლება გადაწყვიტა. ამხანაგებმა ბევრი იმუშავეს ციხეში ზერელის გამოყვანაზე და ოცდაათი კაცი გაგვათავისუფლეს (ამ ზერელის ამბავი მრავალ ფურცელს მოითხოვს).

გაქცევის შემდეგ თბილისში ვიმალებოდი.

ეს ის დრო იყო, როცა აღვირახსნილი რეაქცია არავის ინდობდა. რევოლუციურად მოაზროვნე ადამიანებით ციხეები ივსებოდა. ძნელი იყო არალეგალური ცხოვრება. დავდიოდი თბილისის ქუჩებზე მიუსაფარი და დევნილი.

ღამის გასათევად ვერც ნათესავი, ვერც მეგობარი ვერ მიმიწვევდა. თუ სადმე თავშესაფარი მოვძებნიდი, თვალს რული არ ეკარებოდა, — ჩხრეკა-დაპატიმრება ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო. კვლავ ციხე, ბორკილები, კატორღა არ ამცდებოდა.

მთავრობამ კიდევ უფრო გააძლიერა რებრესიები, გააჩალა დამსჯელი რაზმის მოქმედება. მას უკვე აღარ ეშინოდა რევოლუციისა, რაკი ხედავდა, რომ რევოლუცია ნელდებოდა, იგი შეტევაზე გადადიოდა მუშათა კლასის წინააღმდეგ, რევოლუციის წინააღმდეგ, მოწყალების სახით მეფემ ვიტეს მიერ შეთითხნილი სათათბირო მიუგდო ხალხს. დამფრთხალი მენშევიკები კადეტებთან საარჩევნო შეთანხმების დადებისაკენ მოუწოდებდნენ მუშებს, ბოლშევიკები მათ წინააღმდეგ იბრძოდნენ. ისინი კვლავ მოუწოდებდნენ მუშებსა და გლეხებს —

შეემქიდროებინათ რიგები და განეგრძობთ ბრძოლა.

რეაქცია მძვინვარებდა, ძნელდებოდა არაღეგალური მუშაობა. ციხიდან გამოქცეულებსათვის ცხოვრება აუტანელი ხდებოდა. შინ ხომ ვერ წავიდოდი, — ოჯახს ამიწიოკებდნენ.

მეგობრის ოჯახში მისულს ხშირად გვიხდებოდა ასეთი დიალოგის მოსმენა: „რატომ მოიყვანე? არ იცოდი, რომ ღამობით სახლებს ჩხრეკენ? ჩვენთანაც რომ მოვიდნენ? მაშინ! რას უპირებ ბავშვებს? ხომ იცი, რევოლუციონერის დამალვისათვის შენც ციხიდან გიკრახვენ თავს!...“ „რა ვქნა, ქალო, სხვანაირად არ შეიძლებოდა. შემხვდა ქუჩაში და... დასაძინებლად ბინა არ ჰქონდა. ერთ ღამეს მაინც გაათავებინებ. რაღა ამალამ გაუწყრებათ ღმერთი!“... „ვაიმე, ვაიმე, რომ დავიღუბო. რაღა ვქნა, ღმერთო, გადაამარჩინე! ღმერთო, გადაამარჩინე!“ — შესმოდა მეორე ოთახიდან ცოლქმრის საუბარი.

მინდა წამოვდგე, გავიღე, მაგრამ სად წავიღე. მთელი ღამე ქუჩაში? იქ ხომ ისევ ციხე, ბორკილები და კატორღა არ ამცდება.

ლოგინში ვბორგავ, ოდნავ ხმაური, ეზოში რომ გაისმის, მაკრთობს. ვაითუ პოლიციელები არიან. — შეღამე გადასულა. მესმის, მეუზოვეს რომ უხმობენ. რკინის ალაყაფში დაჯანებული პატარა-კარი იღება. კბეებზე ამოდიან. ღერეფნის კარზე აკაეუნებენ. ვეღაცას კითხულობენ. ისმის გაურკვეველი ხანგრძლივი ლაპარაკი. ჩემი კუნთები თრთიან. სმენად ვარ გადაქცეული, მაგრამ ვერ ვარკვევ, რას ლაპარაკობენ. ვუღი ისე ბორგავს, თითქოს უნდა გარღვიოს მკერდი და ამოხტეს. საბანს თავზე ვიხურავ, ისევ წამოხტები, ტანთ ვიცვამ, ისევ ვიხდი, კვლავ ლოგინში ვწევები, გაყურსული ვარ... ფანჯარაში გადავიხედავ. მაღალია!

რა ვქნა! მაგრამ... აგერ, კარი მიხურეს. ლაპარაკი შეწყდა. სიწყნარე ჩამოწვა. მაშ, წავიდნენ? გადავიჩი? ფეხზე ვდგავარ და რაღაცას ვუცდობ ჩემთან

არავინ შემოდის. იქნებ ღმერთმა დიახსლისის ვეღრება ისმინა? **გაგანაწმინდა** ისიც, მეც.

ჩემს მშობლიურ მხარეში ისე დადიოდი, როგორც უცხო ქვეყანაში. დამფრთხალი ნადირივით დავრბოდი, აქეთ-იქით ვიციქრებოდი. ვეძებდი მკუდრო ალაგს.

მე ხომ პროფესიონალი რევოლუციონერი არ ვიყავი. სხვა ამხანაგები ისევ სასწავლებელში, ისევ უნივერსიტეტებში ეწყობოდნენ. ჩემთვის კი, არაღეგალურ პირობებში მყოფისათვის, ყველა გზა დახშული იყო.

საცხოვრებელი წყაროც არ მქონდა. მართალია, რამდენადმე პარტია მეზმარებოდა, მაგრამ როდემდის. ამხანაგების ჩრევით, ჩემს მღვდომარეობას მხოლოდ სახლგარეგნით, ემიგრაციაში, წასვლა უშეეღიდა. მაგრამ როგორ, რა საშუალებით!

და, ისევ მამაჩემი...

თბილქში ჩამოვიდა. მინახულა. მისი სიღრმეში წასული მოციმციმე ცისფერი თვალები, ჭალარაშერეული წვერ-ულვაში, დაღარული საფეთქლები და ლოყები, წამწამებზე გადმოფენილი ხშირი წარბები, მოღუშული, ნაოჭიანი, მუღამ ჩაფიქრებული შუბლი და ნახევრად მელოტი თავი, ძველი დროის მეცნიერებისათვის წამებულს ან მოციქულს უფრო მოგაგონებდათ, ვიდრე სოფლის მთავარდიაკანს. თორიერი და კეთილი იყო, მამობრივი სიყვარულითა და პატიოსნებით აღსავსე.

ბევრი ვაება გამოიქცეო ცხოვრებაში, შეიღი-რვა წლისა იქნებოდა, როცა ქვრივ დედასთან ერთად ბატონს გამოეცქა იმერეთიდან სურამში. აქ სოფლის მღვდელთან მოჯამაგირედ დადგა. მისი შემწეობით წერა-კითხვა და ხუცური ანბანი შეისწავლა. მღვდელს წირვა-ლოცვის დროს ეზმარებოდა, სამოციქულოს კითხულობდა. სრულწლოვანი რომ გახდა, დიაკნად აკრთხეს. მერე დაცოლშვილდა, ოჯახს, მოეკიდა.

— რა ექნა, შეილო, გეუბნებოდი, მაგ გზას ნუ ადგახარ-მეთქი. ჩემი არ დაიჯერე და ახლა როგორ გიშველა! მამას ძალიან ვუყვარდი. უფროსი შეილი ვიყავი და ჩემგან მოელოდა ოჯახში დახმარებას, უმცროსი ძმების აღზრდას. არ გაუშართლა იმედი, მისი შეილი რევილუციამ გაიტაცა. ოჯახს მოსწყდა.

— ერთადერთი ხსნა საზღვარგარეთ წასვლაა, მამა!

— მერე, შეილო, რითი? განა შევძლებ?

დიდხანს ვდუმდით ორივენი.

მამაჩემის წუხილი კარგად მესმოდა. მის გულისცემას ვგრძნობდი. თვალებდახრილი ფიქრობდა, ფიქრობდა თავის შეილზე, ოჯახზე... დუმილი ისევ მამამ დაარღვია.

— ენახოთ, შეილო, ენახოთ. იქნებ შევძლო რამე.

ერთი კვირის შემდეგ დედა ჩამოვიდა, ნასესხები ათი თუმანი ჩამომიტანა. ეს თანხა ევროპაში გამოიყვანდა და ორი-ოღე თვეს მაცხოვრებდა კიდეც.



გადაწყდა, მიედივარ საზღვარგარეთ! საზღვარგარეთ გასასვლელი პასპორტი თავის სახელზე აიღო სკოლის ამხანაგმა — რომან ბებიაშვილმა. იგი თბილისში რჩებოდა, მე კი მისი პასპორტი უნდა წაბეღო.

გამოვეთხოვე ამხანაგებს, მენობლებს, ნათესაებს. ჩემოდანში ჩავალაგე ბარგი. საღმურზე გავედი და, კონსპირაციული მოსაზრებით, ბილეთი ბაქომდე ვიყიდე.

უკვე ვაგონში ვსივარ. მატარებელი დაიძრა. წყვედიად ლაშქში მოჩანს მხოლოდ მბეუტავი ელექტროლაშქები, ერთგან რომ აკიაფდება, მეორეგან ჩაქრება. ისევ აკიაფდება და ისევ ჩაქრება. მატარებელი კივილითა და დგრი-ალოთ მიჰქრის, ვემშვიდობები მშობლიურ თბილისს.

როდის, როდისღა ველირსები კვლავ მის ნახვას?

ზედა საწოლზე წამოვწექი, ვაგონი ირწევა, თალიან ქერზე მრგვალ ნათურაში ჩამაგრებული სანთელი ციმციმებს, მკრთალად ეფინება სინათლე მაღალზურგიან სკამებს. ხან გაშუქდება ხან მიილულება. ჰაერი დახუთულია, დამძიმებული ვაგონი ქანაობს, ინჯვლრევა.

ჩემი გონება უკიდურესად არის დაძაბული, გადავალ საზღვარს, თუ დამატუსაღებენ? თავისუფალი ვიქნები, თუ ისევ ციხე და ბორკილები?

თავი თონესავით მიხურს. სხეული ბორგავს. ღამურას ფრთებივით აფარფატებული ჩრდილები კედლებს ებათქუნებიან.

რამდენიმე წუთით ვმშვიდდები. ფიქრებიც წყნარდებიან. წყვედიად მოცულ სივრცეში მიჰქრის მატარებელი.

ფანჯარაში ვიხედები. მეჩვენება, თითქოს ჭრძელ წამოსასხამიანი, განიერსახელოებიანი ვიღაც მაღალი და გამხდარი ვაგონს მოსდევს. თვალებჩაცვი-ნული, კბილებდაკრეჭილი ჩვენს ვაგონში იჰყიტება, თითქოს ვიღაცას ეძებს. დევნის, ემუქრება. ხან მიიშალება, ხან ისევ გამოჩნდება და მომძახის: „ბებიაშვილი დაატუსაღეს, ბებიაშვილი დაატუსაღეს!“

ჩემს თავს შთავაგონე, რომ პასპორტის ნამდვილი პატრონი დაპატიმრებულია. ბაქოში ჩასვლამდე გზიდან მივწერე ჩვენებს, ბაქოს მისამართით შეეტყობინებინათ ბებიაშვილის ამბავი, რის შემდეგაც მგზავრობას განვაგრძობდი. ან დაერჩებოდი.

ორი დღე შევიცავე ბაქოში. ერთ ამხანაგს გაეანდე ყოველივე. მან დამამშვიდა:

— ყველაფერი ნერვების ბრალია! აი, გადახველ საზღვარს და გაივლის. ახლა კი გირჩევ, დროს ნუ დაჰკარგავ, სანამ ჩემი მისამართით პასუხი მოვიღოდეს, შენ გზა განაგრძე. თუ ცუდი ამ-

ბავი მოვა, დებეშას გამოგიგზავნი ვარ-
შეაში, მიაკითხავ ფოსტაში ბებიაშვი-
ლის გვარზე და უკანვე დაბრუნდები.
ეს—ყოველშემთხვევისათვის. ვიცი, რომ
არაფერი მოგელის. ყოველივე ეს შენი
ავადმყოფური ფანტაზიის ბრალია! აბა,
რატომ ფიქრობ, რომ რომანი დაიჭი-
რეს და მიხვალ თუ არა საზღვარზე,
უკვე ეცოდინებათ, რომ შენ ბებიაშვი-
ლი არა ხარ? ახლავე წავიდეთ. იყავი
მხნელ! საზღვარზე რომ გადახვალ, დე-
პეშით მაცნობე.

ამხანაგისაგან გამხნეებული ისევ ვა-
გონში ვზივარ. ტრიალ მინდორზე მიჰქ-
რის მატარებელი. ტელეგრაფის ბოძები,
ველები, მდინარეები, ხიდები, შორეუ-
ლი სოფლები უკან რჩებიან. ჩემი ფიქ-
რები თან მომდევნენ, არ მასვენებენ.

მარტო ვარ. არაფერს მყავს ფიქრების
გამზიარებელი. სადგურებში მგზავრები
ჩადიან, სხვები ამოდიან, ბუფეტში და-
ნაყრდებიან და ისევ გზას განაგრძო-
ბენ, მე კი, პაპიროსის ბოლში გახვეუ-
ლი, ერთ ალაგას ვზივარ...

შორეთში იძირებიან სოფლები, ბინ-
დი ეფინება მიღამოს.

ახლა ჩვენები უთუოდ დუმელთან
სხედან, დედამ ძროხა უკვე მოწველა,
ქვაბი შემოიტანა. მამამ დაბობილი შეშა
შეუმატა ღუმელს. ჩემი დაძმები რძის
იღულებას უცდიან... ნეტა თუ მიგონე-
ბენ?

რა თქმა უნდა, მიგონებენ.

საოცარია! ახლა, წარსულს რომ ვიხ-
სენებ, ასე მგონია, თითქოს ის, ვისზე-
დაც ვწერ, მე არ ვიყავი, და მეცოდება
ის ახალგაზრდა, მოუშფიფებული რევო-
ლუციონერი—უმწეო და გამოუცდელი,
ემიგრაციაში რომ მიდის, ავითმპყრო-
ბელობასთან ბრძოლაში დამარცხებუ-
ლი, ვაგონის კუთხეში რომ მიმჯდარა,
მობუხულა. მას ეგონა რევოლუცია
ერთი შეტევით გაიმარჯვებდა, დაემხო-
ბოდა საზოგადოებრივი თვითმპყრობელობა.
მაგრამ ჯერჯერობით ეს ასე არ მოხდა.
რეაქცია კვლავ მივინეარებდა. აუცილე-
ბელი შეიქნა ახალი, უფრო მძლავრი

რევოლუციური შეტევისათვის სამზა-
დისი...

გიგზლიოთქვა

ვარშავას ვუახლოვდები. წუხელ
ერთი მგზავრი გაქურდეს, ჯიბეში არა-
ფერი დაუტოვეს. ამ ამბის გაგონებაზე
ქიანქველების გროვა შემოესია ჩემს
სხეულს. ხელი ფრთხილად წავიდე უბი-
საყენ. პასპორტი და ფული მოვისინჯე.

აგერ, შორს ვარშავის კედლებსაც
ვხედავ. მოჩანს თუნუქის სახურავები,
ბუხრის მაღალი თავები, ტაძრის გუმბა-
თები, სივრცეში ამართული ქარხნების
საკვამურები. თითქოს აქვია, ახლო, მა-
გრამ რამდენი ხანია მივდივართ. ქალა-
ქი თითქოს ბრუნავს და ჩვენ მის გარ-
შემო ეტრიალებთ.

დაწყნარებული ფიქრები ისევ აიშა-
ლა, — ფოსტაში უნდა მოვიკითხო დე-
პეშა. გაგრძელდება მგზავრობა, თუ უკან
დაბრუნება მომიხდება?

მაღე გადასჭრა მატარებელმა ლიან-
დაგის ხანებით მოფენილი გზა. ფანჯა-
რაში ვიხედები, ხან ჩემს ჩემოდანს და-
ვხედავ. ვილაყ უცნობი მიახლოვდება
და მეკითხება.

— სად მიბრძანდებით?

ვაიმე! ვინ არის, რა უნდა? იქნებ მო-
გზავნილია? მთელი მგზავრობის განმა-
ელობაში არაფერს დავლაპარაკებია,
არც ახავეს არაფერი უკითხავს ჩემთ-
ვის. ხმას ვერ ვიღებ. გაცივებით ვუმ-
ზერ მის გახუხებულ კოსტუმს, სახე-
ლოები რომ დამოკლებია, შარვალი
რომ დანაოქებია.

— გერმანიაში! — ვუთხარი.

— ჰოო! ძალიან კარგი! — მეუბნება.
ჩემს გვერდით ჯდება.

რატომ დაჯდა ჩემთან? რატომ ასე
მიცქერის? იქნებ ჯაშუშია, იქნებ იცის,
სხვისი პასპორტით რომ მივდივარ?

— რატომ მიღიხართ საზღვარგა-
რეთ?

რატომ მივდივარ? რა ვუპასუხო? ახ-
ლა ხომ შემოდგომა არაა რომ სასწაე-
ლებლად მივემგზავრები-მეთქი, ვუთ-
ხრა.

— სამკურნალოდ! — მოკლედ მოვეკერი.

აღარაფერს მეკითხება. მიმხერს.

— ხომ იცით, ვარშავაში მატარებელი უნდა გამოიცვალოს! — კვლავ დაარღვია სიჩუმე.

— დიას, ვიცი!

— მეორე სადგურზე უნდა წახვიდეთ. მეც იქით მოვდივარ. ეტლი ერთად ვიქირავოთ.

ახლა კი უდავოა, ეტლში უნდა ჩამსვას, საკუთარი ფეხით: ჟანდარმერიაში მიმიყვანოს... რაღა ვქნა? როგორ მოვიქცე?

— რატომ ერთად? — ვეკითხები.

— უფრო იაფი დაგიჯდება. ნახევარს თქვენ გადაიხდით, ნახევარს მე.

როგორ მოვიცილო თავიდან?

— მე პირდაპირ სადგურზე არ წავალ! ჯერ ერთ ნაცნობთან უნდა შევიპარო. იქვეა, ახლოს, ბარგიც მჩატეა და ეტლი არ დამპირდება. ქვეითად წავალ! — ვეუბნები.

— უაყრავად. რაკი ეგრეთა... მე კი მეგონა...

ცოტახანს კიდევ იჯდა. მერე ადგა და წავიდა. მეორე სკამზე მჯდომს იგივე შესთავაზა, მორიგდნენ და სადგურზე ერთად ჩავიდნენ.

აფუსფუსებული მგზავრები ერთმანეთს ეჯახებიან, გარბიან, მიიჩქარიან. სადგურის მეორე მხარეს გადადიან.

მეც გადავდივარ. ეტლში ვჯდები.

— მთავარ ფოსტაში! — ვეუბნები.

ვარშავის განიერ ქუჩებზე მიმაჭროლებს ეტლი. გული გამალებით ძვრს. არ მასვენებს აკვირებული ფიქრი: „დეპეშა დამხვდება და აქედან ისევ უკან მომიხდება დაბრუნება“.

— კიდევ შორს არის ფოსტა? — ვეკითხები მეეტლეს.

— არა, აქვეა, ახლოს! — მეუბნება, მაგრამ გზა რომ აღარ იღევა.

— აი ფოსტა, — თქვა მეეტლემ და ეტლი შეაჩერა. გადავხტი, სარკმელთან მივირბინე, დეპეშა მოვიკითხე, მოძებნა, ვერ იპოვა.

— არ არის.

ასეთ პასუხს არ მოველოდი. გამტყუარებული, დაბნეული ვდგავარ ერთ ალაგას და არ ვიცი, როგორ მოვიქცე. იქნებ წერილმა დაიგვიანა და დეპეშაც ამიტომ ვერ გამოგზავნა? დავიცადო? მაგრამ როდემდის?

ქუჩაში გავედი. ფეხებზე თითქოს წისქვილის ქვები მკიდა. სად წავიდე. რა ვქნა, უმიზნოდ მივდივარ. გამველეს ვეკითხები:

— რომელი სადგურიდან გადის საზღვარგარეთ მიმავალი მატარებელი?

ნახევნები მიმართულებით წავედი.

ამდენ ხალხში ვერაფერს მიჩინეს, ვერაფერს მეტყვის, როგორ მოვიქცე, რა გზას დავადგე. მარტო ვარ და ტრამვაის, ეტლებისა და ავტომობილების ხმაური შორეულ გრუხუნად მომესმის.

ვარშავის სადგურიდან მატარებელმა სწრაფად გამაჭროლა. გერმანიის მოსაზღვრე ქალაქ ალექსანდროვში მივედი. ჩემოდნებით დატვირთული მგზავრები ჩქარი ნაბიჯით მიეშურებოდნენ გასასვლელისაკენ. ტვირთშიდავმა მოიჩინა ჩემთან: „ბატონო, ჩემოდანს წაგიღებ“. პასუხს არ დაელოდა, ჩამომართვა და წაიღო. მეც უკან გავყვევი. დიდ დარბაზში შევედი.

— პასპორტი მიბოძეთ, ყუთში ჩავაგდო! — მომმართავს ტვირთშიდავი.

— პასპორტი? — ავთრთოლდი. მაგრამ მომავონდა წესი: პასპორტს დიდ ყუთში ჩაავლებენ და ვიდრე მატარებელი გაიძლოდეს, ჟანდარმი ამოიღებს, ყველა პასპორტს ჩაიკითხავს, ჩაათვალეიერებს, შეამოწმებს და გამგზავრების წინ ვაგონში დაურიგებს პატრონებს.

თავბრუდახვეული და ფერმკრთალი ვეშვრ ვაშლილ გრძელ მაგიდას, რომელზედაც ნაირნაირი საქმელებია ჩამორიგებული, გარს შემოსხლონიან მგზავრები. გახამებულპერანგინანი, თეთრპალსტუხიანი ფარეშები სწრაფად მიმოდიან თეფშებითა და ბოთლებით

ხელში. გაჩირაღდებული დარბაზი ბზინავს, ზვიმობს, ლხინობს... ბრილიანტებით შემკული ქალების ღია გულ-მკერდი, მუნღირები, სამხრეები, სმოკინგები ცოგლივებენ, ბრწყინავენ... შემწვრის სუნი და მოხარშულის ოხშივარი მადას აღიზიანებს, მაგრამ მოღუნებულს და ფიქრებში გართულს არაფერი მიზიდავს. ჩემი იაფფასიანი კოსტუმი, დაქმუქვნილ პალსტუხი, გაუპარსავე წვერ-ულვაში, მოღუშული სახე და შეკრული შუბლი, ალბათ, ყველას ყურადღებას იქცევს.

— ბატონო, შეგიძლიათ ბილეთი აიღოთ. მატარებელი რამდენიმე წუთში მოვა! — მეუბნება ტვირთმზიდავი.

რამდენიმე წუთში გადაწყდება ჩემი ბედიც.

სალაროსკენ აჩრდილივით მივიპარებო, შევდგები. იქვე მოაჯირთან ქანღარმი დგას.

შეეკრთი. ნაბიჯი შევანულე. მინდოდა უკან გავებრუნებულყავ, მაგრამ ქანღარმა გზა დამთმო.

ბილეთი ავიღე.

ბუფეტში ისევ ყრიაშულია. მგზავრები ფაცაფუსით სალაროსკენ მირბიან. ქალები ლოყებზე პუდრს იფრქვევენ, ტუჩებს ღებავენ...

რამდენიმე წუთი! რამდენიმე წუთში, მოვა მატარებელი და გადაწყდება ჩემი ბედი!



მატარებელი ჩამოდგა. გულმა გამაღლებით იწყო ცემა. ტვირთმზიდავები და მგზავრები ერთმანეთში აირიგნენ. ვაგონში ავდივარ. კუბეში ჩემს მეტი არავინ არის, ბაქანზე მოძრაობაა. გამცილებლები წამსვლელებს ეშვებობებიან.

კოტახნის შემდეგ კუბეში ერთი ახალგაზრდა შემოდის. პატარა ჩემოდანს იქვე დადგამს. დაჯდება, ისევ ადგება. ნოუსვენრობს, შოთოავს. ხშირად შემოხედავს. უცნაურად იქცევა. ეტყო-

ბა, დედავს. კუბეში აჩქარებული ნაბიჯით დადის, უბიდან პატარა წინააღმდეგობებს, ფურცლავს. მოწითალო წარბების ქვეშ, თითქოს წამწამები შეტრუსვია, ჭროლა თვალები უცამციმებენ. გახუნებული წაბლისფერი პიჯაკი აცვია.

— გერმანიაში მიბრძანდებით? — მეკითხება.

— დიალ!

— მეც იქ მივდივარ, მაგრამ... მე აქვე მოსაზღვრე მცხოვრები ვარ, პასპორტიც მაქვს, მაგრამ... შემოწმება უნდა. ვერ მოვასწარი. ვაითუ არ გამიშვან ამ წყევლმა ქანღარმებმა? როგორ მოვიქცე? თქვენ რას მიჩნევთ?

— აბა, მე რა ვიცი...

— რომ არ გადავიდე, არ შეიძლება. ჩვენს სოფელში პოლიტიკური მუშაობისათვის მღვენიან. მიჩნით რამე.

— აბა, რა გითხრათ, მეც არ ვიცი!

— თქვენი პასპორტი როგორია? ნამდვილი? — უცერად შემიკითხა.

აა! იწივლებს გული: რატომ მეკითხება, ნამდვილად მოგზაენილია... პროვოკატორი! პაპიროსის ბოლში ეხვევი.

— ჩემი პასპორტი? ნამდვილია! მაშ, როგორ! — რაც შეიძლება გულგრილად ვეუბნები.

— თქვენს გვარზეა?

— მაშ, სხვა გვარზე როგორ შეიძლება! რატომ მეკითხებით მაგას? — პაპიროსის წამწამებს თითებით ვსრესავ. მთელი სხეულით ვთრთი.

— ხშირად ჩენი ამხანაგები, პოლიტიკურები ეგრე გადადიან.

— მე ხომ პოლიტიკური არა ვარ, სამკურნალოდ მივდივარ გერმანიაში! — მტყიცედ, დაბეჯითებით ვეუბნები. მას სახე ეცვლება. ადგება, დაჯდება, ისევ ადგება, გაიხედავს.

— აგერ, მოდიან კიდევ. დამეხმარეთ. თქვენც უთხარით რამე ჩემს სასარგებლოდ. — მიოხრა და ისევ სკამზე ჩამოჯდა.

ორი ქანღარმი მოდიოდა. ორივე მა-

ღალი, ლურჯ მუნდირებში გამოწყობილი. ერთ მათგანს სქელყდიანი, მოზრდილი წიგნი ეჭირა ხელში. პასპორტებში ამ წიგნში იყო ანბანზე ჩალაგებული. ერთ: ეანდარმს მოწითალო ხშირი წარბები წამწამებამდე სცემდა. მოხარული თევზის მსგავსი თვალებით მგზავრებს ისე აკვირდებოდა, თითქოს ერთი შეხედვით უნდოდა მათი ვინაობის ამოკითხვა. მეორე ეანდარში მონღოლური, ნაკეთიანი სახისა, კროლათვალეზიანი, წიგნიდან ამოღებულ პასპორტში ჩაიხედავს, ჩაიკითხავს და პატრონს გადასცემს. უცბად შევამჩნიე, რომ მის საწვევებელსა და დიდი თითის შუა ერთი პასპორტი ქანაობდა. აი ჩემი პასპორტი! — გავიფიქრე, — ვეტყვი თუ არა გვარს, ამ პასპორტს გადაშლის და შემეკითხება:

— თქვენ ბრძანდებით ბებიაშვილი? ჩვენ თქვენზე უკეთ ვიცით თქვენი ნამდვილი გვარი. წამობრძანდით, იქ გავარკვევთ!

ქ წყდება ფიქრი. გაფითრებული ეღგავარ და ვუცდი.

მოუახლოვდნენ ჩემს კუბეს.

ახლა კი გამახვილებულია გონება: არ დამევიწყდეს, რომ ბებიაშვილი ვარ, რომან დიმიტრის-ძე!

მოვიდნენ.

— თქვენი გვარი?

— ბებიაშვილი! — პასპორტს ყდიან წიგნში ეძებს. ამოიღო, გაშალა, წაიკითხა.

— სახელი?

— რომან დიმიტრის-ძე! — გადაათვალიერა. მომართა. გამოვართვი. სწრაფად ჩავიდე უბეში. დეზების ჩხარუნით გავიდნენ.

კუბეს მოვავლე თვალი. ის ყმაწვილი იქ აღარ იყო.

რამდენიმე წუთი გახევებული ვიდექი. კიდეც მოველოდი რალაცას. უცბად პასპორტი ამოვიღე. წავიკითხე — ბებიაშვილი, რომან დიმიტრის-ძე. გვარს ლურჯი ფანქრით ჰქონდა ხაზი ვასმული.

შებლზე ხელი მოვისვი. ცივი ოფლით დასველებულიყო. გულმანათიქოს სიხარული იგრძნო. მინდა ვინმეს დაველაპარაკო. კუბეში კი მარტო ვარ. პასპორტი ჩაბლუჯული მიჭირავს ხელში. ერთხელ კიდეც შევაგლე თვალი და უბეში ჩავიდე.

აგერ მეორე ხარი დარეკეს. ორიოდ დაგვიანებული მგზავრი გამობრძის, მესამე ხარიც, და... ორთქლმავალი კიფის, მატარებელი დაიძრა.

სიზმარია თუ ცხადი? უკან რჩება სადგურის ბაქანი. გამცილებლები ცხვირსახოცების ქნევით მისდევენ ვაგონებს. წყვილად ღამეში მიჭირის მატარებელი. პატარა მდინარის ხიდი დგრაილით გადაიარა. უკვე გერმანიის მიწაზე ვარ.

მაგრამ რატომ არ ხარობს გული? რატომ ისეე დაღვრემილი ვარ? ხომ გადავრჩი! შორს დარჩა ციხე, ბორცილები და კატორანი ტოკავს, მისრიალებს ვაგონი. დერეფანში გაველი, მგზავრებს ვათვალისწინებ — ვინ დასამინებლად ემზადება და ლოგინი გაუშლია, პიჯაკი გაუხდია, ვინ კიდეც დერეფანში დადის, ვინ მეზობელს ესაუბრება, მე კი მარტო ვარ.

თითქოს რალაც შემსუბუქება ვიგრძენი, თითქოს რალაც მძიმე ტვირთი მომცილდა მხრებიდან. მაგრამ რატომ სიხარულით არ ძგერს გული? რატომ ლხენით არ თრთის სხეული? რატომ არ ზეიმობს გონება? რატომ შეწყდა ფიქრთა დენა?..

ფანჯარაში ვიხედები. წყვილად ღამეში ორთქლმავლის თეთრი კვამლი ჯერ ბამბის ფთილებივით ეხვევა, მერე გაიშლება, იფანტება და სივრცეში უჩინარდება. წარსული უკან დარჩა, შორეულ რუსეთში, ახლა მეც შემიძლია, გავიარო, ვინიხიარულო, ვთქვა ის, რაც მინდა, მაგრამ არავინ მყავს ბედნიერების გამზიარებელი. დაქანცული გული, დაოსებული გონება, ამღვრეული ფიქრები ჯერ კიდეც არ დალაგე-

ბულან, ჯერ კიდევ ვერ მოვიცილე ის მაგლაჯუნა, ჩემს სხეულს რომ ასე მძაფრად დაუფლებია.

ოთხი დღეა არაფერი მიჭამია... თუმცა არც ახლა მაჭვს მადა. პირი გამშრალია. მწყურია. ვაგონ-რესტორანში გავლივარ. „ეი, ობერ, ლუდი და ბივ-შტექსი!“

სუფთა მაგიდაზე მოტანილ ლუდის ბოზრდილ ჭიქას ხელს ვავლებ და ისე ხარბად ვსვამ, რომ განცვიფრებით მიცქერიან მგზავრები. ჭამის მადაც მომივლიდა. გულიანად მივაძეხი ბივშტექსს და არ დაეტოვე პურის არც ერთი ნაჭერი. მოდუნებული კუნთები გამოცოცხლდნენ. თამამი და მხიარული ვდგები. ჩემს ვაგონში მივდივარ.

რამდენიმე სადგურის გარბენის შემდეგ მატარებელი ერთ დახურულ ბაქანში შევიდა. ელექტრონის შუქი მოეფინა ვაგონის ფანჯრებს. გასასვლელ კართან მივედი. შევამჩნიე — ერთი ქალიშვილი, პატარა ჩემოდნით და ორი მრგვალი კოლოფით: დატვირთული, კიბზე ჩადის. ორივე ხელი დაკავებული აქვს, ჩასვლა უძნელდება. სწრაფად მივდივარ მასთან, ჩემოდანი და კოლოფი ჩამოვართვი, მივაცოლე დარბაზმადის, სადაც მას ნაცნობები დახვდნენ. ქალიშვილმა ჩემოდანი ჩამომართვა, სანდომიანად გამიღიმა და თავაზიანად მითხრა:

— მადლობელი ვარ, ჩემო ბატონო, მადლობელი!

მეც კუთხარი:

— გთხოვთ.

ამან გამახალისა, გამამხნევა. რამდენი ხანია, არავის დავლაპარაკებია!

იმდენი დრო კიდევ დამრჩა, რომ სადგურის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებიდან შობილებსა და ბაქოელ ამხანაგს დებეშა გავუგზავნე: „გავცდი საზღვარს, მივდივარ ლაიპციგში“.

მიჭქრის მატარებელი უცხო ქვეყნის ტრიალ მინდორზე. მალე ლაიპციგში გიქნები. ვინახულებ ნაცნობ ქართველებს, ამხანაგებს...

მეორე დღეს დილით უკვე ლაიპციგის სადგურზე ჩამოვხტი. გავეშურე მოცარტშტრასეზე, სადაც ჩემი მეგობარი გერონტი ქიქოძე ცხოვრობდა. იმ დღესვე გავიცანი სწორედ იმ დროს ჩამოსული დიტო უზნაძე და სხვა ქართველები.

გერონტი ქიქოძეს ცხრაასსამი წლიდან ვიცნობდი, ჩვენ დავმეგობრდით: ლაიპციგში, სადაც ორივენი სწავლას ვაგრძელებდით.

ცხრაასსამ წელს მოხდა პარტიული განხეთქილება და ჩვენ ორივე, მიხა დავითაშვილთან ერთად, შევედით რ. ს. დ. მუშათა პარტიის (ბოლშევიკების) დამხმარე ლაიპციგის ფკუფში. ასეთი ფკუფები დაარსებული იყო მაშინ ევროპის ყველა საუნივერსიტეტო ქალაქში სტუდენტებისა და ემიგრანტებისაგან. ჩვენ ყენევიდან ვლებულობდით ბოლშევიკურ ლიტერატურას და ვგზავნიდით რუსეთში სხვადასხვა მისართით და სხვადასხვა საშუალებით. უნივერსიტეტის საგნებს ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდით. მეტ დროს მარქსიზმის შესწავლას ვანდობდით.

ჩვენი გატაცება მუშათა რევოლუციური მოძრაობით იყო გულწრფელი და უმწიკვლო. როცა ცხრაას ხუთ წელს, ცხრა იანვარს, დაიწყო მუშათა დემონსტრაციები პეტერბურგში, ჩვენ დავიძახეთ: „რალა დროს სწავლაა, წიგნები გვერღზე გადავდოთ და მუშებთან ერთად ბარკადებზე ვიბრძოლოთ!“ იმ კვირაშივე წამოვედით საქართველოში, აღფრთოვანებით ჩავერიეთ ცხრაასხუთი წლის რევოლუციურ ბრძოლებში. ხოლო რევოლუცია რომ დამარცხდა და რეაქცია დადგა, მე დამატუხალეს, გერონტი ქიქოძე კი ისევ ლაიპციგში წავიდა, და აი, ახლა კვლავ შეეხვდით ერთმანეთს...

••

ლაიპციგი, 8 აპრილი, 1908 წელი.

თენახევეარია ლაიპციგში ვიმყოფები. როგორი ცხოვრება მომელის ემიგრაციაში, გაურკვეველია.

გუშინ ბერლინიდან ჩამოვიდა ერთი რუსი ემიგრანტი, რომელმაც პრუსიის პოლიციის მოქმედების შესახებ აღმოსვლეთებელი ამბავი გადმოგვცა.

— არ მოველოდით. ეცხოვრობდით წყნარად, მშვიდად. — მოგვიყვია ამხანაგი, — და ერთ დღეს თავზარი დაგვცა პრუსიული პოლიციელების საქციელმა. ქუჩაზე მიმავალ ყველაზე უწყინარსა და თვინიერ ამხანაგს ორი პოლიციელი წამოეწია, შეაჩერა და უთხრა: „გამოგვყვი, რასაც გიბრძანებთ, ყოველივე უნდა შეასრულო. არაეთიარო წინააღმდეგობა, არაეთიარო პრეტესტი! გესმით?“ რა ძალა ჰქონდა! ჯერ ბერლინის ქუჩებზე ატარეს, მერე სადგურზე მიიყვანეს, რუსეთისაკენ მიმავალ მატარებელში ჩასვეს, საზღვარზე გადასვეს და უთხრეს: „აი, შენი რუსეთი! იცხოვრებ მანდ, როგორც გინდა, ჩვენ კი თავი დაგვანებე...“

— მერე?
— მერე — და, რა მოელს რუსეთში, ყველამ კარგად იცის!

— ბერლინში მყოფი სხვა ამხანაგები?

— დაიფანტნენ. ზოგი საფრანგეთში წავიდა, ზოგი ინგლისში. უმრავლესობა შევიცარიაში. მეც აქ ჩამოვედი დროებით.

— მერე აქაც ხომ არის მოსალოდნელი მოხდეს იგივე, რაც პრუსიაში?

— შესაძლებელია. მაგრამ მაინც საქსონიის ქალაქია ლაიპციგი და რაც პრუსიაში მოხდება, შეიძლება აქ არ განმეორდეს. თუმცა, რა ვიცი, მე კი დიდი ხანს არ დავრჩები აქ. შევიცარიაში წავალ! — დამთავრა ამხანაგმა.

ცხადია, მეც უნდა მოვეცილდე გერმანიას. მართალია, ლაიპციგი საქსონიის დედაქალაქია და მის ლანდტაგში უმრავლესობა სოციალდემოკრატების დეპუტატები არიან, მაგრამ ძინი განა რამე წინააღმდეგობას გაუწევენ მთავრობას? ესენი ხომ ჩვენებური მენშევიკებით ბურჟუაზიის წინაშე დაფო-

ფხვენ და აბა, რა გამოსარჩლებას უნდა მოელოდეს მთავან ადამიანი? ჩვენებს უნდა მივწერო, გზისგან გამომიგზავნონ, რომ შევიცარიაში წავიდე. იქ ხომ ვლადიმერ ილიასძე ლენინი ცხოვრობს! მას უსათუოდ ვინახულვებ.

1908 წლის მაისი.
გერმანიის კონსტიტუცია და სიტყვის თავისუფლება რომ ყალბია, ამაში გუშინ დავრწმუნდი.

პირველმაისობის წინააღმდეგ, აღგილობრივი სოციალდემოკრატიული პარტიის შენობაში, სალამოს რვა საათზე დანიშნული იყო საპირველმაისო მიტინგი. ამ მიტინგზე სიტყვა უნდა წარმოეთქვა მემარცხენე სოციალდემოკრატს ლედებურს. ჩვენ გვეგონა, რომ ის ილაპარაკებდა რევოლუციური აღზნებით, სხდომაზე დამსწრე პოლიციელი მას სიტყვის დამთავრების ნებას არ მისცემდა, ხალხი აღელდებოდა, მოითხოვდა ლედებურს სიტყვა დაესრულებინა. ჩვენ ეს გვიზიდავდა. გულისჩქაროლი მოველოდით მის გამოსვლას.

დიდი დარბაზი, ათას კაცს რომ იტევდა, ხალხით გაივსო. ჩამწყრივებულ მაგილებს შემოუსხდნენ. თეთრ წინაფრებში გამოწყობილი ფარგში ქალები სწრაფად მიმოდიოდნენ მაგილებს შორის. მსურველებს აწვდიდნენ მიუნხენურ ლულს, ტეხილ წყალს, ბუტერბროდებს, ღვინოს... მოსულნი ქაფიანი ლუდით ისველებდნენ ულვაშებს, სიგარის ბოლოთ აესებდნენ დარბაზს.

მაკვირვებდა, რომ მოსულთა შორის ქალები არა ჩანდნენ. მხოლოდ ორ მაგიდას შემოსხლოდნენ ქერათმიანი ქალები, — ესენიც რუსები იყვნენ.

ამაღლებულ ღია სცენაზე მაგიდასთან მივიდა სხდომის თავმჯდომარე. მის გვერდით ლედებური დაჯდა. დარბაზში სიჩუმე ჩამოვიდა. მაგრამ თავმჯდომარე სხდომის დასრულებას არ ელოდა.

— რაღას უტყობ? რატომ არ დაწყებენ?



— ჯერ პოლიციის აგენტი არ მოსულა.

— სანამ ის არ მოვა, ვერ დაიწყებენ?

— ვერა! — მიპასუხეს ამხანაგებმა. მალე ისიც გამოჩნდა. ჩასუქებული, დაბალი ტანის, ლელაფა ლოყებიანი პოლიციელი ნელი ნაბიჯით მივიდა მაგიდასთან, პორტფელი გადახსნა, ქალღი და საწერ-კალამი მოიმარჯვა.

თავმჯდომარე კრების გახსნის ნებართვა სთხოვა. მან თავის დაქნევით გასცა პასუხი. თავმჯდომარემ პირველი მისისაღმი მიძღვნილი მიტინგი გახსნილად გამოაცხადა და სიტყვა ლედებურს მისცა.

ლედებური ტრიბუნაზე ავიდა უმაღლესი მოგვხიბლა ამ მაღალმა, გამხდარმა, შეგვერემანმა და კოპებშეკრულმა ორატორმა. იგი ლაპარაკობდა კლასთა ბრძოლაზე, მუშათა რევოლუციურ გამარჯვებებზე, სოციალიზმის აუცილებლობაზე, პირველი მისის დემონსტრაციის მნიშვნელობაზე.

პოლიციელი მოუსვენრობდა, ქაღალდის ფურცელზე რაღაცას იწერდა. თავმჯდომარეს მკაცრად აფრთხილებდა.

არწივივით მტკიცედ იდგა ლედებური, პოლიციელს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. გატაცებით ლაპარაკობდა. გაშლილ ხელის გულს სიერცეში ათამაშებდა, მოქნეული ხმალივით ჰკვეთდა სიერცეს. დამარწმუნებელი საბუთებით ამტკიცებდა კაპიტალიზმის წარმატებას და სოციალიზმის დამყარების აუცილებლობას. მის ყოველ სიტყვაში გამოსკვიოდა რწმენა მუშათა კლასის გამარჯვებისა.

პოლიციელი წამოდგა, თავმჯდომარეს უკანასკნელი გაფრთხილება მისცა. ხალხი ლელავდა, პოლიციელს ზიზღით სავსე თვალებით უმზერდა, უკმაყოფილოდ ბუბუნებდა; ლედებური ცდილობდა სათქმელი მოკლედ ეთქვა, რომ აზრის დამთავრება მოესწრო. ყველა აღფრთოვანებით და გულისყუ-

რით უსმენდა. თონესავით გახურებულ დარბაზში სიწყნარე და სიმშვიდე იდგა. მაგრამ ყველა გრძნობდა, რომ ეს იყო ქარიშხლის წინ ჩამოვარდნილი მყუდროება.

თავმჯდომარე მოუსვენრობდა, ზარს აწყარუნებდა.

პოლიციელი უცებ წამოდგა, განაცხადა: სიტყვის გაგრძელებას ვერძალავ, სხდომას დახურულად ვაცხადებო. დარბაზში ხალხი უკმაყოფილოდ ამოძრავდა. ლედებურმა ზიზღით გააყოლა თვალი მიმავალ პოლიციელს, ტრიბუნიდან კოპებშეკრული ჩამოვიდა. თავმჯდომარემ მზრები აიჩეჩა, მიტინგი დახურა. გვეგონა ატყდებოდა აურზაური, განგაში, ალიაქოთი, სტენა და ყვირილი, მოცვივებოდნენ პოლიციელები და ძალით გარეკდნენ ხალხს დარბაზიდან, მაგრამ ჩვენს განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა მოსულები წყნარად წამოდგნენ, უკმაყოფილოდ ხელი ჩაიქნიეს, ქიქარა ჩარჩინილი ლუდი მოსვეს, ფული გადაიხადეს და ბუბუნებით გარეთ გავიდნენ. გახურებული დარბაზი გაიცვდა. სახტად დაერჩით. ვფიქრობდით, გარეთ მიანიცვანახავდით შეგგუფებულ, უკმაყოფილების ნიშნად დემონსტრაციულად შუა ქუჩაზე ყვირილითა და ძახილით მიმავლებს, მაგრამ აქაც გაგვიცრუვდა მოლოდინი. ყველა შშვიდად მიდიოდა შინისაკენ.

განა ჩვენში მსგავსი რამ მოხდებოდა? განა არ შევებრძოლებოდით ენდარმებსა და პოლიციელებს?

მაისი.

ლაიპციგის საპირველმაისო დემონსტრაციამ, გუშინწინ რომ დავესწარი, არავითარი სიხარული არ მაგრძნობინა.

საპირველმაისო დღესასწაულის ჩასატარებლად ლაიპციგის მუშები მთავარ მოედანზე შეიკრიბნენ. ნელ-ნელა და აუჩქარებლად მოდიოდნენ. წყვილ-წყვილად მწყრივდებოდნენ. მერე წა-

როებივით მიჰყენენ ერთმანეთს, დინჯი ნაბიჯებით წყნარად გაიარეს ლაიპციგის ქუჩები.

სამი კილომეტრის დაშორებით ქალაქ გარეთ გავედით. ბაღში გაიშართა დღესასწაულისადმი მიძღვნილი მიტინგი, რის შემდეგაც საზეიმოდ მორთულ ხალხით სავსე ბაღში და საზაფხულო ღია რესტორანში დაიწყო დროსტარება. საცეკვაოდ გამართულ მოედანზე მუსიკა უკრავდა. ახალგაზრდა ქალიშვილები და ვაჟები ცეკვავდნენ. ბევრგან მოწყობილი იყო ფარდულები, ტკბილეულს, ნამცხვრებს, ლუდსა და სხვა სასმელებს ჰყიდიდნენ.

ხნიერი მუშები რესტორანში იხდნენ, ლუდსა სვამდნენ, იაფფასიან სიგარებს ეწეოდნენ, მუსაიფობდნენ. სცენაზე მუსიკა უკრავდა. სიმღერა და მზიარული ყიფინა გაისმოდა ბაღის ყოველ კუთხეში.

განმარტოებული დავდიოდი მათ შორის. არაფერი მიზიდავდა.

მაღე მომწყინდა, წასვლა დაეპირებოდა. ბაღში გავლისას უნებლიეთ მოცეკვავეთა წრესთან შეეჩერდი. ცეკვავდნენ და ლაღობდნენ ახალგაზრდები. ერთმა მოცეკვველმა ქალიშვილმა მიიქცია ჩემი ყურადღება, რაღაცას ოხუნჯობდა. ერთი ორჯერ შემომხედა ალბათ იმიტომ, რომ დაეინებოდა ვეუყურებდი. მაღე ერთი ვაჟი მივიდა მასთან, საცეკვაოდ გაიწვია. წელზე ხელი მოხვია, წრეში გაიყვანა. მჭიდროდ შეგროვილი ხალხი გაფარდვიე. წინა რიგში ჩავდექი, რომ ქალიშვილი თვალთაგან არ დამეარგოდა.

მოხდენილი ტანის, წელში ამაყად გამართული ქერა გოგონა ნარნარი რხევით აშრიალებდა კაბას, ნაოჭებში ხვევდა მწყობრი ტანის ნაკვეთებს. ვამზერდი მის დაკულულებულ ბუჩქად შეკრულ თმას, აგიზგიზებულ ცისფერ თვლებს, ყოველი მოტრიალებისას შექურბივით ჩემსკენ რომ მოანათებდნენ. ისე მეგონა, თითქოს ყოველ მის გაღიმებაზე გულში ტკბილი ნექტარი მელვრებოდა, თითქოს მზე მიცინოდა. ახლა მცე გავმზიარულდი, მაგრამ მა-

ღიზიანებდა, რომ მას უხეშე ახალგაზრდა ეხვეოდა. არ მომწონდა მისი ცხოვრებითალო ხშირი წარბები და მაღალი ტანი. მაღე მან მაღლობის ნიშნად თავის დამას ხელზე აეოცა. ახლა სხვას მოხვია მკლავეები. ქალიშვილმა მყისვე მომძებნა. ჩემს გვერდით დადგა. მკითხა: „რომელი საათიაო“. როცა ჩვენებური კილოთი ვუთხარი, საათი არა მაქვს-მეთქი, მან გაოცებით შემომხედა, შემეკითხა — სადაური ხართ? რუსი?

— არა, საქართველოდან, ქართველი. ჯანცვიფრებით მომამუტერა თვალები. ვერ გავგო, რას ნიშნავდა „ქართველი“ და „საქართველო“ ალბათ პირველად ესმოდა.

— მერე, სად არის საქართველო? გაფართოებული ცისფერი თვალებით მიმზერდა. ქერა თმები საფეთქელზე ჩამოცვენოდა.

მე ავუხსენი.
— იმ სიშორიდან ხართ აქ მოსული? მარტო ხართ! ამხანაგები არა გყავთ? არაეინ არის თქვენს მეტი საქართველოდან?

— როგორ არა. მხოლოდ ახლა აქ არ არიან.

— რისთვის ჩამოხვედით აქ?
— უნივერსიტეტში ვსწავლობ, — ვიცრუე.

— სტუდენტი ხართ? მერე, საქართველოში არ არის უნივერსიტეტი?

— როგორ არა! — ესეც ვიცრუე — მაგრამ, აქ ერთ სპეციალურ საგანს უნდა დავუფულო და ენაც შევისწავლო.

— მოგწონთ ჩვენი ქვეყანა?
— ძალიან, ძალიან!

— რომელ ქუჩაზე ცხოვრობთ?
ქუჩა დავუხსახლე.

— მეც ხომ იქვე, პარალელურ ქუჩაზე ვცხოვრობ.

— მართლა, ეს ძალიან კარგია!

— იცით, რა? თუ ასეა, ხშირად შეეხედეთ ერთმანეთს. ჩემთან ლაპარაკში მაღე ისწავლით გერმანულ ენას.

— რა კეთილი ყოფილხართ, ქალიშვილო, თქვენს სახელი?

— ლაურა.
 — რა მშვენიერი სახელია, ეგ სახე-
 ლი ხომ მარქსის ქალიშვილს ერქვა.
 — მართლა? თქვენ კი რა გქვიათ?
 — დათიკო.
 — თათიკო! — გაიმეორა. ეუცნაურა,
 თითქოს მოეწონა, კიდევ გაიმეორა,
 მისი თვალები ბზინავდნენ, მე კი გული,
 გამალბებით მიცემდა.

მოცეკვავეთა წრიდან გავედით, გა-
 ვისეირნეთ.

ლაურას გვერდით მივიდიოდი და
 ისე მეჩვენებოდა, თითქოს ბაღში კი
 არა, წალკატში მოვხვდი, რამდენი ხა-
 ნია, ასე მახლობლად არავინ მიგრძენია.

დავსეირნობდით აზრიანულ ხალხ-
 ში, მე კი მინდოდა მარტო ჩვენ ორნი
 ვყოფილიყავით სადმე მიყუჩებულ
 კუთხეში, რომ დიდხანს შემზირა მისი
 მიზიდველი თვალბისათვის. ახლა
 როდილა ვგრძნობდი მარტოობას, ასე
 მეგონა კლდესა და ღრეს გავარდევდი,
 მთის მწვერვალზე ავიდოდი და იქიდან
 ქვეყანას ვამცნობდი, რომ ლაურა კე-
 თილი და ულამაზესი ქალია ამ ქვეყანა-
 ზე. ბევრი რამ მინდოდა მეთქვა მისთვის-
 საც, მაგრამ ვერ ვახერხებდი.

— რატომ მოხვედით პირველ-მასიო-
 ბაზე? სოციალ-დემოკრატი ხართ? —
 შეითბა მან.

— დიახ. თქვენ?

— არა. მამაჩემია პარტიული.

— მუშაა?

— არა, საკუთარი სამკერვალო აქვს.
 წინათ კი სხვასთან მუშაობდა. ახლა
 ჩვენ კარგად ვცხოვრობთ, აღრე კი გვი-
 ქირდა.

გავივლიდით ლიმონათის, ლუდის,
 ტბილეულობისა და ნამცხვრების ფარ-
 დულების გვერდით და სხეულში ჭინ-
 ჰველები აფუსფუსდებოდნენ, ჯიბეში
 ტრამეისთვის შემონახული ოცი ფენი-
 გის მგტი არ მქონდა. ლაურას ვერაფ-
 რით ვსაიამოვნებდი. ერთად წასვლა
 რომ ვამოგვიხდეს? როგორ უნდა ვადავა-
 ხდევინო ლაურას ტრამეის ფული?

ვფიქრობდი, მაგრამ გამოსასვლელი გზა
 ვერ მენახა.

მცირეხანს ვისეირნეთ. შემდეგ ისევ
 საცეკვაო წრესთან შევდექით. თავბრუ-
 დამხვევი სისწრაფით დაპქროდნენ ქალ-
 ვაენი. ცეკვავდნენ, ლალობდნენ, ზეიმო-
 ბდნენ.

— თქვენ არა ცეკვავთ? — შემე-
 კითხა.

— არა, საუბედუროდ.

— რატომ? სამწუხაროა! — სინანუ-
 ლით თქვა და მის დიდრონ ცისფერ
 თვალბში ბინდი ჩაწვა.

ყრმობისას, როცა ჩემი ამხანაგები
 ცეკვავდნენ და ილხენდნენ, მე შორს
 გავდგებოდი ხოლმე, დაეცინოდი, რომ
 ფუქსავატურად ატარებდნენ ღროს. ახ-
 ლა კი ვნანობდი, რომ ლაურასთან ცეკ-
 ვა არ შემეძლო.

— განა თქვენში ვეროპული ცეკვები
 არ უყვართ?

— როგორ არა, მაგრამ...

— თქვენ არ ცეკვავთ. სამწუხაროა,
 კიდევ გაიმეორა, — მე კი ცეკვა ძალიან
 მიყვარს. ყველაფერს მიჩვენია. როცა
 ვალსის ხმები მესმის, ფეხები თითქოს
 თავისთავად ცეკვავენ.

თავისი ამხანაგები დიანახა, მათკენ
 უნდოდა წასვლა. მე მის გვერდში ვიდექი
 და ვლუმდი. ისინი კი კისკისებდნენ,
 მზიარულობდნენ, ცეკვავდნენ.

— მამ თქვენ როგორ ატარებთ ხოლ-
 მე ღროს? — კიდევ შემეკითხა.

— მე რევოლუციონერი ვარ!

— მერე, განა მათ სხვა გრძნობები
 არა აქვთ? ადამიანები არ არიან?

— კი, მაგრამ... მაგისტვის არ სცა-
 ლიათ!

ლაურამ განცვიფრებით შემომხედა.
 კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ
 მის წინ აღიმართა კვლავ ის მაღალი,
 წითური ვაეი, წელზე მკლავი მძლავრად
 მოხვია და საცეკვაოდ გაიყვანა.

მუსიკის ხმები, სიცილ-კისკისი, მო-
 ცეკვავეთა სრიალ-ტრიალი, ერთმანეთ-
 ში აირია. ერთხანს ვხედავდი ლაურას
 მწვანე ქუდს. მერე კი დამეკარგა, გაუ-
 ჩინარდა.

გაშტერებული, თავბრუდაბეჭეული დიდხანს ერთ ალაგას ვიდრეჭი. უცბად გამოვფხიზლდი, დავიწყე ლაურას ძებნა. ყველა კუთხე შემოვიარე, მაგრამ ვეღარ ვნახე.

ბალიდან ხალხი უკვე გადიოდა. რესტორნის პატრონი ფარდულებსა და სკამებს ალაგებდა. მუსიკის ხმაც შეწყდა. ლუდის დაცლილ კასრებს მიაგორებდნენ.

მალე დაცარიელდა ბალი. არ მახსოვს, როგორ დავბრუნდი შინ.

დიდხანს არ დავრჩენილვარ ლიაპციგში. ორი თვის შემდეგ ციურისში წავედი. კარგად მახსოვს მეხუთე სართულის მანსარაში მოქცეული ოთახი, ერთფანჯრიანი, უღიმღამო და მოწყენილი, კუმბოსავით გრძელი და ვიწრო. იქიდან ქუჩას ვერ დაინახავდი. ფანჯრიდან მხოლოდ მრავალსართულიანი სახლების თუნუქის სახურავები, ბუხარის თავები, ტელეფონისა და ელექტროდენის გაბმული მავთულები მოჩანდა.

შორეულ გრგვინვას მოგაგდა ქალაქის ყრუ გრუხუნო. უცნაური ხმაური შრიალთ მიჰყვებოდა მავთულებს და სიერეში იფანტებოდა. ისმოდა განათებული, აღმოდებული ქალაქის ქუჩებიდან ყიყინა, ძახილი და სიმღერა. ხანდახან თვალწინ დამიდგებოდნენ ლაურას ცისფერი თვალები და ჩემს თავს ვეკითხებოდი, რატომ მიმატოვა მაშინ ისე მოულოდნელად? რატომ ვეღარ შევხვდი იმ გოგონას, ასეთი ალურსით რომ შემეგება ჩემი ცხოვრების გზაზე?

ვშორდებოდი ლიაპციგს, ჩემს პატარა ოთახს. მივდიოდი ციურისში, შევიცარის უძველეს ქალაქში. ვალაგებდი ბარჯს ჩემს პატარა ჩემოდანში და მწვავე ფიქრი არ მშორდებოდა; როდემდის ვივლიდი კიდე უცხო მხარეში, როდისღა ჩავალაგებდი ნივთებს სამშობლოში გასამგზავრებლად?

ციურისში შემეძლო ჩემი ვინაობა გამეძლავნებინა (ლაიპციგში ბები-

შვილის გვარზე ვცხოვრობდი). იქნებ უფრო ადვილად მეშოვნა რაიმე ხაზი-შაო! იქ ხომ მრავალი იყო რუსეთიდან ლტოლვილი ემიგრანტი.

ბარჯს ვალაგებდი. ხელში მამაჩემის სურათი მომხვდა, ამ დროს იყო, დიასახლისის ხმა რომ შემომესმა: წერილია, ბატონო!

წერილი მამისაგან იყო. ხარბად დავიწყე კითხვა. „ჩემო ნუგეშო, შვილო დათიკო! პირველ ყოვლისა, ყოვლად შემძლებელ ღმერთსა ვთხოვ შენს ბედნიერებას და ჯანმრთელობას, შვილო! ამის გარდა, კარგა ხანია შენთვის წერილი არ მოგვიწერია და არც შენგან არაფერი გვსმენია.

ჩვენ ყველანი კარგად ვართ. შენმა ძმამ ანდრომ სემინარია დაასრულა და ახლა კიევის უმაღლეს კომერციულ ინსტიტუტში შევიდა. ახლა მას უნდა დახმარება და რა ვქნა, შვილო, თავზევით გზა არა მაქვს. გრიშა ისევ რეალურშია. მისი სწავლის ფული, შვილი თუმანი, ვერ შემიტანია და არ ვიცი, რა ეშველება. ელენემ ეპარქიალური გაათავა და ახლა სურამშივე დანიშნეს მასწავლებლად. ასე და ასე, ჩემო შვილო!

დედაშენი ამ წერილის წერის დროს გვერდით მიზის, დააღუპით ჩამოსდის ცრემლები. მის ტირილსა და წუწუნს ვეღარ ავართვი თავი.

„როდის იქნება ჩემი შვილი დათიკო ვნახო... ვაიმე, შვილო, ვაი თუ ისე მოეკედი, რომ ჩემმა თვალებმა ვეღარ გიხილონ“... მთელი დღე ასე მოთქვამს და ტირის ეს საცოდავი. შენი ამხანაგი გიორგი დაატუსაღეს და ახლა მეტეხის ციხეში ზის. რა ეშველება საცოდავ მის ცოლ-შვილს, არ ვიცი!

ბიძაშენი ივანე გასულ კვირას გარდაიცვალა, ჩვენი მეზობელი ზაქაროც მოკვდა. სხვები კარგად არიან.

ჩვენი ნათესაები და მეზობლები ხშირად გიხსენებენ და მკითხავენ შენს ამბავს.

ასე, ჩემო შვილო! თავს გაუფრთხილ-

დი. იქნებ ღმერთმა როგორმე მალბოსოს შენი ნახვა, ერთხელ კიდევ გიხილოთ პერქვეშ ყველა შვილი და მერე, თუნდა მოვეკდე, არ ვინანებ.

სხვა რაღა მოგწერო, ჩემო შვილო! ძველი ვენახი ამოყარე და ახალი ვახი დავრგე. გასულ კვირას ძროხა მოგვპარეს. ბევრი ვეძებე, მაგრამ ველარ ვიპოვე ჩვენი მარჩენალი ძროხა. ჩვენი კულაძალი მობერდა, მაგრამ მაინც ყველგან უკან დამდევს. გუშინწინ სარებს ვთლიდი ვენახის ბოლოში. შინ რომ დავბრუნდი, შებინდებული იყო. მოვარდა ძალი, დამიწყო ყეფა, არ მომეშვა. ქვეც ვესროლე, მაინც არ დამანება თავი. მიყეფდა და ვენახის ბოლოსკენ მივბოდი. თან მიცქეროდა, თითქოს მეუბნებოდა, წამომყევიო. მეც ავედევნე — ერთი გავიგო რა უნდა ამ კულასამეთქი. რომ გავყევი, ძალიან გაუხარდა, ცქმუტუნით გარბოდა. ნობრუნდებოდა, შემომხედავდა, რომ შემატყობდა — მიედევლი, ისევე გარბოდა. ჩამიყვანა ვენახის ბოლოში, სადაც სარებს ვთლიდი, ღობეზე ჩამოკიდებული ანაფორა დავინახე, — იქ დამჩინოდა. ავიღე და წამოვიღე. ასე სცოდნია სიბერეს, სად რას დავდებ, აღარ მაგონდება.

სხვა, რაღა მოგწერო, შვილო, იყავი კარგად...

მართლა, კინალამ დამავეიწყა... აბა, რამდენი ხანია შენ ციხიდან გაიქეცი და ამ ერთი კვირის წინათ კი გავგიჩხრიკეს სახლი. მათ ჰკონებიათ, შინ იმალები და გარეთ არ გადიხარ, გაუთენებელზე მოცივდნენ კახაკები, შემოარტყეს სახლს ალყა და დაიწყეს ჩხრეკა. შევარდნენ ბოსელში, სათონეში, ბედელში, აცივდნენ პერში. ჩვენ კი განძრევის ნება არ მოგვცეს. უნდა გენახა, ჩვენი ბოქაული რა ამბავში იყო. ხომ გახსოვს მიტუშა აბაშიძე, ხამურელი თავადი, მუდამ ცეკვასა და ბანქოს თამაშში რომ ატარებდა დროს, ახლა ბოქაული გახდა და აქაურობას იკლებს. უნდა ერთგულბა და უმტყიცოს თავის უფროსებს. დარბოდა, ყვიროდა, გვამინებდა, დორბლებს

ყრიდა, ღეთიანივით ხან ერთ კუთხეს მივარდებოდა, ხან მეორეს. მუდამ მავრად მქონდა, არ მეშინოდა. დედაშენმა შენი წერილი მოძებნა, მომიტანა და მითხრა: ეს აჩვენეო. წერილი ბოქაულს მივეცი და ვუთხარი: „აი, ბატონო, ჩემი შვილი სად არის. მისამართიც მანდ სწერია. ჩემი შვილი თქვენ გყავდათ ციხეში და თუ ვერ მოუარეთ და გაიქცა, ჩემი რა ბრალბა-მეთქი...“ წერილი მაინც წაიკითხა.

სახეზე უცბად შეიცვალა. ახლა მოწიწებით, ღმილით და პატივისცემით შემომხედა. მითხრა: „პატივემულო სოკრატ, მოხარული ვარ, თქვენი შვილი საზღვარგარეთ გასულა, მოშორებია აქაურობას. ბოდიშს ვიხდი, რომ შეგაწუხებთ, მაგრამ რას იზამ, ხომ იცით, მოვალეობა, სამსახური თავისას მოითხოვს. იყავით ბედნიერნი. ღმერთმა დღეგრძელყოს თქვენი შვილი! მშვიდობით ბრძანდებოდეთ!“ ზრდილობიანად ჩამომართვა ხელი, კახაკებს მოუხმო და ჩხრეკა შეაწყვეტინა.

ერთხელ კიდევ მოიხადა ბოდიში და გაუდგა გზას.

მაინც რას ფიქრობდნენ ის ოჯახქორები. ამდენი დრო გავიდა, ახლა მოაგონდათ შენი თავი?

ასე, ჩემო შვილო. სხვა რაღა მოგწერო. იყავი კარგად. ცოტაოდენ ფულს გიგზავნი, ხელი მოანაცვლე. იქნებ კედევ რამე გავახერხო.

ბევრს გაკოცებთ. ველით შენ წერილს...

შენი მამა“.

დიდხანს ვიყავი ცალი მუხლით დაჩოქილი ჩემოდანთან. გაშტერებული ვემზერდი ერთ წერტილს და თვალწინ მედგა მოხუცი მამა.

აგერ, შემოვიდა ეზოში, გაიარა სახლის წინ. ანაფორა გაიძრო, იქვე აივანზე გადავიდა. მარანში ნაჯახი მოძებნა და ვენახში წავიდა. დავროვილ სარებს ჩორკნის, მუშაობს და თავის უფროს გაყიშვილს იგონებს, დაკარგულ შვილ-

ზე ფიქრობს. მას ხომ დიდი იმედი ჰქონდა უფროსი შვილისა.

კეთილი და შვილების მოყვარული მოხუცი მამა თავდავიწყებით ოჯახის კეთილდღეობაზე ზრუნავდა. მშრომელი და პატიოსანი მულამ მუშაობით ერთობოდა. ისე გარდაიცვალა, ვერ მოესწრო თავისი შვილების კეთილდღეობას.

ახლა მე, თვითონ მოხუცი, განსაკუთრებული მოწიწებით და სიყვარულით ვიგონებ მას.



ციურიხი. 1908 წლის აგვისტო.

მეორე დღეა, ციურიხში ვიმყოფები. ეს ქალაქი რამდენადმე თბილისს მაგონებს. მისი ერთი ნაწილი გორაკის ფერდობზეა გაშენებული. თვით გორაკი — ციურიხბერგი — მწვანე ბალახითა და მცენარეებით არის შემოსილი. აქედან ქალაღზე დაღვრილი მელანივით მოჩანს ციურიხის ტბა, რომლის გარშემო ჩამწკრივებულია ქალაქის საწარმოები, ფაბრიკები, ქარხნები, საეაქრო მალაზიები და მთავარ ქუჩებზე ამართული ხუთსართულიანი სახლები. გორაკის ფერდობზე კი მოთავსებულია უნივერსიტეტი და პოლიტექნიკური ინსტიტუტი, გიმნაზიები, სამეცნიერო დაწესებულებანი...

ფერდობს ირიბად მიჰყვება გრძელი ქუჩა, სადაც რუსული ბიბლიოთეკა-სამკითხველოა მოთავსებული. აქ ხშირად იმართება კამათი სხვადასხვა პარტიის წარმომადგენელთა შორის. ამ ქუჩის დასაწყისშივეა ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული პარტიის კლუბი, რომლის ოთახებსა და დიდ დარბაზში ხშირად ეწყობა ზოლმე რუსი ემიგრანტებისა თუ სტუდენტების საღამოები, რეფერატები და სხდომები.

ლაიპციგიდან ციურიხში მგზავრობა მთელი დღე გაგრძელდა. საბარგო მატარებლით მივიდიოდით მე და ჩემი ამხანაგი მუშა—ალიოშა ედანოვი, რომელსაც ლაიპციგში გავეცანი. იგი პეტერ-

ბურგელი მოწინავე მუშაა, შეგნებულა და კარგად მომზადებული პროლეტარიატის მგზავრობით დავიდალეთ, ვინაიდან ჩვენი იათფასიანი საბარგო მატარებელი ყველა სადგურზე ჩერდებოდა. ვისხედით ვაგონში და საათობით ვუცდიდით მატარებლის გასვლას. არაფერია იმაზე დამაწყნაცი და მომაბეზრებელი, როცა უცდი და არ იცოროდის დაიძვრის შენი მატარებელი.

უცნაური კაცია ალიოშა ედანოვი. ორიოდ თვე იყო ლაიპციგში, მეორე დღეა ციურიხშია და უკვე იძახის: „ველარ გაემძღებ. უნდა წავიდე ჩემს პეტერბურგში, ისევე იქ მირჩენია, დაე, მძვინვარებდეს რეაქცია. ესეც ხომ გაივლის. ხომ არ შეიძლება, რომ პროლეტარიატმა არ გაიმარჯვოს. და მაშინ ნახოს ევროპამ, თუ რა ყოფილა რუსეთი! გაოგნებული ვიყავი, — სულ იმას იძახოდნენ: საზღვარგარეთი, საზღვარგარეთი, ევროპა, ევროპა... და აი, ესეც ვნახე! მერე რა? პეტერბურგს რითი სჯობს? რას იძლევა დღევანდელი ევროპა? მსუნაგი და მსუქანი! კმაყოფილი და მაძარი! ეგოისტი და მეშინაური სულით გაეღნითილი! ის სულ სხვა იყო, წინანდელი ევროპა, — ევროპა რევოლუციების, ევროპა კომუნისტების, ევროპა მებრძოლი, თავისუფლების მაძიებელი, ევროპა პატიოსანი და სპეტაკი... ახლა თითქოს მოისპო ყველაფერი და გათავდა.

ისევე რუსეთი! ენაცვალე მას თავისი ტანჯვებითა და წამებით! მოვა დრო, გათავისუფლდება ცარიზმის ბრჭყალებისაგან და მაშინ რა შეედრება მას! ევროპამ უკვე მოჰმათა თავისი დრო. ახლა ის ჭაობშია. რას წარმოადგენს თუნდ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია? განსოეს, ლაიპციგში მუშათა კრებაზე ტელებურის გამოსვლა, განა ასეთი ტაქტიკით მოიპოვება თავისუფლება?“

მღელვარებით ლაპარაკობდა პეტერბურგელი, კროლათვალეზიანი მუშა. ცხარობდა. ილანძღებოდა... უღრეკი

ბოლშევიკი მოხიბლული იყო ვლადიმერ ლენინის რევოლუციური მუშაობით. დიდი პატივისცემით და სიყვარულით იხსენებდა მას. „არა, მას ჯერ არ იცნობენ კარგად, ვერ ვაფასებთ საკმარისად. რა ვუყოთ, რომ მისი მუშაობა ჯერ კიდევ არაღვეალურად მიმდინარეობს, რომ მისი წერილები, მისი ბროშურები და წიგნები ყარულად ვრცელდება“.

„ჩვენი პლენანი? განა პატარა თეორეტიკოსია? მაგრამ ლენინი მიინცსულ სხვაა! ის დიდი თეორეტიკოსიც არის და დიდი ორგანიზატორიც, დიდი რევოლუციონერი! მხოლოდ მას და მხოლოდ მას შეუძლია რთული და აბნეული კითხვების ნათლად და უბრალოდ გარკვევა. მხოლოდ მას შესწევს უნარი დაუშრეტელი ენერგიით იბრძოლოს შენიღბული და შეუნიღბავი ოპორტუნოზმის წინააღმდეგ! მის მიერ უკვე გაერთიანებულია რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია, ურომლისოდაც მუშათა კლასს არ შეუძლია შეასრულოს ისტორიის მიერ ნაკარნახევი მისია — გაითავისუფლოს თავი და გაათავისუფლოს მთელი ხალხი პოლიტიკური და ეკონომიური მონობისაგან. ის არის რუსული ძლიერებით და ენერგიით აღსავსე მტკიცე რევოლუციონერი, ქეშმარიტი მარქსისტი. მე აღარ დავრჩები, აქ შენ ნახავ ლენინს. მომიგონე მაშინ და მომწერე შენი შთაბეჭდილება მის შესახებ.“

იყავი კარგად! მოგწერ წერილს და მისამართსაც. ოღონდ მიპასუხე“.

გუშინ წავიდა. თითქოს ახლაც ვხედავ მას, თავის საყვარელ რუსეთში მიმავალს, ვხედავ მას, ამხანაგებში ევროპასა და მის ცხოვრებაზე მოსაუბრეს, ლენინის სიდიადით აღგზნებულს, მომავალი რევოლუციის მიანაწილეს... თვალწინ მიდგას მისი სიღრმეში წასული, ლურსმანივით წვეტიანი, წვრილი თვალები, ბაასის დროს ნაპერწყლებს რომ აფრქვევს, გრძელი თმა, შებლზე რომ ეფინება და ყველას ზამლავს სამ-

შობლოს სიყვარულით გატაცებულს, მომავალი ბრძოლებით აღგზნებულს

ნომებერი.

დიდ იმედს ვამყარებდი შვეიცარიებზე. მეგონა თავისუფალ-დემოკრატიულ ქვეყანაში რაიმე სამუშაოს ვიშოვიდი. მაგრამ უკვე სამი თვეა, უშედეგოდ დავეძებ მას. ამხანაგებიც მეხმარებიან და საარსებო წყარო ვერ აღმოვაჩინე. საემიგრანტო სალაროსა და ჩვენების დროგამოშვებითი დახმარება სასოწარკვეთილებაში მაგდებს. განა როდემდის შეიძლება ასე გავრძელდეს? ძნელი ასატანი ყოფილა შიმშილი... განა რა გუნებაზე დადგები სადილობის დროს, როცა ყველა სასადილოში, ოჯახში ან რესტორანში ეშურება და შენ კი განმარტოებული მიდინარე ციურისებერგზე, რომ არაინი შეამჩნიოს შენი უსადილოდ ყოფნა.

ამხანაგების რჩევით, ერთ კვირაზე მეტია, ექვსთვიან საბუხმალტრო კურსებზე დავდივარ. არ ვიცი, დამთავრების შემდეგ რაიმე სამუშაოს ვიშოვი თუ არა. იმედი კი დიდი მაქვს. ყოველდღე დავდივარ ამ კურსებზე და ვსწავლობ ბუხმალტერიას.

სულ ექვსი-შვიდი მოსწავლე ერთ მოზრდილ ოთახში ზის გრძელ მაგიდასთან. მასწავლებელი მაგიდებს შორის დადის და გვიხსნის ამა თუ იმ ამოცანას. კურსების პატრონი ბ-ნი გრელინი იშვიათად შემოდის ჩვენთან. მასწავლებელი ფრიც ბლატენბერგი ახირებულს, მუდამ მხიარული და ანეგლოტების მოყვარული, ამბების მოყოლაში ატარებს მთელ დღეებს. იშვიათად მივა რომელიმე ჩვენთაგანთან ნამუშევარს გაუსინჯავს, შეცდომებს გაუსწორებს, გვერდით მიუჯდება, აუხსნის, მაგრამ მალე მოწყინდება, რაღაც მოაგონდება და თავისი ციურისული დიალექტით ანეგლოტს მოჰყვება. თვითონ უფრო მეტს იცინის, ვიდრე ჩვენ. ხშირად რაიმე მოსწრებულ სიტყვას იტყვის და მო-

სწავლეებიც ნაძალადევად გაიცინებენ. მისი ფერმკრთალი, წვრილი ტუჩი სიცილის დროს ქვედა ტუჩს დასცილდება და ჩაცვენილი კბილები გამოუჩნდება.

ყველას ისე გვიშვრს, თითქოს დიდად განვითარებული, ცოდნით აღჭურვილი იყოს, ნამდვილად კი თავისი ვიწრო სპეციალობის (ბუხჰალტერიის) გარდა არაფერი ესმის, არაფერი გაეგება. თუ შეკითხვას მისცემ, ისეთი მედიდურებით და გულმოდგინებით ავიხსნის, თითქოს ცხოვრების სოციალური ან პოლიტიკური კითხვა ვადასკრავო — თვითონვე კმაყოფილია და ამაყად გადმოგვხედავს. ხშირად დარჩენებით მოგვმართავს:

— იმეცადინეთ, იმეცადინეთ! დაამთავრებთ და აღამიანები გამოხვალთ! თვითონ ბატონი გრელიხი მოგიძებნით ალაგს. მას მრავალი ნაცნობი ჰყავს ციურხისში, უმთავრესად ვაჭრები, კომერსანტები, ბანკირები. იცით თუ არა თქვენ, რომ ჩვენი ხე-ტყის სახერხი ჭარხნის მთავარი ბუხჰალტერი მისი სიძეა? ოო! მაშ! გრელიხი მთელ შვეიცარიაში განთქმულია თავისი კურსებით. ვინც დაამთავრა, ყველა კმაყოფილია. შემხვდებიან თუ არა, გაუხარდებით და მაშინვე რესტორანში ღვინოზე ან ლუღზე მპატივობენ ხოლმე. მაშ!

მეცადინეობის დროს ყველას მხიარულად ყოფნას სთხოვს. ყველაზე მოწყენილი მე ვიყავი და ხშირად მეუბნებოდნენ: „მუდამ მხიარული უნდა იყო მუდამ!“

უყვარს, როცა ყურადღებით მოექცევა ვინმე. თუ საშისანტიმეტრიან სიგარას შესთავაზებ, დიდ მადლობას გადაგიხდის და გულმოდგინებით მოგემეცევა.

კურსების პატრონი ბ-ნი გრელიხი „საქმის კაცია“. მთელი დღე ჭალაქში დადის. ჩვენთან იშვიათად შემოვა. როცა გვინახულებს, ორიოდ კითხვას მისცემს მასწავლებელს და მალე გავა. იმ დღეს მოიყვანა ერთი ყმაწვილი,

რომელმაც ჩვენი ყურადღება მიიქცია თავისი ამპარტანული ქცევით. მას მდიდრულად ეცვა. მხრებს იჩეჩავდა, ულაზათოდ იღიმებოდა.

როცა გრელიხმა ეს ყმაწვილი მასწავლებელ ფრცხს წარუდგინა და მისი გეარი დაუსახელა, პირი გაალო, ჩაცვენილი კბილები გამოაჩინა, თვალები გაუფართოვდა, ერთხანად განცეფრებული იდგა. მოსულმა რომ ხელი გაუწოდა, მხოლოდ მაშინ მოვიდა გონს და მოწიწებით ხელი ჩამოართვა. ყმაწვილი დიდხანს არ დარჩენილა. სამივე მეორე ოთახში გავიდა. რაღაც წილაპარაკეს, მოსული მალე წავიდა. ფრცი ჩვენთან დაბრუნდა.

— იცით, ვინ იყო ის ყმაწვილი? — მოგვმართა ჩვენ, — ოო! ისეთი მდიდარი დედ-მამის შვილია, რომ... ციურხისში ისეთი მდიდარი არავინ არის. ვერ ისწავლა, უნივერსიტეტში ვერ შევიდა. მამას უთქვამს: ბუხჰალტერია შვისწავლე და ჩემს საწარმოში იმუშავეო. ახლა აქ უნდა იაროს. თვითონ გრელიხი იქნება მისი ხელმძღვანელი, მეორე ოთახში. აბა თქვენთან კი არ დაჯდება! რა უჭირს, ფული ბევრი აქვს და რამდენი ხანიც უნდა, იმდენხანს გააგრძელებს სწავლას.

— თქვენც ხომ ამეცადინებთ მას? — შეეკითხნენ მოსწავლეები.

— მაშ, მაშ!

— რა ძვირფას სიგარებს მოგართმევთ ხოლმე!

— მაშ, მაშ! — მხიარულ გუნებაზე დადგა. იმ დღეს აღარ გვიმეცადინია. შინ ადრე დაბრუნდა.



1909 წლის მარტი.

ციურხისში მოსვლის პირველი დღიდანვე გავიცანი ერთი რუსი, რომელსაც ვიქტორი ერქვა. ექვსი თვე გავიდა მას შემდეგ. თავიდანვე მიმიზიდა, მომხიბლა. დამეგობრდით. ფერმკრთალი სახე ჰქონდა, სიღრმეში წასული ცისფერი თვალები. მშვიდი და სანდო-

მიანი, თვინიერი და სათნო აღერსით შემოგხედავდა, თითქოს გუეზნებოდა: მითხარი თუ გაწუხებს რაზე, დაგეხმარები, გიშველი, ტანჯავს შეგიმსუბუქებო.

ნამღვლი რუსი ინტელიგენტი, უანგარო რევოლუციონერი, გულში რომ არაფერი ბოროტება არა აქვს და საზოგადო საქმეს შესწირავს თავს. მოსკოვში, სტუდენტობის დროს, ჯერ უნივერსიტეტის წრეებში და მის „არეულობაში“ მონაწილეობდა. შემდეგ, როცა პარტიამი განხეთქილება მოხდა, თავიდანვე ბოლშევიკებს გაჰყვა. ცხრა-ასხუთ წელს მოსკოვის მუშათა აჯანყებაში ჩაერია, ბარაკებზე იბრძოდა. რეპრესიის დროს დაატუსაღეს, ციმბირში სამუდამო გადასახლება მიუსაჯეს. იქიდან გამოიქცა. შვეიცარიას შეაფარა თავი.

ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. აზრებს ვუზიარებდით. ის ხომ ისეთი ადამიანი იყო, რომელთანაც ყოფნა არ მოგწყინდებოდა, არ მოგებზრდებოდა. წყნარი და გულკეთილი—ყველას უყვარდა. ციურხის ბოლშევიკური ჯგუფის მუშაობაში აქტიურ მუშაობას ეწეოდა, ბევრს კითხულობდა, ლექციადატორებს სასტიკად ებრძოდა. ლენინს დიდ პატივს სცემდა და მის ნახვას ნატრობდა.

ციმბირში ყოფნის დროს გაციებულყო და ახლა ტუბერკულოზით დაავადებულს დაეოსში წასვლა ეწადა, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ მიდიოდა.

ხშირად მისი ჰკვიანი, გონიერი თვალები ერთ წერტილს დიდხანს დააკქერდებოდნენ. უძრავი, ჩაფიქრებული, ერთ ადგილას იდგა, თითქოს რაღაცას ოცნებობდა, ვიღაცას ხედავდა, ებაახებოდა. მაშინ მოცილებული იყო ხილულ ქვეყანას, ვერაფერს ხედავდა, ვერ ამჩნევდა, არ ესმოდა. რამდენიმეჯერმე უნდა დაგეძახა: „ვიქტორ! ვიქტორ!“ — და ძლივს მოვიდოდა გონს. უცბად შეარხევდა სხეულს, უკან გადაიყრია ჩამოცვენილ თმას და, როგორც

ძილიდან გამოფხიზლებული, ფართოდ გაახელდა თვალს. მისი ოთახში — მუხტონის სართულის მანსარდში მტრედის საბუდარივით იყო მიკრული: ვიწრო და მაღალი ფანჯრით, გრძელი, და შემქმნროებული კედლებით, დაქანებული ჰერით, მზის სხივებს მოკლებული—ციხის საკანს მოგაგონებდათ. ოთახში ერთმანეთზე მიწყობილი იყო საწოლი, პირსაბანი, დივანი, მაგიდა და ორიოდ სკამი. მაგიდაზე ელაგა გაშლილი თუ დაკეცილი წიგნები, ფანქრები, კალმები და ჩარჩოში ჩასმული გოგონას სურათი. დიდხანს, დაკვირვებით ვუშერდი ხოლმე ამ სურათს.

— უნივერსიტეტში, სტუდენტობის დროს გავიცანი ერთმანეთი. — მითხრა ერთხელ ვიქტორმა, — ისიც რევოლუციონერობდა. მისი მამა, გიმნაზიის დირექტორი, ერთადერთი შვილის აღზრდაში დიდ მონაწილეობას იღებდა, შვილს ანებიერებდა. მორჩილი, გამგონი, თვინიერი და მეშხანურ ტრადიციებზე აღზრდილი მამის სურვილებს არ უნდა ვასცილებოდა.

— მაგრამ, — ჩაუერთე ლაპარაკში, — შვილმა უღალატა მშობლებს, რევოლუციური ენთუზიაზმით გატაცებული მუშათა მოძრაობაში ჩაება და...

— შენ გინდა თქვა, რომ მშობლებს აღარ დამორჩილდა, ოჯახს თავი მიანება და ჩემთან დაიწყო ცხოვრება. მართალია, ასე მოხდა!

— მერე?

— მე დამატუსაღეს, ციმბირში მიკრეს თავი.

— იგი?

— ჩემთან აპირებდა წამოსვლას. მაგრამ რითი, როგორ წამოვიდოდა, გროში არ ჰქონდა ჯიბეში. ცოტახნით გაკვეთილებით ცხოვრობდა. მერე ისევ შეურიგდა დედ-მამას. ახლაც მათთან ცხოვრობს.

— შენ თავი დავანება?

— არა, პირიქით! მან მომიწყო ციმბირიდან გამოქცევა და ახლაც ცოტაოდენ ფულს მიგზავნის.

— რუსეთში ბევრია ასეთი თავგანწირული, ნამდვილი რუსი ინტელიგენტი ქალიშვილი, — ვთქვი და გავიფიქრე, — როგორ არ შეიყვარებს ასეთ სპექტაკლადამიანს გულწრფელი გოგონა.

ეს ზამთარი ავადმყოფმა ვიქტორმა ცივსა და გათოშილ ოთახში გაატარა. ხშირად იწვა. გარეთ ველარ გამოდიოდა. ლოგინიდან ველარ დგებოდა. ფიქის სანთელივით გაყვითლდა, ჩამოდნა. თვალებში შუქი ჩაუქრა, სიღრმეში წაუვიდა. გამხდარი თითები ჩხირებივით ელაგა საბანზე. ისე მიწვნებდა, თითქოს შემნატროდა, ფეხზე რომ ვიდექი, გარეთ რომ გავიდოდი და გაზაფხულს მოვესწრებოდი.

ერთ დღეს ძალიან ცუდ გუნებაზე დამიხვდა. მაგიდა ლოგინთან მიმადგმევინა. ქალიშვილის სურათი თავისკენ მიაბრუნა და მითხრა:

— თუ საჭირო შეიქნეს, ეს სურათი შენ წაიღე, მის მისამართსაც დაგიწერ მეორე გვერდზე, მას გაუგზავნე, წერილიც მისწერე. ამცნე, როგორ ხშირად ვიგონებდი და კიდევ... მისთვის, უეჭველია, საინტერესო იქნება ჩემი ცხოვრების უკანასკ... — აღარ დაათავა.

წამოვდექი, ფანჯარაში გავიხედე. ცრემლი მოვიწმინდე. მერე მისკენ მივბრუნდი. ლაპარაკი ჩამოვაგდე გაზაფხულზე, თბილ დღეებზე, ველოსიპედით ლიუცერნის ტბისკენ ერთად გასეირნებაზე...

მისი თვალები ერთ წერტილს მიშტერებოდნენ. მძაფრად ფიქრობდა რაღაცაზე. ახლო მეგობრები ვხედავდით აუცილებელ, შოახლოებულ უბედურებას, მისი ქვეიანი თვალებიც ამას შეტყველებდნენ.

ყოველდღე დაედიოდი მასთან. შოკოლადსა და ცარიელ პურს, ნაძალადევად ლუქავდა. ლუქმას უხალისოდ ყლაპავდა, ცივ წყალს დააყოლებდა.

რუსეთში კი კვლავ რეაქცია მიმდევარებდა. ვიქტორს თავისი საცოლისაგან წერილები მოსდიოდა. იწერებოდა: „...ცხოვრება აუტანელი

გახდა. პარტიული მუშაობა ძალიან ძნელია. პროვოკატორები თუ ვინცაა მუშაობაში აივსო მუშათა უბნები. კრებებისა და სხდომების მოწყობა გაძნელდა, არალეგალური ლიტერატურის გავრცელება გართულდა. მენშევიკები პარტიის ლიკვიდაციას ეწვევიან, მუშაობა შეწყვეტეს, მუშათა ფართო ლეგალური პარტიის დაარსებას ქადაგებენ.

ბოლშევიკები მუშაობას განაგრძობენ. გუშინწინ მოსკოვის კომიტეტი ჩავარდა. კონსპირაციულად გამართულ კომიტეტის სხდომაზე მოცვიოდნენ ეანდარმები და პარტიის თერთმეტი წევრი დაატუსაღეს...

არალეგალური პარტიული მუშაობა მხოლოდ ერთ თვეს შეიძლება გაგრძელდეს. ციხე, გადასახლება და კატორღა არ აკლებდა. დღე არ გაივლის, ვინმე არ დაიქირონ. ციხეები რევოლუციონერებით აავსეს. კომიტეტის ჩავარდნის შემდეგ მოსკოვში მუშაობა თითქოს შეჩერებულია. ახლა აქ ცენტრალური კომიტეტის წევრს ელიან.

ყველაფერი გაივლის. ყველაფერს დავძლევთ. თავს გაუფრთხილდი, ჩემო ვიქტორ! ჩემი ჯავრი ნუ გექნება. იყავი კარგად.

„შენი ვალია“.

ასეთი წერილები ვიქტორზე ცუდად მოქმედებდა. მდგომარეობა უარესდებოდა. ისე ჩაწვა, რომ ველარ აღგა. ამხანაგებმა ახალა დაიწყეს ლაპარაკი მის დავოსში გაგზავნის შესახებ, ახალა აღმოაჩინეს ამის საშუალება, მაგრამ მისი იქ გამგზავრება უკვე აღარ შეიძლებოდა.

სამი დღის წინ გარდაიცვალა. გუშინ დავასაფლავეთ. მის დაკრძალვაში ციურჩინის მთელმა მიმგრანტობამ და სტუდენტობამ ეგილო მონაწილეობა. ყველა წუხდა. ახალა გაიხსენეს და ივალაღეს, რომ მას ჯეროვანი ყურადღება ვერ მიაქციეს.

ის ხომ მოკრძალებული იყო, და მორიდებული ადამიანი ხომ ყველგან

დაჩაგრულია სხვები რომ თავხედობენ, თავის დამსახურებას დიდად აზვიადებენ, უტიფრად მოქმედებენ, — ვიქტორისთანები თხოვნითა და ხვეწნით თავს არავის მოაბეზრებენ, მცირედით კმაყოფილდებიან. სიცოცხლის დროს მათ ნაკლებად შეამჩნევენ. მხოლოდ სიკვდილის შემდეგ აღიარებენ მათს ღირსებას.

ასე დაემართა ვიქტორსაც.

დავკარგე საუკეთესო ამხანაგი. მწუხარე და დინჯი ნაბიჯებით მივასვენეთ გარდაცვალებული მყუდრო სასაფლაოზე, რომელიც ქალაქგარეთ, ტყის ნაპირად მდებარეობდა. სასაფლაოს ქვეები, ძეგლები, წარწერები, თოვლით დამძიმებული ტოტები, ჩვენი მძიმე ნაბიჯები და შორეული რუსეთის ემიგრანტი რევოლუციონერის კუბო გულსაკლავი დუმილით ავსებდა გარემოს. მოწყენილი, გაყურებული სასაფლაო, მოკლურტულე ჩიტების ტოტიდან ტოტზე გადაფრენა, თოვლის ნოტიო, ზანტი ფანტელები, მხრებსა და მკლავებს ჩუმად რომ ეფინებოდა, ჩვენს მწუხარებას აძლიერებდა.

თავახდელი კუბო დუმილით დავასვენეთ საფლავთან. მის გარშემო შევიკრიბეთ.

მყუდროებას შიგადაშიგ შეკავებული სლუკუნი და ქვითინი არღვევდა. ამ მდუმარებაში, ამ გაყურებულ არეში ერთმანეთის სუნთქვა გვესმოდა. სიტყვა არავის უთქვამს. მხოლოდ მოულოდნელად სივრცეში გაისმა ათრთოლებული ხმა:

**Вы жертвой пали,
В борьбе роковой.**

მას წამოეწია პირველი, ავუგუნდა ბანი, ერთმანეთს მიაგნეს, მწყობრად ამღერდნენ:

**В любви беззаветной
к народу...**

გული აძვრდა, ყრუანტელმა დაგვიფარა, ვმღეროდით ყველა. შორს მიპყრობილი თვალებით ვხედავდით ციხეს,

ბორკილებს, ტუნდრებს, ყანდარებს... დამწუხრებული, მოღუნებული თვალები უეცრად აელვარდნენ. მრისხანე, მბზინავი შუქი გამოკრთოდა მათში, სხეული აცახცახდა და სიმღერაც ისე გაისმა, როგორც ბრძოლის ყივიანა...

Настанет пора и проснется

народ

Великий, могучий, свободный.

Прощайте же братья, вы

честно прошли

Свой доблестный путь

благородный...

შეწყდა მწუხარე ხმები. კუბოს თავი დავხურეთ. თოკებს ხელი წავავლეთ და სამარეში ჩავუშვით. მივყარეთ მიწა. უცხო მხარეს მივბარეთ თვითმპყრობელობის მსხვერპლი.

შინ რომ დავბრუნდი, თავი ისე ვიგრძენი, თითქოს ჩემს გულს თბილი ნაკადი მოაკლდა.

•••

ავგისტო.

საბუხჩალტრო კურსები დავამთავრე, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ვითომ ძალიან ეცადა ბ-ნი გრელიზი ჩემს მოწყობას, მაგრამ შესაფერი ადგილი ვერსად მოძებნა. გრძელდება ჩემი ემიგრანტული დღეები და მოწყენილი ცხოვრება, სადალობის დროს ისევ ციურხიბერგზე სიარული და მარტობა.

აქ ბევრია ძველი, ხალხოსნობის დროიდან შერჩენილი ემიგრანტი ერთი მათგანი, ალექსანდრე პავლოვი, ძალიან მიმზიდველი ადამიანია. როგორც ყველა ოთხმოციანი წლების რევოლუციონერი, ისიც გრძელ თმას ატარებს. ახლა უკვე მთლად გაკულარავებულია. სანდომიანსა და ლაზათიან სახეს ნიკაპზე ბუჩქად შემდგარი წვერი და მოკლე ქალაჩა უღვაშები უმშვენებს. შეკრული წარბები, სიღრმეში წასული თვალები და მოკუმული

ტუჩები სიმკაცრის იერს აძლევს მის სახეს. იშვიათად გაიღიმებს. უცნაურია თავისი განმარტოებული ცხოვრებით. მისი წარსულიც საოცარია.

პეტრაშეველთა პროცესის შემდეგ ციმბირში გადაასახლეს. მდიდარი ოჯახის შვილს, ახალგაზრდა სტუდენტს, გენერალ-გუბერნატორის ქალიშვილი ჰყოლოდა საცოლედ, რომელსაც ძალიან ჰყვარებია პავლოვი. რასაკვირველია, დედ-მამა ნებას არ მისცემდა, რომ მათი ქალიშვილი სტუდენტ-რევოლუციონერს ცოლად შეერთო, მაგრამ შეყვარებულმა მშობლებთან კავშირი გასწყვიტა და პავლოვს გაჰყვა ციმბირში.

ორიოდე წელიწადი ცხოვრობდა საშა პავლოვი თავის ცოლთან სიცივესა და გაჭირვებაში. ფუფუნებაში აღზრდილმა გენერლის ქალიშვილმა ციმბირის ჰავა ვერ აიტანა და გარდაიცვალა, მშობლებისაგან დაწყევლილი და დავიწყებული.

პავლოვსაც მამა მალე გარდაეცვალა, მან შემკვიდრებით საკმაოდ დიდი თანხა მიიღო, მოახერხა ციმბირიდან გაქცევა, ჩამოვიდა ციურისში და მას შემდეგ აქ ცხოვრობს. არც სადმე წასულა სხვაგან. არც ოჯახს მოჰკიდებია და მარტო ატარებს თავისი სიცოცხლის დღეებს.

ერთი საოცარი ჩვეულება შეუღმუშავდა მას მარტო ყოფნის დროს. ჯერ კიდევ ციმბირიდან დაბრუნებულს ნაცნობმა ემიგრანტმა თუთიყუში აჩუქა გალიით. ეს გალია თავის ოთახში ჩამოჰკიდა და მის ბინადარს შეასწავლა ძახილი: „Сашка дурак, Сашка дурак“. პავლოვს ძალიან მოსწონდა თუთიყუში და შეუდგა მის შემდგომ წრთვას. შეასწავლა: „Проснись, дурак. Проснись, дурак“. ყვეთელისკარტიანი ფრინველიც ყოველ დილით იმეორებდა: „Сашка дурак! Проснись, дурак“.

ამის შემდეგ მან სხვა ჩიტებიც შეიძინა. ზოგი გალიით ოთახის ქერზე ჰყავს ჩამოკიდებული, ზოგი კედელზე

და ზოგიც ფანჯარაზე. ოთახიც ნახევრად ბნელი აქვს და უფრო მარტოების კუთხეს მოგაგონებს, ვიდრე საცხოვრებელ ბინას. მთელი დღე გალიებში ფართხალებენ ჩიტები, დახტიან, ელურტულებენ, გალობენ.

მომცრო გალიებში მოთავსებულია გულყვითელა და გულთეთრა მგალობელი ჩიტები, კანარიის კუნძულებიდან მოყვანილი იადონები, დიდ გალიებში, გაბმულ მავთულებზე თუთიყუშები სხედან.

საშა პავლოვი იძინებს მაშინ, როცა იძინებენ ჩიტები და მათთან ერთად იღვიძებს. დილაადრიათ ატყდება ყვირილ-ხივილი, ქიკიკი და გაბმული სტენა. თუთიყუშების ძახილი იჭრება ჩიტების ელურტულში. ერთნი გაიძახიან: „Сашка дурак“ მეორენი — „Проснись, дурак!“

წამოდგება, გაიზმორება, გრძელ საშინაო ხალათს გადაიცვამს და სათითაოდ ჩამოუღვლის ჩიტებს; მიესალმება, მიუაღერსებს, განიერი ხალათის სახელურებს დაიკარწყახებს. გალიიდან კოლოფებს ვადმოიღებს, დაასუფთავებს, ახალ საკენკს ჩაუყრის, ფინჯნებში წყალს ჩაუსხამს. ყოველივე ამას აკეთებს დინჯად, სიყვარულით, მონდომებით; თუთიყუშებს გამოელაპარაკება, ამა თუ იმ სიტყვას გაამეორებინებს და მოლიბარი გავა პირის დასაბანად.

მერე თვითონვე მოიზალებს ყავას, ბუტერბროდებს და გალიებისაგან დაცულ კუთხეში მიმდგარ მაგიდასთან მიჯდება. ბაზარში წავა. ეს არის პავლოვის ერთადერთი გართობა.

ბაზარში გავლის დროს თუ ვინმემ ჩიტების ამბავს გამოჰკითხა, სახე გაუბრწყინდება. გულმოდგინედ უამბობს: ერთი ჩიტი მთელი კვირა დაღონებული იყო და სიკვდილს ვადარჩა, ერთი მათგანი ახლაც მოწყენილია, არ კენკავს და არც გალობს...

პავლოვი ემიგრანტების კრებებს არ ესწრებოდა. ახალ რევოლუციონერ-ემიგრანტებს ვერ ვაუბროდა და მათ



არც თვლიდა რევოლუციონერებად. მხოლოდ წარსულის მოგონებით ცხოვრობდა. მას რუსეთში რევოლუციის გამარჯვების იმედი გაუცრუებდა, რევოლუციური რომანტიზმი გაუქრა. ველარც მუშათა კლასის ძლევამოსილება და ველარც მისი შეუჩერებელი მსვლელობა დაინახა. ემიგრაციაში გაგრძელებულმა დღეებმა მისი ნებისყოფა დათრგუნა, მისი სულიერი ღტოლვა დაამახინჯა. ცხოვრების სიხარული და სიყვარული ჩაუხშო, ვიწრო ნაქუქში მოაქცია, გონება დაუხშო. და ახლა, როცა აღარ იყო აღფრთოვანება, აღარც იმედი, აღარც სამშობლო და უცხო ქვეყანაშიც განმარტოებული და გარიყული დარჩა — სუსტმა ბუნებამ ვერ აიტანა უმწეო მდგომარეობა და დაკნინდა.



ნოემბერი, 1909 წელი.

დავდივარ უნივერსიტეტში ლექციებზე. ეს არის ჩემი მეცადინეობისა და გართობის საგანი. საბუხალტრო კურსებზე სიარულმა ფუქად ჩამაიარა. აბა როგორ გავუწევი კონკურენციას ადგილობრივ მცხოვრებთ; ენის ცოდნითაც მჯობნიდნენ და ნაცნობობითაც... ამას უნდა დავმატოს ჩემი მოკრძალებული ხასიათი.

ისევე ემიგრანტების წრე. თითქმის ციურიხის მთელ ემიგრანტობას ვიცნობ. ბევრი მეგობარიც გავიჩინე. ნამდვილი სახელი გამომიცვალეს და ახლა „კავკასს“ მეძახიან. აქ მრავალი ისეთები, რომლებიც მთელი ოჯახით ცხოვრობენ. მშობლებისაგან ღებულობენ ფულს და უზრუნველყოფილი არიან.

იმ დღეს მირონოვის ცოლი ნინო შემხვდა. ჩვეულებრივი მიმზიდველობით და აღერსიანად გამიღიმა. თუმცა დიდი ხანი არ არის, რაც გავიცანი, ისე მომეგება, როგორც ძველ მეგობარს.

— საემიგრანტო საღაროს სასარგებლოდ საღამოს ვაწყობთ. დავალებული მაქვს, გთხოვით მონაწილეობა მი-

ღობთ საღამო-კონცერტის გამართვაში. უარს ხომ არ გვეტყვით? — შემქმნითხა ის.

— როგორ გვეადრებთ, ნინო ალექსეევნა! თუ კი რამეში გამოგადგებით, მზადა ვარ, გემსახუროთ.

— საქმე ბევრი იქნება! დღეს, საღამოს, კომისიის სხდომაა დანიშნული, უნდა მოხვიდეთ ბისკთან. ხომ იცით მისი სახლი?

— როგორ არა, ქალბატონო ნინო! რა კარგია, რომ თქვენ ნინო გქვიათ! — დავუმატე მცირე დუმილის შემდეგ.

— რატომ?

— ეგ ხომ ქართული სახელია.

— მართალია ჩვენზე ამბობენ, თითქოს ჩამომავლობით ქართველები ვიყოთ.

— როგორ, საიდან, რასა ბრძანებთ!

— მე ხომ უკრაინელი ვარ. ჩემი ქალიშვილობის გვარი არის ზედგენი. ჰოდა, ეს გვარი ზედგენიძისაგან წარმოდგებაო. ჩვენი წინაპრები პოლტავის მხარეში ცხოვრობდნენ.

— ნუთუ ეს შესაძლებელია? გურამიშვილის დროიდან?

— ვინ იყო გურამიშვილი?

— დიდი ქართველი პოეტი.

— მერე, რა უნდოდა იქ გურამიშვილს?

მე ვუამბე, ვინ იყო გურამიშვილი, როგორ დაატყვევეს ლეკებმა, როგორ გაიქცა ტყვეობიდან და ჩავიდა მოსკოვში, სადაც იმაჰმად იმყოფებოდა საქართველოდან ღტოლვილი მეფე ვახტანგი. ვუამბე ისიც, რომ, როდესაც მეფე გარდაიცვალა, მისმა ამაღამ რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო, რომ ამ ქართველებს ადგილ-მამული მისცეს პოლტავის მხარეში — გურამიშვილი ცხოვრობდა მირგოროდში, სოფელ ზუბოვკაში. ეს იყო 1700-1770 წლებში. შეიძლება თქვენი გვარის შტო იქ დასახლებულ ქართველთაგან მოდის...

— არ ვიცი. ვიცი, რომ მამანემის პაპა სამხედრო პირი იყო. მამანემს უყვარდა ქართველები. თუ ვინმეს ნახავდა, უსათუოდ მოიპატივებდა სახლში. არ ვიცი, რატომ და — მეც ძალიან მიყ-

ვარს ქართველები.

— შერე-და რატომ ქართველს არ მისთხოვდით?

— რა ვიცი, მაგისტვის საქართველოში ვერ წავიდოდი. თუმცა ძალიან კი მინდა მისი ნახვა.

როცა ნინო გალიმებს, მისი დიდრონი, შავწამწამებში ჩასმული ცისფერი თვალები გაცისკროვდებოდა, თეთრი წვრილი კბილები აელვარდებოდა, მოძრავი ტუჩები ლაპარაკის დროს წითელი ბაბთივით გაინასკვება, ხან ორ ხაზად გაგრძელდება.

შეუმჩნევლად მივედით მისი ტუჩის შესახვევთან. პარმალთან შეეჩერდით. თითქოს ბევრი მქონდა კიდევ სალაპარაკო, მიმშიშდა მასთან დაცილება.

— დღეს, სალამოს რვა საათზე, მოხვალთ! არ დაიგვიანოთ!

— უსათუოდ, ქალბატონო ნინო! თქვენა მოხვით და არ მოვიდეთ?

— მე იქ ისეთ უკრაინელ ქალს გაგაცნობთ, არ დამემღერებით! — მითხრა და წავიდა.

არასდროს არ გაჰიანურებულა დრო ისე, როგორც იმ სალამოს. ხშირად დავხედავდი საათს, მაგრამ რვას არ უახლოვდებოდა მისი ისრები. რვის ნახევარიც არ იქნებოდა, გზას რომ გავუდექი.

პირველად მე შევალე კარი. ბისკის მეუღლე ქალბატონი ფანია მოისევენა, ჩასუქებული, ოცდაათი წლის დედაკაცი, ოთახში დაფუსფუსებდა. სტუმრების მოლოდინში სკამებს ალაგებდა, მოუსვენრობდა, ბურთივით დაგორავდა, მოსულებს შეეგებებოდა, მოიკითხავდა, სკამზე დასვამდა, ერთმანეთს გააცნობდა.

მალე მოვიდა სამეზობლო სალაროს თავმჯდომარე, მოხუცი, ძველი რევოლუციონერი პეტროვი. ფანია მას განსაკუთრებული ყურადღებით მიეგება. საწერ მაგიდასთან დასვა. სთხოვა, არ მოეწყინა.

მოდოდონენ ახალგაზრდა ქალიშვილები. მოკრძალებით ესალმებოდნენ მოსულებს და კედელთან მიდგმულ

სკამებზე სხდებოდნენ. ნინო კი იგვიანებდა. აგერ, ბისკიც გამოერტყა ოთახიდან, მაღალი ტანის ჩხვილი შიშის და პეტროვთან, ხელი ჩამოართვა, მოიკითხა და გვერდით მიუჯდა.

ბისკი მდიდარი დედ-მამის შვილია. რევოლუციონერების თანაგრძნობისათვის ოთხი წლით შვეიცარიაში გადმოასახლეს. მალე ვადა გაუთავდება, დაბრუნდება რუსეთში და რევოლუციონერობას თავს დაანებებს. ახლა კი აქ, მათ შორის, ცხოვრობს და ემიგრანტებს ეხმარება. ის მეტად ზრდილობიანია, მუდამ მოლიმარი და ლიდერების პატივისმცემელი. როცა რეფერატის წასაკითხავად ენევიდან ამხანაგები ჩამოდიან, ბისკი უსათუოდ მიიწვევს თავისთან, ღამეს გაათევიანებს, გაუმასპინძლებს, დაბრუნებისას საღვურზე გააცილებს და ბილეთსაც თითონ უყიდის.

კომისიის ყველა წევრი შეიკრიბა და თავმჯდომარემაც გახსნა სხდომა. ამხანაგის თანხლებით ნინო შემოვიდა. დაგვიანებისათვის ბოდიში მოიხადა, ჩემს გვერდით თავისუფალი სკამი შენიშნა. დაჯდა.

— გაიცანით ქალბატონი ვლასენკო! — დაბალი ხმით მითხრა ნინომ და ამხანაგი გამაცნო, — დიდი ხანია მოხვედით?

— პირველი მე გამოვეცხადდი სრულ რვა საათზე.

— კარგია, რომ ასეთი ყოფილხართ! — მასთან მოსული ამხანაგი რატომღაც განცვიფრებით მიმზერდა. შევატყვე, რომ ნინოს ჩემი თავი უკვე გაეცნო მისთვის.

თავმჯდომარემ სხდომის მიზანი განმარტა. მოითხოვა, აზრი გამოეთქვათ და გაერკვიათ — ვის რა მოვალეობა დაეკისრებოდა ამ სალამოსთვის.

საუბრის დროს ბისკის ცოლი ჩაით, ნამცხვრითა და ტკბილეულით გემასპინძლდებოდა, ხან ერთ ჯგუფთან, ხან მეორესთან ბურთივით მიგორდებოდა, ჩაის დაუსხამდა, ტკბილეულობას მიაწოდებდა, მუდამ მოლიმარი, პირმოთენ

და თავაზიანი, ზოგჯერ ლაპარაკში ჩაეროდა. ნინოსა და მის ამხანაგს ფოსტის მაგიდის გაძლოლას ავალბედა, ჩემგან კი ბუფეტზე ზრუნვას მოითხოვდა. ზოგს კონცერტისთვის მომღერლების მოწვევა სთხოვა, ზოგს — ბილეთების გავრცელება. მერე ჭორაობითა და ფუქსავატური ლაპარაკით გაერთვნენ და სხდომაც დამთავრდა.

ფანია მოსიყვინძა დაფაქურდა, ზოგს სთხოვა, ცოტახანს კიდევ დარჩენილიყო, ზოგს კარებამდის აცილებდა და ემშვიდობებოდა. მე კი როგორც პირველი მოვედი, ისე პირველი გავედი ქუჩაში. ცოტახანს მოვიცადე და ნინოც გამოვიდა.

— რა მშვენიერი საღამოა, რა კრიალა ცა! იცით, რა? მოდი, ცოტრიხბერგზე წავიდეთ? — აღფრთოვანებით თქვა ნინომ და თავის ამხანაგს მიუბრუნდა.

— რა ვქნა, მე ვერ წამოვალ! ქმრისთვის არც კი მითქვამს, რომ კომისიის სხდომაზე წამოვედი. ზის და მიცდის! — უპასუხა ქალბატონმა ვლასენკომ.

— მერე რა? დაიცადოს. მიხვალ და ეტყვი, სადაც იყავი.

— ოო! თქვენ არ იცით ჩემი ქმრის ამბავი, მისი ხასიათი. ვერ წამოვალ. აი, თქვენ და ბატონი კავკასი წადით.

— არა, თქვენც უნდა წამოხვიდეთ! — ჯიუტობდა ნინო. — არ შეიძლება...

ბოლოს თავისი გაიტანა, დაითანხმა.

ალბათ ნინოს ერიდებოდა ჩემთან ერთად ცოტრიხბერგზე წამოსვლა, ასე დაეინებით რომ ჩააცვიდა თავის ამხანაგს.

სამო და მშვიდი საღამო იყო. დამლიდან რომ შეხედავ, სამათურები ციკინათელებივით ციალებენ, მოკრიალებულ ცაზე კი ვარსკვლავები ციმციმიებენ. აღფრთოვანებული შეპლალადებ ბუნებას, მის ძლევაშოსილებაში იფრქვევი და აღტაცებული ზეიშობ! შენც არ იცი, რა გხიბლავს, რა გიზიდავს, რატომ თრთი მთელი სხეულით, ასე ძალუმ რატომ სცემს გული.

ჩვენც ვლალობდით, ვმღეროდით, ვმზიარულობდით, მზიარულებაში ნინოს ვერც ერთი ვერ ვჯობნიდით.

დიდხანს დავყავით გორაკზე, მერე კი, როცა დავიღალეთ, მოვიქანცეთ და ვლასენკოსაც თავისი ქმარი გაახსენდა, დაღმართზე დავეშვით და ახმაურებულ ქუჩას გავყვეით.

ნინოს მეგობარი სახლამდის მივაციღეთ. უკან რომ გამოვბრუნდით, ნინომ მოიწყინა. მოწყენის მიზეზი ვკითხე, „მეც არ ვიცია“, მიპასუხა.

დიდხანს ღუმილით მივდიოდით. სიჩუმე ისეე ნინომ დაარღვია. საქართველოზე ჩამოავდო ლაპარაკი.

— ძალიან გინდათ საქართველოს ნახვა?

— ჩემი ოცნება!

— მერე, რატომ ერთხელ მაინც არ წახვალთ საზაფხულოდ საქართველოს რომელიმე აგარაკზე. თქვენი ქმარი ხომ საქმოდ მდიდარია?

— მას არ უყვარს საქართველო. ზაფხულობით ჩვენ მუდამ ყირაშში, კისლოვოდსკოში ან ესენტუქში მივდივართ ხოლმე.

— მე მოგცემთ საქართველოში წასვლის საბაბს.

— აბა, როგორ?

— თქვენ ხომ ორი წლის შემდეგ გავითავდებთ გადმოსასვლების ვადა?

— დიას, ორი წლის შემდეგ.

— მოდა, რუსეთში რომ დაბრუნდებით, წერილს გაგატანთ, მიღით ჩვენებთან. ნახეთ ჩემი მშობლები! ძალიან გაუხარდებთ, როცა გადასცემთ წერილს და მოუყვებით შვილის ამბავს, როცა აუწყერთ მის ცხოვრებას, როცა ეტყვით, რომ ჩვენ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. ზაფხული შეგიძლიათ სურამში გაატაროთ, იქ მშვენიერი ჰავა და ბუნებაა, და... თქვენ მომწერთ ბარათს, თუ როგორი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე საქართველომ.

ნინოს თვალები გაუბრწყინდა. გაიღიმა. ვგრძნობდი, მას სურდა განუგერძო ლაპარაკი. და მეც დავუხატე ჩემი მშობლიური სურამი, ვუამბე სურამის

ციხეზე და მის კედლებში ჩატანებულ დედისერთა ზურაბზე, ვეამზე ჩემი მშობლებისა, და-ძმებისა, ჩვენი ბაღისა და ალუბლების, ჩვენი ღვინებისა და წყაროს შესახებ...

— უსათუოდ მივალ, უსათუოდ!

ცოტახანს სიჩუმე ჩამოვარდა. უკვე მისი ქუჩის შესახვევს ვუახლოვდებოდით.

— აქ რომ „კავკას“ გიწოდებენ, შინ რას გეძახოდნენ?

— დათიკოს მეძახიან. დაეთისაგან წარმოდგება. აი, ჩვენი რომ მიხვალთ, თქვენც ნინიკოს დაგიძახებენ.

— ნინიკო? რა ლამაზი სახელია! ნინიკო, ნინიკო!

— კიდევ „შენი ჭირიმეს“, „გენაცვალეს“ გეტყვიან.

— რას ნიშნავს ეს?

— ოო! ეს საალერსო, სასიყვარულო სიტყვებია, — ვუთხარი და ავუსხენი მათი მნიშვნელობა.

— შენი ჩირიმე, გენაცვალე, — დავიხსომებ ამ სიტყვებს...

— აბა კიდევ თქვით! — ვეხვეწებოდით. ისიც იმეორებდა.

— უკვე მოვსულვართ. მშვიდობით, გენაცვალე! — მითხრა, საამოდ გამოიღიმა და ხელი გამომიწოდა.

შინ არ დავბრუნებულვარ. ისევ გორაკზე ავედი. იქიდან ვუმზერდი ქალაქს.

დილას რომ გამომეღვიძა, პირველი აზრი ნინოს გარშემო გაღვივდა. მასზე ფიქრმა წაიღო გონება. ახლა მარტოობას აღარ ვგრძნობ, მყავს მახლობელი და... მეგობარი. მეგობარი? ვითომ? ასეა? ნინო — ჩემი მეგობარი?



1910 წელი, მარტი.

საემიგრანტო სალაროს სასარგებლოდ გამართულმა საღამო-კონცერტმა კარგად ჩაიარა. შემოსავალი, მგონი, სამიათას მანეთს აღემატებოდა.

ვიხსენებ გუშინდელ საღამოს და მაგონდება საშა მელიორი, რომელსაც წი-

ნათაც მრავალჯერ შევხვედრივარ. წუხელ ერთად გავატარეთ საღამო, ისე დავეუახლოვდი, თითქოს დღე ხნის მეტად გობრები ვყოფილიყავით. მას ცალი ფეხი მოკლე აქვს, რის გამო ორძირიანა ფეხსაცმელი აცვია. რა თქმა უნდა ვერ ცეკვავს. ჩემთან ზის მოწყენილი და მეხმარება ლიქიორის დასხმვაში, ბუტერბროდების დაჭრა-მომზადებაში, სტუმრების მომსახურებაში.

საშაც ემიგრანტია, კომერსანტი ძმები ჰყავს სარატოვში და ისინი უგზავნიან თვეში სამას მანეთს. დედაც თან ჩამოუყვანია, ოთხთახიანი ბინა დაუქირავევია და შეუძლია იცხოვროს აქ, როგორც ცხოვრობენ სხვა მდიდარი ემიგრანტები. მაგრამ საშა როდი ჰყავს ზოგიერთ შეძლებულ გადმოსახლებულს. ძალიან გულგახვია, ხელგაშლილი. უყვარს ამხანაგები და საემიგრანტო სალაროსაც ყოველთვის ეხმარება. სხვებივით როდი ერთდება უსახსრო ემიგრანტ-სტუდენტებს. უზრუნველყოფილია, არაფერი გაჭირვება მას არ აწუხებს, მაგრამ მაინც სულ მოწყენილია.

— რატომ აგრე დადარღინებულნი, მუდამ დაღერემილი ხარ, საშა? — შევეკითხე მას.

— ემი მეც არ ვიცი, კავკას! ბავშვობიდანვე ასე ვარ. არ მიყვარს ასეთი საღამოები. სხვები ცეკვავენ, მხიარულობენ, მე კი განზე ვდავარ. გინაზიშიც რომ გამართავდნენ ხოლმე საღამოებს, განმარტოებული ვიჯექი კუთხეში. მოწყენილი ვუმზერდი სხვების ზეიშს. ახლაც ასე ვემართება.

— ხომ გყავს ამხანაგები, მეგობრები?

— როგორ არა! ისინი ჩემთან მამსენ მეგობრობენ, როცა ფულს ეხარჯავ, როცა ერთად ემოგზაურობთ, ან როცა მესესხებიან, რომ აღარ დამიბრუნონ. ერთხელაც არ შემეკითხებიან, რადა ვარ მოწყენილი, რატომ მათთან ერთად არ ვმხიარულობ, მხოლოდ შენ მეკითხები პირველად და ამით მოიგე ჩემი გული. ქალიშვილებიც იმიტომ თუ მომაქცევენ ყურადღებას და ჩემთან გაივ-

ლიან, რომ ფული მაქვს, მივიწვიო სადმე, ან საჩუქარი ვუყიდო. ისე კი, რომ შემეტვისონ და შეგობრული კავშირი დაამყარონ, საამისო თვისებებს ჩემში ვერ პოულობენ. პირველ ხანებში ძალიან მწყინდა, მტკივნეულად განვიცდიდი ამას. და მეც ახლა ქალს არ ვაფასებ.

— თუ შეგყვარებია ვინმე?

— როგორ არა! მაგრამ მივიღებ თუ არა მისგან თანაგრძნობას, ჩემი სიყვარული გაქრება, ექვიანობის ჭია გაიღვიძებს და მაშინ შემძულდება ის ქალიც და ჩემი თავიც...

— ეს ხომ ძალიან სავეალალოა.

— წმინდა, უმანკო და გატაცებული სიყვარული ჩემთან არ გაივლის. ნეტავი შენ, ამ მხრივ ბედნიერი ხარ...

— იმიტ, რომ გაქირვებული ვარ და მშრალ პურზე გადავდივარ? ჰმ, ესეც კარგია! მაგრამ შენ ხომ შეგიძლია სხვა გასართობებით აინაზღაურო ეს დანაკლისი?

— როგორ არა, წიგნების კითხვით ვერთობი, ვმოგზაურობ, ფოტოაპარატიც მაქვს და სურათებს ვიღებ. მოდი ჩემთან, გადაგიღებ.

ხვალ მივალ საშასთან. სურათს გადავიღებ და ჩვენებს გავუგზავნი.

• •

იმ საღამოს ნინო თავის ამხანაგთან ერთად ფოსტის მაგიდასთან იჯდა. კონცერტის დამთავრების შემდეგ ორივემ ბუფეტთან გამოიარა. ნინო ჩვეულებრივად მომხიბლავი იყო. სადა, მაგრამ შროიანი ტანისამოსი ეცვა. ღია გულ-მკერდზე ჩამოკიდებული მედალიონი ოდნავ ერხეოდა. დაუღუღლებული თმა საფეთქლებზე და მხრებზე ეშვებოდა. ქალბატონ ვლასენკოს ფერუმარით შეეთხიპნა ლოყები, ტუჩები გაეწითლებინა, წარბები და წამწამები შავი ფანქრით შეეღება და, კოწიად გამოწყობილი, ვიტრინაში დადგმულ მანეკენს წააგავდა. მისი შიშველი მკლავები და მოღეღილი გულ-მკერდი თავისი სინატიფით მხედველობას იზიდავდა.

— როგორ მიღის ბუფეტის საქმე? — შემეტობხა ნინო.

— ხომ ხედავთ, დღეს სმარტუნებზეა ხალხი.

— ჰოდა, ეცადეთ, ეშხში მოიყვანოთ, რათა მიწერ-მოწერა გაჩაღდეს და ჩვენს მაგიდასაც შემოსავალი მიეცეს.

— ვეცდებით, ქალბატონო ნინო.

— გვეწვიეთ ფოსტაში, ნუ დაგვივიწყებთ! — მითხრა წასვლისას ნინოს ამხანაგმა.

— ყოჩაღ, კაცებს! რა ამბავში ხარ? თუ გინდა, წადი, მე ვიქნები შენს მაგიერ ბუფეტში. ყველაფრის ფასი ვიცი. თუ არა-და, ხომ აწერია. წადი. აბა, შენ იცი! — წამახალისა საშა მეიღერმა.

საკონცერტო დარბაზში სკამების რიგები უკვე აალაგეს. ამალეულ სცენაზე ორკესტრი მოთავსდა. მოცეკვავენი კედლებთან მიმდგარ სკამებზე ჩამოსხდნენ. ამავე დარბაზის ერთ კუთხეში ამართული იყო „ფოსტის“ მაგიდა, რომელთანაც ნინო და მისი ამხანაგი ისხდნენ. მათთან მივედი.

დარბაზს სიმიბიანი ორკესტრის ვალის ხმები მოეფინა და მოცეკვავეთა გუნდები ააძგერა. მალე ერთი ახალგაზრდა მოვარდა ჩვენთან და ნინო საცეკვაოდ გაიწვია. მე ქალბატონ ვლასენკოსთან დაეჩი.

ჩვენს წინ მისრიალებდნენ მოხდენილად ჩაცმული ქალ-ვაენი. ქალები ღრმად ამოჭრილ კაბებს მიაშრილებდნენ, ვაეებს სერთუები, თეთრი გახამებული პერანგები და ლაქის ფესაცემელები ეცვათ.

ხშირად ჩვენი მაგიდის ახლო ნინო ჩაიჭროლებდა ღიმილით გადამოგვხედავდა, სხვებთან ერთად წრეს შემოუვლიდა, სწრაფი მოძრაობით, მოხდენილი ტანის რხევით განათებული დარბაზის მეორე მხარეს მისრიალებდა.

ვლასენკოსთან ერთხანად მღუმარე ვიკეჟი. არ ვიცოდი, რაზე დამეწყობაასი.

— თქვენ რატომ არ ცეკვავთ, ქალბატონო... — სახელი ვეღარ მოვიგონე და შევიჩერდი.

— ლენა!

— ქალბატონო ლენა! ნებას მომცემთ, ასე გიწოდოთ?

— კი, ბატონო! რალა ცეკვის გუნებაზე არა ვარ... თუმცა, ვიცეკვოთ! ცოტახანს მაგიდა ასე დავტოვოთ, არა უჭირს რა! — წამოდგა, მარაო მაგიდაზე დადო. ტიტველი მკლავები ჩემსკენ გამოსწია და საცეკვეოდ გამიწვია.

— შე რომ არ ვცეკვაე!

— როგორ, რატომ?

— არასდროს არ მიცეკვია!

— ძალიან სამწუხაროა! — ისევ დაჯდა და ისეთი გულვივებული თვალებით შემომხედა, თითქმის მიწყურებო... — თქვენ რევოლუციონერი ხართ? ემიგრანტი, არა?

— დიახ, ქალბატონო ლენა.

— კიდევ იმითმ არ ცეკვავთ! ისინი ხომ არც მხიარულობენ, არც ცეკვავენ, უარყოფენ ყოველნაირ სიამბილობას. მგონი სიყვარულსაც, ხომ ასეა?

— როგორ გეკადრებათ, ქალბატონო ლენა! რასა ბრძანებთ! ჩვენ სწორედ ამისათვის ვიბრძვით.

— ჩემს ქმარს არ უყვარს რევოლუციონერები. ის მექარხნის შვილია და ქობის ფაქულტეტს რომ დაამთავრებს, თვითონ ჩაუდგება ქარხანას სათავეში.

— ახლა სად არის თქვენი ქმარი?

სახეზე ჩრდილმა გადაუბრინა. უცბად ისევ გაიღიმა და მითხრა:

— გუშინ ტენევაში წაბრძანდა თავის ამხანაგთან! — გაბოროტებით თქვა.

— მართო დატოვათ?

— მერე, რა მიჭირს? — თავი გააქნია. მედიდურად შემომხედა. — ჩემს მეცადინეობას ეს ხელს არ უშლის. ჰირიქით!

— რომელ ფაქულტეტზე ისმენთ ლექციებს?

— ისტორიისაზე.

ამ დროს კაბის შრიალით ჩვენს წინ ნინო შეჩერდა. მოცეკვავე ახალგაზრდამ თავის დაკვრით მადლობა გადაუხადა, ხელზე აკოცა და ახლა უკვე ვლასენკო მითბატეა.

დალღილობისა და ხშირი სუნთქვი-

საგან ნინოს გულ-მეკრდი უთრთოდა.

მარათი სახეს იგრძობდა. მარკონსული ჩემი მეგობარი? — შემეკითხა.

— რატომ გგონიათ?

— შევატყუე. ვერა ყოფილხართ კარგი კავალური. ეცადეთ, გაართოთ, ხომ მოგწონთ? აკი დაგბირდით, კარგ გოგონას გაგაცნობთ-მეთქი.

— გოგონა კი არა, გათხოვილი ყოფილა.

— ძალიან ადრე გათხოვდა, უფრო სწორად — გათხოვეს. ქმარი ცოტა აბეზარი ჰყავს.

მე ვდუმდი.

ცეკვა-თამაში, დარბაზში გაღატული მუსიკის ხმები, მეზობელ ოთახში მოქეიფეთა სიმღერები და ღრიანცელი გრძელდებოდა. ყველა აღზნებულ და მხიარულ გუნებაზე იყო. ნინო და მისი ამხანაგი რიგრიგობით ცეკვავდნენ. დრო შეუმჩნეველად მიდიოდა, დარბაზში ხალხი თანდათან კლებულობდა.

ნინოს უცბად ფერი ეცვალა.

— მოიცა, მოიცა! აგერ მგონი ქმარი მოდის ჩემს წასაყვანად. ისე ჩამაცვივდება, უარს ვერ ვეტყვი, ლენა, ძალიან გთხოვ დამთავრებამდე დაიცადო და დარჩენილი კონვერტ-ჭალალები და დღული ფანია მოსიყვანას ჩააბარო.

როცა ნინოს ქმარი ჩვენთან მოვიდა და ცოლს სთხოვა, შინ წაჰყოლოდა, ის ცოტა შეყუყუამანდა, უარი უთხრა, მაგრამ შემდეგ დათანხმდა.

— აბა, თქვენ იცოთ, კაცკას! ლენა გაართეთ, არ მოაწყინოთ. ნახვამდის! — გამოგვემშვიდობა და ქმარს გაჰყვა.

— აი, ასეთები ხართ, თქვენ, მამაკაცები. მხოლოდ თქვენს სიამოვნებაზე ფიქრობთ, ცოლებს კი უღიერად ექცევიან.

— თქვენ იცნობთ ნინოს ქმარს? — შევეკითხე.

— ძალიან კარგად.

— მე მას მხოლოდ მეორედ შეხვდი. გორიზი უნდა იყოს.

— სწორედ შეგინიშნავთ, მედიდური და საკმარისად ეგოისტი. მდიდარი

არმავირელი ვაჟრის შვილია, მამისაგან გათამამებული. სტუდენტობის დროს ფეხის ხმას აჰყვია, ცხრაასხუთი წლის „არეულობაში“ ჩაერია. საზღვარგარეთ გადმოსახლეს ოთხი წლით. მამას არ მოსწონდა შვილის „რევოლუციონერობა“, მაგრამ ბოლოს შეურიგდა. ფულითაც ეხმარება.

— რომელ ფაულტეტზე ისმენს ლექციებს?

— იურიდიულზე. საკმარისად ჰკვია-ნია! ახლა გონს მოვიდა. ცხოვრებას ალღო აუღო. ოჯახი უყვარს და კლდეც ზრუნავს მასზე.

— ნინო უყვარს?

— სიყვარულით შეირთო. ნინოს მამაკი ღარიბი იყო და თითქმის ძალით გაატანა თავისი ქალი.

— ახლა?

— ნინო კარგი ქალია, პატივსაცემი სიყვარულით ჰმარს და მისი შორჩილია. ისიც უნდა ითქვას, ნინოს ქმარი კონსტანტინე, რომელსაც რატომღაც ყველა კონსტანს ეძახის, გულცივი როდია ცოლისადმი.

— რომელ პარტიას ეკუთვნის?

— წინათ ესერების პარტიაში იყო, ახლა კი თავი მიანება ყველაფერს. პარტიასთან არაფერი საერთო არა აქვს. მაგრამ, ამას თავი დაეანებოთ, წერილები ეწეროთ...

ლენა გამხიარულდა. თითქოს ნინოს იქ ყოფნა ჰბორკავდა. ახლა უფრო ხშირად ცეკვავდა, იცინოდა, ლაპარაკობდა, მოუსვენრობდა.

— თქვენ რატომ მოიწყინეთ? ნინოს წასვლა გეწყინათ? — მკითხა.

— რატომ ფიქრობთ აგრე? მე მუდამ მოწყენილი ვარ.

— რისთვის ხართ მოწყენილი? აი, მე ვეცდები გაგართოთ. ნებას მომცემთ?

— თუკი მაგ სიკეთეს იზამთ...

— მაშ, კარგი. აი გაუგზავნეთ წერილი აგერ, იმ ქალს, აბა, თუ მიხვდება, ვინ მისწერა!

საშა შეიღერმა ჩვენი მაგილისკენ გამოიარა, მაგრამ ჩვენთან არ მოვიდა.

შორიდან დამიწყო მზერა. ილიმებოდა, თვალებით რაღაცას მანიშნებდა.

მალე ისევ გაბრუნდა. წერილი გამომიგზავნა. „ყოჩაღ, კაკას, განაგრძე, იმარჯვე! ბუფეტის ჯავრი ნუ გეძნება. მოქეიფენი ბევრი მყავს... ვისურვებ გამარჯვებას... კაი გოგონაა. ბინაზე გააცილე და მერე შენ იცი!“.

ლენას წერილის წაითხვა სურდა, მაგრამ არ მივეცი. გაჯავრდა, გამიწყურა, ძლივს შევირიგე.

მოცეკვავეთა რიგები შემცირდა. წერილების მიმოწერაც შეწყდა. დარბაზი თითქოს დაცარიელდა. მალე ფანია მოისევენა მოვიდა ჩვენთან და ფოსტის მაგიდის შემოსავალი ჩაიბარა.

— თქვენ გააცილებთ ლენას, ხომ? — მითხრა ფანია: მადლობა გადაგიხადა და გამოგვეშვილობა.

— იქნებ თქვენ ვინმე სხვა გყავთ გასაცილებელი? მაშინ ნუ შესწუხდებით! — მითხრა ლენამ და ანთებული თვალებით შემომხედა.

— არა, ქალბატონო ლენა, ვინ უნდა მყავდეს!

— მაშ ცოტახანს კიდევ დაერჩეთ.

ორიოდე მოქანცული მოცეკვავე ძლივსლა ბორიალობდა საცეკვაო დარბაზში.

თითქმის თენდებოდა, როცა მე და ლენა სუფთა პაერზე გავედით. ჯერ კიდევ მიძინებულ ქალაქში ცივი ნიავი ჰქროდა. სიწყნარე და სიმშვიდე სუფევდა ქუჩებში. მარტო რომ დაერჩით, ლენა სულ ახლა მოვიდა ჩემთან. მკლავგაყრილებს ერთმანეთის სუნთქვა და გულისცემა გვესმოდა.

— მე ქალაქის განაპირად ვცხოვრობ, ვილაში. ჰოდა, თუ გეშორებათ, დამტოვეთ, მარტო წავალ, არ მეშინია! — თქვა ლენამ ორიოდე ქუჩის გავლის შემდეგ.

— როგორ გეკადრებათ, ქალბატონო ლენა, განა არ ვიცი, სადაც ცხოვრობთ. როგორ შეიძლება! — ეუთხარი და მისი მკლავი, ჩემდაუნებურად, მაგრად მივიკარი მკერდზე.

მტკიცე ნაბიჯით წავედით.
— მთელ ქალაქს სძინავს, ჩვენ კი არა. მხოლოდ მაშინ დავიძინებთ, როცა სხვები გაიღვიძებენ. სასაცილო არ არის? — თქვა ლენამ.

— ასე ხომ იშვიათად ხდება ხოლმე? თითქმის ქალაქის განაპირას მაივლით.

— ჩვენს ვილას ვუახლოვდებით. დაიღალეთ?

— არა!

— არ მოგშივდათ? — მკითხა და თვითონვე დაუმატა, — კარგი იქნებოდა, რძიანი ყავა დაგველია და მერე დაგვეძინა.

— მაგას არაფერი აჯობებდა, მაგრამ...

— მაგაზე ადვილიც არაფერია. აგერ, მოვედით კიდევ.

მოქანცულობას, გაურკვეველ მდგომარეობაში ყოფნას და მოდუნებას ვგარჩნობდი.

ლენა რკინის ჭიშკართან შეჩერდა. ჯიბიდან გასაღები ამოიღო. მომაწოდა. ჭიშკარი გავაღე. ბალის ვიწრო და მოკლე ბილიკი გავიარეთ. შესასვლელ კარებთან კვლავ შევჩერდით. მეორე გასაღებით ისიც გავაღე. ერთი ნაბიჯით უკან დავიხიე, რომ წინ ლენა გამეშვა.

— მოსამსახურე გოგოს მანსარდში სძინავს! — თქვა ლენამ და დერეფანში შევიდა. ის-იყო მეც ფეხი შევდგი, რომ ფანჯარა გაიღო და ვილაკამ იკითხა:

— ლენა, შენა ხარ? სადა ხარ აქამდის?

— ჩემი ქმარი ჩამოსულა! — დაბალი ზმით, ძლივს გასაგონად წაილაპარაკა ლენამ. მოულოდნელობისაგან დაბნეულმა, ნაბიჯი ააჩქარა. უცბად გასაღები გამომართა. მეც უკან დავიხიე და არც კი დავმშვიდობებოვარ, ისე წამოვედი.

მეორე დღეს მეიღერი შემხვდა.

— ოო, კაეკას! რა ჰქენი იმ ღამეს, კარგი დრო გაატარე?

— მაშ.

— ხომ ბინაზე მიაცილეთ?

— მაშ.

— მერე?

— მერე და მერე!

— აი, ყოჩაღ, კაეკას! ყოჩაღ!

რატომ ვიცრუე?

• •

აპრილი...

ზამთარი გათოშილ ოთახში გავატარებ. თბილი პალტო არ მქონდა. ძველი, საზაფხულო პალტოთი დავდიოდდი.

რუსეთში კვლავ მკაცრი რეაქცია მქინევარებს. თარეშობენ მეფის ქანდაკებები. რევოლუციონერებით ივსება ციხეები. ბორკილების ჩხარუნი ისმის.

მენშევიკები პანიკას მოუცავეთ. მათ არა სწამთ, რომ შესაძლებელია რევოლუციის ახალი აღმავლობა. ხელი აიღეს რევოლუციურ მოთხოვნებსა და რევოლუციურ ლოზუნგებზე. არალეგალური პარტიის ლიკვიდაციას აპირებენ.

მხოლოდ ბოლშევიკები არა ცხრებიან და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლას განაგრძობენ. ვლადიმერ ილიას-მე ლენინი სასტიკად ილაშქრებს მენშევიკებისა და ლიკვიდატორების წინააღმდეგ. ბოლშევიკები დარწმუნებული არიან იმაში, რომ უახლოეს წლებში დადგება რევოლუციური აღმავლობა, რომ პარტია მოვალეა ამხადოს მასები ამ ახალი აღმავლობისათვის.

გუშინწინ სახალხო სახლის დარბაზში გამართულ კამათში სასტიკად დამარცხდნენ მენშევიკები. აქტიური მენშევიკების ჯგუფმა ეენევიდან მოიწვია რეფერენტი. მათ ეგონათ გაიმარჯვებდნენ, რომ ახალ წევრებსა და თანამგრობებს შეიძენდნენ, მაგრამ ბოლშევიკებმა იმედი გაუტრუეს. ბევრი მათ მიერ გაბრძოვიებული მუშა ჩამოაშორეს. თუმცა მცირეა ციურისის ბოლშევიკთა ჯგუფი, მაგრამ ის მტკიცე, მჭიდრო და კლდისავეთ მაგარია.

კრება მღელვარებითა და აურზაურით დამთავრდა. მწვევედ შიოხანენ ერთმანეთს ბოლშევიკები და მენშევიკები.

და მართლაც: როგორ უნდა მოითმინოს კაცმა მენშევიკების განზრახვა პარტიის ლიკვიდაციის შესახებ? იმ პარტიისა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში თავს უყრიდა მუშებს, ორგანიზაციულად აკავშირებდა პარტიის წევრებს, პროგრამასა და წესდებას ამუშავებდა, კონტრალურ ორგანოსა და კომიტეტს აარსებდა. როცა შეიქმნა შემვიდრობელი შეგნებული მუშათა პარტია, ახლა მის ლიკვიდაციას, მის მოსპობას ლამობენ? ნუთუ შესაძლებელია, ჩვენვე მოვსპოთ და ხელი ავიღოთ პროლეტარული პარტიის რევოლუციურ პროგრამაზე? დემოკრატიულ რეპუბლიკაზე და რესპაბლიკანულ საშუალო დღის შემოღებაზე? ეს ხომ სტალიზმის რეჟიმთან შეგუება იქნებოდა. განა მართალი არ არიან ბოლშევიკები, როცა მენშევიკებს „სტალიზმის მუშათა პარტია“ უწოდეს?

ბოლშევიკების ციურისხის ჯგუფმა გადაწყვიტა, ლიკვიდატორების წინააღმდეგ საბრძოლველად ციურისხში ლენინი მიიწვიოს. მაშინ ვინახულვებ მას და ვრცელ წერილსაც გავუგზავნი თბილისელ ამხანაგებს.

იენისი...

ზამთარმა და გაზაფხულმა განვლო. აგერ ზაფხულიც. ხშირად ვხვდები ნინოს. მასთან ყოფნას ისე შევეჩვიე, რომ ერთ დღესაც ვერ ვძლებ უიმიოსოდ. რუსების სამკითხველოში დადის და მეც იქ ვხვდები.

ერთხელ სამკითხველოდან შინ ვაცილებდი. მოვიგონე, რომ ჩვენში ახლა ყველაფერი აყვავებულია, მწიფდებია ტყემალი და ალუჩა, ალუბალი და ბალი, ატრემლებულია ვაზი, ჩიტებს გააქვთ ყლურტული, ამწვანებულია მთები, გორაკები და იქიდან მოშხუიან აქაფებული მდინარეები.

— საქართველოში არ ვყოფილვარ, მაგრამ ისე მეგონია, თითქოს როდისმე მივლია მის მიწა-წყალზე, თითქოს დავბროდი მის ბაღებში, ეზალისობდი

ახალგაზრდებში. ვხედავ მის გორაკებს, მდინარეებს, ყანებს და ვენახებს, გუშინ იყო ეს, თუ დიდი ხანია მას შემდეგ! — აღფრთოვანებით თქვა ნინომ და შექიანი თვალებით შემომხედა.

— მე კიდევ ასე მეგონია, თითქოს ოდესღაც ჩვენ ერთმანეთს ვიცნობდით. არ ვიცი, როგორ შევხვდით. ერთი გვქონდა ფიჭვი და გრძნობა. ფიანდაზებით მოფენილი ქვეყანა იყო... კი არ დავდიოდით, დავფრინავდით! მერე აღარ მახსოვს, რამ დაგვაშორა. ახლა თითქოს კვლავ ვიპოვეთ ერთმანეთი. მაშინ ისეთი მახლობლები, მეგობრები ვიყავით. იქნებ ნათესავეები? ან იქნებ შეყვარებულნი?

— შეიძლება! — გაუბედავად თქვა ნინომ.

ისე ამიჩქროლდა გული, თითქოს საგულედან აპირებდა ამოვარდნას. ნინოც ბორძიკით მიდიოდა. ლაბარაკი შეწყდა. მალე მის სახლსაც მივუახლოვდით. ხმაამოუღებლად დავეშვიდობე და წაიპოვდი. მას უკან აღარ შევხედრდევარ.

მოწყენილი დავდივარ ციურისხის ქუჩებზე. ლექციების კითხვა დამთავრდა. ყველა სააგარაკოდ წავიდა. მინდა მეც მოვწყუდე ამ ყოველდღიურ ცხოვრებას, სადმე შორს წავიდე, უცნობ ადგილებში, ბუნების წიაღში, ჩიტების ყლურტულში, ან ტბის შრიალში ჩავახშო გულს მოწოლილი დარდი.

იელისი...

გუშინ მეილერს ველოსიპედი ვსთხოვე, რომ რამდენიმე საათით ჭალაქგარეთ გავსულიყავი, მინდოდა ცოტაოდენი შეება მეგრძნო.

მოვახტი ველოსიპედს და ციურისხის ტბის სანაპიროს გავყევი. მერე მარჯვნივ შევუხვიე და ტყით მოფენილი მთა-გრეხილის კალთას მივატანე. მან ჩემი სამშობლოს მთები მომაგონა. გზას ავუქციე და დაბურული ტყის შუაგულში შევედი.



ჩემს გარშემო სიწყინარეა. ტოტებ-გაშლილი ხეები გარინდულან, ფოთლების შრიალიც არ ისმის. დემილს მოუცავს გარემო, მხოლოდ ჩიტუნები ელურტუნებენ, სადაც პატარა მდინარე რაკრაცებს და თავისი ტიტიკით მყუდროებას არღვევს, მიშხუის ქვევით — დაბლობისაკენ, გარს ევლუბა დიდრონი ხეების ფესვებს. ახტეზა კორდებს, ეალერსება კენჭებით მოფენილ კალაპოტს, კისკისით და ანცობით სურს არემარე გამოაფხიზლოს.

ბუნქის ძირას ეზივარ. აქედან გავყურებ ხუხულების მსგავს შენობებს, სახურავებსა და ეკლესიების გუმბათებს. იქიდან გაურკვეველი გრუხუნი და ყრიაშული მესმის. სივრცეში აწოწილი ბუხრის თავიდან შავი კვამლი ამოდის, იგრახება და ქაჯსაგან აბნეული ღრუბელივით იფანტება. უცებ გარემოს საყვირის ხმა მოიცავს. დაკრილი მხეცის ხმით შრიალებს, ყურთა სმენას ახშობს.

აქ კი სიჩუმეა! მხოლოდ პატარა მდინარე მოჩხრიალებს. ნეტავი მას, რომ უმანკო, სპეტაკი და წმინდაა, როგორც ბავშვის გული. მიშხიდველია იგი. მაგრამ რაკი-და მალლობს ჩაობენს, შხრიალსა და კისკისს შეწყვეტს, შეტბორდება, დადუმდება და სილაამაზეს ჰკარგავს...

დაბურული ტყე გაყურსული და წყნარია, ჩაფიქრებული და დინჯი. მე მინდა ამ უსიერ ტყეს შევქაზო: მიყვარს შენი იღუმალებით მოცული, კოპებშეკრული, დანაოქებული შუბლი, მშობლიურ ბუნებას რომ მაგონებს. მუდამ სდუმხარ, მხოლოდ მდინარე ახმალურებს შენს მიდამოს. ნეტავ რას მოუთხრობს გაყურებულ ტყის მდუმარებას? იქნებ იცოდეს მდინარემ, რად არის, რომ ერთნი ისე აღვილად იმკიან იმას, რასაც სხვები გამუდმებული ტანჯვით, ოხვრითა და ვაებითაც ვერა სწვდებიან?

ალარ მახსოვს, რამდენხანს ვიჯექი ბუნების სიღიადით მოზიბლული. ტყიდან რომ გზაზე გამოვედი, ცის კიდურს

შევავლე თვალი.

ეროვნული

დაღმართზე დავეშვით დაღმართზე ჩავედი, მთას მეორე მხრიდან მოვექეცი და უკან რომ მოვიხედე, გავეოცდი—მალალი მთა, მიხვეულ-მოხვეული შარაგზით ისე გამეცლო, რომ არც კი შემიმჩნევია მისი აღმართი. სოფელში შევედი. კრამიტის სახურავები, ჩუქურთმიანი პატარა აივნები, ქარის წისქვილი, ხელოვნურად დაგუბებული ტბა, ხეივანები, მყუდროებით მოცული გარემო — გულს ესალბუნებოდა.

მინდორზე გლუხები არა ჩანდნენ. არავითარი ხმაური, გარდა მტრედების ღულუნისა, არ ისმოდა. ტბაში თეთრი გედები დაცურავდნენ და ერთმანეთზე მიყოლებულ ზვირთთა რგოლებს სანაპიროსაკენ მოაცურებდნენ. გრძელსკამზე ჩამოვჯექი. დავისვენე. ისეთი განცხრომა ვიგრძენი, აღარსად წასვლა არ მინდოდა, არც უკან დაბრუნება. ცოტახნის შემდეგ გზა განვაგრძე. მეც არ ვიცოდი, სად მივდიოდი.

მალე პატარა მალლობს მივადექი. მზე უკვე სამხრეთისაკენ გადახრილიყო, და თუ უკან დავბრუნდებოდი, ციურისში მისვლა დამიგვიანდებოდა. ერთ გლუხს შევეკითხე: მალლობის გადაღმა სოფელი ან ქალაქი თუ მდებარეობს-მეთქი.

— ვეგისი! — მიპასუხა.
— ვეგისი? ლიუცერნის ტბაზე რომაა?
— დიახ, სწორედ ის. მანდვე არის ქალაქი ლიუცერნიც.

ოთხმოც კილომეტრზე მეტი გამივლია!

როგორ მოხვდი აქ? რალა ვეგისში? აქ ხომ ნინოა, სააგარაკოდ წამოსული? მივიღე მათთან? არა! რას იფიქრებს მისი ქმარი? ამ ბოლო დროს ცოტა ამრჩილი მხედება. არა, ამალამ სასტუმროში გაათევე ღამეს, დილით კი ისევ ციურისში დავბრუნდები.

აღმართი აეთათვე და საოცარმა სანახაობამ დამატყვევა: ლურჯად კამკამებდა მთების გრეხილში ჩალვრილი ტბა. უკანასკნელი გამკვირვალე სხივები

მზისა მიწყნარებული ტბის ზედაპირზე ბზინავდნენ. გაუჩიებული მთებით შემორკალული ლიუცერნის ტბა ლივლივებდა, თითქოს ძილის წინ იზმორებოდა.

ჩემს დაბლა კი ვეგისის თეთრი შენობები და ვილები სოკოვებით ჩრდილებში იმალებოდნენ.

მეორე მხარეს, ტბის სანაპიროზე, მოჩანდა ლიუცერნი თავისი მრავალსართულიანი და ვიწროსარკმლიანი სახლებით, ეკლესიების გუმბათებით და ვიწრო ქუჩებით.

ტბაზე ჯერ კიდევ დაცურავდნენ თეთრი პატარა გემები და იაქნისი ნაკები.

გუშნერდი ფირვალდშტეტის ტბას, რომლის სანაპიროზე შვეიცარიის გმირმა ვილჰელმ ტელმა ფარულად შეკრიბა ოთხი კანტონის მცხოვრებნი, შეთქმულება მოაწყო და ავსტრიის მონობისაგან გაათავისუფლა თავისი საშობლო. მიხაროდა, რომ ენახავდი შვეიცარიელთა უძველეს ქალაქ ლიუცერნს და ტბის პირად ამართულ ვილჰელმ ტელის ძეგლს, აგრეთვე ევროპაში ცნობილ აქსენშტრანეს, მთელ სიგარტზე რომ მისდევს ლიუცერნის ტბას.

მთების მწვერვალებზე ანთებული გამჭვირვალე სანთლების შუქი უცხად ჩაჭრა, შუე ჩაესვენა და მიდამოს ლილისდერი მოეფინა. ვეგისის დაბლობში, სადაც თავმრყრილია ფოსტა, მალახიები, რესტორნები და სასტუმროები, შევდექი. საშინელი მარტობა და უმწეობა ვიგრძენი. მოფუსფუსე ხალხი ჩემს გარშემო მიმოდიოდა. მიჰქროდნენ ავტომობილები. რესტორნის ბაღებში გაიმოხდა სივებიანი ორკესტრის ხმები. საზაფხულოდ გამოწყობილი ქალები თუ კაცები ბაღში დალაგებულ მაგიდებთან სხდებოდნენ.

მომშივდა, ჯიბეში კი სულ ორნახევარი ფრანკი შეგულეობდა. მისი დახარჯვის უფლება კი არ მქონდა, ღამის გასათევად სასტუმროში უნდა ვაღამეხადა. ჩამოვიარე სასტუმროები, ყვილგან ჯერ ამხედ-დამხედავდნენ, ალბათ

საეკო პიროვნებად მიმიჩნევდნენ ჩემი კოსტუმისა და ძველი სურათების, ველოსიპედის გამო, ან პირდაპირ უარს მეუბნებოდნენ, თავისუფალი ნომერი არა გვაქვსო, ან ხუთ-ექვს ფრანკს აფასებდნენ და უკანვე მისტუმრებდნენ. დაბოლოს, ერთი რესტორნის პატრონმა ორ ფრანკად დამითმო სულ პატარა ოთახი. ველოსიპედი დავტოვე და წამოვედი. დარჩენილი ნახევარი ფრანკით ოქსანტიმიანი პური და შოკოლადი ვიყიდე. ბალის მიყრუებულ კუთხეში მივჯექი და საუზმეს შევექეცი.

სასტუმროში დაგვიანებით მივედი. დერეფანში სასტუმროს პატრონი შემეგება, შემეკითხა:

— ვახშმის ხომ არ მიირთმევთ?

— არა, ლიუცერნში ვიყავი, ნაცნობები შემგვდნენ და ერთად ვივახშმეთ! — ვიკრუე.

— მაშ სადაც ივახშმეთ, ღამეც იქ გაათეთ! — მითხრა, ბიჭს დაუძახა, ველოსიპედი მოატანინა, ხელში მომაჩეჩა, კარი გამიღო და „ღამე მშვიდობისა“ მისუტრა.

რამდენიმე წუთი ერთ ალაგას ვიდექი გაშტერებული. ასეთ თავხედობას არ მოველოდი. რა უნდა მექნა? ჩხუბს ხომ არ დავიწყებდი? კბილებს ვაკრავუნებდი, ნაღველითა და ჯავრით ვივსებოდი. ერთი შევეძახე: „ეს ლობობაა, მეტი რომ არ ეთქვა“ და ჩემი ველოსიპედით ქუჩას დავყევი...

ახლა სად წავიდე? თითქმის ყველა სასტუმრო ჩამოვიარე. გარეთ გავათენო ღამე? პოლიციელმა რომ შემინიშნოს? მივდიოდი სოფლის შარავზით. მეც არ ვიციოდი, სად შეეჩერებოდი. წიერილ წვიმა ცრიდა. ერთ მივარდნილ შესახვევში სოფლური რესტორანი შევნიშნე. პატრონს შევეკითხე, ხომ არ არის ღამის გასათევი ოთახი-მეთქი. ცოტახანს ჩაფიქრდა, უცხად წამოხტა, წამო, ზევით, მანსარღში, წამოწყეო, მითხრა მოხუცმა. პაწაწა, ერთფანჯარიანი, მანსარღში მოქცეული ვიწრო ოთახი მაჩვენა. ორი ფრანკი დამითასა. მყისვე დავთანხმდი. ლოგინი გამალა, პირსა-

ბანში წყალი ჩასხა, პირსახოცი დაკი-
და და კარი გახურა.

მაშინვე ლოგინში ჩავწექი. მეგონა
წამსვე დამძინებოდა, მაგრამ თვალს
რული არ ვკარებოდა. რესტორნის პა-
ტრონი მედგა თვალწინ. იმიტომ დამით-
მო ოთახი იატად რომ ვახშამში ამოი-
გებდა? ესეც შენი შევიცარია?

მთელი ღამე ლოგინში ვბორავდი.
დაბალქერიან ფანჯარაზე წვიმას შხა-
პუნი გაუდიოდა. შორიდან მუსიკის
ხმები მესმოდა. სიერცეში იფანტებო-
და კისკინი, ტბის სანაპიროზე ტალღა-
თა შრიალი. თითქოს ვხედავდი შევი-
ცარიდან და უცხოეთიდან მოსული
ბურჯულების კმაყოფილებით საევე სა-
ხეებს, მაგიდებთან რომ შამპანურს
სემამდნენ, უზომოდ ძღებოდნენ და უმა-
ღობას ჩიოდნენ.

უმიწეობას ვგრძნობდი. უცხოეთში,
სოფლის მივარდნილ რესტორნის მან-
სარში ღამეს ვათენებდი.



გათენებისას ჩამძინებოდა, მაგრამ
მაღე მზის სხივებმა გამაღვიძეს. ფან-
ჯარაში გაიხედე, წვიმას გადავლო და
მზე ამოსულიყო.

აღარ დამიყოვნებია, რესტორნის პატ-
რონს ორი ფრანკი გადავუხადე. ჩემი
ველოსიპედით გარეთ გავიდი. ორმად
ამოვისუნთქე. უცხად სხვა ფიქრები,
სხვა ზრახვები მოზღვაედა გონებაში...
ნინო... აქ არის... შეიძლება სულ ახლო.
ორივე ერთი პაერით ვსუნთქავთ. იქნებ
აგერ, აი, იმ მახლობელ ვილაშია? რომ
მივიდე. როგორ გავიხედო? გაჩნარე-
ბა? მაინც როგორ წავიდე აქედან ისე,
რომ არ ვინახულო? მივალ, მოვუყვები
წუხანდელ თვეგადასაფაღს... მაგრამ მი-
სამართი?

ორიოდე ნაბიჯი გადავდგი და თვალი
მოვკარი ფოსტის დამტარებელს. მისკენ
გაფიქანე — უსათუოდ მიაჩის მასთან
წერილი ან გაზეთი. მისამართი ეცოდი-
ნება. შეეკითხე და...

— როგორ არა იცი! აგერ ამ გზას
ვაპყვებით, მერე მარჯვნივ შეუხვევთ...

მთ სასახლეს აწერია „რეგინა“. იქ
ცხოვრობს ბატონი მირონი. მისი
მადლობა მოეხსენე და ნახევენ-
ბი გზით გავეწერე.

პატარა აღმართი ავიარე, გავუხვიე და
იმ ვილასთან შევედექი, რომელზედაც
„რეგინა“ ეწერა. გულისცემამ იმატა.
აღმართი რომ სწრაფად ამოვიბრინე,
იმიტომ ხომ არა?

ქიშკარი ღია დამხვდა. ეზოს სიღრმე-
ში ვაშლის ხის ჩრდილში ჩალის მაგი-
დასთან იჯდა ნინო და კურკულს ალა-
გებდა. გრძელი, ფართო სახელოებიანი
სახაფხულო კაბა უხდებოდა.

მივიდე თუ დაებრუნდე? გამოვბრუნ-
დი. უკან მივიხედე. ისევე გაეტრიალდი.
ეზოში შევედი. ველოსიპედი იქვე მოა-
ჯირზე მივაყუდე. ნინოსკენ წავიდე. ისე
იყო ფიქრებში გართული, ჩემი მიახლო-
ვება ვერ გაიგო. ჩავახველე. წამოხ-
ტა. შეკრთა. რომ დამინახა, სიხარულით
შესძახა:

— აჰ, ეს თქვენ? საიდან? როგორ? —
იღიმებოდა თავისი კეთილი, მომხიბ-
ლველი ღიმილით, — კოსტა! კოსტა! მო-
დი აქ, აი, ვინ გვესტუმრა? — დაუძახა
ოთახში მყოფ ქმარს.

ოთხსაფეხურიან ქვის კიბეზე კოსტა
სირბილით ჩამოვიდა. თავაზიანად მო-
მესალმა, ხელი ჩამომართო, სავარძელ-
ზე მიმითითა.

— ძალიან კარგი გისურვებიათ, რომ
არ დაგვივიწყეთ და აქაც მოგვაკითხეთ.

— უნდა მოგახსენოთ და გამოგიტყ-
დეთ: მე ვეგისში სრულიად შემთხვე-
ვით მოვხვდი. ჩემს მეგობარს ორიოდე
საათით ველოსიპედი ვსთხოვე. მაგრამ
შევიცარიის ბუნებამ, ჩემი სამშობლოს
ბუნებას რომ მაგონებს, ისე გამიტაცა,
შეღამებისას ვეგისში ამოვეყავი თავი.

— მამ წუხელ აქ იყავით? — შემე-
კითხა ნინო.

— დიახ.

— მერე რატომ ჩვენთან არ მოხვე-
დით?

— მისამართი არ ვიცოდი. დღეს დი-
ლას კი თოსტალიონმა მომასწავლა.

— ღამე სად გაათითე?

და მეც მოვეყევი იმლამინდელ ამბავს ისე, რომ არაფერი დამიმაღლავს.

ნინო შფოთავდა, თავგამოდებით ლანძღავდა და ავინებდა შვეიცარიელთა მეშინაობას. ქმრის ახლო იჯდა, მისი სკამის ზურგს ხელს მთავლებდა, თითქოს ეალერსებოდა.

— უიმე! — წამოხტა ნინო, — თქვენმა ამბავმა ისე გამიტაცა, სულ დამავიწყდა, დილის საუზნე მომერთმია.

— ეს როგორ დაგემართა, ნინო, — უსაყვედურა ქმარმა.

აღგა. გაიარ-გამოიარა. ისევ სკამზე დაჯდა. მოუსვენრობდა, ჩემთან სალაპარაკო თემას ვერ ნახულობდა.

საუზმის შემდეგ, ნინომ აზრი გამოთქვა, გემით გაგვევლო ტბაზე. ქმარიც დათანხმდა.

გემის ქიშხე ვიდრეით სამივე. ლუცერნის ტბის სილამაზე გვხიბლავდა. მის სამხრეთის სანაპიროს უშუალოდ ტყიანი მთები ეცვრის. ჩრდილოეთის სანაპიროს ფართო ლენტეხით მთელ სიგრძეზე განიერი აქსენშტრასე მიჰყვება. ტბის სიგრძე ოთხმოც კილომეტრს აღემატება, სიგანე კი თორმეტსაც ვერ აღწევს. მოზრდილ მდინარეს წააგავს ისეთი ანკარა, წმინდა და გამკვირვალეა, რომ დაყირავებული მთები, როგორც სარკეში. ისე მოჩანს მის ფსკერზე წყნარ ამინდში ტბაც მშვიდია, მთების მიხვეულ-მოხვეულ უბებში ინსაცვება. მორკალული კი არა, დახლართული ხაზებით ფენებად იშლება და ამიტომ ხშირად ხან ერთ კიდეს ვუახლოვდებით, ხან მეორეს.

მჩქეფარე, მწყობრი ტალღები გააფთრებით ებრძოდნენ გემის კედლებს, მაგრამ დამარცხებულნი, სიბრაზისაგან აქაფებულნი უკან მიშრიალებდნენ და ისევ იშლებოდნენ.

ნინო ტბასავით ლურჯი ცისკროვანი თვალებით შორს იქიარებოდა. მოკრძალებით შეეხედავდი მას და კვლავ სივრცის შევამტრდებოდი.

— აგერ ვილაქმ ტელის ძეგლი გამოქვაბულში, ხედავთ? — თქვა კოს-

ტამ და თითი იქით გაიშვირა, — აქეთ კიდევ სიზიკონი.

ნინომაც გაიხედა. ამ დროს მეც შემომოხედა. შემომხედა და ისევ ქმარს ამოუდგა გვერდში. ჩემმა გულმა მძლავრად დაიწყო ცემა. უნებლიეთ გავანაირდი სულის ამოსათქმელად.

რატომ ისე შემომხედა? თანაგრძნობით? იქნებ ვეცოდები? არ ვიცი!

არა, ცხოვრება არ არის მთლად უსიხარულო და ბნელით მოცული. მას მზიანი და ტკბილი დღეებიც ელიან.

ციურისში დაბრუნებისას ნინოს მოწყენილი თვალები დავინახე.

• •

ოქტომბერი.

ციურისის მცირერიცხოვანი ბოლშევიკური ჯგუფი უფრო ამუშავდა. ახალი წევრები ემატებოდნენ. ჯგუფმა ენევესთან, საიდანაც ბოლშევიკურ ლიტერატურას ლებულობს, მკიდრო კავშირი გააბა; იქიდანვე მითითებული კონსპირაციული მისამართებით რუსეთში გზავნის. კრებებიც ხშირად იმართება.

და მაშინ, როდესაც მენშევიკები სულ უფროდაუფრო შორდებიან რევოლუციას, მოითხოვენ მუშათა პარტიის ლიკვიდაციას, მის მოსპობას, უარს აცხადებენ პარტიის პროგრამაზე და ცდილობენ ჩამოაყალიბონ თავიანთი რევოლუციონისკოლი პარტია — აი ამ დროს ლენინის გარშემო შეიქმნა შემოქმედებული ბოლშევიკური ბირთვი, პარტიის პროგრამისადმი მტკიცე ერთგულებას რომ იცავდა და ურყევად მისდევდა მარქსისტულ-რევოლუციურ პრინციპებს. ბოლშევიკები კვლავ მოუწოდებენ ხალხს აჯანყების გზით ცარიზმის დამხობისაკენ, მუშათა კლასის ჰეგემონისაკენ, გლეხებით შეკავშირებისაკენ და დროებითი რევოლუციური მთავრობის შედგენისაკენ.

გასულ წელს ვერ მოიკალა ლენინმა, რომ ციურისში ჩამოსულიყო; გუშინ კი ციურისსაც ეწვია და რეფერატი წაიკითხა.

ბიბლიოთეკაში შევიარე. კედელზე გაკრული განცხადება გვამცნობდა, რომ იმ დღეს, საღამოს ოცეუ საათზე ვლადიმერ ილიას-მე ლენინი სახალხო სახლში რეფერატს კითხულობდა.

იქვე თავმოყრილი ემიგრანტები ერთმანეთში კამათობდნენ.

— აბა, თუ გაბედავენ დღეს მენშევიკები ლენინის წინააღმდეგ გამოსვლას, ანასაც დაეინახავთ. — ამბობდა ერთი ამხანაგი.

— რატომაც ვერ გაბედავენ? — ცხარობდა მენშევიკი.

— ჰოდა, ისეთ მომაკვდინებელ პასუხს მიიღებენ, რომ თავიანთი ბედი იწყველონ!

— რა დღე დადგებათ ლიკვიდატორებს! იმდენი მოხედებათ, რომ...

— თქვენ, ბიჭო, მარტო კრიტიკა იცით, სხვა არაფერი! — ყვიროდა ლიკვიდატორი.

— დიახ, ჩვენ კრიტიკაც ვიცით, საქმის გაკეთებაც ვიცით. ჭეშმარიტ რევოლუციურ გზას მივდევთ, კადეტებს კი არ მივყვებით ჩანჩალით კულში. არც ჩვენ მიერ შექმნილი რევოლუციური პარტიის ლიკვიდაციას ვკადავებთ. ჰოდა, დღეს მოვა თქვენი რისხვა— ლენინი და ისე ავიწვევთ ყურებს, რომ დიდხანს სიწითლე ვერ მოიცილოთ...

— ლენინი! ლენინი! ვინ არის ბოლშევიკობის ეს თქვენი ლენინი?

— ლენინი არის მუშათა რევოლუციური პარტიის ნამდვილი ხელმძღვანელი, მისი მოამბე, მისი სიამაყე, ჭეშმარიტი მებრძოლი. ლენინი? ლენინი ამ დაქსაქსულობის დროს ჯერარჩანხელ სიმაღლეზე ავიდა; ხელში მუშათა რევოლუციური მოძრაობის სადავეები დაიკავა. იმ სიმაღლიდან უნათებს გზას პროლეტარიატის მსვლელობას. ლენინი შემცდარი გამგარმელბელია რევოლუციური მარქსიზმისა!

— არაფერი ამის მსგავსი, ლენინს არ მისდევნენ მუშათა მასები! — ყვიროდნენ მენშევიკები.

— მამ ვის მისდევნენ? თქვენ ხომ

უარყავით ყველაფერი მამ ვინდა ვნდა გამოგყვით თქვენ, თქვენ ხომ არ გყვით რევოლუცია, თქვენ ხომ არ გჯერათ მისი გამარჯვებისა!

— თუ ასე არ არის, მამ გამობრძანდით დღეს და ილაპარაკეთ წინააღმდეგში.

— ვერ გამოვლენ, როგორ გამოვლენს და თუ გამოვლენ, ხომ თავს შეიკრებენ!

კამათი თანდათან გაცხოველდა. ერთმანეთს ლაპარაკს აღარ აცლიდნენ. ერთსა და იმავეს იმეორებდნენ.

ჩემს გვერდით მეილერი დავინახე. ვუთხარი, ერთად წავიდეთ საღამოს რეფერატზე-მეთქი. ის დამთანხმდა. მაგრამ ჩვენ ერთად წასვლა არ მოგვიხდა. ამ დროს ბიბლიოთეკაში მისი მეგობარი ოლლა შემოვიდა. მეილერს პირობა ჩამოართვა, რომ მას გაუვლიდა რეფერატზე წასასვლელად.

მარტო დავჩინი, მარტობის სევდა მქწვია. დაღვრემილი მივიღიოდი ქუჩაზე. ვერც კი შევნიშნე, ნინო მირონოვას სახლის ახლო როგორ აღმოვჩნდი. შევდექი. მე ხომ პირობა დავდე, ხშირად არ ვინახულო იგი! უკან გამოვბრუნდი. ისევ შევდექი. „მაგრამ დღეს ხომ მიხეზი მაქვს მისვლისა?“ გამოიღვა თავში.

რა ვენა, მე ის ანდამატივით მიზიდავს... მისი სიახლოვე ჩემს სულს შვეებით ავსებს. ჩემი გული ნეტარებას განიცდის მასთან შეხვედრისას.

როცა ნინო ჩემს ახლოს ზის, როცა მისი სუნთქვა მესმის, როცა ჩემი სკამის ზურგს ხელს მოაველებს და ღიმილით მესაუბრება, ვგრძნობ, თითქოს უფსკრულში ვიძირები!.. ჩემი გულის ძგერა ესმის მამ და თითქოს უხარია. ის თამამია, მე კი ძალიან მოკრძალებული ყოველი მისი თითის შეხება მე მათრხოვლებს. ის კი გულუბრყველოდ, მოუბრძობლად მოუსვენრობს. და საკვირველია, როცა ქმარი შემოვა, ნინო შემჩნეულად მასთან გადავა და უფრო თამამობს.

საღამოს შვიდ საათზე შევიარე მასთან. პიანინოზე ოფენბახის ოპერადან

ჩემს საყვარელ არიას უკრავდა. მასაც ძალიან მოსწონს ეს მელოდია. მოხიბლული ვისმენ ზოლმე, როცა პირველ აკორდებს აიღებს.

ახლაც შევედი და მონუსხულივით შევდექი ერთ ალაგას. არ ვიცი, გაიგო თუ არა ჩემი მისვლა, სანამ არ დაასრულა, არ წამოდგა. ბოლოს მიბრუნდა, დამინახა და შესძახა:

— აჰ, თქვენ აქ ხართ?

მე აღფრთოვანებული ვიყავი, მინდოდა არ შეწყვეტილიყო ეს ციური ხმები, გაგრძელებულიყო ჩემი ტკიბილი ოცნება.

— ძლიერ გიყვართ ეს არია?

— მიყვარდა. ახლა კიდევ უფრო მეტად შემოიყვარდა, როცა თქვენ უკრავთ. ამ დროს მეორე ოთახიდან მისი ქმარი გამოვიდა.

— ოო! კაცკას, კაცკას! რა ამბავია ქვეყანაზე! — მხიარულ გუნებაზე დამხედა კოსტა.

— იმისათვის შემოვიარე, რომ გამცნოთ—დღეს ლენინი რეფერატს კითხულობს.

— ალბათ ლიკვიდატორებზე, არა?

— დიახ, ლიკვიდატორებზე.

— ძალიან მინდა მიზი ნახვა, უსათუოდ წამოვალ! — აღტაცებულად თქვა ნინომ.

— მიბრძანდით! ნახეთ ბოლშევიკების ლიდერი ლენინი!—აღელვებით წარმოთქვა კოსტამ, პაპიროსს მოუკიდა, კვამლი გაფანტა. ასანთი მაგიდაზე დააგდო.

— შენ მხოლოდ შენი ჩერნოვი მოგწონს, სხვა არავინ! — შენიშნა ნინომ. — მე აღარც ჩერნოვი მომწონს, აღარც ლენინი და არც არავინ!

— როგორ შეიძლება, კოსტია, ეგრევე რასა ჰკავს.

— ერთი სიტყვით, შენ თუ გინდა, წადი. მე კი იმ წამომსვლელი არა ვარ. თან სამუშაოდ მაქვს...

მე ვდუმდი.

ნინოც დაიბნა. აღარ იცოდა, წამოსასვლელად მომზადებულიყო, ტანისა-

მოსი გამოეცვალა, თუ დარჩენილიყო.

— წადი, ჩაიცივი, რაღას გეცდის! — უთხრა კოსტამ.

ნინო მეორე ოთახში გავიდა.

კოსტა ოთახში ბოლსასაცემდა. პაპიროსის ბოლში ეხვეოდა. ხან პიანინოსთან მივიდოდა, აბნეული აკორდებს აიღებდა.

მალე გამოვიდა გამოწყობილი ნინო, თითებზე ხელთათმანებს ისწორებდა. ნელი ნაბიჯით ქმარს მიუახლოვდა.

— ჩემო კარგო, ნუ გეწყინება, ცოტა ხნით რომ მართო გტოვებ. ნახვამდის! — უთხრა და უნდოდა ეკოცნა, მაგრამ თავი შეიკავა. ჩემსკენ მოტრიალდა.

— რა ამბავი იქნება დღეს რეფერატის შემდეგ, კამათში ზომ გამოვლენი? — თქვა ნინომ, ქუჩაში რომ გავედით.

— მისი თანასწორი მოპირდაპირე იქ არავინ არის, მაგრამ მაინც გამოვლენ.

— შეეკამათებინ! იმიტომ, რომ მერე ილაპარაკონ, ლენინს ვეკამათეო... არა?



დარბაზში ჯერ კიდევ ცოტა ხალხი იყო.

მე და ნინო მეორე რიგის სკამებზე დაესხედით.

კარი ჯერ ნელა და იშვიათად იღებოდა. ხმაური თანდათან გახშირდა. მალე დარბაზში ტევა აღარ იყო. შემოდდიოდნენ და სადაც ცარიელ ალაგს დანახავდნენ, სასწრაფოდ იჭით გარბოდნენ. ერთმანეთს შეხვებდოდნენ, მიესალმებოდნენ, სკამებს თავაზობდნენ. ადგილები რომ აღარ იყოთ, კედლებთან ჩამომწკრივდნენ.

— სად არის ლენინი? — ვიკითხე.

— აგერ, წინ, მაგიდასთან რომ ზის! — მიპასუხა ერთმა გვერდით მჯდომმა ამხანაგმა.

— რომელი? — იკითხა ნინომ.

— წითური! რომ იციანის!

ის, ვისაც მე ვუშერდი, არც მალაღლი იყო, არც დაბალი, არც შავკერძანი, არამედ წითური. უბრალოდ იჯდა

მაგიდასთან, მოგრძო კიჩით ლუღს სვამდა, ამხანაგებთან ბაასობდა და იცინოდა.

დიდხანს ვაკვირდებოდი...

უცბად წამოვდექი. ნინოს ვუთხარი, ჩემი სკამი არავისთვის დაეთმო და სიარული დავიწყე იმ კუთხეში, სადაც ლენინი იჯდა ამხანაგებთან ერთად. გავივლიდი მისკენ და შეუქმნევლად ვუმზერდი. მისმა ნათელმა, სანდომიანმა სახემ პირველი შეხვედრისთანავე მომიხიბლა. ხოლო როცა დავაკვირდი მის მალალ შუბლს, მოციმციმე თვალებს, მის სიცილს, ბავშვის სიცილს რომ მოგაგონებდათ, გულწრფელად, მთელი სხეულით რომ თრთის და თვალში ცრემლები უბრწყინავეს, როცა მოვისმინე რეფერატი ლიკვიდატორების წინააღმდეგ მიმართული, მისი წმინდა რევოლუციურ-მარქსისტული დებულებანი, — აღარ მინდოდა თვალი მომეცილებინა ამ შესანიშნავი ადამიანისთვის.

დარბაზი ხალხით გაიქედა. ერთ სკამზე ორი ჯდებოდა. შემოდირდნენ სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები და შეიქმნებოდა ჩურჩული:

— ხედავ, აგერ იქით რომ გაიარა, ისეთი მოკამათეა, რომ არ დაგინდობს. ბევრი ლაპარაკი უყვარს, ისტორიიდან მოტანილი ამბები, ციტატები, მაგარ-მაგარი სიტყვები...

— აგერ ის კიდევ, იქით მხარეს რომ წავიდა — ბუნდელია! ეგენი პარტიაში არ ირიცხებიან და შემოდგომის ბუზებივით იკბინებიან. არც ისეთი სიმტკიცე და გამბედიობა აქვთ, რომ დამოუკიდებლობა დაიცვან და ჩვენთანაც არ უნდათ ყოფნა...

კიდევ შემოვიდოდა რომელიმე ცნობილი ჟურნალისტი და ახლა იმას ვამკილავდნენ:

— ესერების ბარტყი! ახლახან გამოცხადდა პოლიტიკურ ასპარეზზე. კარგი მოლაპარაკეა, მაგრამ ისეთი აპილილება იცის, კაცი ვერ გაიგებს, რისთვის ცხარობს...

— ეს კიდევ ახალი გამომცხვარი მენ-შევიკია, აქსელროდის მიმდევარი.

ბისკთან ცხოვრობს და მასავეთ ფანატისია! უსათუოდ გამოვეკამათე. განა თვითონაც არ იცის, რომ ლენინთან ვერაფერს გახდება, მაგრამ მაინც შეეკამათება რომ აქსელროდმა გაიგოს. ლენინის წინააღმდეგ გამოვიდო!

— რა ვქნა, რატომ აღარ იწყებენ? დარბაზი გაივსო, ლენინი აქ არის, რაღას უედიან? — იეთხა ნინომ.

სწორედ ამ დროს წამოვდგა ლენინი. დარბაზი მოათვალიერა, ამხანაგებს მიუბრუნდა:

— განა დრო არ არის გაცხსნათ კრება?

ერთი ამხანაგი მაგიდასთან მივიდა. ზარი დააწკარუნა და სიჩუმე მოითხოვა. ერთადი და ხმაური შეწყდა.

— ისე გამოვიდა, თითქოს თქვენს თქმას უედიდენო? — ეუთხარი ნინოს. შემომხედა, გაიღიმა.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი მაგიდასთან მივიდა. თავისი ქალაღები და კიჭა ლუღიც თან მიიტანა. სკამებზე შეინძრნენ. ჩაახველეს. დარბაზი დაწყნარდა.

ლენინი ადგა. დარბაზს მოავლო თვალი და დაიწყო... დაიწყო ისე უბრალოდ, თითქოს მეგობრებთან დაწყებულ საუბარს აგრძელებსო. პირველი სიტყვები, პირველი წინადადება მოკრძალებულია, თითქოს მსმენელებში იცვლეს გზას, თითქოს უნდა მოქებნოს, თუ როგორ მიუდგეს მათ, რომ თავის აზრებში გახვიოს, დაუმტკიცოს, დააჯეროს. მალე ხელები ამოძრავდებიან, იმის სიტყვებს რომ სიმწვავეს აძლევს და ნათელს ჰყენს.

პიჯაკის გრძელი გახსნილი კალთები მუხლებზე ქანაობს. როცა მისი მალალი შუბლი და ტიტველი თავი მაგიდაზე დაიხრება, ყიღეტის უბიდან ამოვარდნილი პალატუხის ერთი ტოტი გაფანტულ ფურცლებზე ეფინება. ერთი ნაბიჯით უკან დაიწევს, მაგიდას მოსცილდება, თითქოს საბრძოლველი არე უნდა დაიტოვოს, და მსმენელებზე მოქმედებს, როგორც ჯადოქარი.

მისი მარჯვენა ხელი მალა აიწევს

და მერე, როგორც მოქმედი ხმალი, სივრცეს გააპობს. არ ინდობს მოწინააღმდეგეს, უღმობელი და შეუწყნარებელია მასთან. ახლა მისი ხმა უფრო მძლავრად ქექს. ერთი დებულება რკინისებური ლოგიკით მეორეს მისდევს და მსმენელების გონებაში ისე აკედობს, როგორც დურგალი ლურსმანს ფიცარში. მალე მთელი სხეული ამოძრავდება. ყოველი მხრიდან უელის დასმულ კითხვას, არ ნელდება მისი ტემპი — უფროდაუფრო, მოზღვავებული ტალღებით გროვდება და მძაფრებული საბუთები, ისტორიული ფაქტები... ახლა უკვე დააჯერა მსმენელი, დაარწმუნა და ამიტომ, თითქოს უნდა შეისვენოსო, მისი ხმა რბილდება.

საათნახევრის ლაპარაკის შემდეგ, თითქოს დაიღალა (როგორც ძლიერი ქარიშხლის შემდეგ ყუჩდება ბუნება), ისიც მშვიდდება, წყნარდება... სიტყვას ათავენს და მალალ შუბლს და შიშველ თავს ცხვირსაბოციით იწმენდს.

ყოველ მის სიტყვაში, ყოველ მოძრაობაში, ხელის მტკიცე და მძლავრ მოქმედებაში ვგრძნობდი, რაოდენი ძალა, გულწრფელობა, სიმართლე და ქეშმარიტება გამოსკვივოდა. როგორი მტკიცე იყო მის სიტყვებთან შეზავებული ნამდვილი რევოლუციური აზრები. დებულებანი და ბრძოლის ისეთი მეთოდები, ბოლშევიკურ პარტიას რომ შეეყენოდა...

ის ლაპარაკობდა მენშევიკების ლიკვიდატორობაზე, მიმდინარე მომენტის განსაკუთრებულ თვისებებზე და ამ თვისებებიდან გამომდინარე ბრძოლის ტაქტიკაზე, იმ ტაქტიკაზე, რომელიც მოასწავებდა მასების შეუწყვეტელსა და სისტემატურ მომზადებას რევოლუციისათვის, ლეგალური და არალეგალური მუშაობის შეთავსებას.

მრისხანედ ესხმოდა თავს იმ მოდურ მწერლებს, რომლებიც „აკრიტიკებდნენ“ რევოლუციურ მარქსიზმს, დაუშოვავად კიცხავდა პარტიული ინ-

ტელიგენტების იმ ნაწილს, რომელიც თავის თავს მარქსისტად თვლიდა. ხოლო სინამდვილეში მარქსიზმის მხარეში ციებს ლალატობდა... ლენინი ანადგურებდა მათაც, რომლებიც „მეცნიერულ“ არგუმენტებს ეფარებოდნენ და რელიგიური, გაბრწილი იდეები შემოჰქონდათ მარქსისტულ აზროვნებაში, ახალი რელიგიის შექმნის საჭიროებას ქადაგებდნენ და იდეალიზმში ეფლობოდნენ.

ლენინი ყველა პარტიულ ორგანიზაციას მოუწოდებდა, გადამწყვეტი ბრძოლა ეწარმოებინათ ლიკვიდატორულ ცდებთან, შეუპოვრად შებრძოლებოდნენ ლიკვიდატორებს, როგორც პარტიის აშკარა მოწინააღმდეგეებს, ასევე „ოტზოვისტებს“ — პარტიის ფარულ მტრებს...

მისმა სიტყვამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე. მივხვდი, რომ ის იყო მშრომელი ხალხის ნამდვილი წინამძღოლი!

თავმჯდომარემ ათი წუთის შესვენება გამოაცხადა, რის შემდეგ დაიწყებოდა კამათი.

— ნეტავ თუ ვინმე გამოვა კამათში? — იკითხა ნინომ.

— ვინ გაბედავს! — ეუთხარია.

— აი, ნახავ, მაინც გამოვლენ. ხომ იცით, ფინიამ იმისთვის დაჰყუდა სპილოს, რომ ეთქვათ: „აღბათ მძლავრია ფინია, რომ უყუფს სპილოსო“, — ღიმილით თქვა ნინომ. შუქმოფენილი თვალებით შემომხედა... წამოდგა, ხელებით ჩემი სკამის ზურგზე დაეყრდნო და დარბაზი მოათვალიერა.

— აგერ, აგერ მეიღერის! ჩვენსკენ იცქირება. ოლღასთან ზის. ნეტავ რა აქვს მასთან საერთო? — თქვა ნინომ.

— მეც მივივრის! კარგი ყმაწვილია საშა, კარგი საამხანაგო, მაგრამ ცუდ წრეში ტრიალებს.

— არ მომწონს ოლღას საქციელი! ხან ვისთან დადის, ხან ვისთან! მეცოდება მისი ქმარი, რა სერიოზული კაცია და როგორი ფოქსავატი ცოლი ჰყავს.

— ლამაზი ქალია ოლღა.

— მაგრამ რა უგემურად იცვამს!

— მეილერთან იმიტომ დადის რომ...

— მდიდარია, — სიტყვა ჩამომართვა ნინომ, — არც კი რცხვენია. ნინო ისევ ჩემს გვერდით დაჯდა.

მზიბლავს მისი ყოველი საქციელი, მისი ყოველი მოძრაობა. მასთან ვზივარ და ასე მგონია, ბედის ნებიერი ვიყო.

ზარი დაჩეკეს. გარეთ გასულნი შემოცივიდნენ. ადგილები დაიკავეს. სიწყნარე ჩამოვარდა.

თავმჯდომარემ კრება გახსნა და განაცხადა, რომ კამათისთვის არავინ ჩაწერილა. იქნებ შეკითხვა აქვს ვინმეს?

ორიოდე შეკითხვაზე ამომწურავი პასუხის გაცემის შემდეგ თავმჯდომარემ კვლავ მიმართა დამსწრეთ, სიტყვა თუ სურს ვინმესო. მსურველი არავინ აღმოჩნდა. სხდომა დასრულებულად გამოცხადდა. ხალხი წამოიშალა.

— ეჰ! რა საწყენია! — თქვა ნინომ.

— აკი გითხარით, ვერავეინ გაბედავს-მეთქი.

— ფინიებმაც რომ ვერ გაბედეს.

— გაქყლუტისა შეეშინდათ!

ნინომ ხმამაღლა გაიციანა.

წამოვდგეკით. გასასვლელ კარებში ხალხი იჭედებოდა.

— მძალავრი იყო ლენინი!

— ჰოდა, ამიტომაც ვერ გაბედეს კამათში გამოსვლა.

— რა სირცხვილი ქამეს მენშევიკებმა!

— მაგათი ლიდერი პლეხანოვიც აღარ უდგას მაგათ გვერდით! — ლაბარაკობდნენ გასასვლელ კარებში შემკიდროებული ახალგაზრდები.

ნინო შინ მიეცილივ. კარი მისმა ქმარმა გაგვიღო. „დ-მემშვიდობისა“ ვუსურვე და უკან გამოვბრუნდი.

გზაში მეილერა შემხვდა. გაეხარდა ჩემი ნახვა.

— კავკას, მოდი, რესტორანში წავიდეთ, ლენინი ვახშმად დაპატროვნებს ამხანაგებმა. არ გინდა უფროსს დაგეგმოს?

— როგორ არა!

— მამ წავიდეთ.

— კი, მაგრამ...

— რალა მაგრამ... წავიდეთ, წავიდეთ!

ლენინი და მისი ამხანაგები კუთხის მაგიდასთან ისხდნენ. ლენინს გაზეთი ექირა და კითხულობდა.

ჩვენ მათი მაგიდის მახლობლად დავჯექით.

ვახშობისას მისი ამხანაგები ლაღობდნენ, ართობდნენ ლენინს. ლენინი ყველაზე მეტად იციროდა — გულწრფელად. მთელი არსებით.

ჩვენ ლუდსა ვსვამდით და ლენინს ვუმზერდით.

— აი, როგორია ლენინი! — თქვა მეილერმა.

— უბრალო და მოკრძალებული! — ვუპასუხე.

— არა ჰგავს ზოგიერთს, თავხედურად რომ იქცევიან, თავს თავს რომ იმაღლებენ და სხვები არაფრად მიიჩნეიან!

— ლენინისათვის სულ ერთია, ვინც უნდა იყოს იგი, გამოჩენილი, სახელოვანი ლიტერატორი, თუ რომელიმე რიგითი მომუშავე ამხანაგი — ყველას თანაბრად ექცევა.

— ლენინი უთუოდ არაჩვეულებრივი ადამიანია, — დაუმატა ჩემს სიტყვებს მეილერმა.

...რესტორნიდან გამოსვლისას მეილერმა მითხრა:

— ყოჩაღ, კავკას, ამბობენ, შირონოვის ცოლს ეარსიყები. ძალიან მეწყინა.

— არა გრცხვენია, საშა, რატომ ფიქრობ აგრე? შენ ვერც კი წარმოგიდგენია ნამდვილი, გულითადი სიყვარული. ისიც ოღლა ხომ არ გვინა?

— ოღლა? ოღლა ძალიან კარგი ქალია.

— კარგი ქალია, ლამაზია, მაგრამ მათ შორის დიდი განსხვავებაა.

— ეე! ცდები, კაცკას, ყველა ქალი ერთია, დამიჯერე.

— ვერა, ვერ დაგიჯერებ!

— ჰო, აბა, კარგი. ამაზე ხვალ ვიმსჯელოთ.

შინისკენ წაიდა.

არა, არა! როგორ შეიძლება ყველა ქალი ერთნაირი იყოს. არა! ნინო სულ სხვაა. განა იმისთანა სათნო, გულკეთილი არის ვინმე ქვეყანაზე? როგორი ნაზია და ნებიერი! რატომ მათრთოლებს და თავს მავიწყებს მასთან შეხვედრა? როგორი მეოცნებე თვალები აქვს. ოღლას თვალები კი მსუნაგია და ადამიანის მოძულე. არა, ნინო სულ სხვაა!



ციურისში დიდხანს აღარ დავრჩენილვარ. აუტანელი გახდა ჩემთვის იქ ყოფნა. დღიურების წერასაც თავი დავანებე, ვინაიდან ჩემს თავს აღარ ვეკუთვნოდი. მალე წავედი ქუენევაში და 1917 წელს დაემათავრე ჩემი ემიგრანტობა. ზოლო ციურისში განვლილ ხანას არ გაუვლია ისე, რომ წყლულებით სავსე ჩემს გულს კიდევ ერთი მძლავრი იარა არ დამატებოდა.

ძვირფასო მკითხველო! არ მინდა ჩემი პირადი განცდების გადმოცემით თავი მოგაბზროთ. თქვენ შეგიძლიათ ეს სტრიქონები არ წაიკითხოთ. მაგრამ მე არ ძალმიძს არ მოვიგონო და, დაპირებისამებრ, არ ვიყო მართალი. გულწრფელი და უშუალო გადმომცემი იმ მკაცრი ცხოვრებისა, რომლის ტალღებშიც მიცურავდა ჩემი ნავი თავისი იალქნებით.

მორწონეებთან სიარულს, ამ ოჯახთან სიახლოვეს განვაგრძობდი. ნინო ყო-

ველდლე მელოდა. ჩვენი შეხვედრა ორენესათის აუცილებელი გეგმურად და მისი ქმარი სამეცადინოდ მიდიოდა და ის ერთად ვინაგდით და ვბაასობდით. ის მიამბობდა უკრაინაზე და იქაურ ცხოვრებაზე, მე კი საქართველოზე, მის ბუნებაზე, ადამიანებზე, სურამის ციხეზე, მამაჩემზე. მან ყველაზე მეტად მამაჩემი შეიყვარა. ასეთ დროს მისი ლაყვარლოვანი თვალები აელვარდებოდნენ, სუნთქვა გაუშვრდებოდა და უცნაური თვალებით მიმხერდა. მაშინ მას ალბათ აგონდებოდა თავისი მამა, რომელიც შეიდი წლისამ დაჰქარგა.

მისი ქმარი? ვამჩნევდი: ბოლო დროს ჩემთან შეხვედრას და ლაპარაკს ერიდებოდა. მისი დამოკიდებულება ჩემდამი თანდათან იცვლებოდა. ამრეზილი იყო, მაგრამ ისეე თავაზიანი, ისეე ზრდილობიანი და ცოლისადმი პატივისცემით და სიყვარულით აღსავსე.

იმ ზაფხულში რუსეთიდან ნინოს სტუდენტები ქმა ალიოშა ჩამოვიდა. შემოდგომამდე დარჩა. მოუსვენარი, დაუღეგარი და ენთუზიასტი — აღფრთოვანებული იყო შვეიცარიის ბუნებით. ყოველნაირი სპორტით გატაცებული, მთელ დღეებს მთასვლელობას, მოგზაურობას, და, განსაკუთრებით, მიზანში სროლას ანდომებდა. ჩვენც ავგიყოლია და თან დავდედით. იყიდა ბრაუნინგის სისტემის რევოლვერი, ვერცხლით მოსევადებული. მივდიოდით ციურისბერგზე. იქიდან ტყეში, სადაც სროლა შეიძლებოდა; ტირიც იყო გამართული. ნინოს ძალიან მოსწონდა მიზანში სროლა, მეც მიტაცებდა და ჩვენ სამნი (კოსტას ამისთვის არ ეცალა) თითქმის ყოველდღე ვვარჯიშობდით სროლაში. საოცარი იყო, რომ ნინო ორივეს გვეჯობნიდა. ვრძელ თითებს რევოლვერის ტარს რომ მოაველებდა, თვალს მოკუთავდა, ცოტა მოილუნებოდა და გაისროდა, უთუოდ მიზანში მთარტყამდა.

სასროლი მიზანი ჩვენგან ორმოცდაათი ნაბიჯით იყო დაშორებული. როცა ექვსი ცალი ტყვია გავარდებოდა,

ალიოშა გაიქცეოდა და იქიდან გვანიშნებდა, რომელ წრეში იყო მოხვედრილი ტყვიები.

ნინოს უხაროდა, თავის ძმას რომ ჯობნიდა და სანახლეოს უკვებდა.

ოო! როგორ მინდოდა მაშინ ვყოფილიყავი ისეთი ძლიერი, ისეთი გამოჩენილი მწერალი, მხატვარი ან მომღერალი, რომ ნინოს გულს ისე დაეუფლებოდი, არჩევანი არ ყოფილიყო მისთვის! მინდოდა ჩემთვის მოეპყრო მას მთელი თავისი გულსისყური. და ეჰ, მე რომ ცოტაოდენი გულგრილობა მქონოდა, რომ მთლიანად არ მიეცემოდი ჩემს მღელვარე ზრახვებს, ვეღარ მომერეოდა ჩემი მტანჯველი გრძნობები და ალბათ უფრო ბედნიერი ვიქნებოდი!

მცირეოდენი ნიჭით აღქურვილი ზოგიერთი ჩემი ტოლი ამხანაგი ზეიადობს, ექვი არ ეპარება თავის ძალასა და ლაზთიანობაში. მე კი თავის იმედი არ მქონდა, ექვი შემქონდა ჩემს ნიჭიერებაში...

განა არ მიკარანახებდა ჩემი გონება, რომ ემიგრანტსა და გამოუტყვეველი მომავლის პატრონს არ უნდა მქონოდა თანავარსობის იმედი? მაგრამ გრძნობა ჩემი სკარბობდა, პატიოსანი გულიც მძლავრად სცემდა. იგი ხომ ეგზომ კეთილია? ის ხომ ჩემი გრძნობების, სისპეტაკის, სიფაქიზისა და პატიოსნების გამომხატველია! რამდენი ტანჯვა გადალტანია მას და ატლაც მრავალი მოედის! ღამეები არ დამძინებია, ლოგინში ვბორგავდი. ისევ წამოვდგებოდი, ჩემს გვერდით ნინოს ვეძებდი. ქალაქის განათებულ ქუჩებს გავხედავდი, ვისმენდი ქუჩების ხმაურს და ვიტანჯებოდი, რადგან არავინ მყავდა ხმის გამცემი.

ნინოს ძმა, ალიოშა, დამიმეგობრდა. ჩემი დიდი ხათრი ჰქონდა. უჩემოდ არსად წავიდოდა.

— მე და კავკასი ხვალ რკინის ჩანჩქერზე მივემგზავრებით შაფპატრხენში. მშვენიერი სანახაობა ყოფილა! — თქვა ალიოშამ ერთ საღამოს.

— მეც მინდა იქ წამოსვლა. ერთი საათის სასიარულოა მატარებლით! —

სურვილი გამოსთქვა კოსტა მირონოვი.

— კი მაგრამ, მე და კავკასი ველოსიპედით წავალთ!

— მეც ველოსიპედით წამოვალ!

— მერე, მე? მეც ხომ მინდა წამოსვლა? — უცბად იკითხა ნინომ.

— შენ? შენ მატარებლით წამოდი! — უთხრა ძმამ. — ჰო! კავკასს სთხოვე. ის წამოვა შენთან. მე და კოსტა ველოსიპედით წავალთ. იქ დაგიცდით საღგურზე, თანახმა ხარ?

ნინომ ქმარს შეხედა. კოსტა ამ დროს ბოლთას სცემდა. შედგა და თქვა:

— კარგი, ეგრე იყოს.

ნინოსთან მატრო დარჩენა მომელოდა. ერთად მგზავრობა... ველეადი, რატომ? რისთვის? სხვა დროსაც ხომ ვყოფილვარ მასთან ერთად. ახლა კი გაუტყვეველი განსაცდელის მეშინოდა. დაბნეული ვიდექი, თითქოს თავში მძამე რამ დამარტყეს და გამაბრუნეს... ეს იმას წააგავდა — ხიდზე იდგე და მდინარეში გადავარდნისა გეშინოდეს, მაშინ როცა შეგიძლია გონიერად მოიქცე და ფრთხილად მოსცილდე იმ ალაგს.

სწრაფად გაგვაქროლა მატარებელმა. ვიდექით ფანჯარასთან და ვტკბებოდით შევიცარიის პეიზაჟით.

მიჰქროდა ექსპრესი. ტყიანი გორაკები, მწყობრი, მოვლილი, რიგებად ჩამწყობებული ნაძვის ხეები, ვენახები და ვაშლის ხეები — ერთმანეთს ეცილებოდნენ სწრაფ სრობოლაში.

— საქართველოც ასეთი ღამაზია, როგორც შევიცარია? — მეკითხებოდა ნინო.

მე გატაცებით ვუმტკიცებდი, რომ ჩემი სამშობლო ვაცილებით უკეთესია, რომ მისი ბუნება, მთები და მდინარეები, სამკურნალო წყლები, აგარაკები, წარმტაცი ზღვის ნაპირი, ველები, ყანები, ვენახები, ბაღები შეუღარებელია მეთქი.

— ბაღები? მართალია, რომ იქ ყველა ხანჯლებით, ხმლებით და რევოლვრებით შეიარაღებული დადიან? გამიგონია, ქართველს, თუ გული მოაყვანინე,

ხანჯალს არ დაგამადლისო. თქვენ ხომ არავინ მოგიკლავთ?

— ჯერ არა, მაგრამ მოვკლავ კი!

— ოო, რა საშინელება! თქვენ და მკვლელი? ისეთი წყნარი, მშვიდი ხართ და ისეთი გულკეთილი...

— თქვენ ეგრე გგონიათ? თუ სხვას არა, თავს მაინც მოვიკლავ! — ამის თქმაზე შეკრთა, გაოცებით შემომხედა.

— თქვენ ჩემი არა გჯერათ? — ვკითხე. ნინომ უცნაური, გაღვივებული თვალები მომანათა.

— რასაკვირველია, არა! როგორ დავიჯერებ, გენაცვალე! — ბოროტად უქვა ეს სიტყვა.

მე თავბრუს დამესხა. გულმა მძაფრად დაიწყო ცემა. სუნთქვა შემეხუთა... როგორ მოგონდა, როგორ წამოცდა ეს ციური სიტყვა, ერთ დროს მე რომ მყვასწავლე? ის გრძნობდა ჩემს გულსიცემას. თანდათან განზე გაიწია. სკამზე დაჯდა. მატარებელი მიჰქროდა, ფანჯარას მოვიკლდი. მის გვერდით დავჯექი. სულსიტქმა მიძნელებოდა. მორეულ ფიქრებს ვებრძოდი.

— მითხარით ნინო, ბედნიერი ხართ? — შევეკითხე.

— როგორ ვთქვა, არ ვიცი! მე მყავს ქმარი, რომელიც ჩემთვის ზრუნავს. მიყვარს ჩემი ოჯახი. ხოლო სიყვარული ბედნიერებას ნიშნავს? არ ვიცი, მე მხოლოდ ვალდებული ვარ და უფლებები კი ცოტა მაქვს. მე უნდა ვიყო ერთგული, უნდა დავმორჩილდე ბედს, გარემოებას, უნდა ვიზრუნო ოჯახისთვის, დავივიწყო ჩემი თავი.

— ეს ხომ ქალის არსებობის დამაგერაა. მარტო ოჯახზე მზრუნველობამ არ უნდა ჩავითრიოთ...

— ეგ ადვილი არ არის! ხშირად გულისტკივილით ვფიქრობ, რომ ჩემთვის ცხოვრება უკვე გათავებულია, რომ მე უნდა დავმორჩილდე ჩემს ბედს და ცხოვრებას...

— ოო, არა! თქვენ კიდევ ახალგაზრდა ხართ. არც არის ცხოვრება ასეთი რთული, როგორც თქვენა გგონიათ, ის უფრო მარტივია!

— არ ვიცი, არ ვიცი. მაგრამ, მოდი, ამას თავი დავინებოთ... მეორე შატალა უზენს მივუბლოვდით! — თქვა ნინომ და წამოდგა. სწორედ ამ დროს კონდუქტორმა გრძელ დერეფანში დაიძახა: შატალაუზენი!

— ჩემი თხოვნაა, დინჯად იყოთ! — მითხრა ნინომ. მატარებელი დგრილით შევიდა სადგურში.

ფანჯრიდანვე დავინახეთ ჩვენს შესახვედრად მოსული კოსტა და ალიოშა.

— ჩვენ უკვე ვინახულეთ რეინის ჩანჩქერი. ხოლო მისი ლაპაზი ადგილების ნახვა ჯერ წინ გვიდევს! — თქვა ალიოშამ.

— ახლა იქ უნდა ავიდეთ, აი იმ გარაკზე! — თითი ზევით გაიშვირა კოსტამ. ტყით მოფენილ მაღლობზე, ხეების ტოტებში, ქონგურჩიანი ძველი ციხესიმაგრე მოჩანდა. მის ძირში რეინის ჩანჩქერი ჩქეფდა.

კოსტამ მზრუნველობით მოკიდა თავის ცოლს ხელი, მკლავი მკლავში გაუყარა, ჩქარი ნაბიჯით წაიყვანა. ჩვენ დაგვტოვეს.

მაღლობზე ავედით და ის, რაც ქვევიდან ციხე-კოშკს წააგავდა, შატალაუზენის კანტონის სასტუმრო-რესტორნად გადაეკეთებინა. ახლა სასტუმრო მეტ შემოსავალს იძლეოდა, ვიდრე ძველი ქონგურჩიანი ციხე.

მოკირწყლული ბილიყით მაღლობიდან რეინის ჩანჩქერისკენ დავეშვიეთ; ბილიყმა სხვადასხვა ფერის მინებით შემცულ შუშაბანდში შეგვიყვანა. მივეცივდით ფერად შუშებს და იქიდან გავცქეროდით ჩანჩქერის კორიანტელად ქცეულ შხეფებს, ნაპერწყლებივით რომ ცვივოდნენ, მზის გამშვირვალ შუქში ყვითლად, ლურჯად, წითლად, მწვანედ, ალისფრად რომ ციალებდნენ. თვით ჩანჩქერი, კლდოვანი ბეჭობით შუაზე გაყოფილი, ქაფმორეულ, შებორობებულ მორევში ეშვებოდა. ქუხდა, გრგვინავდა, ქექდა. ერთმანეთის ლაპარაკი აღარ გვესმოდა. პირს ვალდებით და ხმა არ ამოდიოდა. მხოლოდ ტუჩების განძრევით, ხელების ქნევით მუნ-

ჯერად გვესმოდა ერთმანეთის აზრი.

— რა მშვენიერია, რა დიდებულია!

— აბა, აქ მოდი, მწვანე შეშაში ნახე!

— აბა ალისფერში გაიხედე!

— ახლა წითელ ფერში!

დიღანს ვერ ვცოდებოდით უცნაურ სანახაობას.

მთვარეულებივით დავბრუნდით უკან. როცა დაბინდდა, მეორე მხარეზე, ჩანჩქერის პირდაპირ სკამზე დავსხედით.

გორაკის წვერიდან მთვარე ამოცურდა, მდინარის ზედაპირზე აციალდა, თითქოს თეთრი, გაკრილი ფქვილი შეაფრქვესო. ჩანჩქერი აციმციმდა, ცოტახნის შემდეგ მალღობიდან პროექტორის შუქი მოვარდა. ფოვლის ნამქერივით აბნეული შეხედები, პროექტორით განათებული, ზღაპრული სილამაზით ქუხდა, გრგვინავდა.

თავი ვეღარ შევიკავე, აძენი გრძობა-ღელვისაგან ერთ ალაგა ვერ გავჩერდი, წამოვხტი. ჩანჩქერისკენ გავიქეცი, თითქოს მორევში შეცურვას ვაპირებდი.

— რა მოუვიდა კაცასს! რა დაემართა? — ერთმანეთს ეკითხებოდნენ. როცა მორევს მივამურე, ნინომ იყვირა: — მორევში არ გადავარდეს! ხელი მოჰკიდეთ.

გვიან დავბრუნდით ციურხბერგში. ღამე იყო. კოსტაც და ალიოშაც მატარებლით წამოვიდნენ. შინ არ მივსულვარ. მთელი ღამე დავდიოდი ქუჩაში...

არც ერთი ფიქრი, არც ერთი აზრი თავში არ ჩერდებოდა.

„მატარებელი... ჩანჩქერი... ჩემი ბელი?“.. ერთი აზრი გამოკრთებოდა...

„მასაც ეუყვარვარ! მასაც? ჰა?“.. ერთსა და იმავეს უბრუნდებოდა ფიქრი. მაგრამ ერთ წერტილზე არ ჩერდებოდა. ზამთარი, მკაცრი ზამთარი დადგა.

ალიოშა ისევ რუსეთში წავიდა. შეწყდა ჩვენი ერთად ყოფნა, ჩვენი მგზავრობა, დაერჩი მარტოკა—ჩემი ფიქრებით და ჩემი მივარდნილი ოთახით, რომელიც არასოდეს არ გამთბარა. ახლაც თვალწინ მიდგას კუბოსავით გაგრძელებული,

ზული, ერთფანჯრიანი მანსარლის ოთახი, ჩემი მაგიდა, წიგნები და სურათები. ჯერ კიდევ შემონახული შაქვის ის ფოტოსურათი — ნინო, ალიოშა და მე... ჩემს მაგიდაზე იღო მუღამ.

უძინარი ღამეები. ციურხბერგზე ხეტიალი. ბრძოლა ჩემს შორეულ გრძობებთან. ჩემს თავს აღარ ვეკუთვნოდი.

ჩემს სუსტ კალამს როდი ძალუძს აწეროს ის ტანჯვა, რაც ასე მძლავრად აფორიაქებდა ჩემს სულს.

ნინოსთან ახლო ყოფნას კვლავ განვაგრძობდი.

მუღამ მიფრთხილებდა, ვყოფილიყავი თავდაპირველი, დინჯი და წყნარი.

— რას ჰგავს ღამეების ტუხა. ციურხბერგზე უგზო-უცვლოდ ხეტიალი. უნდა დამშვიდდე, ორივეს გულისთვის... მუღამ მპირდება და კი ვერ ასრულებ. — მეუბნებოდა.

მისი ქმარი ჩვენს შეხვედრებს ერიდებოდა, ნერვეულობდა, ერთხელ მისთვის უჩვეულო სიმკაცრით კდევ შეუტია ნინოს, მგონი ოთახში რაღაც არეულობისათვის.

იმასაც ვგრძნობდი, რომ უფრო გაღვივდა ნინოს თანაგრძნობა ჩემდამი.

ჩვენ ზომ მოთხოვნილებად გვექონდა გადაქცეული, ჩვენი ყოველი ფიქრი და შეხედულება ერთმანეთისთვის გაგვეზიარებინა. ყოველი განცდა, ყოველი გულში ნადები მისთვის უნდა მეთქვა, ახლა კი... თანდათან ჩემს ზრახვებს ვმალავდი.

მდინარის ხიდის მოაჯირზე დაყრდნობილი ტალღათა სრბოლას ვეშხერდი. ისე მეჩვენებოდა, თითქოს გემზე ვიდექი. იგი ზევით მიდიოდა, სწრაფად აპობდა ტალღებს, შხრილით არღვევდა დაუცხრომელი მდინარის გამალღობულ მსვლელობას. ხიდიც ტოკავდა, ირწყოდა. თითქოს მეც ფეხქვეშ ნიადავი მეცლებოდა, თავბრუ მეხვეოდა...

ჩემი ცხოვრებაც ზომ ასე მიჰქროდა უცნაურ გარემოცვაში. მოწყვეტილი ვიყავი მშობლოურ ნიადაგს და უცხო მხარეში არ მელირსა ალერსი. ცხოვრება მოშხოდა, როგორც აი. ეს მდინარე,

თან მიჰქონდა ჩემი კეთილი სურვილები და განცდები.

ერთი საათი არ ვიყავი მოსვენებული, ნინოზე ფიქრებისაგან გათავისუფლებული.

მას შემდეგ, რაც ალიოშა რუსეთში წავიდა, ნინოსთან სიარულს ვუკელი. ერთ საღამოს, როცა კოსტა შინ არ იყო, მასთან შევედი. კარგ გუნებაზე დამხვდა. ჩემი თხოვნით, ჩემი საყვარელი არია დაუკრა. მასაც შეჰყვარებოდა ეს მელოდია. უკანასკნელი აკორდი ძლიერად შეიკრა ჩემს სულში.

მოწყენილი სკამზე დავეჯექი. ნინომ ჩემი გართობა მოინდომა. მაგდაზე ყდაში ჩასმულ ჰაინეს წიგნს მოჰკიდა ხელი. გადაშალა, წაიკითხა:

„ძვირფასო, შენ ხარ შეყვარებული და ტკივილები გტანჯავს ახალი. გონებას გიჭმობს ბურუსი მკრთალო და გინათლდება მგზნებარე გული. ძვირფასო, შენ ხარ შეყვარებული, თუმცა არ ამხელ და სდუმხარ მარად, მაგრამ სამოსი ცეცხლს ველარ ჰფარავს,

შიგ მოჩანს გული, ალით გზნებული...“

— კიდევ, კიდევ წაიკითხე! — ვეხევებოდი:

„როდესაც ვწევარ ოთახში მარტო და ირგვლივ მეფობს დამე შეებნელი, მე თვალწინ მიდგას და არ მშორდება სახე ლამაზი და საყვარელი. როცა შემიპყრობს თვლემა ფარული და დამიხუტავს ოდნავად თვალებს, მყისვე გაჩნდება ჩემს ოცნებაში ძვირფასი სახე, მე რომ მაწყობებს. დილით, როდესაც მარტო დამტოვებს ნაზ ოცნებათა და ფიქრთა ჯარი — იგი მთელი დღე ჩემს გულში რჩება და განუწყრელად სულ ჩემთან არი...“

მე ანთებული თვალებით შევცქეროდი ნინოს, რომლის ბაგეთაგან იფრქვეოდნენ დიდი პოეტის მღელვარე სტრიქონები:

„მოაყრდენ მტკიცედ ჩემს ლოყას ლოყა, ერთად გვიოდეს ცრემლები ცხელი,

მომეკარ მკერდით მხურვალე მკერდზე, დე, მათ ანთებდეს ცეცხლ დამწველი, როცა ამ დიდ ცეცხლს შეუერთდება ჩვენი ცრემლები, ვით ნიაღვარი, მე ვნებიანად ყელს მოგვეკლამი, დე, ვიყო ტრფობის სევდისაგან მკვდარი!“

ნინომ წიგნი გადადო. ველარ წაიკითხა.

არ ვიცი, როგორ მოხდა, მის შიშველ მკლავს მოუფიქრებლად ეტაცე ხელი და კოსტა დაუწყებ.

— შენ გენაცვალე! — ცახცახით წარმოვთქვი...

— რას სჩადით... როგორ შეიძლება! — ათრთოლებული წამოიჭრა, ძალ-ღონე მოვიკრიბე.

— მაპატიეთ, ნინო განა არ ვიცი ჩემი ბედი. აბა, სად მე... ემიგრანტი... სამშობლოს მოცილებული და სად... მეც არ ვიცი, რა შემართება ამ ბოლო დროს. შენი ყურადღებით თავბრულახვეული და გათამამებული უგონოდ დავდივარ ქუჩებში. რული არ ეკარება თვალებს. ჩემს თავს აღარ ვეკუთვნი. მხოლოდ შენზე ვფიქრობ... მაპატიე, ნინო. ნუ დამიშლი შენთან ყოფნას...

— აბა, რა გითხრა. ჩემთვისაც ძნელია თქვენი დაშორება. მაგრამ დამეშვიდით! მარტო მე ხომ არა ვარ ისეთი, რომელიც თქვენს ერთგულებას დაიმსახურებს. ჯერ კიდევ ცხოვრება წინ გაქვთ. შეხვდებით თანამოზიარეს და თქვენ ბედნიერი იქნებით!

— არ ვიცი, არ ვიცი, ნინო...

კოტახანს დარეტიანებული ვიდექი, მერე სული მოვითქვი. ძალა მოვიკრიბე. ქულს ზელი წავატანე, კარი გავაღე და სახლიდან გამოვედი.

ლასლასით მიმავალს შეიღერი შემხვდა:

— კაცკას, სად ყოფილხარ! რა დავ მართია?

— მეც არ ვიცი, საშა!

— წამოდი ჩემთან. საქმე ხომ არაფერი გაქვს?

¹ თარგმანი ხარიტონ ვარდოშვილისა.

— არა.

— ზოდა, წამოდი!

ოთახში რომ შევედი, შეიღერი ვლავ შემეკითხა:

— რა დაგეშართა, კავკას! რატომ ხარ ვერე აღელვებული?

— აბა რა ვიცი.

შეყვარებული ხომ არა ხარ? შეყვარებულს ემართება ასე! — მე ვდუმდი.

— სისულელეა, კავკას, სისულელე! განა ქალი იმად ღირს, რომ შეიყვარო? ბავშვი ყოფილხარ, ბავშვი! მე კი მაგას სულ იოლად განვიცდი. გამომიტყდი, მითხარი მეგობრულად: ნინო მირონოვა ხომ არ არის შენი მწუხარების მიზეზი? ვდუმდი.

— ჰო, ცხადია! მთელი ციურიხი ამაზე ლაპარაკობს... ხომ იცი, არაფერი გამოეპარებათ ჭორიკანა ქალებს.

— როგორ? რას ამბობ! მართლა?

— მაშ, მაშ!

— მერე რას ამბობენ?

— რომ ერთმანეთი გიყვართ, მაგრამ ნინოს მაინც თავი ვერ დაუნებებია ქმრისთვის. მე რომ მკითხო, არ გირჩევდი.

— რას არ მირჩევდი?

— იმას, რომ მირონოვის ცოლი გყვარებოდა. განა ცოტაა ახალგაზრდა ქალიშვილები?

— ვიცი, საშა, განა არ ვიცი. მაგრამ აბა რა ვუთხრა ჩემს გულს!

დავდიოდი ქუჩაზე და ფიქრებში ჩაფლული, როგორც ბურანში, ისე ვხედავდი საგნებს. ჩემს ტანჯვას ახლა ისიც დაემატა, რომ ნინოზე ასეთ ხმებს ავრცელებდნენ. ის ხომ ქმრაანი იყო! რას იტყვის, რომ გაიგოს?..

ერთი მძლავრი ფიქრი, დიდი ზნის წინათ აკვირებული, ახლა მთელი ძალღონით დაუფლა ჩემს გონებას და მოსვენებას არ მამლევედა. რაღა დამრჩა? უნდა მოვიფიქრო. თვალწინ წარმომიდგა მთელი ჩემი განვლილი დრო და ახლანდელი შეუსაბამო ყოფა. ვიგონებდი დედას, მამას... მაგრამ როდის ვნახავდი მათ? ან ვნახავდი კი?

ახე წლები ცხოვრებაში, როცა მას

ვერ აულებ ალღოს. მოსტყუებდებოდა ჩემი გარყვნილი დარჩები.

ერთხელ კიდევ შევიარე ნინოსთან. ცოტახნის შემდეგ მეორე ოთახიდან ქმარმა კარი გამოაღო და თავის ოთახში შეიხმო. რამდენიმე წუთი მარტო დავრჩი.

წიგნების კარადასთან მივედი. კარი გამოვალე. თვალჩერება დავიწყე... და იქვე, წიგნების რიგის ბოლოში, კუთხეში, რევოლვერს მოვკარი თვალი. ალიოშას რევოლვერი... აი, ამ ყუასთვის რამდენჯერ შეუვლია ნინოს თავისი თითები, რამდენჯერ მოუტყუამს მიზანში გასროლილი ტყვია, რამდენჯერ გაღინებია და თვალში შუქი მოფენია, რამდენჯერ შემინიშნავს, თუ როგორი მელიდურობით შემოუხედავს ჩემთვის და როგორი სინაზით უტრიალებია ხელში ეს რევოლვერი. და მერე, ტყიდან რომ დავბრუნდებდით, რა კმაყოფილი და მხიარული მიემართებოდა ბინისაკენ.

ოთახიდან ხმაური მომესმა. რევოლვერი უცბად ჩავიდე ჯიბეში. კარადა მივხუტე.

ნინო გამოვიდა — სახეგაფითრებული, ამრეზილი. დივანზე ჩამოჯდა.

ჩემი გუნება მთლად შეიცვალა. გამოსამშვიდობებლად ხელი გავეწოდე.

— მოიცათ, ნუ წახვალთ! — მითხრა.

შუბლზე ხელს ისვამდა. ლელავდა. თვალებს ჩუქავდა.

— არა, წადით, წადით! — გამწარებით თქვა.

მძიმედ გადავდგი ფეხი.

— მოიცათ! — კიდევ შესძახა. დაბინდული თვალები გაახილა.

მივევარდი. საფეთქელზე ხელი მომიხვია. ისევ შესძახა:

— არა, წადით! წადით! — წამოდგა, ხელი მომიკიდა. კარებამდის მომაცილა და გატრიალდა...

გარეთ გამოვევარდი, ისე ნეჩვენებოდა, თითქოს დედამიწა იმძროდა, სადმე გაიპობოდა და მე უფსკრულში ჩავევარდებოდი.

მივბრბოდი, ნეც არ ვიცოდი, სად. ციურიხბერგი აეთათე. იმ დღეს მშვე-

ნიერი მზიანი დღე იდგა. თოვლის თეთრი წერტილები თვალს სჭრიდა. მალე-მალე უამრავი ახალგაზრდობა იყო. ზოგი ციგით ხელში ზევით მიდიოდა, ზოგი დაღმართზე მიცურავდა. კისკისით და ხმაურით ივსებოდა გარემო.

მოციგავეთა შორის მელიერსა და ოლას მოკვარი თვალი. ზამთრის სასპორტო. ტანისამოსში გამოწყობილი საცურაოდ ემზადებოდნენ.

დამინახეს და დამიძახეს:

— ოო! კავკას! კავკას! მოდი აქ, სად მიდიხარ!

შეეღვი. თოვლით მოფენილი გორაკი თეთრად ბზინავდა. ქალიშვილები და ვაჟები ციგებით მიცურავდნენ დაღმართზე. გაძახილი, ყიჟინა, გაწითლებული ლოყები, მზიარული თვალები და ამობურთული მკერდები საზეიმო განწყობილებას ქმნიდა.

— რა გამტერებულხარ... მოდი, ვიცოცხლო! — მიძახდა მელიერი.

იქით ტყე მიხშობდა, ის ადგილი, სადაც ნინო, მისი ძმა და მე მიზანში ვისროდით. გარინდებული შიშველი ხეები, სივცეში გაშვერილი ტოტებით, ახლა ისე მომჩვენა, თითქოს ვილაცას გლოვობდნენ, გაყურებულოყვენ, დუმდნენ. ბინდით მოცულ ტყის სიღრმეში სამარისებური სიჩუმე სუფევდა. მკვდარი ბუნება ძილს მისცემოდა. იქ არ იყო სიცოცხლე.

— ეი, კავკას, რა დაგემართა, გიცდიოთ. ერთად დავეტურდეთ! — კვლავ მომესმა მელიერის ძახილი.

ნაბიჯი იქით გადავადგი. გაწითლებული ოღლა, შექმფრქვევი თვალებით და შუბლზე ჩამოცვენილი თმებით, მეტად მომხიბლავი მეჩვენა.

— აბა, დაჯექი, კავკას! — მითხრა.

მე წინ დამსვეს, ოღლა შუაში, საშა — ბოლოში, და, როცა დავეტურდით, დაღმართზე დავეშვით, ნიაფი საფეთქელთან აშრიალდა, გულმაც ცემას უმატა, გადამაფიწყდა ყველაფერი. მივქროდი სივცეში და ეშორებოდი ყოველდღიურ ცხოვრებას. მომაგონდა სურამი, ჩვენი წყაროს მახლობ-

ლად საციგაოზე სრიალი, უდარდელ უზრუნველი ბავშვობა... გულმა ჩქარულა იწყო. მეც ჩავერიე საერთო ზეიმში. აღმართზე ავრბოდი და თან მიმჭონდა ციგა. სხეებივით მეც ვმზიარებოდი, ვყვიროდი, სიცოცხლეს შევხაროდი. საღამოს, მელიერის ოთახში რომ ვიჯექი, ვიგრძენი შარვლის ჯიბეში რევოლვერის სიმძიძე.

სამას ყოველივე გავანდებ.

— აქ ვითხარი, სისულელეა ქალის შეყვარება-მეთქი. მეტადრე ქმრიანისა. ცხადია, ნინოსაც უყვარდი. მაგრამ... მდიდარი ქმარი, ოჯახი, კეთილმოწყობილი ცხოვრება... ამის დათმობა ეგრე ადვილი როდია! ჰოდა, ქალმა ისევე მყუდრო ოჯახი არჩია, შენ კი სისულელეს ჩაიდენდი, რომ განზრახვა შეგესრულებინა. ჯერ-ერთი, რომ შენ ამის უფლება არ გქონდა. რას ეტყოდი შენს დედ-მამას, სამშობლოს, რომელიც ეგრე ძლიერ გიყვარს, საქმეს, რომელსაც ემსახურები. მეორეც, აბა დაფიქრდი, რა დათვურ სამსახურს გაუწყვედი თვით ნინოს...

პაპიროსის ბოლში გახვეული ვუსმენდი სამას.

გულსტიკივლით ყველაფერში ვეთანხმებოდი.

— ეგ კი ეგრეა, საშა, მაგრამ... ჩემი აქ დარჩენა არ შეიძლება! სად წავიდე, რა გზას დავადგე?

— უნდა ვითხრა, რომ მეც საკმარისად მომბეზრდა აქ ცხოვრება.

— იცი, რა? წავიდე თენევაში! იქ ბევრია ქართველი ემიგრანტი, მოვეწყობი როგორმე! შენც წამოდი! რა გაკავშირებს აქაურობასთან. შენთვის სულ ერთი არ არის?

— მართალია.

გადაწყვეტიტთ ორი დღის შემდეგ წავსულიყავით თენევაში, დაგვეთვალიერებინა იჭაურობა, გაგვეგო პირობები და თუ მოგვეწონებოდა, დავრჩენილიყავით.

ამან აღმაფრთოვანა. თენევაში დაიწყებოდა ჩემი ახალი ცხოვრება! როგორ შევეცინოდი ამ ცხოვრებას!

დღეგრძელი იყოს ნინო, ამდენი სიტყბო და სიმწარე რომ მარგუნა. დღეგრძელი იყოს, იცოცხლოს...

წასვლის წინადლით მაინც ვერ მოვიტყვი. საშას არ გავაგებინე. ღამით თერთმეტი საათი იქნებოდა, ნინოს ფანჯრის წინ გავიარე. მინდოდა ერთხელ კიდევ შორიდან მაინც დამენახა. ძალიან ძნელი იყო ცდუნება, მასთან შესვლისა, მაგრამ მოეტრიალდი, თითქოს გამოვიქეცი და... მშვიდობით, ნინო!

ქენევაში მე და საშა ორი დღე დავრჩით. ვინახულე სურამიდან ჩასული ჩემი მუხობელი შაქრო ხიდირბეგი-შვილი, მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი, სტუდენტთა არეულობაში მონაწილეობის მიღებისათვის ოთხი წლით ქენევაში გადასახლებული.

მისი მეუღლე, შესანიშნავი დრასკული და კარგი ადამიანი სტუდენტებისათვის სადილებს ამზადებდა.

წინადადება მომცეს, მათთან მეცხოვრა.

საშამაც ქენევაში ცხოვრება გადაწყვიტა, სადაც იგი ორი თვის შემდეგ ჩამოვიდა.

დაიწყო ახალი ხანა ჩემი ემიგრანტული ცხოვრებისა.

ორმოცი წელი გავიდა მას შემდეგ.

ახლა სამოცდაათი წლისა ვარ და წარსულს რომ ვიგონებ ასე მგონია, ჩემს ცხოვრებას კი არა, შეთხუღ რომანს, ჩემი გმირების ამბავს ვწერდე.

ქენევაში დავამთავრე ჩემი ათი წლის ემიგრანტული ცხოვრება...

პირველი წიგნის დასასრული

მიწიერი კაჭახიძე

★

ჩვენი მოყვარე და მეგობარი

უცხოელ მეგობრებს, ხალხთა მეგობრობისა
და მშვიდობისათვის დაუცხრომელ მებრძოლებს.

უყვართ, უსმენენ, იმედს ელიან
მისგან ყოველთვის თანამოძმენი, —
ბევრის მნახველი უცხოელია,
დაუცხრომელი საქმით, ოცნებით.

ხალხის აე-კარგზე ფიქრით მოცული
დიდხანს გვიცნობდა მოყვარად შორიდან;
ბოლოს, მოსკოვში სტუმრად მოსული,
საქართველოშიც სტუმრად მოვიდა.

ჩვენი მარჯვენის მაღლიც ქებულა,
ბილიციც არ გვაქვს მოყვრისთვის ვიწრო, —
დიდი მოსკოვით აღტაცებულმა
თბილისშიც დიდი მოსკოვი იგრძნო;

იგრძნო კეთილი კერა ქართველის,
მისი მზიანი ეზო, სახლ-კარი,
მისი ღიმილი, სიტყვა ნათელი,
სიყვარულის და სიბრძნის აკვანი;

იგრძნო წიაღიც მკერდგაუხსნელი,
გორის საქვეყნო სახლი პაწია,
დიდი სიმღერის მამა რუსთველი,
დიდი სიმეგრის ძეგლი ვარძია;

იგრძნო, შერეული მთები კალთებით
როგორ იწვევდნენ გულში საცქერად, —
და აღტაცება, სიტყვა სათქმელი
გორში სახალხო წიგნში ჩაწერა.

ნახა ქვეყანა შრომის ერთგული,
გაცინებული ჯეჯილის ფერად,
და კაცი, ძალა შემატებული.
კვლავ დაუბრუნდა საკუთარ კერას;

კვლავ დაუბრუნდა მშობლიურ საქმეს,
მაგრამ მისი ხმა ყოველდღე გვესმის.

ტყბილად გვიგონებს, ჩვენს მთა-ბარს აქებს,
 აბიბინებულს სიკეთის თესლით.

ჩვენი ცხოვრებით ამხნევებს ღარიბს,
 ცრემლის კვალს უქრობს ობლებს ლოყაზე.
 არ ვამბობ — იგი ფინელი არის,
 ჩნდოელი თუ ფრანგი მოღვაწე...

ის ხალხის ღვიძლი შვილია ყველგან,
 მშვიდობის ფარად შეკრული მკერდით;
 ის ყველგან ხალხთა სიყვარულს ნერგავს
 და ნუგეშია მრავალი დედის;

იმედი არის მრავალი ბავშვის,
 მოლაპარაკე სიცოცხლის ენით.
 ის ჩვენთან არის იქ, თავის სახლშიც,
 მგვობარი და მოყვარე ჩვენი.



ქვიის ნატეხი

მოთხრობა

ქინჯარულსაც არ ახსოვს არაგვის ასე დაშრობა. ოთხმოცი წლის მგელიცა ამაოდ იდებდა ხელს შუბლთან ირიბად გავლებულ ნახმლევეზე და ამაოდ გაყურებდა ქიუხების დაკბილულ მწვერვლებს. ღრუბლის ნატამალიც არა ჩანდა პიტალოებზე. ნასიამოვნები დააბიჯებდა საგზაო სამმართველოს წინ გეჯაძეც — ბარისახო-ახალხევის გზის მშენებლობის მთავარი ინჟინერი. არც მას ახსოვდა ასეთი ზაფხული: მეოთხე თვე გადის და წვეთი არ ჩამოვარდნილა ციდან: ხეობაში სილა და ქვიშა არ არის და მისი ზიდვა ორმოცდაათსამოცი კილომეტრიდან უხდებათ. მოვარდნილმა წყალმა კი შეიძლება გზები გაათუქოს და გზის მშენებლობა შეაფერხოს. დაე, იდინოს არაგვმა ეგრე უშფოთველად და აუმღერეველად.

მაგრამ იმავე ღამეს დაიწყო დელგმა. ბარისახოს თავზე დაიკლავნა ელვა და მთათა წვეროებზე დაყრილი ღრუბელი დაფატრა. აწივლდა ქარი, შეიქრა ხეობაში, ხეებს ლაწა-ლუწი აუყენა და ხანჯალივით დატრიალდა ტყეში. შიშისაგან აცახცახებულნი ხეები ხან იხრებოდნენ წელში და ხანაც გამართულნი თითქოს ცისკენ აპყრობდნენ ტოტებს.

ფერღობები მღვრიე წყლით დაიფარა და თითო ხევი თითო არაგვად იქცა. ბრდღენივითა და ღრიალით მოზვავდა გაცოფებული ხეესტურეთის არაგვი. ძირიანად დათხარა ნაპირზე დაზრდილი მურყნები, წალეკა ჩამომწყვრილი კლდეები, გაიტაცა უზარმაზარი ლოდები. ბარისახოს თავში გამოვარდნილი ჩირდილ-ბუნტუკურთის წყალს შეუერთდა და ბარისახოს ბოლოში ზურგზე კე-

ხვიით დადგმულ ხიდს მიწა და ქვა-ლორლი შეაყარა.

რუხმა განთიადმა უფრო გადარია არაგვი და გეჯაძეს ერთი საღარდელი კიდევ გაუჩინა.

— ქაჩალი თავს არ მოიფხანს, თუ მოიფხანს, სისხლს დაიდენსო! არა, ვინ მოსწრებია მდინარის ასე გადარევას? ცა და დედამიწა მოაქეს! — და კლდის ძირას მდგარი ინჟინერი შიშით გაყურებდა ხეობაში დაცემულ ტაფობს, სადაც გზის მუშების საერთო საცხოვრებლის მშენებლობას ამთავრებდნენ. იქ იყო კირის ფარდული, სამუშაო იარაღისა და ამონალის საწყობები, სამუშაოდო და საგზაო სამმართველო. იქვე იდგა სხვადასხვა მარკის ავტომანქანები და ეყარა ცარიელი თუ ბენზინით სავსე რკინის კასრები.

გეჯაძის შიში გამართლდა. არაგვმა აიწია, გადმოვიდა ნაპირზე, ტალღების ქაფქაფით შემოერტყა გარშემო ბენზინის კასრებს და ავტომანქანებს მისწვდა.

ინჟინერი უმაღლე მიხედა საქმის ვითარებას და კლდის ძირიდანვე დაიქუქა: — მოფრებმა მანქანები მომართონ და ნარგავ ფიჭვნარში გაიყვანონ! შეჩოჩქოლებული მუშების გროვას გამოეყო რამდენიმე კაცი და ნაცვლად იმისა, რომ მანქანებისკენ წასულიყვნენ, ინჟინერს მიუახლოვდნენ.

— სატყეოს უფროსი არ გვაპატიებს ლობის განგრევესა და ნარგავების გადათელვას.

ინჟინერს სახეზე მრისხანება გამოეხატა:

— მანქანებზე! სატყეოს უფროსს მე გავცემ პასუხს. აბა, ჩქარა! — შემდეგ დანარჩენ ხალხს ზოგელი თვალთ და თავქვე დაეშვა.

— მომეცე დანარჩენნი!

გაოცებულმა მუშებმა რაკი დაინახეს, რომ ინეინერმა ტანსაცმელი არ გაიხადა, თვითონაც გაუხდელი მიჰყვნენ, ფეხდაფეხ მუხლებამდე შეტოპეს წყალში და ეცნენ ბენზინიან კასრებს.

— ცარიელები დაიპირეთ, სავსეებს ჯერ ვერ დასძრავს! აბა, მარდა! — და პირველმა თვითონ წაავლო ხელი ცარიელ კასრს, რომელსაც ტაფობზე ამოსული არაგვი ტალღის ტყლაშუნითა და ლოდებზე ხრავუნით მიაგორებდა. — არც ერთი კასრი არ გაატანოთ... აბა, ბიჭებო!

და არაგვის ღრიალ-გრიალში თავით ფეხებამდე ლაფითა და მღვრიე წყლით დაწუწულებმა ყველა კასრი გადაარჩინეს.

გასისხლიანებული ხელისგულით იწმენდა სახეს ინეინერი და უფრო დიდი შესფოთება ეუფლებოდა, რადგან არაგვი ტაფობზე ისე აიწია, რომ იქაურობას წაღვევით დაემუქრა. მღვრიე ტალღები მოუშთავრებელ შენობაში შეიქრა. ახლა გეჯაძე მიხვდა, რომ თუ ჩირდილ-ბუჩუქურთის წყლის შესართავთან ჯებირი არ გაეთდებოდა, ტაფობს არათერი ეშველებოდა. არაგვის მიმსლაერებით ქვევით დაშვებული წყალი ჯებირით ისევ არაგვის მიაწყდებოდა. ლიქოკის ხევისკენ მობრუნებული მდინარე ისე საშიში აღარ იქნებოდა ტაფობისათვის.

— ნაჯახები, ბიჭებო! — ისევ დაიქუხა ინეინერმა და იარაღის საწყობს მიაშურა.

საწყობის გამგემ მოასწრო გაღება და კარები დამტვრევას გადაარჩინა.

ნაჯახიანად გამოვარდნილი გეჯაძე ფერდობზე აბობლდა.

— ზოგმა ფიჩხი კაფეთ და ზოგმა დაბლა ზიდეთ, სახელდახელო ჯებირია საჭირო! — და დაუშინა ნაჯახი კლდიან ფერდობზე აყრილ წიფელასა და რკიხილას.

მუშები გაუბედავად მივიდნენ ახლოს.

წუთით მოიხედა ინეინერმა და მრისხანედ გადახედა მუშებს.

— რას გამეშებულხართ? ერკონესული
გეგზლიონთქა

— ტარასი დაგვბოცავეს, ვანო.

— ვერ გადავეურჩებით სატყეოს უფროსს.

— ქვევით გააკეთოთ ჯებირი! ინეინერი გაჯავრდა. დაბრუნდა ქვევით და ყველაზე წინ წამომდგარ მუშას თავისი ნაჯახი ხელში შეაჩინა.

— შენ უხელმძღვანელებ კაფევას, დანარჩენებმა კი — ზოგმა ტოტები ზიდოს და ზოგმა ქვა. ტარასის პასუხს მე გავცემ! შოფრები ჩემთან!

ხალმა იხველა. ზოგი ტოტებს ჩეხდა, ზოგი ქვებს ეზიდებოდა, ზოგიც ჯებირის წვენაში ეშველებოდა წვიმითა და ოფლით გაწუწულ ინეინერს.

მალღდებოდა ჯებირი. გადაწულ ტოტებს, ქვებს და ლოდებს ალაგებდნენ მაღლიდან და გასამაგრებლად ზემოდან ისევ ტოტებს აწნავდნენ.

მალღდებოდა ჯებირი. წყალიც თანდათან იხვედა უკან.

ინეინერი ისე გაერთო მუშობაში, რომ ძლივს მოვიდა გონზე, როდესაც ჯებირიდან ჩამოათრეის. გეჯაძემ წარბებიდან ტალახი და ოფლი მოიწმინდა და ძლივს გაარჩია სატყეოს უფროსი, რომელიც ალღეებისაგან ქშინავდა და წვიმით გაწუწულ ცხერის ტყავის ქულს უფრო იფხატებდა სახეზე.

— ვინ მოგვა უფლება, რომ ტყე გაჩეხო? — ყვიროდა ტარასი. — ინეინერმა გზა უნდა აკეთოს თუ ტყე ჩეხოს?!

ინეინერმა ფრთხილად შეაშვებინა ტანსაცმელზე ხელი. ესიაზოვნა, რომ მეტყვევს ფიჭვის ნარგავებში ავტომანქანები ვერ შეემჩნია და გაიკვირვა:

— ამ ქარ-წვიმაში რა ეშმაკმა გაგაგებინა, რომ ცოტაოდენ ფიჩხს ვჭრით.

— როგორ თუ რამ გამაგებინა? ჩემს სატყეოში მიწისქვეშ რა ხდება, ის ვიცი და ტყეს ველარ მოუველი? ახლავე ჩეხვაზე ხელი ააღებინე, თორემ ვერ გადამიჩივებით!

— მოიცა, ტარასი, რა გაყვირებს? მაღლობა ღმერთს, წვიმა მინელდა და

სმენაც კარგი მაქვს. წყნარად ილაპარაკე. თუ არა და რა დროს ლაპარაკია, ხედავ? ლამის წალკის წყალმა ტაფობი. მოდი, შენც დამეხმარე: ან ტოტები მოზიდე, ან ქვეები მომიტა...

— ტარასი გამამგადა და ისევ ხელს სტაცა.

— მოიცა, სად მიხვალ! მე ეგ ნანა ვერ დამაძინებს. მე შენი ლათაიები არ მესმის. ახლავე გაანებეთ ტყის ჩეხვას თავი! ვის ადგილში იჭრები, რომ იჭრები? ეს საგზაოსი კი არაა, სატყეოსია.

ინეინერი გაწყრა, რაკი დაინახა, რომ მტყევე არ ეშვებოდა.

— ტარასი, ან მომეხმარე, ან აქედან წადი. ბიჭებს ნუ მიცდენ, კაცს ჰკლავდნენ და ჩიბუხი არ დამიმტვრიოთო. მიდი, ბიჭებო! რა დროს ტყე არი, როცა ყველაფერი ლამის წყალმა წაიღოს?

— მე შენ გეუბნები, ვინ მოგვცა ტყის ჩეხვის უფლება, ინეინერი ხარ და არ გესმის, არაგვი რომ ადიღდა, სწორედ იმიტომ, მთებში ტყეებია გაჩეხილი. ახლა შენი მიმატება-ლა აკლია?

გეჯაძე ისევ ჯეგბირზე ამობლდა და ბიჭები წააქეზა.

გაცოფებულმა ტარასიმ ისევ ჩამოაგდო ჯეგბირიდან ინეინერი.

— ვის ადგილში იჭრები, შენია ეს ადგილი თუ?

ახლა კი აიღწა გეჯაძე.

— რაო, სხვის ადგილში ვიჭრებო? შენ კი არ იჭრები სხვის ადგილში? არ გახსოვს, კოლმეურნეობის სათიბებში რომ ნაძვები დარგე და შეღობვა დააპირე?

— რომელ სათიბებში?

— კოლმეურნეობისაში. რა უფლება გქონდა, რომ შეიჭერ კოლმეურნეობის კუთვნილ მიწაში?

— მე არსად არ შევეჭრილვარ.

— მაშ, რომ უჩიოდი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, ნარგავები დამიგლიჯა და გადამიყარაო?

— ვინ თავმჯდომარეს?

— ვისა და გიორგი წიკლაურს.

მტყევე ცოტა მოტყდა, მაგრამ იმდენმა ნაკაფმა გააადთრა.

— შენ გზებს ნუ მიბლანდავ. გაანებე ახლავე თავი, თორემ დუშეთში წავალ.

— წადი, უსაქმური კაცი მუდამ მოცილილია.

— მე ვარ მოცილილი? ქვის ნატებს რომ გეძახიან, ვითომ მაგიტომ ჯიუტობ? ტყუილად დაურქმევიათ შენთვის ეგ სახელი. შენ ქვის ნატები კი არა, არ ვიცი რა გიწოდო...

— ნუ ყვირი, ტარასი!

— არ დაანებებ მაშ თავს?

— არა! — გეჯაძემ ლოდ აიღო და მტყევეს განცვიფრებისაგან წინ გამოშვერილ ხელებში ჩაუღო. ტარასიმ ინსტიქტურად სცადა ქვის ხელში დამაგრება, მაგრამ წაბარბაცდა და კინაღამ ფიჩხებში არ ჩაყო ცხვირი.

ინეინერმა ხარხარი ატეხა, ხოლო მტყევე შებრუნდა და თავქვე დაეშვა მუქარით.

— დუშეთში მიდის! — დაასკვნა გეჯაძემ და უკვე სანახევროდ ამოყვანილ ჯეგბირს დახედა. ისევ ზედ ამობლდა და მუშა გაგზავნა ფერდობზე.

— გვეყოფა ჯარჯი. ნულარ მოჭრიან, მოჭრილი კი აქ ჩამოზიდეთ და მოგვეხმარეთ. დეძალეთ უკვე, ტაფობზე თანდათან კლებულობს წყალი! არა, რა ეშმაკად ადიღდა? პატიოსნად, წყნარად მოდიოდა, თვალყუთუნა იყო, შიგ კალმახები ლივლივებდნენ, ნაროზაული ანკესებს ისროდა, ახლა ისიც ბოღმაზე იქნება გახეთქილი, თევზებს დახოცავდაო. არა, რა ეშმაკად მოებრიანა მოვარდნა?

ის-იყო ჯეგბირს ამთავრებდნენ, რომ ვილაცა ამოვიდა დუშეთიდან და ამბავი ამოიტანა: ქეიშითა და სილით დატვირთული მანქანები ჩარგალს ზემოთ არიან გაჩერებულნი, რადგან ორწყალთან ფშავის არაგვის ხიდი მოურყევიაო.

— ეგლა მაკლდა! — გაჯავრდა გეჯაძე, — წვიმა მინელდა და ხელიდანვე კარგი დარი დადგება. არაგვი მთის წყალი და მალე ჩამოჯდება. თუ მანქანები დროით არ მოვიდნენ, შეიძლება შეფერხდეს მუშაობა.

ინტენერმა თვალეზი დააცეცა და ერთ ახალგაზრდაზე შეაჩერა.

— სანდრო, ვილისი! უნდა გავიგო, რა დაემართა ხილს და მანქანებს.

შოფერი შეშფოთდა.

— რასა ბრძანებთ, ინტენერო. დათვისის წყალი გადარეული იქნება, ახლა ვილისს რა გაიყვანს შიგ?

— წაუსვლელობა არ იქნება, ფეხით კი სალამომდის ვერ ჩავალ...

და რადგან სანდრომ იცოდა გეჯაძის ხასიათი, გაკვირვებისაგან მხრები-ლა აიჩეჩა.

მანქანა პიტალოზე გაპირილ გზას მოპყვებოდა. ძირს კი გამშავებული არაგვი ქუხდა და გრგვინავდა. ნაპირზე აყრილი ხეები იწყებოდნენ ზვირთების გზიასზე. ლოდებს ერთმანეთზე გაპქონდათ ჯახუნნი. ხეობის გაყოლებით ცამდე აღიოდა წინწკლებად დამსხვრეული ტალღების მომწვანო-რუხი მტვერი და დორბლი ეფრქვეოდა ხეთა კენწეროებს.

გეჯაძე შეშფოთებული გაპყურებდა ძალამოპარბებულ სტიქიას.

დათვისის წყლის პირას შეფერხებული ტარასი დაინახა.

ინტენერი ღიმილითა და ზევით აწეული ხელით მიესალმა. სთხოვა: ჩაჯექი, დუშეთში წაგიყვანო, მაგრამ, რაკი ცოვი უარი მიიღო, შოფერს უბრძანა, წყალში შესულიყო.

შოფერმა მანქანა შეაჩერა და შეშფოთებით გახედა აღრიალებულ წყალს.

— შედი!

— ვერ შევალ.

— შედი!


— ვერ შევალ!

ინტენერმა გვერდზე გასწია შოფერო და თვითონ ამირებდა საჭესთან დაჯდომას, მაგრამ სანდრომ საჭე არ დაინება.

— წყალი გაგიყვებლია!

ინტენერმა ფერხეცვლილ შოფერს შეხედა და გაიღიმა.

— შედი, ნუ გეშინია, ბიჭო. ღრმა არ იქნება.

— შეიძლება ღრმა არ იყოს, მაგრამ, ხედავ? გეგონება, წისქვილის დაღრმის მიქანაობსო, ისეთი სიჩქარეა...


— აქ გაშლილია, ვილისი სწრაფია, ჩააგდე უკანასკნელ სიჩქარეში და გავალთ, თვლებს ზევით ვერც კი მოსწვდება წყალი.

— სიფრთხილეს თავი არა სტივია, ინტენერო!

— ერთ საათში მანქანებთან უნდა ვიყო, მასასადამე, შედი! გეხად ატარე, აგრე რამ შეგაშინა!

შოფერმა მუხრუქს ფეხი აუშვა და ვილისძაც იხვიით ჩაყვინთა წყალში. ჩაყვინთა, მაგრამ მაშინვე არაგვისკენ იბრუნა პირი, რადგან წყალმა ფაფარზე მოგდებული მორი დააჯახა წინა თვალს. გაღმა გასვლა შეუძლებელი გახდა, ნაპირზე ასვლაც არ მოხერხდებოდა, უკანიდან წყალი აწვებოდა, ხოლო წინ არაგვი ნთქავდა თავის ბნელ ხახაში დათვისის წყლის მღერეე ზვირთებს.

შოფერმა მანქანა დაამუხრუქა და შემდეგ უჯუსვლა დაიწყო, მაგრამ ახალი ტალღები წამოეძალნენ. ჩაქრა მოტორი და ნაპირზე გაშეშებულ ტარასის თვალეზი თითქოს წამოუცვივდა.

უცებ მეტყვევს ნათელმა აზრმა გაუშუქა სახე და მივარდა იქვე მეხით დაღწეული ტელეფონის ბოძს, რომელსაც დაწყვეტილი მავთულები ისევ ზედ ეკიდა. მას დასტაცა ხელი, ცალი წვერი წყლისპირზე მდგარ წიფელს მოახვია, მერე ჩაეშვა წყალში და სცადა მანქანის უკანა თვალში მავთულის მეორე წვერი გაეყარა. კარგახანს იცოდებოდა და სწორედ მაშინ მოახერხა განზრახულის შესრულება, როდესაც მანქანამ წინა თვლები არაგვიში წაყო. მეტყვევ აბარბაცდა წყალში და დაჯახებული ქვისაგან ფეხდათეთქვილი ძლიეს ამოზობდა ნაპირზე. სწორედ ამ დროს შოფერმაც გააღო თუ გამომტვრია მანქანის კარი და ცოცხალმკვდარი გეჯაძე ნაპირზე ამოათრია.

მას მუცელი და ფერდები დაუხილეს, ჩაყლაპული წყალი წამოაღერევივს,

ხელოვნური სუნთქვა დააწყებინეს და, როგორც იყო, გონზე მოიყვანეს.

გეგამემ თვალი გაახილა, კარგახანს ათვალერა თავზე წამომდგარნი და ბოლოს იცნო სახეები. მკირეხანს უცქირა დაღვრემილ შოფერს, მერე გაუღიმა და ტარასის თვალი ჩაუკრა. აიწია, რის ვაი-ვაგლახით წამოდგა. ფეხებზე გამაგრდა და განცვიფრებული მეტყვევის წინ ჯიბეებს დაუწყო ჩხრეკა, დღიური ან უბის წიგნაკი ხომ არ დამისველდაო. შემდეგ პიჯაკის ჯიბეებიც მოიქექა და წუთით შეაჩერა შიგ აფათურებული ხელი. სახე გაებადრა, წარბები დაეჭვიბა, თვალეზში მზე ჩაუდგა. სახარულისაგან ათრთოლებული ხელით ამოიღო ჯიბეში ჩალექილი ქვიშა და სილა, გაშალა მუკა, გადაქექ-გადმოქე-

ქა, მეორე ხელი ზედ ნაზად გადაუსვა და ალტაცებულმა წამოიძახა:

— სილა, სანდრო, ქვიშა! ტარასის ვხსენებ! —
— სილა, სანდრო, ქვიშა! ტარასის ვხსენებ! —
ლა შორს აღარ დაგვეკირდება სიარული. ბენზინიც დაიზოგება, მანქანაც და მუშახელიც. ქვიშა და სილა ცხვირწინ მოგვეტანა წყალმა მზამზარელად, — შემდეგ აკიხვინებულ არავცს გადახედა და ალერსით წაიდუღუნა:

— რაზე არ მოვარდებოდა ეს ტიალი.

შოფერი ტელეგრაფის ბოძივით იყო დარკობილი, ხოლო მეტყვევეს ფართოდ გაშალა ვეება ხელები და გაოგნებული ამბობდა:

— წყალმა კინალამ წირვა გამოუყვანა და ამან ლამის ალერსით ქეჩოზე აკოცოს. ქვის ნატეხია, მაშ რა ჯანდაბაა?

მხარან მაჭავარიანი

★

ღ ე ქ ს ე ბ ი

• •

ქუჩაში გავალ,
რომ თვალებმა დალიონ წყალი.
გავალ თუ არა,
მყის იკლავენ წყურვილს თვალები.
დედაქალაქში ზედმეტია ქათქათა მთვარის —
ქუჩებს სინათლედ ჰყოფნის შუქი ჩვენი ქალების.

ვთხოვთ მაპატიოთ ეს იაფი ჭათინაური,
(მე, რა თქმა უნდა, არ შემშგენის ასეთი რამე).
— შენთვის, ლეილა!
— შენთვის ლამარი!
— შენთვის, ნანული! —
ვინ იცის, თეთრად გათენდება რამდენი ღამე.

ვინ იცის, ვაჟი თუ რამდენი ოცნებობს თქვენზე,
თქვენ კი...
ვითომცდა არაფერი,
კისკისებთ ლალად...
რამდენ ყმაწვილკაცს აწერიანებს, ვინ იცის, ლექსებს
თქვენი სილამაზე ახლა.

აღერსიანი თვალი ჩემი იცინის ხშირად.
რაც მართალია, მართალია — სიცოცხლე მიყვარს;
კარგია ქუჩა,
მზე კარგია,
კარგია დილა,
ეს ყველაფერი თუ არ გიყვარს,
რა ხარ და ვინ ხარ!

იცოცხლეთ
ყველამ, ყველამ დიდხანს იცოცხლოთ მინდა!
მაგრამ ყველაზე უფრო მიყვარს მე თქვენში ერთი!
იგი ჩემს თვალწინ შუქივით იდგა,
ამ ლექსს რომ ვწერდი.

იგი არც ისე ლამაზია. მაგრამ კარგია
და, რაც ყველაზე მთავარია,
მე მიყვარს იგი.

• •

მე გამოვდივარ.
 დღის ბოლოა.
 სრულდება ექვსი.
 ფართო ქუჩაში ჩვეულებრივ მოძრაობს ხალხი.
 გულუხვად ბარდნის.
 ბელურა კენესის.
 მე მოვაბიჯებ გაშლილი სახით.

დაგინახავ და...
 გაზაფხული მყარდება ირგვლივ.
 შუა ზამთარში მესმის ხოლმე შრიალი ხეთა.
~~რაც მართალია, მართალია — გულწრფელად მიკვირს,~~
 ყველა ჩემსავით რომ არ ღელავს, შენ როცა გხედავს.

• •

გიმზერ, ვითარცა უმზერენ შორეთს...
 ვფიქრობ:
 ხარ ჩემთვის რამხელა დარდი!
 კიდევ კარგი, რომ არ იცი, თორემ
 ასეთ სიმძიმეს ვერ აიტანდი.



გაგაფხულის წინ

დაბლა დაეშვა თოვლი ლანჩქერად,
თეთრი ჩანჩქერი ხეებს ჩაუდით,
ჩის ძირში იის თვალთა გახელა
შეგვატყობინა ზეცამ სალუტით.

გზადაბნეული ღრუბელი მიდის,
კლდე შემურულა ნისლის თებოთი.
ამ ერთ რიზიან დაქუხებისთვის,
მეხო, რამდენხანს ეშნადებოდი!

ორი ხატება

ამაყად დამდგარ ხეობებს მიღმა
წყვილი მიჰყვება აქოჩრილ ფერდობს.
მათი აჩრდილი ნაკადულს მიჰყავს
და ნინო მიჰყავს თვით გრიბოდოვს.

შეშხეფებათ წმინდა რუს წვეთი,
მიდიან ახლა იქნებ სათემოდ;
ერთი ძლიერი, როგორც რუსეთი,
მეორე ტურფა, ვით საქართველო.

ეთამაშებათ ტოტები თხილის,
ნინო ხეივნის ჩრდილებში შედგა
და მის თვალებში ჰკავლივით ღვივის
სილამაზისგან შობილი სევედა.

ჩანს ელვის დარად ნაკრთომი სრული,
თმა დაუნამა ფოთლების შხეფმა.
ალბათ რამდენი ვაჟკაცის გული
მის სიახლოვეს ჩამოიფერფლა.

გზას მიჰყვებიან, ყვავილთა თოვას,
ჩამოათავეს ერთი ფერდობი,
ნინოს თვალებში ჩაწერილ ტრფობას
ლეღვით კითხულობს გრიბოდოვი...

რა მოკლე იყო მათი აღერსი,
რა ღრუბლიანი, რა შავდლიანი,
მაგრამ მთაწმინდის მყუდრო ღამეში
ისევ გრძელდება მათი ტრფიალი.



წინანდლის ღამეები

ღამეა მშვიდი, წინანდალში ვარ,
 ვწევარ მეგობრის ვრცელ აივანზე.
 შემომხვევია ფოთოლოთ არშია
 და მთები მუქად ჩამოირაზმნენ.

ცა დაფარფატებს ვარსკვლავდისხმული,
 ჩამიშხუილებს ყურთან ღამურა.
 ვწევარ გულალმა ფიქრში წასული
 და წარსულ დღეთა ჩრდილი მახურავს.

შორიდან ხეთა შტოები მიხმობს;
 ფოთლის ლაშქართან კამათობს ქარი.
 მე ვფიქრობ, ვფიქრობ და ისევ ვფიქრობ,
 ღამე ფიქრების სამშობლო არი.

მაგრამ თენდება, სტივიკრთის მთებში,
 მზე თვით შებმულა ქვეყნის უღელში.
 წუხელ ვიყავი მეცხრაშეტეში.
 აღვდემ მეოცე საუკუნეში.

ნოღარ შაბანაძე



დ ე დ ა

დედა მიყვარსო, რომ უთხრა ვისმე,
შემოგხედავს და დაიწყებს სიცილს,
რადგან ეს არის ცნობილი ისე,
რომ უთქმელადაც სუყველამ იცის.

დედამ მაჩუქა ქვეყნად სიცოცხლე,
ჩაუშქრალ ცეცხლით გამოითხო მკერდი,
როს არაფერი არა ვიცოდი,
მე სიყვარული ვიცოდი დედის.

არ ვიფიცებდი დედას მართალზეც,
მასთან სიკედლის სხენება მძულდა,
მსურდა ეცოცხლა მრავალ ათას წელს,
უკვდავების წყალს ენატრობდი მუღამ.

დედის სიტყვები გულს ჩამრჩენია,
მისი ნათელით ახლაც ფრთასა ეშლი,
სამშობლო ჩემს თავს რომ მიჩრჩენია,
დედასაც უღვევს წილი ამაში.

დავალ, გულში დარდს როგორ გავივლებ
გახარებული და მხრებგაშლილი,
რომ მეტკინება ახლაც რაიმე,
— მიშველე, დედაე! — ეამბობ ბავშვივით.

თუმც წლებმა დედის სახე დაღარა,
მზიან თვლებში არა ბნელდება,
მეც შემებარა თითქოს ქაღარა,
ისე მწარედ ვგრძნობ მის გათეთრებას.

როცა მასთან ვარ, ეგავარ გოლიათს,
დედით ეხარობ და დედით ემხნევედები,—
დედასთან თავი ბავშვი მგონია,
სანამ დედა მყავს, არ დავბერდები.



ძმები წარწერა

იმ დღეს საქართველო თითქოს სამ-
გორის ველზე დასახლდაო. ყოველი
მხრიდან ჩამოსული ხალხი მდინარის
ტოტებივით ერთვოდა ხრიოკ ტაფობს.
იორი კი ჯერ გზაში იყო. ხალხი ელო-
დებოდა მდინარეს, როგორც ბაქშევას
დაბადებას.

ახლაც ბევრს ემახსოვრება ის წუ-
თები—ზოგს დოლ-გარმონის ხმა, ზოგს
საგანგებოდ აგებულ ესტრადაზე ასული
მოცეკვავენი, ზოგს დაბლა ჩამოსული
თვითმფრინავი, საიდანაც კინოოპერა-
ტორი ზეიმის სურათებს აღბეჭდავდა
შემდგომი თაობებისათვის. მაგრამ ახ-
სოვს თუ არა ვინმეს ერთი ხანში შესუ-
ლი, მშით დამწვარი მუშა, რომელიც
სირცხვილმაც დასწვა და თვალი ვეღარ
გაუსწორა მოზეიმეთ?



აღმოსავლეთით, მოტიტვლებულ ზე-
განზე, შავი, მოძრავი წერტილები გა-
მოჩნდნენ. პირველად არავინ მიაქცია
ყურადღება, მაგრამ როცა ეს წერტი-
ლები ადამიანებად გადაიქცნენ, როცა
ამ ადამიანებში მოკლეშარვლიანი ბი-
ჭუნები იცნეს, ხალხი ახმაურდა და არ-
ხის ნაპირს მიაწვდა.

ბიჭუნებიც არხის ნაპირებს მოსდევ-
დნენ, ყვირას სცემდნენ, ხან ჩაცუცქ-
დებოდნენ და არხისკენ კისრებს იწვდა-
დნენ. რალაცას გაპყვიროდნენ, მაგრამ
არ ისმოდა; ალბათ იმავე სიტყვებს, რაც
ყველამ წარმოთქვა მაშინ: „იორი მო-
დის!“.

გამოჩნდა წყალი. მოჩხრიალებდა, ბე-
ტონის ფსკერს ელამუნებოდა, თანდა-
თან მატულობდა. არხის ორივე ნაპარზე
ჩამწკრივებულიყო ხალხი, შუაში იორი
მოდიოდა, როგორც საპატო სტუმა-

რი. ტაშისცემამ გააყრუა სამგორი. ყვა-
ვილებს ესროდნენ მდინარეს.

ვილაცამ მკლავში წამელო ხელი და
იმ წუთშივე გამიშვა. მოვიხედე. ჩემს
გვერდით იდგა მზით დამწვარი, ხანში
შესული ვაჟკაცი. მას ნოჭებით დახა-
ზული, დიდი ფიზიკური ძალის მანიშ-
ნებელი სახე ჰქონდა. ახალგაზრციხილი,
გაუთოებული, მაგრამ კირისა და ცე-
მენტის ნაკვალევი ხალათ-შარვალი ეც-
ვა. მუშა იყო, შეიძლება თვით ამ არხის
მშენებელიც.

— ხედავთ ქაფჩას? — წარმოთქვა მან
და თითი წყლისკენ გაიშვირა. — ხე-
დავთ? წყალს მოუტაცია.

მაშინვე გაიძრო ყელიანი ფესხაცქე-
ლები და არხის ფერდობს ჩაჰყვა. საწამ
წყალში ჩადგებოდა, შარვლის ტოტები
და ხალათის სახელოები დაიკაპიჭა.
თვალი გავაყოლე და მართლაც დავინა-
ხე ქაფჩა. წყალს აეტიტივებინა, ხან
ჩასძირავდა, ხან მალლა ამოაყოფინებდა
ტარს. ალბათ, მუშაობის შემდეგ ვინმე
კალატოზს დარჩა. დღეები და ღამეები
გაატარა დაკარგულმა ხელსაწყომ არხის
ფსკერზე, ახლა კი წყალმა დაითრია და
მთა-გორები გადმოატარა.

მუშა წყალს დაედევნა, ქაფჩას დაე-
წია, დაიხარა, მაგრამ ხელი კარგად ვერ
მოავლო და გაუსხლტა. ქაფჩა ფეხით
დაიჭირა. წყალმა უფრო იმატა, მუშამაც
უფრო მეტად დაიმკლავა სახელო. წყალ-
ში ჩაჰყო ხელი და ტერფით შეკავე-
ბული ქაფჩა ზევით ამოიღო. ის ნამდევ-
ლი მუშაკაცი იყო. ჩანდა: დაეანგული
ხელსაწყოსთვის ვინ შეიწუხებდა თავს?
ნელ-ნელა ამოჰყვა არხის ფერდობს,
თანდათან ამოიზიდა, თავზე დამადგა და
სველი ქაფჩა პაერში გააქნია, „კიდევ

გამოდგება“, ჩაილაპარაკა და მიწაზე დააგდო. მერე თვითონაც მიწაზე დაჯდა. ილიმებოდა, კმაყოფილი იყო, თითქოს აღმანი ვადაარჩინა დახრჩობასო. თავის ფეხსაცმელს მისწვდა და ჩაცმა დაიწყო.

უეცრად ფეხსაცმლის თასმას გველნაკებნივით ხელი გაუშვა და ფართო ხელისგული მარცხენა მკლავზე წაიტანა. მაშინვე მალა ამოიხედა, დამნაშავეს თვალებით შემომხედა. რატომ და რისთვის, ვერ მივხვდი, გოაცებული დავრჩი. თავი ჩაღუნა, მიწისკენ გადაიხნიჭა, უფრო დამალა მარცხენა ხელი, თითები არც შეუშვია, ისე წააქურა მალა-მალა, საჩვენებელი თითით მისწვდა დამკლავებულ სახელოს და ნელ-ნელა ჩამოკეცა. მაშინ მოვკარი თვალი: მარცხენა ხელი მოსვირინდებული ჰქონდა მუქი ლურჯი მელნით. ჯერ ცალკეული ასოები გავარჩიე, მერე კი მთლიანად ამოვიკითხე: „ცხოვრება უბედურებაა“, ეწერა მკლავზე. წარწერა სახსართან იწყებოდა და იქ თავდებოდა, სადაც მაჯა სცემს.

სახელო ჩამოიკეცა, წამოდგა, თავი

არ აუწევია, ისე დაიკარგა ხალხში. ქაფჩა დაავიწყდა.

ვინ იცის, იქნებ პატარაობისას ქუჩის მანანწალაც იყო ეს ბრგე ვაჟაკი, იქნებ მისმა მამონდელმა მეგობრებმა შეამკეს ამ წარწერით. შეიძლება ოდესღაც დედამამა გარდაეცვალა, ბავშვი უპატრონოდ დარჩა და იფიქრა — ცხოვრება უბედურება ყოფილა, იქნებ მისმა ბექებმა ციხის სინესტიც იგემა ძველად. ასე იყო თუ ისე, გაიზარდა, ახალ ცხოვრებას მოესწრო და, ალბათ, პირველად მაშინ შეარცხინა იმ წარწერამ. რა ექნა, რა მისი ბრალი იყო, განა თვითონ ისევ სჯეროდა იმ სიტყვებისა? მაგრამ უჩვენებოდა, თითქოს ლაპარაკობდა მკლავი, და ეს ლაპარაკი ყველას ესმოდა. ბევრი ეცადა, წავშალა წარწერა, მაგრამ შეუძლებელი ვერ შეძლო. მერე და მერე, ალბათ, ბევრჯერ დაუფარავს თავისი ფართო ხელისგულით ეს სიტყვები, როცა ასეთი ზემოების მონაწილე ყოფილა, როცა ბედნიერ წუთებს განიცდიდა...

და, ვინ იცის, კიდევ რამდენჯერ მოუხდება მისი დაფარვა.

სამგორელი ბიჭუნები

ალექსანდრეს ზურგი ფანჯრისაკენ შეეჭკია, წინ და უკან დადიოდა ფუნჯით ხელში და, თითქოს დაწუნებას უპირებდსო, ყოველ მხრიდან ათვალიერებდა დიდ ჩარჩოში ჩასმულ, ახლახან დამთავრებულ სურათს. მის გვერდით პატარა ნუგზარი დამდგარიყო და ჩრდილივით იმეორებდა მამის მოძრაობებს.

— უპ, რამდენი ბავშვია, ნეტავ ჩვენს ეზოში ცხოვრობდნენ, — ტიტტიკებდა ნუგზარი, — ბაღში გადაპარვა უნდათ, არა, მამი? მებაღისა ეშინიათ, არა?

— იქნებ მართლაც უნდათ ბაღში გადაპარვა, რა ვიცო, მე ხომ არ მერტყვიან? — გაიღიმა ალექსანდრემ.

— ეს ვინ არის? — წამოიყვირა უეცრად თვალეზანთებულმა ნუგზარმა, — მე დამხატე, მამი?

ალექსანდრემ სურათს შეხედა, ტი-

ლოზე დახატული პატარა ბიჭუნა მართლაც ჰგავდა თავის შვილს.

— მერე-და გრძელი შარვლით რატომ დამხატე?! — აბუზღუნდა ნუგზარი, — როგორც მაცვია, ისე დამხატე, მამი!

— ამ სურათში შენ უფრო დიდი ბიჭი ხარ, ვიდრე სინამდვილეში, ამიტომ მოკლე შარვალი გაგხადე და გრძელი ჩაგაცვი, — ანგარიში გაუწია ალექსანდრემ შვილის შენიშვნას. ნუგზარი დაამშვიდა ამ პასუხმა და ახლა სურათის მარცხენა მხარეს დაუწყო თვალიერება.

— აგერ, კიდევ ბავშვები... წუწიობენ: ამდენს მპირდები და ერთხელ მაინც წამიყვანე სამგორის ზღვაზე, რა იქნება?!

— წაგიყვან, შვილო, სულ მალე წა-

გიყვან, — ღიმილით წარმოთქვა მხატვარმა.

— მაიკო, მაიკო, აქამდე რატომ არ ხატავდი ბავშვებს? — არ ეშვებოდა ნუგზარი.

— ვხატავდი, — თავისთვის წარმოთქვა ალექსანდრემ, ფერები შეაზავა და „ბალის“ სიღრმეში კიდევ ერთი ხე ჩადგა, მერე თვალმოუცილებლად გაწოროდა სურათს. ნუგზარი აედევნა.

— თუ ხატავდი, მიჩვენე, მაი!

— შენაჲლი მაქვს, საღამოს მოვიცლი და მოვნახავ.

— არა, არა, მაი, საღამოს ხომ დედა დამაძინებს. ახლა მიჩვენე, თუ გიყვარვარ.

ალექსანდრემ ფუნჯი განზე დაღო და შეიღს უთხრა:

— აბა, წამო, ერთად მოვძებნოთ.

ალექსანდრემ ოთახის კუთხეში მოთავსებული გრძელი და მაღალი ყუთიდან ნიკაბჩამოტეხილი თიხის ქანდაკება გადმოიღო, ურდულს თითები ამოსდო და ყუთს სახურავი ახადა. მზის სხივებმა იმწუთშივე გამოაშკარავა პაერში აპრილი მტვერი. ალექსანდრემ ყუთში ჩაიხედა.

რა უცნაურია, სულ აღარ ახსოვდა აი, იმ მოხეტის სურათი, გულაღმა რომ შეჰყურებს ქერს, არც „მეთუნეშეთა სახელოსნო“, არც „კონკა თბილისის ქუჩაში“. რამდენი ხანია, არ გაუხსნია ეს ყუთი. ესკიზები, დაუმთავრებელი ეტიუდები, ნატურმორტები, მგზავრობის შთაბეჭდილებებით შევსებული ალბომები, ახალგაზრდა მხატვრის პირველი ნამუშევრები, — ყველაფერი აქ იყო ჩაკეტილი.

ალექსანდრე სათითაოდ ათვალიერებდა სურათებს და იატაკზე ალაგებდა. ყავისფერყდიან ალბომს დაეძებდა, იქ ჰქონდა ჩახატული ბავშვთა სახეები. საბავშვო მოთხრობების კრებულისთვის ამზადებდა ილუსტრაციებს, კარგად აღარც ახსოვს, როდის იყო ეს. ნუგზარი იატაკზე დალაგებულ სურათებს

ხელახლა იღებდა და თავისებურ ახსნა-განმარტებას აძლევდა:

— მაი, ამ სურათს რა აწერია?

ალექსანდრეს წარწერაზე არც დაუხედავს, ისე უპასუხა:

— „გოლოვინის პროსპექტი“.

— რომელი?

— „გოლოვინის პროსპექტი“, აი, დედა ტასო რომ ცნობრობს, ის ქუჩა.

— ის ხომ რუსთაველის პროსპექტია?!

— ჰო, წინათ ასე უწოდებდნენ.

— მერე რუსთაველის პროსპექტი ასეთია? — ნიშნის მოგებით წარმოთქვა ნუგზარმა და დიდი კაცით ჩაიქნია ხელი, თითქოს მამას ეუბნებოდა, არაფერი არ გცოდნიაო. მერე ახალი სურათი დათორია და განაგრძო — უჰ, რამდენი ვაშლი, მსხალი და ყურძენი ხატია. მანდარინები და ღიმილები რატომ არ არი? დაატვა არ იცოდი, მაი?

ალექსანდრემ, როგორც იქნა, მონახა ყავისფერყდიანი ალბომი, შეიღი მუხლებზე დაისვა და ალბომი გადაუშალა. ფურცლები საესე იყო ბავშვების პროფილებით, მერე რამდენიმე გვერდზე შედიხედ ესხატა მხოლოდ ჩტირალი გოგონები, აი, მიწაზე დავარდნილი სახე-ღარი, რომელსაც, გარემო ტანისამოს-შემოფლეთილი ბავშვები შემოხვეოდნენ, ეს, ალბათ, „მაგდანას ლურჯაა“. თავზე ქოთანჩამოკმული გოგონა კი „ქაჯანას“ ილუსტრაცია უნდა იყოს. ნუგზარი გაფაციცებით ათვალიერებდა ალბომს და ერთი გვერდის გამოტოვებასაც არ აპირებდა. უცებ ალბომიდან ფოტოგრაფიული სურათი გადმოცურდა და იატაკზე დავარდა. ალექსანდრემ სურათი აიღო — სამოქალაქო ომის დროინდელ სამხედრო ფორმაში გამოწყობილ წითელარმიელს მუხლებზე პატარა ბიჭუნა დაესვა და მისთვის გრძელყურებიანი, ძაბრა-ქული დაეხურა.

— ვინ არიან? — გაიოცა ნუგზარმა — ალბომშიც გადავიხატავს, ვინ არიან, მაი?

ალექსანდრე უჩვეულოდ გაბრწყინებული სახით დაჰყურებდა ფოტოსუ-

რათს, რომლის კუთხეში წვრილი, გაკრული ხელით ეწერა: „ტფილისი, 25 თებერვალი, 1921 წ.“ ბუნდოვნად ახსოვს ალექსანდრეს ის დღე; ვილაც სამხედრო კაცმა შემოაღო კარი, დედა ჯერ გაშეშებული უყურებდა, მერე გაჭანდა და კისერზე ჩამოეკიდა. დიდხანს იყვნენ ასე ჩახვეულები, სანამ კუთხეში ატუზული პატარა ალექსანდრეს სლოკინი არ შემოესმათ. მაშინ იმ სამხედრომ ბავშვი აიტაცა და ჩაკოცნა. ასე ვაიციან ალექსანდრემ თავისი მამა, რომელიც მანამდე მხოლოდ წერილებს გზავნიდა წითელი არმიის რიგებიდან.

საღებავით შესვრილი საჩვენებელი თითი ალექსანდრემ ფოტოსურათს დააღლა:

— ეს კაცი შენი პაპაა, ნუგზარ... ეს ბიჭი კი მე ვარ.

— შენ, მამი? ასეთი პატარა?! — გადაიკისკისა ნუგზარმა, მაგრამ კვლავ აბუზღუნდა: — მერე მოკლე შარვალი რად გაცვია? შე გრძელი შარვლით დამხატე, შენ კი მოკლე გაცვია, არ შინდა, ნახე, თუ დედას არ ვუჩვენო, — ნუგზარმა სურათი დაითრია, სასრიალოსავით ჩამოჰყვა მამის ფეხს და გარეთ გავარდა.

ალექსანდრე მოგონებიდან გამოერკვა, ძველი სურათები და ალბომი ისევ ყუთში ჩაჰკეტა, თავი მდლა ასწია და უნებურად გაელიმა: საღამოს მზის სხივებში უფრო მომხიბლავი ჩანდა თავისი აბაღლამთაფრებული ტილო: „სამგორელი ბიჭუნები“.



მნი ნოველა

დაბრუნდა

უცნობი ბაყალთან შევიდა. გარეგნობაზე ეტყობოდა, რომ მრავალი წლის მანძილზე ამ არემარეში არ ყოფილიყო და ახლად დაბრუნებულს უნდოდა მოენახულებინა თავისი ძველი ნაცნობები, რომელთაც მისი ნახვა გაახარებდა.

ტვირთი მხრებიდან ჩამოიღო და იქვე კედელთან ფრთხილად დადო. დახლზე იდაყვით დაეყრდნო, წვერებზე ხელი გადაისვა და გამყიდველს ეშმაკურად გაუღიმა. გამყიდველმაც არ დააყოვნა და ღმილითვე უპასუხა.

— გამარჯობა! — უთხრა ბაყალმა.

— გაგიმარჯოს!

სინუშე ჩამოვიარდა.

— კარგი დღეა, — თქვა ბაყალმა.

— ჰო, კარგი დღეა.

კვლავ სინუშე.

— რითი შემიძლია გემსახუროთ?

— აი, რითი... მოხუცს გადაეცით, რომ ერთ ყმაწვილს სურს თქვენთან ლაპარაკი-თქო.

— მოხუცს? რომელ მოხუცს?

— ჰეიკზე გეუბნებით, ბებერ ჰეიკზე. შინ არ არის?

ბაყალს გაეღიმა.

— ჰეიკი აქ აღარ არის. აქ მე ვარ.

— ეს როგორ?

— აგერ, ათი წელია, რაც ეს დეჰანი მე მომიყიდა.

— რა გაეწყობა. ალბათ ვნახავ აქ სადმე, ქალაქში.

— არა მგონია იპოვოთ. ყველაფერი რომ მიყიდ-მოყიდა, ავსტრალიიდან წავიდა. ის უკვე... მოკვდა.

— ბენ ჰეიკი მოკვდა?!

— ჰო, ჩანს თქვენ მას იცნობდით? მოსულმა იმედი დაჰკარგა. მხარი

შეინაცვლა და ახლა მეორე იდაყვით დაეყრდნო დახლს, კარებიდან დასავლეთის გზას გახედა.

— ნახევარი გირვანქა თუთუნის მომეცით! — თქვა მან მშვიდად, — ახალგაზრდა ჰეიკი ხომ მაინც არის ქალაქში!

— არა, მთელი ოჯახი აიყარა აქედან. მგონია, ერთ-ერთი ვაჟი ახლა სიდნეიში ვაჭრობს.

— იმედი მაქვს, მალაქლენსები ჯერ კიდევ აქ იქნებიან?

— არა, არც ისინი არიან. ბებრები ხუთი წლის წინათ დაიხოცნენ. ვაჟები, თუ არა ვცდები, ქუინსლენდში არიან. ორივე ქალიშვილი კი გათხოვდა და ახლა ისინი სიდნეიში ცხოვრობენ.

— მაშ ასე... რკინიგზა გაიყვანიათ აქ.

— დიახ, უკვე ექვსი წელიწადი იქნება.

— დრო იცვლება.

— მართლაც.

— მე ვფიქრობ... იქნებ ის მაინც მოთხრათ, მოხუც ჯიმ ნაულეტს სად ვნახავ?

— ჯიმ ნაულეტს? ჯიმი ნაულეტი... ეს სახელი არასოდეს არ გამიგონია. რას აკეთებდა?

— მეურნე იყო, ხარ-ურემს ეკილა სანამ რკინიგზას გაიყვანდნენ, ამ მთებზე გადადიოდა და გაღმოდოდა.

— ალბათ ჩემს მოსვლამდის. ამჟამად ახლო-მახლო ამ გვარისა არაფერ არის.

— ეეჰ... ვინ იცის, დაგნსების ოჯახს თქვენ არც კი იცნობდით.

— როგორ არა, ვიცნობდი. ბებერი მოკვდა, ოჯახი კი აქედან აიყარა და ღმერთმა იცის, სად გადასახლდა. ყო-

ველშემთხვევაში, არც თუ ისე დიდი დანაკლისია მათი წასვლა. ბიჭები დიდ გასაქირში ჩაცვივდნენ. ცხოვრება ცუდად დაამთავრეს. მათზე აქ ცუდი ხმები დადიოდა.

— ნუთუ? ისე კი კეთილი ადამიანები იყვნენ, მაღაქი დაგენსი და მისი უფროსი ვაჟი მაინც... მომეცით კიდეც ორი გირვანქა შაქარი.

— კეთილი. გეტყობათ, რომ დიდი ხანია, აქ არა ყოფილხართ?

— თხუთმეტი წელიწადია.

— უჰ!

— დიახ... ხომ არ გაგონებო შე ისეთ უინმეს, რომელსაც თქვენ აქ ხვდებოდით ხოლმე?

— არა, — თქვა ბაყალმა ღიმილით, — შე ამას ვერ ვიტყვი.

— ეეჰ, კარგი, შე მგონი უაილდების ოჯახს მაინც ვიპოვნი იქ, სადაც ისინი აღრე ცხოვრობდნენ?

— უაილდები? არა, მოხუცი მოკვდა და...

— ჯიმი, ჯიმი სადღა? ნუთუ მოკვდა?

— არა... ის დაქორწინდა და, სიღნეოში მოეწყო.

კარგა ხანს ხმა არც ერთს არ ამოუღია.

— ხომ არ იტყვიან... ყოყმანით დაიწყეს, — ხომ ვერ მეტყვიან თქვენ... მერი უაილდს ხომ არ იცნობდით?

— მერის? — ღიმილით განიმეორა ბაყალმა, — უაილდი ჩემი ცოლის გვარია. ხომ არ გინდათ გაჩვენოთ?

— არა, არა! მას იქნებ აღარც კი ვახსოვარ!

უცნობმა სწრაფად გასწია თავის ტვირთისაკენ და იგი მხრებზე გადაიტანა.

— ახლა კი დროა, გზას გავუღებ.

— ალბათ შობამდე აქ დარჩებით.

— არა, რისთვისღა დავრჩე, აქ რა დამარჩენია? წავფრთავი, განვგარძობ გზას. მართალი გითხრათ, შობისათვის აქ ყოფნას ვაპირებდი. ეს გრძელი გზა განგებ გამოვიარე... მეგონა, ბებერ ჰეიკთან ერთად კიდეც გავატარებდი შობა-დღეს და ბიჭებთან ცოტახანს შევისვენებდი, მაგრამ რა ვიცოდი, თუ ასე შორს იყვნენ გადაკარგულნი. ჯუნგლების ძველი მკვიდრნი თანდათან იხოვებიან.

უცნობს თვალები უღიმოდა, მაგრამ წვერულვაშში ჩამალული ტუჩები ოდნავ უფრო დიდნენ.

— სხვა დრო დადგა... აი, ეს ძველი მესერი შე, ბენ ჰეიკმა და ჯიმი ნაულეტმა გავაღვეთ ოცი წლის წინათ. მას შემდეგ ბევრი ვიმოგზაურე და ვინეტიალე. მაგრამ ახლა სხვა დროა, ადამიანები შეცვლილან... რა გაეწყობა, უნდა წავიდე. აქ შე ალართერი მკაეებს. ისევე გზა უნდა განვგარძო და გავწიო, ვინ იცის, საით? დამით უფრო გრილა.

— დიახ, დღეს საკმაოდ ცხელოდა.

— ჰო. ნახვამის!

— გზა მშვიდობისა. მხიარულ შობას გისურვებთ.

— ჰა? რას? ჰო, ეჰ! თქვენც ასევე გისურვებთ. მშვიდობით.

— გზა მშვიდობისა.

უცნობი გავიდა და დასაველეთის გზით წალასდა.

არვი მხინოლის მღვრიქარა

ერთ-ერთ ყოველდღიურ გაზეთში დაიბეჭდა შენიშვნა იმის შესახებ, რომ კონსტებლმა ერთ წვიმიან დილას ოთხ საათზე ძმების გრაინდერების ფაბრიკის კბეებზე მძინარე ბავშვი იპოვნა. მან იგი გააღვიძა და გამოკითხვა დაუწყო. ბიჭმა აუხსნა, რომ ის აქ მუშაობდა და იმის შიშით, რომ არ დაგვიანებოდა,

ოთხ საათზე ამღვარიყო. ჰგონებოდა, დამაგვიანდაო. დედამისის გაღვიძება არ უნდოდა და, რადგან საათი არ ჰქონდათ, დრო ვერ გაიგო. საერთოდ, დროს როგორ იგებდა დედამისი, ეს აღარ უთქვამს. ალბათ, როგორც პატარებს ჩვევიათ, დედის სიბრძნის უსაზღვროების დიდი რწმენა ჰქონდა. მას არვი ეს-

პინოლს უწოდებდნენ, ცხოვრობდა ჯონს ელიში. მამა არა ჰყავდა.

კონსტებლმა შეშინებულ ბავშვს აბგა გაუჩხრიკა და შიგ სუფთა ხელსახოცში გახვეული ორი-სამი ნაჭერი პური უბოვნა.

რამდენიმე დღის შემდეგ იმავე გახეთს ჰქონდა ბედნიერება, გამოექვეყნებინა ცნობა ბოლო ნომერში დაბეჭდილ „ამაღლელებელ შემთხვევაზე“, რომ მაღალი საზოგადოების ქალს ფულის შეგროვება დაუწყია თავის მეგობრებს შორის და განუზრახავს მალეძარა საათი ეყიდა იმ პატარა ბიჭისათვის რომელიც ძმების გრანდერების ფაბრიკის კიბეებზე მძინარე ნახეს.

მოგვიანებით ამავე შემთხვევის გამო პრესაში შენიშნავდნენ, რომ მალეძარა იყიდეს და ბავშვის დედას გადასცეს. აღნიშნული იყო ისიც, ვითომც დედა მალეძარის გამოსახატავად სიტყვებს ვერ პოულობდა. სხვა წყაროებიდან გაიგეს, რომ ეს უქანასკნელი ცნობა მეტად გაზვიადებული არისო. შემდეგს ნომერში ეს „ამაღლელებელი შემთხვევა“ დასრულებული იყო, რაც ეპქს ბადებდა, რომ ეს მაღალი საზოგადოების ქველმოქმედი ქალი სხვა არაფერ იყო, თუ არა ძმების გრანდერების ოჯახის მომხიბვლელი და მაღალგანათლებული წევრი.



გათენდა საალღომო არდადეგების უქანასკნელი დღე. მთელი ამ წნის განმავლობაში პატარა არეი ესპინოლი ავადმყოფობდა და ლოჯინში იწვა. გაციებას ყელის ხუთვა დართოვდა.

საღამოს ცხრა საათი იყო. ამ დროს ჯონს ელიში დიდი საქმიანობა იყო გაჩაღებული.

— დედა, მე ახლა არამიშავს-რა, უკეთა ვარ. — თქვა არეიმ.

რამდენიმე წუთს ისე ახველებდა, რომ ლაპარაკიც ვეღარ შესძლო. როცა სული მოითქვა, ამოიღულღულა:

— როგორც არ უნდა ვიყო, ხვალ

სამუშაოზე მიინც წავალ. დედა, მომე მალეძარა.

— გეუბნები, შენი წასვლა არ შეიძლება-მითქი. თავი ხომ არ გინდა შეაჯლა!

— დედა, ამაზე ლაპარაკი არა ღირს. აბა, შიმშილით ხომ არ დავიხოცებით? მომეცი მალეძარა!

— ბავშვს ვაგვზავნი, დავაბარებ რომ ავადა ხარ. ერთი-ორი დღით მიინც გაგათავისუფლებენ.

— არა, დედა, არაფერი გამოვა. ისინი არც გამათავისუფლებენ და არც ადგილს შემიწახავენ. მე მათ კარგად ვიცნობ. ჩემს ავადმყოფობას ძმები გრანდერები რას დაეძებენ? დედა, მომე ეგ მალეძარა.

დედამ მისცა საათი. არეიმ საათი მომართა და ზარის ისარი გარკვეულ ადგილას დააყენა.

— მგონი ზარს რალაცა გაუფუქდა, — ჩაიბუტბუტა მან. — მეორე ლამეა, რაც კარგად არ მუშაობს. მაგრამ მე მიინც ვცდრ. ხუთ საათზე დავაყენებ. დრო ჩასაცემელადაც მეყოფა და სამუშაოზეც აღრე გამოვცხადებ. ნეტე ახლოს მიინც მქონდეს სამუშაო! — ინატრა ბავშვმა.

საათის ციფერბლატს დააკვირდა და იქვე ამოჭრილი წარწერა ამოიკითხა:

თუ გინდა იყო ბრძენი, განმრთლო და შეიძინო უფი ქონება, აღრე დაწეი, აღრე აღეი... გახსოვდეს მუდამ ეს შეგონება.

ამ ლექსს ის წინათ ხშირად კითხულობდა და ძალიანაც მოსწონდა, ისე იმეორებდა ხოლმე, რომ მის აზრს არც კი დაჰკვირვებია. არვის ფიქრადაც არ მოსვლია, რომ ნაბეჭდ სიტყვებში რაიმე ეჭვის შეტანა შეიძლებოდა. მაგრამ ახლა ამ სიტყვების შინაარსს კარგად დაუკვირდა. ლექსი მალე დაიზეპირა და ხმამაღლა წაიკითხა. მერე ერთხელ კიდევ დაუფიქრდა, თავის გონებაში რამდენჯერმე გაიმეორა და მოულოდნელად წამოიძახა:

— დედა, ეს სიცრუეა! — ბავშვს სახეზე აღმფოთება გამოეხატა.

დედამ ბავშვის საათი გამოართვა, დივანზე გაშლილი ლოგინი შეუსწორა და სინათლე ჩააქრო.

არვის თითქოს ჩაეძინა. დედას ნაღველი შემოსწოლოდა გულზე და ძილი არ ეკარებოდა. გაიხსენა ქმარი, ერთ დღეს შინ სამუშაოდან შეკვდარი რომ მოიტანეს. ფიქრობდა თავის უფროს ვაჟზე, ციხიდან ახლახან რომ გამოვიდა და ცხოვრებას დედის ხარჯზე ფიქრობდა. მეორე ვაჟმა ოჯახი სხვა ქალაქში შექმნა და, რა თქმა უნდა, დედა ვიღას ახსოვს. პატარა, სუსტი არვი კი თავის უკანასკნელ ძალას არ იშურებდა და ძმათა გრანდერების ფაბრიკას ალევდა ღონეს, მაშინ, როდესაც სკოლაში უნდა ევლო. საბრალო ბავშვი ვაჟაკურად იბრძოდა და ოჯახს ეხმარებოდა. დედა ყველაფერზე ფიქრობდა: მას თავისი საცოდავი შვილების ბედი ტანჯავდა, მათი გაზრდა თავშესაფრებში უხდებოდა. ექვსის ნახევრიდან რვა საათამდე იატაკის წმენდა-ფხვკას უნდებოდა, მერე იწყებდა თავის ყოველდღიურ სამუშაოს — რეცხვას!

არვიმ ძილში ბუტბუტი დაიწყო.

— არ გეძინება, არვი? — ჰკითხა დედამ. — ყელი ხომ არა გტკივა, შეილო? მითხარი, იქნება გინდა რამე?

— მეძინება, — ნამძინარევი ხმით წაილულულა მან. — მაგრამ ერთი წუთიც არ გავა... სადაც არის...

რა სთქვი, არვი? — ჰკითხა შეშინებულმა დედამ. ბავშვი ძილში ბოდავდა.

— სადაც არის მალეძარა დარეკავს! დედა ჩუმად წამოდგა და მალეძარას ისარი ორი საათით გადასწია წინ.

„ახლა თავისუფლად მოისვენებს“, — ჩაიჩურჩულა დედამ თავისთვის.

უტბად არვი ლოგინში წამოჯდა და წამოიძახა:

— დედა, მე მალეძარას ხმა მომესმა! — პასუხს აღარ დაუცადა, დაწვა და უმალ ჩაეძინა.

წვიმამ გადაიღო. ვარსკვლავებით მოქედილი ცა დაჩუქრებდა ზღვასა და ქალაქს, ჯურღმულებსა და სასახლეებს. მაგრამ იგი სრულიადაც არა ჩანდა ჯონს

ელის უბნის ჭოხიდან. იქიდან მოჩანდა მხოლოდ სამხრეთის ჯვარი და რამდენიმე ვარსკვლავი მის გარშემო. როგორც ქალიშვილები იტყვიან, „სიყვარულის დამე“, თუკი მას შევხედავდით გრანდერების სახლიდან, იმ სახლიდან, რომლის ზღვისკენ დაქანებული ეზო-გარემო, ბაღები, მოჩუხჩუხე წყაროები გააკმაშებული იყო აღდგომის დღესასწაულის შესახვედრად. ფართო სასტუმრო-დარბაზებში ირეოდნენ სტუმრები, რომელთაც გრანდერების მომხიბვლელი ქალიშვილი პათეთიკური დეკლამაციით უყვებოდა ქუჩის პატარა მეგზოვის შესახებ.

მალეძარას გაუფუჭდა რაღაც, თუ მისს ესპინოლმა დაუშვა შეცდომა ისრის გადაწვევის დროს, ზარმა შუალამისას დარეკა. მისს ესპინოლს გამოეღვიძა და მოლოდინში, რომ არვის გამოეღვიძებო, ჩუმად იწვა. ყური მიუგდო. მაგრამ არვი ხმას არ იღებდა. დედა გაფითარდა. შეშინებული სახით ბავშვის საწოლისაკენ გაემართა.

ჭვევით, ქუჩაზე, ანათებდა ერთადერთი ნათურა, რომლის სინათლე ამ ოთახსაც სწვდებოდა. სწორედ ამ სინათლეზე დაინახა დედამ, რომ ბავშვი უძრავად იწვა.

რატომ არ გამოაღვიძა საათმა ბავშვი? მერე როგორი ფხიზელი ძილი იცოდა მან!

— არვი! — დაუძახა.

პასუხი არ იყო.

— არვი! — კვლავ ჩასძახა. დედის ხმაში, საყვედურიც და შეშფოთებაც ერთად ისმოდა. არვის პასუხი არ გაუცია.

— ღმერთო ჩემო! — ამოიგმინა ქალმა. არვი ზურგით იწვა და ხელები გულზე დაეკრიფა. ეს მისი საყვარელი პოზა იყო ძილის დროს. თვალები ფართოდ გაეხილა და ზევით ჰერისთვის მიეპყრო, ის იყურებოდა იქით, სადაც მხოლოდ ღმერთს შეეძლო ყოფილიყო.

არვი შეკვდარი იყო.

— ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! — ტირიდა დედა.

თარგმანი ინგლისურიდან

ციალა ხაჩიძისა.



უინძორელი მხიარული ქაღები

მოგმადება მისამე

სურათი I. მინდორი ფროგმორის მახლობლად

(შემოდინ სერ ჰიუ ვენსი და სიმპლი)

ვეანსი — ახლა ეს მითხარი, კეთილი მისტერ სლენდერის მსახურთა და სახელდებულეებით ჩემო მეგობარო სიმპლ, სად ძეხნე მისტერ კაიუსი, რომელიც თავს მედიცინის დოქტორად ასაღებს?

სიმპლი — ყველგან სერ — სიტის გზაზედაც, ბალისაკენაც, ძველი უინძორისკენაც, ოღონდ ქალაქის გზაზე არ მიძებნია.

ვეანსი — უმორჩილესად გთხოვ, იქითაც დაძებნო.

სიმპლი — დაეძებნი, სერ. (ვაღის)

ვეანსი — ღმერთო მიშველე! გული ყელში მეპჯინება და სულიც აფორიაქებული მაქვს! ნეტა მართლა მომატყუებდეს და არ მოვიდოდეს. გული როგორღაც მეწურება! — მაგ არამზადას სულ გოგრაზე გადავამტვრევ თავის საშარდვ კურკლემს, როგორც კი ვიხელთებ! ღმერთო მიშველე!

(მღერის)

სად რაკრაკებენ ნაკადულები,
და ჩიტუნები გალოპენ წყნარად,
ჩვენც ვაეშალოთ ვარდის საწოლი,
თავულები ვაფრქვიოთ მარად.

ღმერთო შემიწყალე, ლამის აეჭვითინდე! (მღერის)

და ჩიტუნებიც გალოპენ წყნარად
მეც პაბილონთან ვიჯექი ახლოს,
თავულები ვაფრქვიოთ მარად
სად რაკრაკებენ...

სიმპლი — (შემოდის) გამოჩნდა, სერ ჰიუ! ავე, მოდის.

ვეანსი — კეთილი იყოს მისი მოპრძანება!

(მღერის)

სად რაკრაკებენ ნაკადულები...

ღმერთო შენ უშველე მართალს! რა იარაღი აქვს?

სიმპლი — იარაღი სულაც არ აქვს, სერ. ჩემი ბატონი, მისტერ შელოუ და ვილაც ჯენტლმენი მოდიან ფროგმორიდან, — აქვე ღობესთან არიან, აქეთ მოდიან.

ვეანსი — მაშ, წამოსასხამი მომეწოდე; თუმცა არა, შენ გეპიროს.

(შემოდინ პეჯი, შელოუ და სლენდერი).

შელოუ — აჰ, თქვენა ხართ, მამაო! დილა მშვიდობისა, კეთილო სერ ჰიუ. მოდი და ნუ გაგივირდება — მონარდე უკამათლოდ ნახო, ხოლო კარგი მეცნიერი უწიგნოდ.



- ს ლ ე ნ დ ე რ ი — (თავისთვის) აჰ, სულზე უტყებესო ანა პეჯ!
- პ ე ჯ ი — ღმერთმა გადღეგრძელოს, კეთილო სერ ჰიუ!
- ე ვ ა ნ ს ი — ღმერთმა ლოცვა-კურთხევა და წყალობა ნუ მოგაგვრთ ზურც-ერტს!
- შ ე ლ ო უ — რა ამბავია, ხელში მახვილი და სიტყვებიც ასე მახვილი! ორივე საქმეში ვარჯიშობთ, ბატონო მოძღვარო?
- პ ე ჯ ი — ჭაბუქსაც რომ ბაძავს! მოკლე შარვლითა და პერანგის ამარა გამოსულა ამ ნესტიან დღეს.
- ე ვ ა ნ ს ი — არის ამისი მიზეზი და საპაპი.
- პ ე ჯ ი — მოვედით, რომ კეთილი სამსახური გაგიწიოთ, ბატონო მოძღვარო.
- ე ვ ა ნ ს ი — ძალიან კარგი. მაინც რა სამსახური?
- პ ე ჯ ი — ერთი დიდად პატივცემული ვაჟბატონი ვნახეთ, ეტყობა ვილაცას გაუბრაზებია: ისე ებრძვის თავისსავე სიღარბაისლესა და მოთმინებას, რომ ასეთი ჯერ არაფერი გვინახავს.
- შ ე ლ ო უ — აფერ ოთხმოცს გადავაბიჯე და ჯერაც არ მინახავს, რომ მაგისთანა დარბაისელ, სწავლულ და მიღებულ კაცს ასე დაეკარგოს საკუთარი თავის პატივისცემა.
- ე ვ ა ნ ს ი — მაინც ვინ არის?
- პ ე ჯ ი — მგონი თქვენც უნდა იცნობდეთ, — ბატონი კაიუსი — სახელგანთქმული ფრანგი ექიმი.
- ე ვ ა ნ ს ი — ღმერთო გვიშველე და შეგვიწყალებ! ისა სჯობდა ერთი ქოთანის ფლავი გეთქვათ.
- პ ე ჯ ი — ვითომ რატომაო?
- ე ვ ა ნ ს ი — მეტი არც იმას ესმის ჰიპოკრატისა და გალენისა. ამასთან, არამზადაც არის; მაგისთანა ლაჩარ არამზადას მეორეს ვერ ნახავთ ქვეყნად.
- პ ე ჯ ი — მერწმუნეთ, რომ სწორედ ამას უნდა შეებრძოლოს.
- ს ლ ე ნ დ ე რ ი — (თავისთვის) — ო, ტყბილო ანა პეჯ!
- შ ე ლ ო უ — ამას ამტკიცებს მისი შექურვილობა. — აჰა, ექიმი კაიუსიც მოდის. ერთმანეთს არ მივაკაროთ.
- (მეზოლიან სასტუმროს პატრონი, კაიუსი და როგბა)
- პ ე ჯ ი — აჰ, კეთილო მამაო, ხმალი ჩააგეთ.
- შ ე ლ ო უ — თქვენც ჩააგეთ, კეთილო ექიმიო.
- ს ა ს ტ. პ ა ტ რ. — ჩამოვართვათ ხმლები, ისე მოილაპარაკონ: რაღა თავს იტეხენ და იმტვრევენ, ჯანდაბას — ისევე ჩვენნი ინგლისური ენა ამტვრიონ.
- კ ა ი უ ს ი — (ევანსს) გთხოვთ, ერთი სიტყუა მოგისმინე, კურში ვითქარა: რატომ არ მოგიჭვედი დგეს?
- ე ვ ა ნ ს ი — (ჩუმაღ კაიუსს) — გემუდარებით, თავი შეიკავოთ: ყველაფერი მოგვარდება.
- კ ა ი უ ს ი — გეფიცებათ, თქვენი მქდალი ქართ, არამზადა, ძაგლი, ნაცარქექია-მაიმუნნი.
- ე ვ ა ნ ს ი — (ჩუმაღ კაიუსს) — თქვენ გენაცვალეთ, ამით სასაცილოდ ნუ გავიხილთ თავს. მინდა თქვენთან მეგობრულად ვიყო: ასე თუ ისე, ჩვენ მოვრიგდებით. (ხმამალდა) მაგ პრიყვ გოგრაზე გადაგამტვრევე შენს შარბის ჰურჭლებს, როგორ გაპედე, რომ დათქმულ ადგილს და დათქმულ საათს არ მოხვედი!
- კ ა ი უ ს ი — რაო ეშმაკის კერძო! ჯეკ როგბო, ჩემო „ცვივსაკრავის“ პატრონი. განა მე მას არ გელოდი მოსაკლავად? არა ვკოფილვარ მე იქა, საცა დათქმული იკავი?

- ევანსი — ქრისტეს სჯულს ვფიცავ, აქ უნდა შეგხედროდით ერთმანეთსა აგერ წვივსაკრავის პატრონი დამემოწმება.
- სასტ. პატრ. — გაჩუმდით, გალიელო და კელტო! ფრანგო და უელსელო, სულთმკურნალო და ხორცმკურნალო!
- კაიუსი — ო, კარგად ვამბობს, ჩინებულად.
- სასტ. პატრ. — დანუმდით, მოუსმინეთ „ჩემო წვივსაკრავის პატრონს“. ვართუ არა მე პოლიტიკოსი? ვარ თუ არა მე მოხერხებული კაცი? ვარ თუ არა მაკიაველი? ჩემი ექიმი დავეარგო? არასოდეს! შეკრულ კუქს გამიხსნის! მამ ჩემი მოძღვარი, ჩემი ხუცესი, ჩემი სერ ჰიუ დავეარგო? — არასოდეს! შთაგონებით გონებას გამიხსნის. ხელი მომეცი, მიწიერო. ასე! ხელი მომეცი ზეციერო, ასე! ხელოვანო ჰაბუყებო! მე თქვენ ორივენი გაგაცურეთ: სხვადასხვა ადგილას დაგიბარეთ. ახლა გულითაც მხნედა ხართ და ტყავიც მრთელი შეგრჩათ. კარგმა ღვინომ დააჯვირგვინოს საქმე. აბა, ამათი ხმლები დავივირაოთ. მომყეთ, მშვიდობის მოყვასნო, მომყეთ, მომყეთ, მომყეთ.
- შელოუ — მენდეთ, რომ ნამდვილად გაგიყებულა! აბა მიეყვეთ ბატონებო, მიეყვეთ.
- სლენდერი — (თავისთვის) — ო, ტკბილო ანა პეჯე!
(გაღიან შელოუ, სლენდერი, პეჯე და სასტ. პატრონი)
- კაიუსი — ა? განა ვერ გავიგო? მაგან უნდა გავედასულელა! ჰა, ჰა?
- ევანსი — ძალიან კარგი, მამ სასაცილოდ აგვილო, არა? მოდი დამეგობრდეთ, ერთად ვიტეხოთ თავი და შური ვიძიოთ ამ გარეწარ, წუწწა, ქლესა სასტუმროს პატრონზე.
- კაიუსი — დალაქვროს, მთელი გულით თქვენთან არი. ანა პეტთან მიგიკვანო შენ გითხარი, და ნახავ როგორ მომატყუა?!
ევანსი — პოდა გოგრას გაეუხეთქავ! ახლა წავიდეთ. (გაღიან)

სურათი II. უინძორი. ქუჩა.

(შემოდიან მისის პეჯე და როზინა)

- მისის პეჯე — იარე, იარე ჩემო კოხტა ბიჭო. აქამდე უკან ყოფნას იყავი დაჩეული, ახლა კი შეგზური გახდი. რა გირჩევნია, ჩემს თვალებს მისცე გზა თუ შენი ბატონის ქუსლებს დაამტერო თვალები?
- როზინა — მართალი გითხრათ, ჯუჯასავით ჩემი ბატონის კუდში თრევას, ის მიჩვენებდა თქვენ გაგიძღვეთ წინ, ვაჟკაცივით.
- მისის პეჯე — ოო, როგორი პირმოთნე ბიჭი ყოფილხარ. ვატყობ, კარგი ჯარისკაცი იქნები.

(შემოდის ფორდი)

- ფორდი — კარგ დროს შეგხვდით, მისის პეჯე. საით გაგიწევიათ?
- მისის პეჯე — თქვენი ცოლის სანახავად მივდივარ, სერ. შინ არის?
- ფორდი — შინ არის და უსაქმურობისაგან აღარ იცის რა ქნას, მოსწყინდა მარტოკას. ალბათ თქვენი ქმრები რომ დაიხორცონ, მაშინვე იქორწინებდით.
- მისის პეჯე — დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ოღონდ ერთმანეთს კი არ მივთხოვდებოდით — გამოვნახავდით ორ საქმარს.
- ფორდი — ეს ფლუგერი სად გიშოვიათ?
- მისის პეჯე — კი არ ვიცი ვინ ჯანდაბას გამოართვა ჩემმა ქმარმა. ბიჭო, რა ჰქვიათ იმ შენს რაანდს?



რობინი — სერ ჯონ ფოლსტაფი.

ფორდი — სერ ჯონ ფოლსტაფი!

მისის პეჯი — ჰო, ისა, ისა. მავიწყდება ხოლმე სახელები. იმასა და ჩემ ქმარს დიდი მეგობრობა აქვთ ერთმანეთში. მართლა შინაა თქვენი ცოლი?

ფორდი — ნამდვილად.

მისის პეჯი — მამ ნება მიბოძეთ წავიდე, სერ: ერთი სული მაქვს იმის ნახვამდე.

(ვადის მისის პეჯი და რობინი)

ფორდი — ამის შემდეგ ტენისის ნატამალი გააჩნია პეჯს? ან თვალები აქვს? ჰკუა უჭრის? არა, სძინავს ყველა ამათ, აღარ ემსახურებიან პეჯს. ეს ბიჭი ოც მიღზე ისევე სწრაფად მიარბენინებს წერილს, როგორც ზარბაზნის ტყვია გაიჭროლებს ორასიოდე ნაბიჯს; თვითონვე ხელს უწყობს ცოლს, თავის ნებაზე ჰყავს მიშვებული. ახლა ჩემს ცოლთან მიდის ეს ქალბატონი, ფოლსტაფის ფარეში თან ახლავს! ეს ნიავი ქარიშხლის მომსწავლებელია! ფოლსტაფის ფარეში თან ახლავს! ეს ხომ შეთქმულებაა! კარგად კი მოუწყვიათ! ჩვენი აჯანყებული ცოლები ერთად მიეკანებოდა ჯოჯოხეთისაკენ. არაფერია, იმ ვაებატონს მახეში გაეხაბა, ცოლს ვაწამებ, მისის პეჯს იმ მოჩვენებითს კდემამოსილებს ნიღაბს ჩამოვგლეჯ და ქვეყანას მოვდებ, რომ პეჯი ყურწავდებული და ჯოჯოხეთი ატეონია. მესობლები ამაზე ტაშს დამიკრავენ. (ისმის საათის რეკა) აჰა, საათი მომიწოდებს, ჩემი რწმენა კი მიბრძანებს საქებნელად წავიდე. ვნახავ, იქ ვნახავ ფოლსტაფს. ვინ დამცინებს? პირიქით, შემაქებენ. ფოლსტაფი ხომ იქ არის — ეს ისევეა ცხადი, ვით ის, რომ დედამიწა მყარია. მივდივარ.

(შემოდან პეჯი, შელოუ, სლენდერი, სასტ. პატრონი, სერ ჰიუ ევანსი, კაიუსი და როგბი)

შელოუ, პეჯი და სხვები — გამარჯობათ, ბატონო ფორდი.

ფორდი — აი, მშვენიერი კრებული. გთხოვთ, ყველანი ჩემსა წამობრძანდეთ, დროსტარება გვექნება.

შელოუ — მე ბოდიში უნდა მოვიხადო, მისტერ ფორდი.

სლენდერი — მეც ბოდიშს ვიხდი, სერ: ჩვენ შეპირებული ვართ, მის ანასთან უნდა ვისადილოთ, და სიტყვას არ გავტეხ, თუნდა ფულით ამავესოთ.

შელოუ — რამდენი ხანია ანა პეჯისა და ჩემი ძმისწული სლენდერის დაქორწინებასა ვედილობთ, დღეს გადაწყვეტილი პასუხი უნდა მივიღოთ.

სლენდერი — თქვენი იმედი კი მაქვს, ღია პეჯე, თანახმა იქნებით.

პეჯი — იმედი გქონდეთ, მისტერ სლენდერი, თქვენი მხარე მიჭირავს. ჩემი ცოლი კი, ბატონო ეჭიმო, თქვენს მხარეზეა.

კაიუსი — დიახ, გვეციებათ, და ქალსაც გიჟუარვართ ჩემი, ჩემმა გოგომ კუთკლიმ გითხრა ჩემი ასე.

სასტ. პატრონი — ახალგაზრდა მისტერ ფენტონს რაღას ეუბნებით? ისე დახტის, ცეკვავს, თვალვას აცვესებს, ლეჭებსა წერს, მომხიბლავად ლაპარაკობს, აპრილ-მაისის სურნელებას აფრქვევს. არა, ის გაიმარჯვებს, თავისას გაიტანს, ასე უწერია დაბადებითვე!

პეჯი — ოღონდ ჩემი თანხმობით არა, ამაში დამერწმუნეთ. არაფრის მქონებელი არაა ეს ვაებატონი, თანაც თავზეხელაღებულ პრინცს და პოინსს მეგობრობს. მეტისმეტად მაღალი წარმოშობისა გახლავთ; მეტად ბევრი რამ იცის. არა, ვერ ეღირსება ჩემი სიმდიდრის თითებით თავისი

დახლართული საქმეების გამოხსნას. თუ შეირთავს, შეირთოს უმწიფოდ ჩემი სიმდიდრე ჩემს არჩეულ სასიძოს დარჩება, ხოლო ის მე არა მსურს.

ფორდი — მთელის გულით გემუდარებით, ვინმე მაინც გამომყვეს საღილად. გარდა მხიარული დროსტარებისა, კარგ სეირსაც გაჩვენებთ: უჩხული უნდა განახვოთ! ბატონო ექიმო, წამომყევით, თქვენცა, მისტერ პეჯ, სერ ჰიუ, თქვენც.

შელოუ — კეთილი, მშვიდობით იყავით. უფრო თავისუფლად მოვილაპარაკებთ მისტერ პეჯის სახლში.

(გაღიან შელოუ და სლენდერი)

კაიუსი — როგბი, შინ წადი, მეც მალე მოვალ.

(გაღიან როგბი)

სასტ. პატრ. — მშვიდობით, ძვირფასნო. მე ჩემს პატიოსან რაინდ ფოლსტაფისკენ გავწეე და ცოტას გადავკრავ.

(გაღიან)

ფორდი — (თავისთვის) მე კი მგონია, ჯერ მე გადავკრავ იმას ისე მაგრად, რომ ცეკვას დავაწყებინებ. არ წავედეთ, ბატონებო?

ყველანი — წავედეთ, უჩხული ვნახოთ.

(გაღიან)

სურათი III. ოთახი ფორდის სახლში

(შემოდან მასის ფორდი და მისის პეჯი)

მისის ფორდი — ჰეი, ჯონ! ჰეი, რობერტ!

მისის პეჯი — ჩქარა, ჩქარა. ჭუჭყიანი თეთრეულის კალათი...

მისის ფორდი — ფიჭრი ნურაფრისა გაქვთ: — რობინ, რობინ!

(შემოდან მსახურნი. კალათი შემოაქვთ).

მისის პეჯი — აბა, მარდად, მარდად!

მისის ფორდი — აქ დადეთ.

მისის პეჯი — ჩქარა დაარიგე, როგორ უნდა მოიქცენ, გვაგვიანდება.

მისის ფორდი — მამ ასე, ჯონ და რობერტ, როგორც გითხარით, მზად უნდა იყოთ, აქვე ლუდსახარშში დაიმალებით; დაგიძაზებთ, თუ არა, გამოვარდებით; არც კი შეყოყმანდებით, დასტაცებთ ზელს ამ კალათს, მხარზე გაიდებთ და რაც შეიძლება სწრაფად გააქანებთ მრეცხავებისკენ, დატრეტის ველზე. ტემზის ნაპირას რომ ჭუჭყის ორმოა, იქ გადმოაპირქევაებთ.

მისის პეჯი — ხომ გაიგეთ?

მისის ფორდი — უკვე რამდენჯერმე დავარიგე. ზედმეტი განმარტება აღარ სჭირდებათ. აბა, გასწით და მელოდეთ.

(მსახურნი გაღიან)

მისის პეჯი — აგერ პატარა რობინიც მოდის.

(შემოდის რობანი)

მისის ფორდი — მოხვედი, ჩემო მიმინო? ახალს რას გვეტყვი?

რობინი — მისის ფორდ, ჩემი ბატონი სერ ჯონი უკანა კარებთანა დგას და გთხოვთ, რომ მიიღოთ.

მისის პეჯი — ხომ არ გვიღალატე, პატარა სამარხვო ტიკინა?

რობინი — არა, გეფიცებით; ჩემმა ბატონმა არ იცის, თქვენ რომ აქა ხართ.

დამემუქრა, მისის პეჯმა რომ გაიგოს ჩემი აქ მოსვლა, სამუდამო მთავრობის სუფლებას მოგანიჭებო. დამითხოვს ალბათ.

მისის პეჯი — შენ კარგი ბიჭი ხარ: ეს საიდუმლო თერძად იქცევა და ახალ ქურთუქსა და შარვალს შეგიკერავს. ახლა წავალ, დავიმალეები.

მისის ფორდი — დაიმაღეთ. შენ კი წადი და ბატონს მოახსენე მარტო არის-თქო. მისის პეჯ, შენი როლი არ დაგაეიწყდეს. (რობინი გადის).

მისის პეჯი — არა, ფიჭვი ნუ გაქვს. თუ ვერ გავითამაშო, მერე მიიკიენე. (გადის)

მისის ფორდი — წადით ბარემ. უნდა მოვარჯულოთ ეს მანე სინესტე. ეს წყლით გაბერილი გოგრა. ვასწავლოთ ჩხიკვისა და გვრიტის გარჩევა.

(შემოდის ფოლსტაფი)

ფოლსტაფი — „ნუთუ ხელში ჩაგიგდე ციურო მარგალიტო?“ ახლა დე მოკვდე, მაინც ბევრი მიცხოვრია! — უკვე ვეწიე ჩემს საწადელს. ო, კურთხეული საათო!

მისის ფორდი — ო, ტკბილი სერ ჯონ!

ფოლსტაფი — მისის ფორდი, არ შემოძლია ვითვალთმაქცო, არ შემოძლია ვიცუო, მისის ფორდი. რა ექნა, ნატვრაში ვცოდავ: ნეტა მოკვდებოდეს შენი ქმარი, მაშინ, ღმერთთა მოწმე, ჩემი ქალბატონი გახდებოდი.

მისის ფორდი — თქვენი ქალბატონი, სერ ჯონ? ო, რა უბადრუკი ქალბატონი ვიქნებოდი..

ფოლსტაფი — ერთი, საფრანგეთის სასახლემაც სინჯოს და გვაჩვენოს შენისთანა ქალბატონი. შენი თვალები აღმასსაც გაუწევენ მეტოქეობას; შენს გადაგრეხილ წარბებს ყოველგვარი თავსამკაული დაშვენდება, რომელიც გინდა ვენეციური მოდის ქუდი.

მისის ფორდი — უბრალო ხილბანდი გეთქვათ, სერ ჯონ; უკეთესის ღირსი არც არის ჩემი წარბები; სხვა არაფერი მოუხდება, ეგეც კი მეტია.

ფოლსტაფი — ღმერთს გეფიცები, ცოდვას ჩადიხარ, ამას რომ ამბობ. შენ ნამდვილი სეფე-ქალი იქნებოდი. ეს ჩამოქნილი ფეხები ისეთს ლახათს მისცემდნენ შენს მიხვრა-მოხვრას გაფარფამებულ კაბაში! ბუნება შენი შეგობარია და ო, რა იქნებოდი, რომ ბედისწერა არ გაგბდომოდა მტრად. აჰ, არა, ამას ვერ უარჰყოფ.

მისის ფორდი — სულაც არა, დამიჯერეთ, რომ ასეთი თვისებები მე არ გამაჩნია.

ფოლსტაფი — მაშ, რამ შემაყვარა შენი თავი? ამან მაინც დაგარწმუნოს, რომ შენ რაღაც არაჩვეულებრივი ხარ. გაიგე, თვალთმაქცობა არ მეხერხება — ასეთი ხარ და ისეთი ხარ-მეთქი, არ შემოძლია გეტყვიან ზოგიერთ ენამოხლეკილ კუნელის კოკორივით, რომელთაც მამაკაცის შარვალი ჩაუტევამთ და ქალივით იპრანჭებიან, თან კი ძველი აფთიაქის სუნი ასლით. არა, არ შემოძლია. მე მიყვარხარ; შენ მიყვარხარ, მხოლოდ შენ, და ხარ კიდევაც ამისი ღირსი.

მისის ფორდი — ნუ მიღალატებთ, სერ. ასე მგონია, რომ მისის პეჯი გიყვართ.

ფოლსტაფი — იქნებ ისიც თქვა კაუნტერის ციხის გვერდით ჩაელა გიყვარსო, — რაც, უნდა გამოგიტყდე, დამწვარი კირის კვამლივითა მძულს.

მისის ფორდი — ღმერთმა ზომ იცის, როგორ მიყვარხართ, როცა იქნება ალბათ ამას მიხედვებით.

ფოლსტაფი — ნურც გადამიყვარებ; როცა იქნება, გავხლები ამის (ღერსილი) მისის ფორდი — აჰ, უკვე ხართ ამისი ღირსი, ისე ხომ არც შემოვიყვარდეთა ბოლით.

რობინი — (გარედან) მისის ფორდ, მისის ფორდ! აქლომინებული მისის პეჯი მოვარდა თქვენთან, სულ ოფლშია გაწუწული, და თვალებიც არეული აქვს. თქვენი ნახვა უნდა.

ფოლსტაფი — მაგან არ უნდა დამინახოს, ფარდას ამოვეფარები.

მისის ფორდი — კარგს იზამთ, თუ დაიმალებით, თორემ საშინელი ენა-ქარტალა დედაკაცია.

(ფოლსტაფი ფარდის უკან იმალება. შემოდან მისის პეჯი და რობინი)

რა ამბავია? რა მოვივიდათ?

მისის პეჯი — ეს რა ჰქენი, მისის ფორდ, რა ჰქენი? როგორ შეირცხვინე თავი, დაილუპე, სამუდამოდ განადგურდი!

მისის ფორდი — რა ამბავია, რა მოხდა, ჩემო კარგო მისის პეჯ?

მისის პეჯი — ვაი, ამ შავ დღეს, მისის ფორდ! ასეთი პატიოსანი ქმარი გყავს და კიდეც ეკვის საბაბს აძლევ?

მისის ფორდი — რა ეკვის საბაბს?

მისის პეჯი — რა ეკვის საბაბსო? არც კი გრცხვენია! როგორ მოვტყუედი შენში!

მისის ფორდი — ვაიმე, არ მეტყვი მაინც, რა მოხდა?

მისის პეჯი — შენი ქმარი მოდის, ქალო, და უნიძორის მთელი პოლიცია მოჰყავს; ვილაც ვაებატონს ეძებენ, რომელიც თითქოს აქ იმალება, ამ სახლში. ასე ამბობს, როგორც კი შინიდან გამიგულა, დრო იხელთა და საყვარელი დაიბარაო: შენი საქმე წასულია.

მისის ფორდი — არა, იმედი მაქვს მართალი არ იქნება.

მისის პეჯი — ღმერთმა ქნას და მართლაც არ გყავდეს საყვარელი სახლში! ეს კი ნამდვილია, რომ შენი ქმარი მოდის და მთელი უნიძორი ფეხდაფეხ მოსდევს; ეძებენ იმ ვილაცას. გამოვიქეცი, რომ შენთვის შემეტყობინებინა. თუ პატიოსნად მიგაჩნია თავი, მაშინ ხომ რა, გამიხარდება, მაგრამ თუკი მართლა გყავს სახლში ვინმე მეგობარი, გააპარე, ახლაცე გააპარე. ნუ გაშტერდი! გონს მოდი, სახელს გაუფრთხილდი, ანდა სამუდამოდ გამოეთხოვე შენს ტყბილ ცხოვრებას.

მისის ფორდი — რა მეშველებას! მართლაც მყავს ერთი კარგი მეგობარი და ახლა ჩემი შერცხვენა ისე არ მაწუხებს, როგორც მისი ხიფათში ჩავარდნა. ოცი ათას გირვანქა სტერლინგს არ დავიშურებდი, ოღონდ კი იგი სახლში არ მყავდეს.

მისის პეჯი — გრცხვენოდეთ! რა დროს წუწუნია საცაა ქმარი დაგადგება თავზე. რამე მოიფიქრე და გააპარე: სახლში ვერ დამალავ. ო, რა მწარედ მომატყუილეს! აგერ კალათიც ბედზე! თუ დიდი ტანის არაა, კალათში შეუძლია ჩაძვრეს, შევიდან კი ჭუჭყიან თეთრეულს დააყრი, თითქოს გასარეცხად აგზავნი. გაატანე კიდეც სამარტუხაოში ორ მსახურს — სწორედ რეცხვის დროა.

მისის ფორდი — ძალიან დიდი ტანისაა, როდი ჩაეტევა. რა ექნა, რა მემშველებს?

(შემოდის ფოლსტაფი)

ფოლსტაფი — მაჩვენეთ! კალათი მაჩვენეთ! მაჩვენეთ-მეთქი! ჩავეწებო ჩავეტევი! კარგად გირჩევს შენი მეგობარი, ჩავეწები.

- მისის პეჯი — უი, სერ ჯონ ფოლსტაფი! ეს თქვენი წერილებია, რაინდო!
- ფოლსტაფი — (ჩუმად მისის პეჯს) მე შენ მიყვარხარ, მხოლოდ შენს სხეულს არაყინი (ხმამალა) აბა, მიშველეთ, მიშველეთ ჩაძრომა. აღარასოდეს...
(ჩაძვრება კალათში. ზეოდან ქუქუიან სარეცს აყრია)
- მისის პეჯი — ბიჭო, შენც გვიშველე, გადავაფაროთ შენს ბატონს. ახლა მსახურებს დაუძახეთ, მისის ფორდ. ო, გაიძვერა რაინდო!
(რობინი გადის)
- მისის ფორდი — ჯონ! რობერტი ჯონს! არ გეყურებთ?
(შემოდის შახურნი)
აბა, ეს სარეცხი წაიღეთ, ჩქარა. კალათის კეტი რაღა იქნა? რა მოგივიდათ, რას დაბორიანებთ? სამრეცხაოში წაიღეთ, ჩქარა, ჩქარა!
(შემოდის ფორდი, პეჯი, კაიუსი და სერ პიუ ევანსი)
- ფორდი — შემოდით, შემოდით, გემუდარებით; თუ ჩემი ექვი უსაფუძველო იყოს, გამახიხეთ, გამამასხარავეთ — ღირსი ვიქნები. ეს რა არის? სად მიგაქვთ ეს კალათი?
- მსახურნი — მრეცხეთან, ბატონო.
- მისის ფორდი — რასა კითხულობ, სად მიგაქვთ? ესღა მაკლავს ქუქუიან სარეცხის საქმეშიც ჩაერო.
- ფორდი — ნეტა შემეძლოს საკუთარი ქუქუი ჩამოვირეცხო, დიახ ქუქუი, ქუქუი, ქუქუი, პო ქუქუი, ქუქუი-მეთქი, გეუბნებით! და ახლავე გაჩვევებით ამას. (მსახურებს კალათი გააქვთ). ბატონებო, წუხელ სიზმარი ვნახე. უნდა გამბოთ რა მესიზმრა. აი, აი, აი გასაღებები, ჩემს ოთახში აღით ზემოთ; მიიხედ-მოიხედეთ, დაძებნეთ, მონახეთ. დარწმუნებული იყავით, რომ მეღას წამოაგდებთ. დაიცა, ჯერ ეს გზა გადავულობთ (ჩაქეტავს კარებს) ასე. ახლა კი ახადეთ ფარდა.
- პეჯი — დანშვიდდით, კეთილო მისტერ ფორდ, ასეთი აღელვება გაწყენთ.
- ფორდი — მართალი ხართ, მისტერ პეჯ. — აბა, ზემოთ, ბატონებო, ახლავე ნახეთ სეირს. მომყეთ, ბატონებო. (გადის).
- ევანსი — რა გიჭურბი ექვიანოპაა!
- კაიუსი — გეფიცებათ, საფრანგეთში ამისთანა რამეს ვერ გნაქავთ; საფრანგეთში ეჩვი არ ვიცინა.
- პეჯი — გავყვით, ბატონებო, ვნახოთ ერთი, რას გვაპოვინებთ.
(გადის პეჯი, კაიუსი, ევანსი)
- მისის პეჯი — ორმაგი მომხიბლავობა არ არის ჩვენს ოინში?!
- მისის ფორდი — აღარ ვიცი, რა უფრო მიხარია, ჩემი ქმრის ვაცურება, თუ ფოლსტაფისა.
- მისის პეჯი — კაი სანახავი კი იქნებოდა, შენმა ქმარმა რომ იკითხა — კალათში რა დევსო!
- მისის ფორდი — ამის შემდეგ, მგონი, მართლაც დასჭირდებოდა ფოლსტაფს ბანაობა; სწორედ სამადლო საქმე იქნება მისი წყალში გადაგდება.
- მისის პეჯი — ჯანდაბას მისი თავი, უსინდისო, არაშადა! ნეტა მაგისთანები ყველანი ამ დღეში ჩაეარდებოდნენ.
- მისის ფორდი — მგონი ჩემს ქმარს დღეს განსაკუთრებული გუმანი ჰქონდა, რომ აქ იქნებოდა ფოლსტაფი. პირველად ვხედავ ექვით ასე გაბერჩილს.
- მისის პეჯი — მაგას როგორმე გავიგებ; ფოლსტაფს კი ერთი ასეთი ოინი კიდევ უნდა ვუყოთ, მართო ეს წამალი ვერ განკურნავს მისი გარყვნილების სენს.

მისის ფორდი — რა იქნება, ის რეგენი მძოვრი — მისის ვეფხვი და ვეფხვი ვუგზავნოთ და ბოდინი მოვეუხადოთ წყალში ჩაგდებისათვის, თან ახალი იმედი აღვუძრათ და ერთხელ კიდევ ვაწვნიოთ სასჯელი?

მისის პეჯი — ასეც მოვიქცეთ. გავუგზავნოთ და ხვალ არც საათისათვის დავიბაროთ; დღევანდელი წამების წილ დაგაჯილდოვებთ-თქო, შევეუთვალეთ.

(შეშობიან ფორდი, პეჯი, კაიუსი და სერ ჰილ)

ფორდი — ვერსად ვერ მიპოვნია. ის არამზადა იქნებ იმას ტრაბახობდა, რისი მიღებაც ვერ მოახერხა.

მისის პეჯი — (ჩუმად მისის ფორდს) გესმის?

მისის ფორდი — (ჩუმად მისის პეჯს) ჰო, ჩუმად. კარგად კი მომექეცით, მისტერ ფორდ. ჰა, რას იტყვი?

ფორდი — ჰო, რატომაც არა.

მისის ფორდი — ეჰ, ღმერთსა ვთხოვ შენივე ფიქრებზე უკეთესი ყოფილიყო!

ფორდი — ამინ!

მისის პეჯი — თქვენივე თავსა ვნებთ, მისტერ ფორდ.

ფორდი — ეჰ, რა ვქნა, უნდა ავიტანო.

ევანსი — თუ ვინმე სულიერი იყო ამ სახლში, ან ოთახში, ან სკივრებში, ან განჯინებში, — მაშინ ღმერთმა შემინდოს ცოდვები განკითხვის დღეს.

კაიუსი — მეც გეფიცებათ, არაფერ აქა არის.

პეჯი — ფუი, ფუი, მისტერ ფორდ! არა გრცხვენიათ? რა ეშმაკმა, რა ავმა სულმა გაფიქრებინათ ეს? უინძორის კოშკის მთელი განძეულიც რომ მომცენ, თქვენს ასეთ სნეულებას მაინც არ ვისურვებდი.

ფორდი — რა ვქნა, მისტერ პეჯ, ამით უბედური ვარ და ვიტანჯები კიდევ.

ევანსი — თქვენ თქვენი პინძური სინდისი გტანჯავთ: თქვენი ცოლისთანა პატიოსან ქალს ხუთიათასში ერთს ვერ ნახავ, და კიდევ ხუთიათასიც რომ დაუმატოთ.

კაიუსი — ჩემი გეფიცებათ, მხოლოდ პატიოსნებას ქალია.

ფორდი — კარგით, მოვეშვათ. მე სომ სადილზეც მოგიწვიეთ. წავიდეთ ახლა, ბაღში გავიაროთ. ამისთვის კი ბოდინს ვიხდი, მერე ვიამბობთ, ეს რად ჩავიდინე. აბა, ჩემო ცოლო. წავიდეთ მისის პეჯ. გთხოვთ, მომიტევოთ. მთელს გულით ვთხოვთ პატიებას.

პეჯი — წავიდეთ, ბატონებო, ღირსია რომ ყბად ავიღოთ. ხვალ დღილით საუხუმზე მეწვიეთ ყველა, მერე კი სანადიროდ წავიდეთ — მშვენიერი მიმინო მყავს. ჰა, რას იტყვი?

ფორდი — ძალიან კარგი.

ევანსი — ერთი თუ წამოვა ვინმე, მე დავუწყვილტბი.

კაიუსი — ერთი და ორი თუ იქნება, მესამე მე იქნება, ჩემი გეფიცებით.

ევანსი — ფუი, სირცხვილო!

ფორდი — წავიდეთ, მისტერ პეჯ.

ევანსი — აბა, ხვალ არ დაგავიწყდეთ ის ტილიანი არამზადა, სასტუმროს პატრონი.

კაიუსი — კარგი, ჩემი გეფიცებათ, არა.

ევანსი — ტილიანი არამზადა, როგორ პედავს მასხარად და აბუჩად აგდებას!

(გადაიან)

სურათი IV. ოთახი პეჯის სახლში

(შემოდან ფენტონი და ანა პეჯი)

ფენტონი — ვატყობ, ვერ შევსძლებ მაგიშენის გულის მოგებას;
და მეტად ნულარც მათხოვნივ, უტყბესო ანა.

ანა პეჯი —

მაშ რა უნდა ვქნათ?

ფენტონი —

შენი თავი შენ გეკუთვნოდეს!
მოიმიზეზა დიდი გვარის მემკვიდრე ხარო,
შენი დოვლათი დაუღვევრად გაანიავე
და მის აღდგენა ახლა ჩემი ქონებით გსურსო.
გადამიშალა წინ აგრეთვე სხვა დაბრკოლებაც, —
მეგობრობდიო უხამს ხალხთან, მუდამ შფოთის სტეხები,
ვერ დავიჯერებ, — მითხრა, — ჩემი ქალი გიყვარდეს,
მისი დოვლათი გიტაცებსო, სხვა არაფერი.

ანა პეჯი —

იქნება მართლაც ასე იყოს, როგორც მან ვითხრა!

ფენტონი —

არა მერწმუნე, ზეცას ვფიცავ, ასე არ არის.
თუმცა პირველად, გამოეტყდები, მისმა ქონებამ
დამაწყებინა ტებილო ანა, შენთან ტრფიალი,
მაგრამ დავრწმუნდი, რომ შენ უფრო მეტი ფასი გაქვს.
ვიდრე მის ოქროს, ან სკივრებში ჩაქეტილს ფულსა;
და ახლა მხოლოდ შენს საკუთარ სიმდიდრეს ვეტრფი.

ანა პეჯი —

კეთილშობილო მისტერ ფენტონ, კვლავაც ეცადეთ,
შაინც მოსინჯეთ მაგიჩემის გულის მოგება,
და თუ შემთხვევამ, მშვიდმა თხოვნამ არ გავიმართლათ,
რა გაეწყობა, მაშინ... ჩემად, აქეთ მოდიან.

(კვარდზე მიღვებან და ჩემად ლაპარაკობენ. შემოდან შელოუ, სლენდერი და მისის კუიკლი)

შელოუ — მისის კუიკლი, გააწყვეტინე საუბარი, ჩემი ძმისწული უნდა ელაპარაკოს.

სლენდერი — რაც იქნება იქნეს, გავებდავ და ვეტყვი!

შელოუ — არ დაფრთხე!

სლენდერი — არა, მის ანა არ დამაფრთხობს. ამისი ფიქრი არა მაქვს, ოღონდ ისე მეშინია რაღაც.

მისის კუიკლი — მომისმინეთ, მისტერ სლენდერს ორი სიტყვა აქვს თქვენთან სათქმელი.

ანა პეჯი —

მოვდივარ. (თავისთვის) აი, მამაჩემის ამორჩეული.
ამ განუსაზღვრელ ბოროტებას და სისამაგლეს
ფარავს სამასი გირვანქისა შემოსავალი.

მისის კუიკლი — თქვენ როგორღა ბრძანდებით, მისტერ ფენტონ? რაღაც უნდა ვითხრათ.

შელოუ — აბა მოდის, შეეგებე. მისწულო. ეპ, რა მამა გყავდა, მისწულო
სლენდერი — მე მამა მყავდა, მის ანა. ბიძაჩემი მოგიყვებოდა სასტიკო
რამებს მასზე. ძია, გემუდარებით უამბოთ მის ანას, როგორ მოიპარა
ერთხელ მამაჩემმა საქათმიდან ორი ბატი, ჰა, ბიძაჩემო.

შელოუ — მის ანა, ჩემს მისწულს უყვარხარათ.

სლენდერი — ნამდვილად, ნამდვილად მიყვარს. ისე მიყვარს, როგორც
ყოველი გლოსტერშირელი ქალი.

შელოუ — ნამდვილი ქალბატონივით შეგინახავთ.

სლენდერი — უსათუოდ, უსათუოდ, როგორც ესკვიარზე დაბლა მდგომს
შეიფერება.

შელოუ — ასორმოცდაათ გირვანქას თქვენს სახელზე დაამტკიცებს.

ანა პეჯი — კეთილი მისტერ შელოუ, აცალეთ, თვითონვე მეკურკუროს.

შელოუ — ო, გმადლობთ, მადლობელი ვარ ამ გამხნეებებისათვის. მის-
წულო, მის ანა გიხმობს, მე დაგტოვებთ.

ანა პეჯი — აბა, მისტერ სლენდერ...

სლენდერი — აბა, მშვენიერო მის ანა...

ანა პეჯი — რა არის თქვენი უკანასკნელი სურვილი?

სლენდერი — უკანასკნელი სურვილი! ჰა, კაი ხუმრობაა ღმერთმანი!
მადლობა ღმერთს, ჯერ უკანასკნელი სურვილი და ანდერძი არ შემიდ-
გენია, არც ისე სუსტი და ავადმყოფი ქმნილება ვარ, დიდება უფალს.

ანა პეჯი — მე გკითხებით, ჩემთან რა საქმე გაქვთ-მეთქი, მისტერ
სლენდერ?

სლენდერი — მართალი გითხრათ, ჩემის მხრით და ჩემდა თავად სათ-
ქმელი ძალიან ცოტა მაქვს, თითქმის სულაც არაფერი. მამათქვენმა და ბი-
ძაჩემმა წამოიწყეს ეგ საქმე. თუ ბედმა გამოიღმა, ხომ კარგი — არა და
ღმერთმა ხელი მოუშარტოს ბედნიერს! ჩემზე უკეთ ისინი გეტყვიან,
როგორა ჯობს საქმისათვის; მამათქვენსა ჰკითხეთ; აბა, ისიც მოდის.

(შეზღიან პეჯი და მისის პეჯი)

პეჯი —

ჰა, მისტერ სლენდერ! — შეიყვარე, ჩემო ასულო!

ამას შეხედე! მისტერ ფენტონს ჩვენთან რა უნდა?

სერ, თავს მამზერებთ წარამარა აქ სიარულით.

აკი გითხარით, რომ ჩემს ასულს სხვაზე ვათხოვებ?

ფენტონი — მოთმინებიდან ნუ გამოხვალთ, გემუდარებით.

მისის პეჯი —

ბატონო ფენტონ, ჩემს ქალიშვილს ჩამოეხსენით!

პეჯი — არ არის თქვენი შესაფერი, სჯობს ჩამოეხსენათ.

ფენტონი — აღარ მომისმენ?

პეჯი —

არა, ჩემო ბატონო ფენტონ.

მისტერ შელოუ, გამომყევით, შენც, შვილო სლენდერ

ჩემი პასუხი უკვე იცით, და სწორედ ის მწყინს,

რომ არ მეშვებით, მისტერ ფენტონ.

(დაღიან პეჯი, შელოუ და სლენდერი)

მისის კუიკლი —

მისის პეჯეს სთხოვეთ.

ფენტონი —

მისი პეჯ, ისე წმინდა გულით ვეტრფი თქვენს ასულს,
ისე გულწრფელად, რომ გაეცხვას, უარს, დატუქვას
მე შევაგებებ ფართოდ გაშლილ ტრფობის ბაირალს,
ძირს კი არ დაეხრი, — თქვენს თანხმობას გთხოვთ, ქალბატონო.

ანა პეჯი —

კარგო დედილო, ა, იმ ჩერჩეტს ნუ მიმათხოვებ.

მისის პეჯი —

მაგას არც ვფიქრობ, უკეთეს ქმარს დავეძებ შენთვის.

მისის კუიკლი —

ჩემი ბატონი! ეს ბატონი ექიმი გახლავთ!

ანა პეჯი —

ვაიმე, მიჯობს, რომ ცოცხალი ჩამფლათ მიწაში,
მერე ბოლოკი დამიშინოთ და იმით მომკლათ.

მისის პეჯი —

დამშვიდდით, ასე რად აღელდით, კეთილო ფენტონ?
ნურც მტრად მიმიღებთ, ნურც მიგულებთ თქვენს მეგობრად,
გკითხავ ჩემს ასულს, თუ უყვარხართ, და როგორც მეტყვის
მეც სწორედ ისე მოვიქცევი. ახლა მშვიდობით,
უნდა წავიდეს, თორემ მამა გაუჯავრდება.

ფენტონი —

მშვიდობით, ჩემო ქალბატონო. მშვიდობით, ანა.

(გაღიან მისის პეჯი და ანა პეჯი)

მისის კუიკლი — სულ ჩემი საქმეა. ასე ვუთხარი: „განა იმ ჩერჩეტ-
სათვის, ან იმ ექიმისათვის გადააგდებთ ბავშვს? აბა, მისტერ ფენტონს
შეხედეთ!“ — სულ ჩემი საქმეა.

ფენტონი —

მადლობელი ვარ, და ერთსაც გთხოვ: ჩემს ძვირფას ანას
ჩემგან გადაეც ეს ბეჭედი. ჰა, გასამჩრელო.

მისის კუიკლი — დმერთმა სიკეთე ნუ მოგიშალოს! (ფენტონი გადის).

აღალი გული აქვს. ამისთანა კეთილი გულისთვის ქალი ცეცხლში და
წყალში გადაეარდება. მაგრამ მე მაინც იმას უნდა ვეცადო, რომ მის ანა
ჩემს ბატონს შეხედეს, ან მისტერ სლენდერს, ან თუ არადა მისტერ ფენ-
ტონს. ყოველ ღონეს ვიხმარ სამივეს საამებლად, რადგან სამივეს შეე-
პირდი, სიტყვას ხომ არ გაეტეხ! ეს კია, რომ მისტერ ფენტონისათვის უფ-
რო მეტად შევეცდები. ვაიმე, აკი ფოლსტაფთან უნდა წავსულიყავ, ასე
დამავალა ორმა ქალბატონმა. რა მხეცი ვარ, კიდევ აქა ვზოზინებ!
(გაღის)

სურათი V. ოთახი „წივისაკრავის“ სასტუმროში

(შემოდან ფოლსტაფი და ბარდოლფი)

ფოლსტაფი — ბარდოლფ, ბარდოლფ...

ბარდოლფი — აქ გახლავართ, სერ.

ფოლსტაფი — წადი, ღვინო მომიტანე, ცოტა გამხმარი პურიც ჩაჰყარე შიგ.
(ბარდოლფი გადის) იმისთვის მოვიყარე ამოდენა კაცი, რომ ახლა საყას-
ბოს დამპალი ხორცის ნარჩენებით, კალათით ტემზაში გადავეგდეთ?
ერთხელ კიდევ რომ დამემართოს ასეთი სეირი, ნებას მივცემ ტვინი გა-

მოიღონ ჩემი თავიდან, ერობში შეწვან და ძალებს დაუყარონ სკაბლულაში
წლოდ. მაწანწალები! ისე არხეინად გადამიძახეს წყალში, თითქოს მტრები
ნას თხუთმეტი ბრმა ლეკვი გადაეყარათ — ოდნავდაც არ უგრძობნათ
სინდისის ქნუნა. მერედა ჩემი მოყვანილობის კაცს რა მისწრაფება აქვს
ჩაძირვისაკენ! ჯოჯოხეთის სიღრმეზე რომ იყოს ფსკერი — იქაც ჩავლ-
წევ. დავიღრჩობოდი კიდევ, მაგრამ ბედზე მეჩეჩიანი ნაპირი შემხვდა.
მერე რა საზიზღარი სიკვდილია წყალი ხომ ბერავს ადამიანს, და რა
კარგი სანახავი ვიქნებოდი კიდევ უფრო რომ გავებრილიყავი. მთას არ
დავემსგავებოდი!

(მარდოლუს ღვინო შემოაქვს)

ბ ა რ დ ო ლ ფ ი — მისის კუიკლი გახლავთ, სერ, თქვენი ნახვა სურს.

ფ ო ლ ს ტ ა ფ ი — მომეცი, ტემზის წყალს ცოტა ღვინოც დაეასხა, თორემ ისე
გაყინული მაქვს მუცელი, თითქოს გამაგრებელი პილულების ნაცე-
ლად თოვლის გუნდები გადამეყლაპოს. უთხარი შემოვიდეს.

ბ ა რ დ ო ლ ფ ი — შემოდი, ქალო.

(შემოდის მისის კუიკლი)

კ უ ი კ ლ ი — მშვიდობის დილა თქვენს ბრწყინვალეებას.

ფ ო ლ ს ტ ა ფ ი — ეს თასები გაიტანე და ერთი ბოთლი ღვინო ამიდულე.

ბ ა რ დ ო ლ ფ ი — კვერცხით, სერ?

ფ ო ლ ს ტ ა ფ ი — არა, შეუზავებლად. ღვინოში ახლადგამოჩეკილი წიწილე-
ბი რა ჯანდაბად მინდა! (მარდოლუდი გადის) რაზე შეწუხებულხარ?

კ უ ი კ ლ ი — ბატონო, თქვენს ბრწყინვალეებასთან გამოგზავნა მისის ფორდმა.

ფ ო ლ ს ტ ა ფ ი — მისის ფორდო! მეყო, მეყო ფერდების ჩამტვრევა! მრთე-
ლი აღარაფერი შემრჩა! ფერდები მუცელში შემვიარდა!

კ უ ი კ ლ ი — ვაი ამ მოსწრებას! საბრალო ქალი! რა მისი ბრალია, სერ? კარ-
გად მოხვდათ ამისთვის იმ ზეპრეებს, — ვერ გაიგეს ქალბატონის ნათქვამი!

ფ ო ლ ს ტ ა ფ ი — ჩემსავით მოსვლიათ, მეც სულელი დედაკაცის ნათქვამი და-
ვიჯერე.

კ უ ი კ ლ ი — სამაგიეროდ ახლა ისე ნანობს, სერ, ისე ნანობს! გული მოგიკვ-
დებათ რომ ნახოთ! მისი ქმარი ამ დილას სანადიროდ აპირებს და ქალმა
შემოგითვალათ, რვიდან-ცხრამდე მოდიოთ. ჩქარა უნდა მიუეტანო პა-
სუხი. დამიჯერეთ. რომ იმ მარცხის სანაცვლოდ, ახლა მიიღებთ ჯილ-
დოს.

ფ ო ლ ს ტ ა ფ ი — კეთილი, მოგინახულებთ-თქო, გადაეცი. თან უთხარი კარ-
გად დაუფიქრდეს, რას წარმოადგენს ადამიანი, ასწონდასწონოს მისი
დაუღგრომელი ბუნება და მერე ჩემი ღირსებაც განსაჯოს.

კ უ ი კ ლ ი — ვეტყვი.

ფ ო ლ ს ტ ა ფ ი — ჰო, უთხარი! რვიდან ცხრამდეო?

კ უ ი კ ლ ი — რვიდან ცხრამდე, სერ.

ფ ო ლ ს ტ ა ფ ი — კარგი, წადი, უსათუოდ მოვალ.

კ უ ი კ ლ ი — მშვიდობა არ მოგეშალოთ, სერ.

(გადის)

ფ ო ლ ს ტ ა ფ ი — ნეტა მისტერ ბრაკი სად დაიკარგა. შემომითვალა დამელო-
დო: ძალიან შემიყვარდა მისი ქისა! აჰა, მოდის.

(შემოდის გადაცემული ფორდი)



ფორდი — გამარჯობათ, სერ.

ფოლსტაფი — ო, მისტერ ბრაჯ, ამბის გასაგებად მოხვედით ანაწილად, გაივით, რა მოხდა მისის ფორდსა და ჩემს შორის!

ფორდი — დიახ, სერ ჯონ, სწორედ მაგისთვის მოვედი.

ფოლსტაფი — ვერ მოგატყულებთ, მისტერ ბრაჯ, ვიყავი მასთან სწორედ დანიშნულ დროს.

ფორდი — მერე, სერ, მიადწიეთ რამეს?

ფოლსტაფი — ძალიან ცუდ რამეს მივადწიე, მისტერ ბრაჯ.

ფორდი — როგორ, სერ, გადაიფიქრა?

ფოლსტაფი — არა, მისტერ ბრაჯ, მაგრამ ძლივს მოვასწარი თქვენდრამა, ჩახუტება, კოცნა, სიყვარულის ახსნა, ერთგვარი შესავლის გათამაშება ჩვენი კომედიისათვის, რომ უცებ მოვარდა მისი უბადრუკი რქოსანი ქმარი, რომელსაც მუდამ ექვიანობის ბნელა მოსდის ხოლმე, მისტერ ბრაჯ; თანაც თავისი აუანაუანების მთელი ბანდა მოსდევდა ფეხდაფეხ; გაცოფებულს, ყველა აეწრიალებინა, რათა ცოლის საყვარელი დაეჭირა სახლში.

ფორდი — როგორ, იმ დროს თქვენ იქ იყავით?

ფოლსტაფი — იქ ვიყავი.

ფორდი — მერე, დაგებნათ და ვერ გნახათ?

ფოლსტაფი — მომისმინეთ. ბედზე ვილაც მისის პეჯი შემოვარდა და გაგვაფრთხილა, ფორდი მოდისო; ჰოდა მისი მოსაზრებისა და ფორდის ცოლის აბნეულობის წყალობით, ჭუჭყიანი სარეცხის კალათით გამომაბარეს.

ფორდი — სარეცხის კალათით?

ფოლსტაფი — სარეცხის კალათით, ღმერთს გეფიცებთ. ჩამტენეს ჭუჭყიან თეთრეულში, ქალის პერანგებში, ჭუჭყიან წინდებში, გაქონილ სუფრებში. ისე იყო, მისტერ ბრაჯ, სიმყრალე არეული ერთმანეთში, რომ იმისთანა საზოხლარ სუნს ჯერ არ შეურაცხვევია ადამიანის ცხვირი.

ფორდი — რამდენ ხანს იწეკით იმ კალათში?

ფოლსტაფი — დამაცათ, გითხრათ, მისტერ ბრაჯ. რა არ გადავიტანე, რომ თქვენდა სასიკეთოდ ის დედაკაცი ბოროტისკენ გადამეხარა! ჩამტენეს თუ არა კალათში, ქალბატონმა ორ არამზადა მსახურს დაუძახა და უბრძანა სამრეცხოს უბანში წაათრიეთო, თითქოს ჭუჭყიანი სარეცხი ვყოფილიყავ. ის იყო გამიდეს მხარზე, რომ კარებში ეკვით გაბერილი არამზადა გამოჩნდა, — მათი ბატონი. ორჯერ იკითხა, კალათში რა გაქეთო. შიშით კანკალი დამაწყებინა, ამ გიჟმა არამზადად კალათი არ გაჩხრიკოსმეთქი, მაგრამ ბედმა, რომელსაც მისთვის რქოსნობა დაუწერია, ხელი გაუჩერა. ის შინ შევიდა საქებნელად, მე კი, როგორც ჭუჭყიანი საცვალი, გარეთ გამომათრიეს. კარგად დააკვირდით, მისტერ ბრაჯ, სამი სხვადასხვანაირი სიკვდილის ტანჯვა გადავიტანე: ჯერ იყო და, საზარელი შიში განვიცადე, იმ დამბალმა ექვიანმა ბოტმა არ მნახოს-მეთქი, მეორე ისა, რომ მოკრუნჩხული ვიყავი ესპანური ხანჯალით. ისე რომ ტარი ფხისკენ იყო მიზიდული, ხოლო ქუსლები თავისკენ; მესამე — მაგარი სასმელით თაქდაცული ვიყავი მყრალი საცელებით, რომელიც თავისივე ქონში იხარშებოდა; არა, თქვენ წარმოიდგინეთ ჩემი მოყვანილობის ადამიანი, — კარგად დაუფიქრდით ამას, — რომელსაც სიციხე ერბოსავით

მომაქცევს ხოლმე, ერთთავად ვდნები და ვლღვები... არ ვიცი რა სასწაულოთ არ მოვიგუდე... და ასეთი გახურებული აბანოდან, როცა პოლიტიკური შეჭამანდივით, ნახევრად მოხარული ვიყავი ჩემივე ქონში, უცებ ტემპში მიკრეს თავი, ჩემი გაეარეარებული სხეული გასაცივებლად წყალში ჩაუშვეს, თითქოს ცხენის ნალს აწრთობენო. არა, კარგად დაუფიქრდით! გაეარეარებული სხეული, მისტერ ბრაჯ, ამას დაუფიქრდით!

ფორდი — სინდისს გეფიცებით, დიდად ეწუხვარ, სერ, რომ ჩემი გულისთვის ასე ეწამეთ. ჩემი თხოვნა კი, რა თქმა უნდა, უიმედოა ახლა. მეტად აღარა ცდით, ალბათ, იმ ქალთან.

ფოლსტაფი — ტემპში ხომ ჩამავდეს! ახლა ეტნაში ჩამაყირავენ, მისტერ ბრაჯ, თუ ასე ადვილად დავთმო ხს ქალი. მისი ქმარი ამ დილას სანადიროდ მიდის. დღეს კიდევ გამომიგზავნა კაცი ერთმანეთს შევხვდეთო; რვიდან-ცხრამდე დამინიშნა დრო, მისტერ ბრაჯ.

ფორდი — უკვე მეცხრე საათია, სერ.

ფოლსტაფი — მართლა? მაშ დროა წავიდე. როცა მოიცილით, გამოიარეთ ჩემი მიღწევების გასაგებად. საქმე თქვენი შეერთებით დაგვირგვინდება, სერ. მშვიდობით. ის ქალი თქვენი გახდება, მისტერ ბრაჯ, ფორდს რქებს დაადგამს თავზე.

(გაღის)

ფორდი — ა? რაო? მომეჩვენა? სიზმარში ვარ? მძინავს? გაიღვიძე, მისტერ ფორდ, გაიღვიძე, მისტერ ფორდ! შენი საუკეთესო ქურთუკი გამოხერტილა, მისტერ ფორდ! აბა რა გეგონა, ცოლს რომ ირთავდი! რა გეგონა, სახლში ჭუჭყიანი სარეცხის კალათს რომ ინახავდი! კარგი, ახლა გაჩვენებ! თ, ვინცა ვარ. ახლავე დავიპერ ამ მრუშს. ჩემს სახლშია, ვერსად წამივია! ვერ წამივია! ქისაში ხომ ვერ ჩაძვრება, სამაროლში ხომ ვერ დაიშალება. მაგრამ რაკი ბოროტი ანგელოზი წყალობს — ყველაფერს დაეჩხრეკე, ყველა ექვემოუტანელ ადგილს; რაკი, ვერ გავექცევი იმას, რაცა ვარ, ბარემ ნუ ვიქნები თვინიერი. თუ კი რქები გამოიშვება, რომელთაც მე გამაცოფეს, ბარემ გავამართლებ ანდაზას და ცოფიანი ხარივით დავიწყებ რქენას.

(გაღის)

მოკმედეა მიოთხო

ხურათი 1. — ქუჩა.

(შემოდან მისს პეჯი, მისს კუიკლი და უილიამი)

მისის პეჯი — როგორა გგონია, უკვე მივიდოდა მისის ფორდთან?

კუიკლი — უთუოდ მივიდოდა, ან საცაა მივა; რომ იცოდეთ, როგორ გაცოფებულია მდინარეში ჩაგდების გამო. მისის ფორდმა გთხოვათ, მალე მოდითო.

მისის პეჯი — ახლავე წავალ, ჯერ ჩემი ბიჭი მივიყვანო სკოლაში. აგერ მისი მასწავლებელიც, ეტყობა, მეცადინეობა არ იქნება დღეს.

(შემოდის სერ ჰიუ ვანსი).

რა ამბავია, სერ ჰიუ, დღეს მეცადინეობა არ იქნება?

ევანსი — არ იქნება! მისტერ სლენდერმა მთხოვა, გაუშვი პიჭეპი, ითამაშონო.

კუიკლი — ღმერთმა დალოცოს მისი გული!

- მისის პეჯი — სერ პიუ, ჩემი ქმარი ამბობს, ჩვენს ბიჭს წიგნი არაფერ
სარგებლობას არ აძლევსო. იქნებ გამოკითხოთ ლათინურ გრამატიკას!
- ევანსი — აქეთ მოიწი, უილიამ. თავი ასწიე. მოიწი.
- მისის პეჯი — აბა, მიდი, სულელო, გასწორდი და მასწავლებელს უპასუ-
ხე, ნუ გეშინია.
- ევანსი — რამდენაირია, უილიამ, რიცხვი?
- უილიამ — ორნაირი.
- კუიკლი — მე კი მეგონა მეტი იყო. სულ გაიძახიან — უთვალავიო.
- ევანსი — ნუ ტიტინებ. აბა, უილიამ, როგორ იქნება „ქეშმარიტება“.
- უილიამ — „ვერიტას“.
- კუიკლი — ვერ იტანსო?! ქეშმარიტებას ვინ ვერ იტანს?
- ევანსი — რამ გამოგაჩერჩეტა, დედაკაცო, გაჩუმდი. უილიამ, რას ნიშნავს
„ლაპის“
- უილიამ — ქვას.
- ევანსი — ქვა რაღას ნიშნავს, უილიამ?
- უილიამ — კენჭს.
- ევანსი — არა, „ლაპის“-ს ნიშნავს. ეს კარგად დაიხსომე ტვინში.
- უილიამ — „ლაპისი“!
- ევანსი — ყოჩაღ, უილიამ. რისგან იწარმოება, უილიამ, წვერები?
- უილიამ — წვერები იწარმოება ნაცვალსახელებისაგან და ასე იბრუნვის:
„სინგულარიტერ, ნომინატივო — პიკ, პეკ პოკ“.
- ევანსი — „ნომინატივო — პიგ, პეგ, პოგ“ — დაიხსომე, „გენეტივო, პუჯუს“,
კარგი, ალექტიუსი როგორღა იქნება?
- უილიამ — „აბლატიუსი — კვო, კვა, კვო“.
- ევანსი — სწორია, კვო, კვა, კვო.
- კუიკლი — ყვა, ყვა, ყვა! — ასე ყვავები ჩხავიან.
- ევანსი — გაჩუმდი-მეთქი, დედაკაცო! აბა წოდებითი პრუნვა როგორ იქნე-
ბა, უილიამ?
- უილიამ — ო, — „ვოკატიო“, ო.
- ევანსი — აბა, დაიხსომე, უილიამ. ვოკატივ — „კარეთ“.
- კუიკლი — გარეთ? საით გარეთ?
- ევანსი — მოითმინე, დედაკაცო!
- მისის პეჯი — გაჩუმდი!
- ევანსი — როგორ იქნება ნათესაობითი პრუნვის მრავლობითი რიცხვი?
- უილიამ — ნათესაობითი ვაბრუნო?
- ევანსი — პო.
- უილიამ — „გენეტივო — ჰორუმ, ჰარომ, ჰორუმ“.
- კუიკლი — სირცხვილი, სირცხვილი, ბიჭო, ასე უნდა აიგდო ნათესაები?!
ნათესაები აბრუნეო! ეს რა გავიგონე!
- ევანსი — გრცხვენოდეს, დედაკაცო!
- კუიკლი — თვითონვე უნდა გრცხვენოდეთ, ასეთ სიტყვებს რომ ასწავლით
ბავშვს... სასაცილოდ იგდებენ ნათესაებს და კეთილებს.
- ევანსი — ქალო, გიცი ხარ? არ გესმის, რას ნიშნავს პრუნვა, რიცხვი და სქე-
სი? შენისთანა გამოტყინებული ქრისტიანი ჯერ არ მინახავს.
- მისის პეჯი — გაჩუმდი, გთხოვ.
- ევანსი — აბა ერთი ნაცვალსახელები დამიპრუნე, უილიამ.
- უილიამ — დამავიწყდა, ბატონო.

- ე ვ ა ნ ს ი — „კვი, კვა, კვოდ!“ არ დაგვიწყდეს ეს „კვიები, კვაები დები“, — თორემ მოგხვდება. ახლა წადი და ითამაშე. გასწი.
- მ ი ს ის პ ე ჯ ი — არ მეგონა, ამდენი რამ თუ იცოდა.
- ე ვ ა ნ ს ი — კარგი მესხიერება აქვს. მშვიდობით, მისის პეჯ.
- მ ი ს ის პ ე ჯ ი — მშვიდობით, კეთილო სერ ჰიუ. (ევენსი გადის) — შინ წადი, შეილო. აბა, გაესწიოთ, თორემ დაგვიგვიანდა. (გადიან).

სურათი II. ოთახი ფორდის სახლში.

(შემოდან ფოლსტაფი და მისის ფორდი).

- ფოლსტაფი — მისის ფორდ, შენ რომ მწუხარეს გიყურებ, სულ გადამავეწყვდა ჩემი განსაცდელი. ვხედავ, რა თავდავიწყებამდე გტოვნიდა სიყვარული! სამაგიეროდ, მეც სწორედ ასე მეყვარები, მისის ფორდი! უბრალო სიყვარულით კი არა, — მთელი მორთულობით, სამკაულებითა და წესითა და რიგით. ოღონდ ნამდვილად გჯერა, რომ შენი ქმარი არ დაბრუნდება?
- მისის ფორდი — სანადიროდ წავიდა, ძვირფასო სერ ჯონ.
- მისის პეჯი — (გარედან) ჰაი, ნათლიედ, მისის ფორდ, სადა ხარ! არ გესმის?
- მისის ფორდი — სერ ჯონ, ამ ოთახში შედით. (ფოლსტაფი გადის)
(შემოდის მისის პეჯი).
- მისის პეჯი — როგორა ხარ, ჩემო საყვარელო? ხომ არაევინა გყავს სახლში?
- მისის ფორდი — მსახურებს გარდა, არავინ.
- მისის პეჯი — ნამდვილად?
- მისის ფორდი — რა თქმა უნდა! (ჩუმად მიმართავს) ხმამალა ილაპარაკე.
- მისის პეჯი — როგორ მიხარია, რომ სახლში არაევინა გყავს!
- მისის ფორდი — რა მოხდა?
- მისის პეჯი — ისევ გაცოფებულა, ქალო, შენი ქმარი. დგას ჩემს ქმართან და ღრიალებს, ლანძღავს ყველა ჯვარდაწერილს, წყველის ევას შთამომავლობას, ყველას, უკლებლივ. შუბლში ხელს იცემს და ღრიალებს, „ამოდით, ამოდით, რქებო!“ — რამდენი გიყვი მიწახავს ქვეყნად, მაგრამ ამასთან შედარებით ყველა თვინიერი, თავაზიანი და წყნარი მოგეჩვენება. კიდევ კარგი, რომ ის გაბერილი რაინდი შენთან არ არის დღეს.
- მისის ფორდი — რატომ? იმასაც ახსენებს?
- მისის პეჯი — სხვას არც არავის ახსენებს; და თან ფიცულობს — ამასწინათ რომ ვეძებდი, კალათით გააპარესო; ჩემს ქმარს არწმუნებს, ახლაც ჩემსა არისო. წამოათრია კიდევ ისა და სხვებიც ყველა, ვინც სანადიროდ იყო, რათა მეორედ მაინც გაამართლოს თავისი ეჭვები. ო, როგორ მიხარია, რომ რაინდი აქ არ არის! თვითონვე დარწმუნდება შენი ქმარი, რომ ტყუილ-უბრალოდ ჩმახავს რაღაცას.
- მისის ფორდი — ახლოს არიან, მისის პეჯ?
- მისის პეჯი — აქვე არიან, ამ ქუჩის ბოლოში. საცაა მოვლენ კიდევ.
- მისის ფორდი — დაეილუბე! რაინდი აქ არის.
- მისის პეჯი — ვაი, როგორ შეირცხვინე თავი! ესეც ვერ გადარჩება სიკვდილს. რა ყოფილხარ მაინც ქალო! ჩქარა გაუშვი, ჩქარა გააპარე!... სიკვდილს ისევ სირცხვილი სჯობს.
- მისის ფორდი — რომელი გზით გავუშვა! რითი ვუშველო? ისევ კალათში ხომ არ ჩავტენოთ?
(შემოდის ფოლსტაფი).

ფოლსტაფი — აჰ, არა, არა, კალათში აღარ ჩავწვები. ისე ვერ გავსწვებო.
მისის პეჯი — უბედურებაც ისაა, რომ მისტერ ფორდის სამიზნე-წარმოქმნა

ჩასაფრებელი, ხელში რევოლვერები უჭირავთ; ასე რომ არ იყოს, წახვი-
ლოდით. რა გეშველებათ, რა გეშველებათ?

ფოლსტაფი — რა ვქნა? მოდი, ბუხარში შევეჭვრები!

მისის ფორდი — ნადირობის შემდეგ სწორედ ბუხარში იცის თოფის
დაცლა.

მისის პეჯი — ღუმელში შეჭვრით.

ფოლსტაფი — სადაა ღუმელი?

მისის ფორდი — ღუმელს გაჩხრეკს, ნამდვილად ვიცი. არაფერი არ დაავი-
წყდება, არც ყუთი, არც სკიერი, განჯინა, კარადა, სარდაფი, საკუქნაო...
ყველაფერს გაჩხრეკს. არა, სახლში ვერ დაიშალება.

ფოლსტაფი — მამ წავალ.

მისის პეჯი — გადაუცემელი რომ გახვიდეთ, სერ ჯონ, სიკვდილი არ აგ-
ცდებათ.

მისის ფორდი — რა გადავაცვით?

მისის პეჯი — ვაი, ამ მოსწრებას, აბა რა გითხრა?! ამოდენა კაბა სად
ვიშოვოთ, ამას რომ მოერგოს, თორემ კარგი კი იქნებოდა. ქუდს დაიხუ-
რავდა, თავშალით მოიფუთებოდა და გაიპარებოდა.

ფოლსტაფი — მოიგონეთ რამე, კეთილო ხალხო. ოღონდ ნუ მომკლავენ,
და, რაც გინდათ ის გამაყეთებინეთ.

მისის ფორდი — ბრენფორდელი ფარფაშა დედაბრის — ჩემი მოახლის
ძალუას კაბაა ზემოთ!..

მისის პეჯი — მოერგება, შენ არ მომიკვდე. ისიც სწორედ ამოდენაა. მისი
ფოჩებიანი ქუდი და თავშალიც ხომ აქ არის! აბა, ზემოთ, სერ ჯონ.

მისის ფორდი — გასწიოთ ზემოთ, ჩემო კარგო სერ ჯონ. მისის პეჯი და
მე კიდევ გამოვნახავთ რასმე თავზე შემოსახვევად.

მისის პეჯი — მარდად, მარდად! ჩვენც ახლავე ამოვალთ და მოგრთავთ.
მანამდე კაბა გადაიცვით.

(ფოლსტაფი გადის).

მისის ფორდი — ნეტა ჩემი ქმარი შეხვდებოდეს ასე გადაცმულს: ვერ
იტანს იმ ბრენფორდელ ბებრუხანას, კუდიანიო, ამბობს, და აუკრძალა
კიდევ ჩვენსა მოსვლა. თუ ვნახე, ვცემო, იმუქრება.

მისის პეჯი — ზეცამ ინებოს და შენი ქმრის ჯოხქვეშ მოაქციოს ეგ არა-
შხადა, ჯოხი კი ეშმაკს დაატრიალებინოს!

მისის ფორდი — მართლა ხომ არ მოდის ჩემი ქმარი?

მისის პეჯი — მართლა მოდის და თან იმ კალათზე ლაპარაკობს, ეტყობა,
როგორღაც გაუგია.

მისის ფორდი — მაგას გამოვარკვევთ. ახლავე ეუბრძანებ მსახურებს, რომ
კალათი მოამზადონ და იმდღინდელივით კარებში შეხვდნენ ჩემს ქმარს.

მისის პეჯი — ჩქარა, თორემ საცაა მოვა კიდევ; ზემოთ წავიდეთ დედაბ-
რის კაბა გადავაცვათ.

მისის ფორდი — ჯერ მსახურებს დავარბევ, როგორ წაიღონ კალათი,
შენ ზემოთ წადი; თავშალს მოვქებნი და მეც მალე ამოვალ. (გადის)

მისის პეჯი — ჯანდაბამდისაც გზა ჰქონია იმ უსინდისო არაშხადას! ყვე-
ლაფერი ახია მასზე.

ჩვენ უნდა ყველას დაეუმტკიცოთ ქეშმარიტება:
 სიცილ-კისკისი და ანცობა ვის აუკრძალავს,
 ილალოს ქალმაც — როდი ნიშნავს ეს გარყენილებას.
 ძველთაგან თქმულა: ჩუმჩუმელა მეტ ცოდვას მალავს.

(შემოდან მისის ფორდი და ორი შახურდი).

მისი ფორდი — აბა, ბიჭებო, ეს კალათი წინანდებურად მხარზე გაიდეთ, საცა ბატონი გამოჩნდება კარებში. თუ გიბრძანათ, კალათი დადეთო, მაშინვე დაემორჩილეთ. აბა, ჩქარა.

პირველი მსახ. — მოდი, მოდი ასწიე.

მეორე მსახ. — ღმერთმა ნუ ქნას, რომ ახლაც ის რაინდი იწვევს შიგ.

პირველი მსახ. — არა მგონია; იმის თრევას, ტყვიის ზიდვა მირჩენია.

(შემოდან ფორდი, პეჯი, შელოუ, კაიუსი და სერ პოუ ევანსი).

ფორდი — ასე იყოს. ოღონდ, თუ მართალი გამოვლექი, მისტერ პეჯ, მაშინ დაიწება უკანვე უნდა წაიღო. კალათი დადეთ, თაღლითებო. ჩემს ცოლს დაუძახეთ! აბა, გამოგოგმანდით, ვაებატონო, კალათიდან! ახ, თქვე ყალთაბანდებო! მთელი ბანდაა, ხროვა, დუნდგო! შეთქმულებას მიწყობენ! ახლავე თავლათს დავასანამ ეშმაკს! ცოლი მომგვარეთ-მეთქი! მობრძანდით, წინ წამოდექით! შეხედე ერთი, რა დიდებულები საცვლები გაგოგზავნიათ გასარეცხად!

პეჯი — ეს უკვე მეტისმეტია! თქვენი თავისუფლად გამშვება აღარ შეიძლება, მისტერ ფორდ. უნდა დაგაბან!

ევანსი — ეს ხომ სიგიჟეა! ცოფიან ძალსა ჰგავს!

შელოუ — მართლაც რომ არ არის კარგი, მისტერ ფორდ, არ შეიძლება ასე!

ფორდი — მეც ამას მოგახსენებთ, ბატონო.

(შემოდის მისის ფორდი).

მობრძანდით, მისის ფორდ. პატიოსანო ქალბატონო, მორჩილო ცოლო, სათნო ქმნილებავ! რა ეჭვიანი, ჰკუთახელი ქმარი გყავს! — უსაფუძვლოდ ეეჭვიანობ, ხომ, ქალბატონო, ჰა?

მისის ფორდი — ღმერთი მყავს მოწმედ, რომ თუკი რაიმე უნამუსობაში მდებთ ბრალს, მართლაც უსაფუძვლო ეჭვი იქნება.

ფორდი — კარგად ბრძანებთ, უტიფარო! განაგრძეთ! შენ ეი, გამოძევარი (კალათიდან საცვლებს იღებს).

პეჯი — აჰ, ეს მეტისმეტია!

მისის ფორდი — როგორ არ გრცხვენია? თავი გაანებე სარეცხს!

ფორდი — სად წამიხვალ!

ევანსი — ეს უგზურებაა! სულ უნდა ააქოთო ცოლის საცვლები? მოეშვი!

ფორდი — დასცალეთ კალათი!

მისის ფორდი — რატომ, კაცო, რა მოგივიდა?

ფორდი — მისტერ პეჯ, როგორც კაცი, გუშინ აქედან, ამ კალათით ერთი ვილაცა გააპარეს. რატომ არ შეიძლება, რომ დღესაც შიგ იყოს? ჩემს სახლში რომ არის, ამაში დარწმუნებული ვარ: უტყუარი ცნობები მაქვს, ჩემი ეჭვი საფუძვლიანია. ამოჰყარეთ, ამოჰყარეთ საცვლები!

მისის ფორდი — თუ შენ მანდ კაცს ნახავ, რწყილივით გასრიხე.

პეჯი — არაინ არ არის.

შელოუ — პატიოსნებას გეფიცებით, ეს არ არის კარგი, მისტერ ფორდ. საკუთარ თავსა ვნებთ!

ევანსი — უნდა ილოკოთ, მისტერ ფორდ; რამდენი რამე მოგჩვენებათ, არ უნდა აყვეთ: ეს ეჭვიანობაა!



ფორდი — ბიკოს, ვისაც დავეძებ, მართლაც არ არის აქა.

პეჯი — არსადაც არ არის, ის მხოლოდ თქვენს თავშია.

ფორდი — ერთხელ კიდევ მომეხმარეთ, გამაჩხრეკინეთ სახლი. თუ მართლაც ვერ ვიპოვნი, ვისაც დავეძებ, ნულარ დამინდობთ, გამამასხრეთ, დაე ყველამ ასე თქვას ჩემზე: „ფორდივით ეკვიანია, რომელიც ცოლის კუროს თხილის ნაჭუჭში ეძებდაო“. ერთხელ კიდევ შემისრულეთ გულის წაღილი, ერთხელ კიდევ მომაძებნინეთ.

მისის ფორდი — პეი, რა მოგივლიათ, მისის პეჯი! აღარ ჩამოღიხართ შენ და ეს დედაბერი? ჩემი ქმარი უნდა ამოვიდეს ზემოთ.

ფორდი — დედაბერიო? ვინ დედაბერი?

მისის ფორდი — ჩემი გოგოს ძალუა, აი ბრენფორდელი ბებრუხანა.

ფორდი — აბ, კუდიანი! უტიფარი, ბებრუხანა, ქვეშევერა მატრახაში! აკი დავითხოვე ჩემი სახლიდან?! მაჰანკობს, ჯანა? ჰა? ჩვენ ხომ უეცი ხალხი ვართ, არ ვეცით, მკითხაობა-მარჩიელობაში რა ოინებს შემოაპარებენ ხოლმე! ის მკითხაობს, ჯადოქრობს, ოინაზობს. ჩვენ კი ასეთი რამეებისა არა გავეგება რა, ვერა სწუდება ჩვენი გონება! — აბა, ჩამოდი, ჩამოშადი, შე კუდიანო, შე ალქაჯო, ჩამოდი-მეთქი, არ გეყურება?!

მისის ფორდი — კარგი, დამშვიდდი, ჩემო კარგო, ტბილო მეუღლე! ბატონებო, ნუ დაანებებთ ამ დედაბრის ცემას!

(შემოდის მისის პეჯი, რომელსაც ქალის კაბაში ჩაცმული ფოლსტაფი შემოჰყავს).

მისის პეჯი — მომყეთ, მომყეთ, ხელი მომეცით, ძალუა რებ.

ფორდი — მე მაგას დაეარტინებ კარგად! — (სცემს) — გაეთრიე ჩემი სახლიდან, შე კუდიანო, შე ჩამობრანძელო, უტიფარო, მუღო, ქეციანო! გაეთრიე! გაეთრიე! მე შენ გიმარჩიელებ! მე შენ გიმკითხაეებ!

(ფოლსტაფი გადის).

მისის პეჯი — როგორ არა გრცხვენიათ? კინლამ ხელში შემოგაკვდათ საბრალო ქალი!

მისის ფორდი — ყოჩაღ, ქების ღირსი ხარ!

ფორდი — ჯანდაბას მისი თავი, კუდიანი!

ევანსი — როგორც გენებოთ, მაგრამ ის დედაკაცი მართლაც კუდიანსა ჰგავს. არ მომწონს წვერებიანი ქალი, მაგას კი კარგა წამოზრდილი წვერი შევნიშნე თავშალქვეშ.

ფორდი — არ გამომყვებით, ბატონებო? გთხოვთ, გამომყვეთ: ნახეთ ჩემი ეკვიანობის შედეგი. თუ ჩემმა ყუფამ ნადირი არ წამოაგდო, სხვა ღროს ნულარაფერს დამიჯერებთ.

პეჯი — რა გაეწოხა, გავყვეთ, ბატონებო, ავუსრულოთ გულის წაღილი.

(გაღიან ფორდი, პეჯი, შელო, კაიუსი და ევანსი).

მისის პეჯი — დამერწმუნეთ, რომ შესაბრალისად მიბეგვა.

მისის ფორდი — აჰ, არა, რას ამბობ; წირვის მადლმა, სწორედ რომ შეუბრალებლად მიბეგვა.

მისის პეჯი — უნდა ვაკურთხოთ ის კეტი და ალტართან დაეკიდოთ, ღირსეული სამსახური გაგიწია.

მისის ფორდი — როგორა გგონიათ, კიდევ შეგვიძლია მიეპყვეთ ჩვენს შურამძიებებს, ისე რომ არც ქალურს სათნოებას ვუღალატოთ და სინდისიც წმინდა დავერჩეს?

მისის პეჯი — დარწმუნებული ვარ, გარყვნილების სული უკვე განდევნილია მისგან და თუ ეშმაკს სულით-ხორციანად არა ჰყავს დამორჩილებუ-

ლი, იმედი მაქვს, ტყუილ-უბრალოდ აღარ შეიწუხებს თავს, ვეღარ შემიტყუებ
ბედავს.

შეხვედრის
გამოცემის

მისის ფორდი — ქმრებს არ ვუამბოთ, რა ოინიც ვუყავით რაინდს?

მისის პეჯი — რალა თქმა უნდა, უსათუოდ, თუნდაც იმისთვის, რომ შენი
ქმრის თავიდან ეს მოჩვენებები გამოვფხეკოთ. თუკი ისინი საჭიროდ ჩას-
თვლიან, რომ კიდევ ასწავლონ ქუა ამ სათნოებაზემოცვეთილ, ჩასუქე-
ბულ რაინდს, ჩვენც დავეხმარებით.

მისის ფორდი — დარწმუნებული ვარ, საჯაროდ შეარცხვენენ; ახიც
არის, თუ საქვეყნოდ არ დავასხით თავლაფი, ისე ჩვენი ოინი დაგვირ-
გვინებული არ იქნება.

მისის პეჯი — რალას ვუდგევართ, ჩქარა სამქედლოში: მანამ ეს საქმე არ
გაციებულა, უნდა გამოვქედოთ.

(გაღიან).

სურათი III. ოთახი „წვივსაკრავის“ სასტუმროში.

(შემოღიან სასტუმროს პატრონი და ბარდოლფი).

ბარდოლფი — გერმანელებსა სურთ, სამი თქვენი ცხენი წაიყვანონ, ბატონო.
ხვალ თვით პერცოვს მოელიან სამეფო კარზე და უნდა შეეგებონ.

სასტ. პატრონი — ნეტა ვინ უნდა იყოს ეს პერცოვი, ასე საიდუმლოდ
რომ მოდის? სასახლეში არაფერი უთქვამთ ჩემთვის. მოდი, გამოველა-
პარაკები მაგ ბატონებს. ინგლისური იციან?

ბარდოლფი — იციან, ბატონო. ახლაც თქვენთან მოეუხმობ.

სასტ. პატრონი — ცხენებს მივაქირაებ, ოღონდ ფული უნდა გადამიხა-
დონ. მე მაგათ კარგად შევეუკეთებ. მთელი კვირაა, ჩემს სახლში მზრძანებ-
ლობენ; აღარავინ მიმიღია, სხვა სტუმრები უკანვე გავაბრუნე. ახლა უნდა
გამისწორდნენ. მე მაგათ კარგად შევეუკეთებ.

(გაღიან).

სურათი IV. ოთახი ფორდის სახლში

(შემოღიან პეჯი, ფორდი, მისის პეჯი, მისის ფორდი და სერ პიუ ვანსი).

ევანსი — ეს ქალური გამოგონება ერთ-ერთი საუკეთესოა იმათ შორის, რაც
მე ოდესმე მინახავს.

პეჯი — ორივეს ერთდროულად გამოგიგზავნათ წერილები?

მისის პეჯი — თხუთმეტი წუთის განმავლობაში.

ფორდი — შემინდე, ცოლო. რაცა გსურდეს, აწ იგი ჰქმენი:

მზე ცივიაო, ეს რომ მითხრან, უფრო ვირწმუნებ,

შენს სიწმინდეში კი არ ოდეს არ დავეუკვებ;

ძველ ურწმუნოსთვის ახლა შენი პატროსნება

გადაქვეულა ისე მტკიცედ, როგორც თვით რწმენა.

პეჯი — კარგი, გეყოფა! ჯერ გინებას მოხსენი პირი,

ახლა ბოდიშის გათაებბას აღარ აპირებ!

ისა სჯობს, გეგმა დავალაგოთ: ჩვენმა ცოლებმა

ჩასუქებული ვაჟბატონი მოიხმონ სადმე,

ჩვენ კი შევიპყრათ და საქვეყნოდ ლაფი დავასხათ.

ფორდი — მაგრამ კარგად თქვეს, ჩვენ უკეთესს ვერ მოვიფიქრებთ.



- პეჯი — როგორ, შეუთვალონ, შუალამისას ბაღში გამოდიო? აჰ, არა, არა, არაფრის გულისთვის აღარ მოვა.
- ევაქსი — თქვენ ამბობთ, მდინარეში ჩააგდესო; მერე კი დედაპატრონი და შაგრად მიპეგვეს. არა? მე მგონი, ისე იქნება შეშინებული, რომ აღარ მოვა; ხორციტ გვემულ არს და ალბათ ყოველგვარი სურვილი გაუქრეპოდა.
- პეჯი — მეც ასე მგონია.
- მისისფორდი — თქვენ მოიფიქრეთ, რა თინით დახვდებით რაინდს, იქ მოყვანა კი ჩვენზე იყოს, ჩვენზე მოგვანდეთ.
- მისისპეჯი — ძველი თქმულებით, მონადირე, ცნობილი ჰერნი, რომელიც ერთხელ უნიფორმის ტყის მცველი იყო, თითქოს ზამთრობით, შუალამის მყუდროებაში, მუხის გარშემო დააბოტებს, ქუში, რქოსანი; თითქოს აობრებს მცენარეებს, ნახირს იტაცებს, ძროხის რძეს სისხლად გადააქცევს და შესაზარად, შემადრწუნებლად აჩხარუნებს ჯაქვს გამუდმებით. მასზე თქმულება თქვენ გსმენიათ, ისიც კი იცით, რომ ცრუმორწმუნე ბერიკაცებს ეს სჯერათ კიდევ, და ვით სიმართლეს, გადასცემენ შთამომავლობას.
- პეჯი — ჰერნის მუხასთან ღამით გავლა ბევრს ეშინია. შაგრამ რა მერე?
- მისისფორდი — სწორედ ეს გვაქვს მოფიქრებული, რომ იმ მუხასთან შევეყაროთ თავზე რქებდადგმულს ჰერნისებურად მორთულსა და მოკაზმულ ფოლსტაფს.
- პეჯი — ვთქვამთ, არ დავეჭვდეთ იმაში, რომ ნამდვილად მოვა; ვთქვამთ მოიტყუებთ, როგორც ამბობთ, ისე გადაცმულს, მერე, ჩვენ რა ვქნათ? როგორ დაეხვდეთ? გაქვთ ამის გეგმა?
- მისისპეჯი — წინასწარვე გვაქვს ყველაფერი მოფიქრებული; ჩემს ასულს ნენ პეჯს, ჩემს უფროს ვაჟს და სამ-ოთხ მათ ტოლს ელფების მსგავსად ჩვენ შემოსაეთ თეთრად და მწვანედ, თავებზე ირგვლივ ცვილის სანთლებს შემოვუმწყრივებთ და ხელში ყველას საჩხარუნებს დავაქერივებთ. როგორც კი ტყეში შევიყრებით ჩვენ და ფოლსტაფი, ისინი მყისვე საფრებიდან წამოხტებიან და ხმაუფუყობ სიმღერებით მოგვევარდებიან; ჩვენ დავფეთდებით და საჩქაროდ გავილალებით, ზოლო ისინი ბინძურ რაინდს შემოერტყმიან, ფერიებით დაუწყებენ ყველანი ჩქმეტას, მერე პკითხავენ: — ჩვენი წმინდა ღრეობის ქამსა ამ უწმინდური მორთულობით როგორ გაბედე, გადმოგელახა წმინდა წრეო?!
- მისისფორდი — ზოლო ვიდრემდე უპასუხებდეს ის სიმართლეს, ეს ფერიები რჯულზე დაჩქმეტენ და სანთლებით სულ შეტრუსავენ.
- მისისპეჯი — როცა სიმართლეს აღიარებს, მყისვე გამოვჩნდეთ, შემოვხსნათ რქები და სუყველამ სიცოცხლისით უნიფორმისკენ გამოვიგლოთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

- ფორდი — ოლონდ ბეშვეები,
წინასწარ კარგად მოვაგზადოთ — არ შეეშალოთ.
- ევანსი — პავშევს მე შევასწავლი, როგორ მოიქცენ. თან თვითონვე მოვირთვები მაიმუნივით, რომ ჩემი სანთლით დაეწვა რაინდი.
- ფორდი — ჩინებულაია ახლა წავალ, ნიღბებს ვიყიდი.
- მისის პეჯი — იმ ფერიების დედოფალი ნენი იქნება, თეთრ მოსასხამში გახვეული ლაზათიანად.
- პეჯი — მაშინ, აბრეშუმს მე ვიყიდი მოსასხამისთვის.
(თავისთვის).
იქიდან ჩემს ნენს მოიტაცებს ბატონი სლენდერი და ჯვარს იტონში დაიწერენ. (ხმამალა) ფოლსტაფთან ჩქარა!
- ფორდი — ფოლსტაფს მე თვითონ ვეახლები, ვით მისტერ ბრაკი, მეტყვის კიდევაც თავის ზრახვებს. უთუოდ მოვა.
- მისის პეჯი — მაგისი შიში ნუ გექნებათ. ახლა გავსწიოთ და სამოსელი მოვუმზადოთ ამ ჩვენს ფერიებს.
- ევანსი — წავიდეთ, წავიდეთ. ეს იქნება მომხიბლავი და ძალიან პატროსანი თაღლითობა.
(გაღიან პეჯი, ფორდი და ევანსი).
- მისის პეჯი — აბა, მისის ფორდი, მყის ფოლსტაფთან აფრინეთ კაცი; გავიგოთ ერთი, რას აპირებს, რას გვიპასუხებს.
(გაღის მისის ფორდი).
მე კი ექიმთან გავსწევ ახლა; სიტყვა მივეცი, რომ სხვას არავის არ გაჰყვება ცოლად ნენ პეჯი. სლენდერი თუმცა მამულებს ფლობს, მაგრამ შტერია, ჩემს ქმარს კი სწორედ იგი უჯობს, ის ურჩევნია. ჯიბე სქელი აქვს ამ ჩვენს ექიმს, სამეფო კარზეც გავლენიანი მეგობრები კარგა ბლომად ჰყავს. მორჩა, მხოლოდ მას, სხვას არავის გაჰყვება ნენი, ოცი ათასი უკეთესი გამოჩნდეს თუნდა. (გაღის)

სურათი V. ოთახი „წვივისაკრავის“ სასტუმროში.

(მეზობიან სასტ. პატრონი და სიმპლი).

- სასტ. პატრონი — რა გინდა, ხეპრევე? ჰა, რა უნდა მითხრა, სქელკანიანო? სთქვი, აღმოთქვი, იმსჯელე; ცოცხლად, სხარტად, სხაპა-სხუპით, მოსხლეტით.
- სიმპლი — მე, ბატონო, მისტერ სლენდერმა გამომგზავნა, სერ ჯონ ფოლსტაფთან.
- სასტ. პატრონი — აგე მისი ოთახი, მისი სახლი, მისი ციხე-კოშკი, მისი უძრავი და მოძრავი საწოლი, რომელზედაც ამ უძღები შეილის სულ ახალი, ცხელ-ცხელი ამბებია აღბეჭდილი. მიდი, დაუკაკუნე და შესძახე; სწორედ ანტროპოფაგის მსგავსად გამოგძახებს. დააკაკუნე-მეთქი.
- სიმპლი — ერთი ბებრუხანა, ფაშფაშა ქალი ავიდა მასთან და ახლა, ვიდრე იგი ჩამოვიდოდეს, ვბედავ აქ დავიცადო, ბატონო; მართალი თუ გინდათ, იმ ქალს უნდა ვუთხრა რაღაც.
- სასტ. პატრონი — ჰა! ფაშფაშა ქალიო! იქნებ რაინდი გაქურდეს კიდევ! დაიცა დაუფძახო. კარგო რაინდო! ჩემო მშვენიერო სერ ჯონს მანდა ხარ? აბა ერთი გაბერე შენი მხედრული ფილტვები და ხმამალა ჩამომძახე. შენი მასპინძელი ვარ, შენი ეფესელი გეძახის.

ფოლსტაფი — (ზემოდან) — რა მოხდა, ჩემო მასპინძელო?

სასტ. პატრონი — აგერ მაწაწაა ბოშა ელოდება შენს ჩასუბუბუბულ დედას.
დაკაცს. ჩქარა ჩამოგზავნე, ჩემო კარგო, ჩამოგზავნე! ჩემს პატროსან
ოთახებში, ეს რა საიდუმლო შეხვედრა მოგიწყვიდა, ფუ!
(მემოდის ფოლსტაფი).

ფოლსტაფი — ერთი ჩასუბუბული ბებრუხანა მართლაც იყო ჩემთან, მას-
პინძელო, მაგრამ ეს არის წავიდა!

სიმპლი — მომიტევეთ, სერ, ბრენფორდელი მკითხავი ხომ არ ყოფილა?

ფოლსტაფი — სწორედ ის იყო, ხამანწყავ. იმასთან რა გესაქმება?

სიმპლი — ჩემს ბატონს — მისტერ სლენდერს დაუნახავს ქუჩაში, სერ, და
ახლა მასთან გამოგზავნა, სერ, რათა ვკითხო და გავიგო: ვილაკა ნიშს,
რომელსაც ჩემი ბატონისთვის ძეწკვი დაუცინცლავს, ახლაც აქვს ის
ძეწკვი თუ არა.

ფოლსტაფი — ეს მე უკვე ვკითხე იმ დედაბერს.

სიმპლი — შერე რაო, სერ?

ფოლსტაფი — ასე იძახის, ვინც მისტერ სლენდერს ძეწკვი დასცინცლაო,
ის ძეწკვი სწორედ იმ კაცმა ასწაპნაო.

სიმპლი — ეჰ, ნეტა მე თვითონ მენახა ის დედაბერი, რალაც კიდევ დამაბა-
რა ჩემმა ბატონმა.

ფოლსტაფი — მაინც რა დაგაბარა, ჩვენც გვითხარი.

სასტ. პატრ. — ჰო, აბა, ჩქარა ჩამოკაკლე.

სიმპლი — აჰ, ამის დაფარვა არაფრით არ შემიძლია, სერ.

სასტ. პატრ. — აბა ერთი დაგიფარავს, მაშინვე გაგათავებ.

სიმპლი — ისეთი არაფერი, სერ; აი, მის ანა პეჯის საქმეზე შემოუთვალა:
მიწერია ბედში მისი შერთვა თუ არაო.

ფოლსტაფი — უწერია, უწერია.

სიმპლი — რა უწერია სერ?

ფოლსტაფი — შეირთავს... ან ვერ შეირთავს. წადი და გადაეცი, დედა-
ბერმა ასე მითხრა-თქო.

სიმპლი — მამ ასე ვუთხრა, სერ, გაბედლო?

ფოლსტაფი — ჰო, გაბედე, სერ ხეპრევე, ასე უთხარი.

სიმპლი — მაღლობელი ვარ, თქვენო მოწყალეებავ. წავალ, ბატონს ვახარებ.
(გაღის).

სასტ. პატრ. — ნამდვილი მოძღვრის ჭკუა გაქვს, მოძღვრის ჭკუა, სერ ჯონ.
მართლა იყო შენთან მკითხავი ქალი?

ფოლსტაფი — ეჰ, იყო, ჩემო მასპინძელო, და ჩემს დღეში რომ არ მის-
წავლია, იმდენი შემასწავლა ერთბაშად. თანაც არაფერი გადამიხდია, პი-
რიქით, მე მითავაზეს კარგა ბლომად.

(მემოდის ბარდოლი).

ბარდოლი — მორჩა, ვაგლახ, სერ! მოგვალორეს, ნამდვილად მოგვა-
ლორეს.

სასტ. პატრონი — ჩემი ცხენები სად არის? მიბასუხე, მატრაბაზო.

ბარდოლი — იმ თაღლითებთან ერთად გაილაღენ. გაცვლით თუ არა
იტონს, მკრეს ხელი და წუმბეში გადამიძახეს; თვითონ კი ამოჰკრეს ცხე-
ნებს დეზები და გაქუსლეს გერმანელ ეშმაკებივით, — როგორც სამი
გერმანელი ფაუსტი.

საოცარ გამჟვრიახობასა და მოხერხებას უნდა ვეშადლოდე, რომ დედის ბერს დავეშვაგავსე, თორემ ის არამზადა პოლიციელები დამიჭერდნენ და როგორც ნამდვილ კუდიანს, ხუნდებს დამადებდნენ, ხუნდებს!

კ უ ი კ ლ ი — სერ, ნება მომეციოთ თქვენს ოთახში მოგვლაპარაკოთ; დარწმუნებული ვარ კმაყოფილი დარჩებით, როცა ჩემს სათქმელს მოგახსენებთ. აგერ წერილიც მაქვს, ზოგ-ზოგ რამეს ესეც შეგატყობინებთ. ჩემო კარგებო, ნეტა იცოდეთ რა თავისტეხა მჭირდება, რომ თქვენ ერთმანეთს შეგახვედროთ! ეტყობა ერთ-ერთ თქვენგანს ზეცა გაგირისხებიათ, თორემ ამდენი ვაი-ვაგლახი რა ამბავია!

ფ ო ლ ს ტ ა ფ ი — კარგი, ავიდეთ ჩემს ოთახში.

(გაღიან).

სურათი VI. სასტუმროს ერთ-ერთი ოთახი

(შეშლიან ფენტონი და სასტ. პატრონი).

ს ა ს ტ. პ ა ტ რ ო ნ ი — თავი დამანებეთ, მისტერ ფენტონ, გულზე ვარ გახეთქილი; ჩემთვის ახლა ყველაფერი სულერთია.

ფ ე ნ ტ ო ნ ი — ჯერ მომისმინეთ. ამ საქმეში ხელს თუ შემიწყობთ, თავადიშვილურ სიტყვას გაძლევთ, თქვენს ზარალს ზევით, მე გასამრჯელოდ ას გირვანქას ოქროთი გიზღავთ.

ს ა ს ტ. პ ა ტ რ. — კეთილი, მოგისმინეთ, მისტერ ფენტონ; და, ყოველ შემთხვევაში, საიდუმლოს მაინც შეგინახავთ.

ფ ე ნ ტ ო ნ ი — გახსოვთ, თქვენთვისაც ზშირად გული გადამიშლია

და მითქვამს, ტურფა ანა პეჯი რარიგად მიყვარს;

ჩემს სიყვარულზე მიბასუხა მან თანაგრძნობით,

(რამდენადაც კი არჩევანის ნება აქვს იმას),

სწორედ ისევე, როგორც მსურდა. ახლა წერილს მწერს

და შინაარსი წერილისა თქვენ გაგაკვირვებთ.

მაგრამ სეირი, რასაც მე ამ წერილში მწერენ,

აქ ისე არის გადაწული ჩემს განზრახვასთან,

რომ ცალკე მისი გამოყოფა არ შეიძლება,

თუკი ხუმრობის მთელი არსი არ გაგაცანით.

მსუქან ფოლსტაფსაც ამ სეირში დიდი როლი აქვს.

ახლა ყველაფერს დაწვრილებით გაგაგებინებთ,

ჩემო კეთილო მასპინძელო, გთხოვთ მომისმინოთ.

დღეს შუალამით ჩემი ნენი პერნის მუხასთან

მივა ჩაცმული ფერიების დედოფალივით.

მიზეზს წერილში წაიკითხავთ. — როდესაც ტყეში

ეს თავშეშტყევა გახურდება და გაჩაღდება,

ასე ჩაცმული ჩემი ნენი, მამის ბრძანებით,

იტონში უნდა გაილალოს, სლენდერთან ერთად,

ჯვარდასაწერად, — ამ ბრძანებას ნენი დასთანხმდა.

მაგრამ, მისმინეთ, —

დედა არ არის ამის მომხრე, კვლავ უარზეა,

ის მოსურნეა, რომ ფრანგ ექიმს მისთხოვდეს ქალი;

ვიდრე სეირით იქნებიან გართული ტყეში,

დედის ბრძანებით, კაიუსი ქალს გაიტაცებს,

და მყისვე მღვდელი ჯვარს გადასწერს ეკლესიაში.



ნენმა დედასაც მოუსმინა თითქოს მორჩილად
და თან აღუთქვა, რომ ექიმზე დაიწერს ჯვარსა.
ახლა აი რა:

მამის სურვილით, ის იქნება თეთრად ჩაცმული,
სწორედ ამ ნიშნით გამოიცნობს სლენდერიც ანას,
მივა იმასთან დათქმულ დროზე, მოჰკიდებს ხელსა
და თან წაიყვანს; ქალიც უნდა მაშინვე გაჰყვეს.
მაგრამ, რადგანაც იქ ნიღბებით იქნება ყველა,
დედამ არჩია ქალს ჩააცვას მწვანე სამოსი;
და თანაც თავზე გაუკეთოს ბრწყვიალა ბაფთა,
რათა კაიუსს გამოცნობა გაუადვილდეს;
როდესაც მარჯვე დროს შეარჩევს ექიმი ტყეში
ანასთან მივა, ხელზე უჩქმეტს, გაპარვის ნიშნად...
ქალმა ამხე მორჩილებით თანხმობა მისცა.

ს ა ს ტ. პ ა ტ რ. — მაინც რომელ ერთს ატყუილებს, მამას თუ დედას?

ფ ე ნ ტ ო ნ ი — ორივეს, ჩემო მასპინძლო — ის მე მომყვება;

მე კი რასა გთხოვთ: მომიძებნეთ სადმე მოძღვარი
და შეუღამით დამახედრეთ ეკლესიაში,
რომ სამუდამოდ მან ჯერისწერით შეგვაკავშიროს.

ს ა ს ტ. პ ა ტ რ. — კარგი, მიხედეთ თქვენს საქმეებს მე მოძღვარს
გნახავ.

თქვენ ოღონდ ქალი მოიყვანეთ, მღვდელს არ მოგაკლებთ.

ფ ე ნ ტ ო ნ ი — თქვენგან ვიქნები სამუდამოდ დავალებული
და გასამრჯელოს თუნდ ახლაც მოგართმევთ სრულად.

(გადიან).

მოკვლევა მახუთი

სურათი I. ოთახი „წივისაკრავის“ სასტუმროში

(შეზღიან ფოლსტაფი და მისის კვიკლი).

ფ ო ლ ს ტ ა ფ ი — კარგი, ნულარ მეტიტინები; წადი და მოვალ! ეს უკვე მე-
სამედ იქნება. კენტი რიცხვი იღბლიანი უნდა იყოს. გასწი! წადი. ამ-
ბობენ კენტ რიცხვში რაღაც ღვთაებრივი ძალა იმალებათ — სულერთია,
ეხება ეს დაბადებას, წარმატებას თუ გარდაცვალებას. აბა, გასწი!

კ ვ ი კ ლ ი — ძეწვეს უსათუოდ გიშოვი, ხოლო რაც შეეხება რქებს, ძაღლონეს
არ დაეიშურებ რომ ისიც გამოგინახო.

ფ ო ლ ს ტ ა ფ ი — გასწი, გასწი, დრო არ ითმენს; თავი მაღლა ასწი და გა-
ცუნცულდი.

(გადის მისის კვიკლი).

(შეზღიან გადაცმული ფორდი).

ოჰ, რასა იქტ, მისტერ ბრაჯ. ან დღესვე გამოირკვევა ყველაფერი, მისტერ
ბრაჯ, ან არასოდეს. საოცრება თუ გსურთ იხილოთ, დღეს შეუღამისას
ჰერნის მუხასთან მოდი, ბაღში.

ფ ო რ დ ი — როგორ, გუშინ არ ყოფილხართ იმ ქალთან, აკი უნდა შეეხედო?

ფ ო ლ ს ტ ა ფ ი — ვიყავი, მისტერ ბრაჯ, წავედი, როგორც ახლა მხედავთ.
საწყალი ბერიკაცი, ხოლო იქიდან საწყალი დედაბერი დავბრუნდი. ის

გაიძვერა ფორდი — იმის ქმარი; ისეა ექვებით შეპყრობილი, რომ ცოფიან ეშმაქსა ჰგავს. რაღა დაგიფიცოთ და რჯულზე მიმბეჭდეთ, რა ცა ქალის ტანსაცმელი მეცვა; აბა ერთი კაცის ტანსაცმელი მცნოდა, მისტერ ბრაჯ, გოლიათსაც არ შევეუშინდებოდი, თუნდა თითისჩარის შეტ ხელში არაფერი მჭეროდა. განა მე კი არ ვიცო, რომ ცხოვრება მაქოა. ახლა მეჩქარება, გამომყევით და ყველაფერს გაიამბობთ, მისტერ ბრაჯ. რაც ცოცხალი ბატის გაბრტყენას, გაკვეთილების გაცდენასა და ჩიკორის ბზრიალს თავი გაეანებებ, დღევანდლამდე ცემა რა იყო არ ვიციოდი. ახლა გამომყევით და იმ არამზადა ფორდზე საოცარ ამბებს გაიამბობთ. ამაღამ ვიძიებ შურს მასზე და იმის ცოლს თქვენ ჩაგაბარებთ ხელში. გამომყევით. უცნაური ამბები მოგველის, მისტერ ბრაჯ, წავიდეთ.

(დადანი).

სურათი II. უინძორის ბაღი

(შემოდინ პეჯი, შელუ და სლენდერი).

- პ ე ჯ ი — წავიდეთ, წავიდეთ და მანამ ფერიების სინათლეები გამოჩნდებოდეს. თბრილში ჩავსაფრდეთ. შეილო სლენდერ, გახსოვდეს ჩემი ქალი.
- ს ლ ე ნ დ ე რ ი — რა დამაფიწყებს; მე უკვე მოველაპარაკე მას და ერთმანეთის გამოსაცნობად სანიშნო სიტყვებიც გამოვიგონეთ: მივალ თეთრებში გამოწყობილ ქალთან და შევჭახებ — „მამ“, იგი მიბასუსებს „გუგუ“ და მაშინვე ვიცნობთ ერთმანეთს.
- შ ე ლ უ — ეგვეც ჩინებულაი; მაგრამ რაღა საჭიროა თქვენი „მამ“ და „გუგუ“, თეთრ კაბაში ისედაც ხელად იცნობ. ათი საათი დაჰკრა უკვე.
- პ ე ჯ ი — ბნელი ღამეა, სწორედ სულებისა და სანთლების შესაფერი. ღმერთო გაგვიმარჯვე ამ საქმეში! ავი — ეშმაკის მეტს არავის უნდა, ეშმაკს კი რქებით ვიცნობთ. აბა წავიდეთ, გამომყევით.

(დადანი).

სურათი III. — ბაღის ქუჩა.

(შემოდინ მისის პეჯი, მისის ფორდი და ექიმი კაიუსი).

- მ ი ს ი ს პ ე ჯ ი — ექიმა, ჩემი ქალი მწვანე ტანსაცმლით იქნება. როგორც კი შეატყოთ, მარჯვე დროაო, ხელი ჩასქიდეთ და ეკლესიისკენ გააქანეთ. მაშინვე გადაიწერეთ ჯვარი. ახლა კი დაწინაურდით და ბაღში წადით. ჩვენ ცალკე მოვალთ.
- კ ა ი უ ს ი — მე ვისი, როგორ უნდა მოვიქნა. მშვიდობით.
- მ ი ს ი ს პ ე ჯ ი — მშვიდობით, სერ. (კაიუსი გადის) ჩემი ქმარი იმდენად ფოლსტაფის შერცხენით არ გაიხარებს, რამდენადაც ნენის ექიმზე მოთხოვება გააბრაზებს; რა გეწყობა, — დიდ გულისხმეთქვას პატარა საყვედური სჯობია.
- მ ი ს ი ს ფ ო რ დ ი — ნენი და ფერიები სადღა არიან, ან უელსელი ეშმაკი ჰიუ?
- მ ი ს ი ს პ ე ჯ ი — პერნის მუხასთან არიან ჩასაფრებული, თბრილში; სანთლები დამალული აქვთ. შევეყრებით თუ არა ფოლსტაფს, მაშინვე გამოცვივან.
- მ ი ს ი ს ფ ო რ დ ი — უსათუოდ შეეშინდება!

- მისის პეჯი — არ შეეშინდება, სასაცილოდ აიგდებენ, შეეშინდება და
 მით უფრო აიგდებენ სასაცილოდ.
- მისის ფორდი — კარგად კი გავაცურეთ.
- მისის პეჯი — მაგისთანა მუსუსების გაცურება სამართლიანი საქმეა და
 ცოდვად არ ჩაგვეთვლება.
- მისის ფორდი — დრო გადის. ჩქარა მუხისკენ, მუხისკენ.
 (გაღიან).

სურათი IV. უინძორის ბაღი

(შემოდიან სატირის ტანსაცმელში გადაცმული სერ პიუ ვენსი, ანა პეჯი და ფერიები)

- ვანსი — ცოცხლად, ცოცხლად, ფერიებო, წავიდეთ. როლებს ნუ დაივიწყებთ. მთავარია გულმაგრაღ იყოთ. ახლა მოწყეთ. ორმოში უნდა ჩავსაფრდეთ. მოგცემთ თუ არა ნიშანს, როგორც დაგარიგეთ, ისე მოიქეცით. ანა, წავიდეთ. ცოცხლად, ცოცხლად.
 (გაღიან).

სურათი V. იმავე ბაღის სხვა კუთხე.

(შემოდის გადაცმული ფოლსტაფი).

- ფოლსტაფი — უინძორის სამრეკლომ უკვე თორმეტი ჩამოპკრა. ახლოვდება სანატრელი წუთი! ცხელსისხლიანო ღმერთებო, თქვენ შემეწიეთ! ანა, მოიგონე, იუპიტერო, ევროპის მოსატაცებლად ხარად რომ იქეცი; სიყვარულმა რქები დაგადგა. ო, ყოვლისშემძლე სიყვარულო! ხან მხეცს გადააქცევ კაცად, ხანაც კაცს — მხეცად! შენ არ იყავი, იუპიტერო, ლედან სიყვარულისთვის ვედაღ რომ იქეცი?! ო, ყოვლადღიერო სიყვარულო! ასე როგორ დაამსგავსე ღმერთი ბატს?! პირველი ცოლვა მხეცად ქცეულმა ჩაიდინე, — ო, იუპიტერო, ეს იყო მხეცური ცოლვა; მეორე ცოლვა ფრინველად ქცეულმა ჩაიდინე, — ეს კი მართლაც წყეული ცოლვა იყო! ანა დადიქრდი, იუპიტერო, როცა ღმერთებს ასე უღელთ სისხლი, საბრალო აღამიანმა რალა უნდა ჯნას? მე, ჩემდა თავად, აგერ უინძორის ხარირემად ვიქეცი და არცა მგონია ჩემზე ჩატიტყნილი ირემი ამ ტყეში დადიოდეს. როცა შეგხვდები, ერთი გრილად დამიჭროლე, იუპიტერო, თორემ რა ჩემი ბრალი იქნება გამდნარი ქონი რომ დამდინდეს! ეს ვინ მოდის? ჩემი ფურირემია?

(შემოდიან მისის ფორდი და მისის პეჯი).

- მისის ფორდი — სერ ჯონ, უკვე აქა ხართ, ჩემო ირემო? ჩემო ხარირემო?

- ფოლსტაფი — ო, ჩემო შავკუდიანო ფურირემო! — ახლა თუნდა კარტოფილის წვიმა წამოვიდეს, თუნდა „მწვანე სახელოების“ ხმაზე დაიქუხოს, ფუნთუშების სეტყვა მოვიდეს და ვანილი მოთოვოს; თუნდა ვენებათაღელვის ქარიშხალი დატრიალდეს, აღარ მენალღვება — თავს კარგად შევაფარებ. (მოეხვევა მისის ფორდს).

- მისის ფორდი — მისის პეჯიც აქ არის, სულზე უტკბესო.

- ფოლსტაფი — მაშინ ნაჩუქარ ირემივით გამინაწილეთ — თითოს თითო ბარკალი შეგხვდებით; ფერდებს ჩემთვის დავიტოვებ, ბეჭებს შეტყევეს ვუწილადებ, ხოლო რქებს თქვენს ქმრებს მივართმევ. ჰა, როგორია მო-

ნადირე ვარ! ჰერნ-მონადირესავეთ არ ელაპარაკობ? არა, ამჯერად
ნამუსიანი ბიჭი გამოდგა ჩვენი კუბილონი — ერთბაშად ამინაზღაურ
ყველაფერი. მოგესალმებით, როგორც ნამდვილი მოჩვენება.
(სმის საყვარებს ხმა).

მ ი ს ი ს პ ე ჯ ი — ვაი, ეს რა ხმაურია?

მ ი ს ი ს ფ ო რ დ ი — ღმერთო შეგვინდევ ყველა ცოდვა!

ფ ო ლ ს ტ ა ფ ი — ნეტა რა უნდა იყოს?!

მ ი ს ი ს ფ ო რ დ ი დ ა } — გავიქცეთ. გავიქცეთ!

მ ი ს ი ს პ ე ჯ ი

(ვარზიან).

ფ ო ლ ს ტ ა ფ ი — როგორც ვატყობ, თვითონ ეშმაკს არა სურს, ცოდვა ჩა-
ვიდინო — ეშინია ჩემმა ქონმა სულმთლად არ გადასწვას ჯოჯოხე-
თი. ასე რომ არ იყოს, რატომ გადამილობავდა მუდამ გზას!

(მეშობიან ვადამული სერ ჰოე ვეანსი, პისტოლი, ანა პეჯი და სხვები).

ა ხ ა პ ე ჯ ი — შავად, ნაცრისფრად, მწვანედ, თეთრად შემოსილებო,
თქვენ, ფერიებო. ჰე, გერებო ბედისწერისა,
ღამის აჩრდილნო, მთვარას შუქზე რომ გაშლით სუფრას,
აქ გაჩნდით, ჩემთან, სიბნელეში მომემსახურეთ;
აბა, ჰოგვობლინ, მაცნე ხარ, და შენვე მოუხმე!

პ ი ს ტ ო ლ ი — ჩუმად, ელფებო, რიგრიგობით გიბრძანებთ ყველას;

ახტი, ტრიკინა, უნიჭორში გაინავარდე,

სადაც წააწყდე დაუგველ და ნაცრიან ბუხრებს,

მაგრად დაჩქმიტე, გოგოები, სულ დაალურჯე:

განსხივოსნებულს, ჩვენს დედოფალს, სძულს სიბინძურე.

ფ ო ლ ს ტ ა ფ ი — ფერიებო! ვინც ხმას გასცემს, თვალს გაუსწორებს,
მყისვე მოკვდება! აქვე ჩუმად მოვიყუეტები.

(ბარქვე ჩაწვება).

ე ვ ა ნ ს ი — მიძიო, სადა ხარ? გასწი ჩქარა, გადინავარდე,
და საცა შეხედე მიძინარ ქალწულთ, რომელთაც სამჯერ,
ღამინების წინ, მწუხრის ლოცვა ტკბილად წარმოსთქვეს,
ტკბილი სიზმრები მოუვლინე, ტკბილი ოცნება,
რათა უმანკო პალღეპივით მშვიდად იძინონ.

ხაგრამ ცოდვიანს, თუ სძინავს და ცოდვა არც ახსოვს,

სულ დაუჩქმიტე მკერდი, ზურგი, მხრები, მუცელი!

ა ნ ა პ ე ჯ ი — აბა, გასწით, ჩქარა გაფრინდით;

შემოიარეთ მყის სასახლე უნიჭორისა,

ბედნიერება მიაფრქვიეთ წმინდა საეანეს,

იდგეს ამყად, მედიდურად! და ასე შეხედეს,

წარბშეუხრედად, იმ საშინელ სამსჯავროს დღესა.

კარგად გასწმინდეთ სავარძლები. უხვად აფრქვიეთ

ყვავილთა წვენი და ბალზამი უძვირფასესი.

მუზარადები, საკურველი რაინდებისა,

ხელუხლებელი დარჩეს იქვე, განგების ძალით.

თქვენ კი, ველების ფერიებო, წრე უნდა შეჰკრათ,

ვით წვივსაკრავის ორდენზეა გამოხატული,

და მდელის ფერად, საგანგებოდ შემოსილებმა,

სიშღერით უნდა დაუაროთ მარდი ფერხული.



დაკრიფეთ მარდად სანეტარო სურნელის მგრქვევი
მინდვრის ყვავილნი — ფერად ლურჯი, წითელი, თეთრი,
რომ ამ ფერებით ამოქარგოთ გაშლილ მინდორზე:

Honni soit qui mal y Pense*,*)

ვით საფირონით, ლალითა და ბრილიანტებით,
შეშკული არის წვივსაკრავის წმინდა ორდენი;
ყვავილები ხომ ანბანია ფერიებისა!

აბა, გაფრინდით, გასწით, მაგრამ, არ დაგავიწყდეთ,
ჭერის მუხასთან მალე ფერხულს ჩავაბამთ ყველა.

ე ვ ა ნ ს ი — აბა, ჩასვიდეთ მეგობრებო ერთმანეთს ხელი,
ლალი ფერხული დაეუაროთ; მანათობელად
ჩვენ გვეყოლება ოციოდე ციციანთელა.

მაგრამ დამაცათ, თითქოს მომდის მოკვდავის სუნი.

ფ ო ლ ს ტ ა ფ ი — ღმერთო დამიფარე ამ უელსელი ფერიისაგან, თორემ
ახლავე ყველად მაქცევს.

პ ი ს ტ ო ლ ი — ო, ბილწო მატლო, დაწყევლილო ჩანასახშივე!

ა ნ ა პ ე ჯ ი — აბა, სანთლები მიაღვეით სწრაფად ხელებზე:
წმინდა თუ არის, ალი არც კი გაეკარება,
მაგრამ თუ შეხტა, ეს მიიღეთ ნიშნად იმისა,
რომ მკერდში მაგას უწმინდური გული ჰქონია.

პ ი ს ტ ო ლ ი — მამ ვცადოთ.

ე ვ ა ნ ს ი — ენახოთ, ამ ჯირკს ცეცხლი თუ მოედება?!

(სანთლებს მიაღებენ თითებზე. ფოლსტაფი შეხტება).

ფ ო ლ ს ტ ა ფ ი — ვაი, ვაი, ვაი.

ა ნ ა პ ე ჯ ი — უწმინდურია, უწმინდური! ბილწი, ბინძური!
აბა მისცვივდით ფერიებო; კარგად შეამკეთ.
თან უმღერეთ და თანაც ჩქმიტეთ, არ მოასვენოთ.

ე ვ ა ნ ს ი — ახია მაგაზე, გარყვნილებითა და პოროტებით სავსე აქვს გული.

ს ი მ ლ ე რ ა

ფუი, გრცხვენოდეს ამ ცოდვებისა,
ფუი, გრცხვენოდეს გარყვნილებისა,
ცოდვა ცეცხლია, ცეცხლი და ენება,
ბილწი ზრახვებით ის აღიგზნება,
გული მას კვებავს, ფიჭვი თავენება
გაზრდის, გაბერავს და შეჰყურის სნებას.

(ვიღებ ისინი მღერიან და ფოლსტაფს ჩქმეტენ. შემოდის ექიმი კაიუსი და მწანად შე-
მოსილი ბიჭი მიჰყავს; ხოლო სლენდერს, რომელიც მეორე მხრიდან შემოდის, თეთრად
შემოსილი ბიჭი ვაჰყავს; ფენტონი ანა პეჯს წაიყვანს. მოისმის მონადირეთა სავეიროს
ხმები; ფერიები გაიქცევიან. ფოლსტაფი ირმის თავს მოიხსნის და წამოდება. ამ დროს
შემოდან პეჯი, ფორდი, მისის პეჯი და მისის ფორდი. ისინი ფოლსტაფს სტაცებენ
ხელს).

პ ე ჯ ი — ველარ წაგვიხვალთ, ნუ გარბინართ, უკვე გაებით;

ჭერნ-მონადირე გახდით განა? სხვა გზა ვერ ნახეთ?

მ ი ს ი ს პ ე ჯ ი — ვთხოვთ, რომ შესწყვიტოთ ეს ხუმრობა. კეთილო სერ
ჯონ,

* სირცხელი მას, ვინც ცუდს რასმე იფიქრებს". (ჩაინდობის ერთ-ერთი დევიზია).



უნიჰორელი დიაცები როგორღა მოგწონთ?

ერთი შეხედე, მეუღლეო, ეს მორთულობა

ქალაქზე უფრო განა ტყვეს არ შეეფერება?

ფორდი — რას იტყვით, სერ, ვინ ყოფილა რქოსანი? ფოლსტაფი არამზა-
დაა, მისტერ ბრაჯ, რქოსანი არამზადა; აი მისი რქები, მისტერ ბრაჯ.
ესეც უნდა გითხრათ, მისტერ ბრაჯ, რომ ფორდის მთელი ავლადიდები-
დან ფოლსტაფს ერგო მხოლოდ საცვლების კალათი, კეტი და ოცი გირ-
ვანქა ფულად, რომელიც მისტერ ბრაჯს უნდა დაუბრუნოს: რადგან
იმ თანხის საფასურში ცხენებია დაკავებული, მისტერ ბრაჯ.

მისის ფორდი — ბედი არა გვწყალობს, სერ ჯონ — აღარ მოხერხდა
ჩვენი შეხვედრა. მორჩა, ჩემი საყვარელი ველარასოდეს გახდებით;
ჩემი ირემი კი მუდამ იქნებით.

ფოლსტაფი — თანდათან ვრწმუნდები, რომ ვირად მაქციეს.

ფორდი — თანაც კამეჩად, დამადასტურებელი საბუთები აშკარაა.

ფოლსტაფი — მამ ესენი ფერიები არა ყოფილან? განა არა. სამ-ოთხ-
ჯერ მანაც გაეფიქრე, არ არიან-მეთქი, მაგრამ დანაშაულის შეგრძნე-
ბამ და აზროვნების უეცარმა დაბნელებამ თავგზა ამირიეს და, ყველა-
ფრის მიუხედავად, ტლანქი სიცრუე ქეშმარიტებად მიმაღებინეს —
თითქოსდა მართლაც ფერიები ყოფილიყვენ. აი, როგორ სათამაშო
ტიკინად გადაგაქციეს თურმე გონება, როცა მას უკადრის საქმეზე
წარმართავ!

ევანსი — ღმერთს ემსახურეთ, სერ ჯონ ფოლსტაფ, თქვენი ვნებები დათ-
რუნეთ და ფერიები აღარ გიჩქმეტენ.

ფორდი — კარგადა ბრძანებს, ფერია შიუ:

ევანსი — თქვენ კი თქვენი ეჭვიანობა დაგმეთ.

ფორდი — მორჩა, მეტად აღარ ვიეჭვიანებ ჩემს ცოლზე, ვიდრე შენ წე-
სიერი ინგლისური ენით არ დაუწყებ მას კურკურს.

ფოლსტაფი — ნუთუ ჩემი ტვინი მზეზე იღო და ისე გამოხმა, რომ ახლა
უზადრუკი რამეებით მატყუილებენ?! როგორ, ამ უელსელმა თხამაც
მაჯირითა? მასხარას ჩაჩი დამხურეს? ისლა დამრჩენია შემწვარმა
ყველმა დამახრჩოს.

ევანსი — ყველი არ უბდება ქონსა. შენი მუცელი კი ცარიელა ქონია.

ფოლსტაფი — «ყველი, უბდება» — ამასაც მოვესწარი, რომ ვილაცა ვი-
გინდარა ასე უკბილოდ დამცინის. ესეც კი კმარა, რომ მთელს სახელმ-
წიფოში გარყვნილება და ღამ-ღამობით სეირნობა მოიხსოს.

მისის პეჯი — როგორ სერ ჯონ, თუნდაც კინწისკერით გაგვედევნოს
ჩვენი გულიდან ყოველგვარი სათნოება და თავი სინდისის უქნეჯნე-
ლად ჯოჯობეთისათვის გაგვეწიროს, როგორ გგონიათ მანაც, რა ეშმაკი
შეგვაყვარებდა თქვენს თავს?!

ფორდი — ამ ჩატიკინლ ძეხვს, ქსელის ფუთას!

მისის პეჯი — ამ გაბერილს!

პეჯი — ამ გადმობრუნებულ ფაშვიან ბებერს, აუტანელს და აყროლე-
ბულს!

ფორდი — სატანასავით ყიამყრალს!

პეჯი — იობივით უზადრუკსა და გლახაკს.

ფორდი — იობის ცოლივით გესლიანს!

ევანსი — მრუშობას, სამიკიტნოებს, ბერებს, ღვინოს, ლოთობასა და
აყალ-მაყალს გადაყოლილს!

- ჟოლსტაფი — რა გავწყობა, თქვენს ხელთა ვარ, განადგურებულნი ვართ და ვგარის. იმის თავიც კი აღარა მაქვს, რომ ვინაღაც ჩემს სიტყვა არ შევარჩინო. უცილობაზე დაბლა დავეშვი. რაც გინდოდეთ, ის მიყავით.
- ფორდი — აგრე იყოს, უინძორში წაგაბრძანებთ ვინმე მისტერ ბრაკთან, რომელსაც თქვენ მაქანკლობას შეჰპირდით და ფულები დაციცდით: მე ვფიქრობ, იმ ფულების უკანვე დაბრუნება თქვენთვის ყველაზე საშინელი უბედურება იქნება, რაც კი ოდესმე თავს გადაგხდომიათ.
- პეჯი — გული გაიმავრე, რაინდო, ამაღამ ვახშმად გეპატიებები. მინდა ერთი ვნახო, როგორ დასცინებ ჩემს ცოლს, რომელიც ახლა შენ დაგვინის: შენ უნდა შეატყობინო, რომ სლენდერმა მისი ქალი ცოლად შეირთო.
- მისის პეჯი — (თავისთვის) ზოგიერთ ექიმს მაგაში ექვი ებარება: ანა პეჯი თუ მართლაც ჩემი ქალია, ახლა უკვე ექიმ კაიუსის ცოლი იქნება.

(შემოდის სლენდერი).

- სლენდერი — ვაი ჩემს მოსწრებას, ჰო, ჰო, ჰო, მამიკო პეჯი!
- პეჯი — ჰა, რაო შეილო, უკვე მორჩით საქმეს?
- სლენდერი — მორჩითო! მთელს გლოსტერშირში ყველაზე ჰკვიანი კაციც კი ვერ გაუგებდა ამ საქმეს ასავალ-დასავალს, თუნდა ამ წუთში ჩამომახრჩონ!
- პეჯი — რა მოხდა, შეილო?
- სლენდერი — მივიყვანე იტონში ანა პეჯი ჯვარდასაწერად, და ზონზროხა ბიჭი არ შემრჩა ხელში! ეკლესიაში არ ვყოფილიყავით, მე ვიცი როგორც მივტყეავდი; ან ის მიმტყეავდა. აქვე გავფშვიკო ფეხი, გულდაჯერებული თუ არ ვყოფილიყავი, ანა პეჯი მიმყავს-მეთქი! ფოსტალიონი არ შემრჩა ხელში!
- პეჯი — მოტყუებულხარ, შენ არ მომიყვდე.
- სლენდერი — მაგას რაღა მტკიცება უნდა? რომ არ მოვტყუებულყავ. გოგოს მაგიერ ბიქს წაიყვანდი? კიდევ რომ დამეწერა ჯვარი, რაში გამომადგებოდა?!
- პეჯი — შენივე სისულელის ბრალია. ავი დაგარიგე, როგორ უნდა გამოგეცნო ტანსაცმლის მიხედვით.
- სლენდერი — რა მექნა, მივედი თეთრკაბიანთან და შეეძახე „მამ“. „გუგუო“ მიპასუხა, სწორედ ისე, როგორც შეთანხმებული ვიყავით. მაგრამ რა გამოვიდა; მაინც ფოსტალიონი შემრჩა ხელში.
- მისის პეჯი — როგორ, ნუ გამოჯავრდები, გენაცვალე; თქვენი მოლაპარაკება გავიგე და ანი მწვანედ გამოვაწყვე, ახლა ალბათ ისა და ექიმი ჯვარს იწერენ ეკლესიაში.

(შემოდის კაიუსი).

- ექიმი კაიუსი — სად არის მისის პეჯი? ჩემი თავს გეფიცებათ, მომავორეს, un garçon-ზე დამცერეს ჯვარი — ბიჩზე; სინგლიან სოფლელ ბიჩზე; ეშმაკმა დალაქვროს, ბიჩზე; ანა პეჯი არ აგმოჩნდა. ეშმაკმა დალაქვროს, მომავორეს.
- მისის პეჯი — როგორ, მწვანეკაბიანი არ წაიყვანეთ?
- ექიმი კაიუსი — დიაჰ, ეშმაკმა დალაქვროს — და ბიჩი აგმოჩნდა თავს გეფიცებათ, მთელს უინზორს შევზრავ!

(ადის).



ფორდი — უცნაურია! ვიღას შეხვდა ნამდვილი ანა?

პეჯი — გული ცუდს მითხრობს. აგერ, მისტერ ფენტონი მოდის.

(მომოდინ ფენტონი და ანა პეჯი).

ბატონო ფენტონ, ეს რას ნიშნავს, რა ამბავია?

ანა პეჯი — ჩემო მამილო, მაპატიეთ! შენც, დედაჩემო!

პეჯი — ეს როგორ მოხდა, ქალბატონო, რომ მისტერ სლენდერს არ გაპყვეით.

ანა პეჯი — რატომ არა ხარ, ქალიშვილო, ბატონ ექიმთან?

ფენტონი —

გთხოვთ ნუ შეარცხვენთ. მთელს სიმართლეს მე მოგახსენებთ.

თქვენ განუმზადეთ სამარცხვინო ჯვრისწერა ანას,

რადგან არაფრად არ ჩააგდეთ მისი გულისთქმა.

სამაგიეროდ, მე და თქვენს ქალს დიდიხანია

გვიყვარს ერთურთი და ვერც გაგვყრის აწ ვერაფერი.

მისი მოქცევა წმინდაა და საშართლიანი, —

ვერც ჯიუტობას, ვერც ურჩობას მას ვერ შეარქმევთ,

რადგანაც ამით აირიდა და მოიშორა

ათასი მძიმე, დაწყველილი, კრული საათი,

რაც იძულებითს ქორწინებას მოჰქონდა მისთვის.

ფორდი — რამე გაგაშტერათ, ველარაფერს ველარ უშველით.

ღმერთი თვითონვე აწესრიგებს ტრფობის საქმეებს.

ფულით ვყიდულობთ ჩვენ მამულებს, ხოლო ცოლები

ბედის ნებითა და განგებით გვეძლევა ყველას.

ფოლსტაფი — ო, როგორ მიხარია, რომ ჩემკენ გამოსროლილი ისარი თქვენვე მოგხვდათ.

პეჯი — რა გაეწყობა! ზეცასა ვთხოვ, იხაროთ ფენტონ!

რის არიდებაც აღარ ძალგვიძს, სჯობს ლხენით შევხედეთ.

ფოლსტაფი — ღამით მონადირე ძაღლები, ყოველკვარ ნადირს წამოაგდებენ.

მისის პეჯი — დე ასე იყოს, აღარ ვნანობ. ბატონო ფენტონ,

ღმერთმა მრავალი მხიარული დღე მოგივლინოს.

ახლა, მეუღლევ, სჯობს შინისკენ გავსწიოთ ერთად,

მოვეუსხდეთ ბუხარს და ვიცინოთ ამ ჩვენს სვირზე,

სერ ჯონიც ჩვენთან წამოვიდეს.

ფორდი — დე წამოვიდეს.

(მიმართავს ფოლსტაფს).

მინც პირნათლად გამოდიხართ, სერ, მისტერ ბრაყთან

რადგან მისის ფორდს მოუწევდა ამაღამ იგი.

(დადის).



გეორგი სიმეონილი



იდეური ჩანაფიქრი და მისი მხატვრული განსახიუმრება

ღრმა და ფართო იდეური ჩანაფიქრის მხატვრული განხორციელება, ე. ი. სწორად დანახული და მართებულად შეფასებული სინამდვილის მხატვრულ სახეებსა და ხასიათებში გადმოცემა ლიტერატურულ-შემოქმედებითი პროცესის ძირითადი მხარეა; მასთან არის დაკავშირებული დიდი ნაწილი იმ სიძნელეებისა, რომლებიც თანამედროვეობის მხატვრული ასახვის დროს საბჭოთა მწერლების წინაშე დგება.

სოციალისტური რეალიზმის მხატვრული მეთოდით ხელმძღვანელობა, ისევე როგორც სოციალისტურ სინამდვილესთან მტკიცე კავშირი, ის წარმართველი ფაქტორია, რომელიც საბჭოთა მწერლების წინასწარი იდეური ჩანაფიქრის არსსა და მიმართულებას განაპირობებს.

ამ უმნიშვნელოვანეს ფაქტორის კეთილისმყოფელი გავლენის შედეგად ჩვენი თანამედროვე მწერლების წინასწარი ჩანაფიქრი (თავისი ზოგადი სახით) უმრავლეს შემთხვევაში მაღალ იდეური და აქტუალურია.

საბჭოთა მწერლები მიზნად ისახევენ თანამედროვეობის ფართო და ღრმად ჩვენებას; ისინი ისწრაფიან სოციალისტური სინამდვილის ძირითადი პროცესებისა და ტიპური მოვლენების მხატვრული ასახვისაკენ. საბჭოთა პატრიოტიზმი, ჩვენი ადამიანების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, ხალხთა მეგობრობა, გათავისუფლე-

ბულ მშრომელთა ძმური თანამშრომლობა, კრიტიკა და თვითკრიტიკა—საბჭოთა საზოგადოების განვითარების ეს ძირითადი მამოძრავებელი ძალები—ლიტერატურული შემოქმედების იმ საფუძვლად იქცა, რომელიც განაპირობებს მის თემატიკასაც და ყოველი კონკრეტული მხატვრული ჩანაფიქრის ზოგად არსსაც.

ასე რომ ლიტერატურაში მართო კარგი ზოგადი ჩანაფიქრი რომ წყვეტდეს საკითხს, მაშინ ჩვენ ძლიერ ნაკლებად გვექნებოდა სინამდვილის გამყალბებელი ნაწარმოებები.

ჩვენს პირობებში სუსტ ნაწარმოებთა დიდი ნაწილის შექმნის მთავარი მიზეზი არა იმდენად ყალბი და მანკიერი ჩანაფიქრია, რამდენადაც სეროიზული ნაკლოვანებები ამ ჩანაფიქრის მხატვრული ზორცშესხმის საქმეში. ამიტომაც, რომ ხანდახან კარგ განზრახვას სასურველი შედეგი არ მოსდევს.

ჩანაფიქრის მხატვრული რეალიზაციისათვის შემოქმედებითი ძალა საჭირო. ამ ძალის მომცემი კი ცოდნაა, ცოდნა იმისა, რასაც ასახავ და რა საშუალებითაც ასახავ. აი, ეს ორი მომენტი—ცხოვრების ცოდნა და მხატვრული ოსტატობა—განაპირობებს იდეურა ჩანაფიქრის სრულფასოვან რეალიზაციას. ცოდნის გამდიდრება, ოსტატობაში დაბელოვნება მხატვრული ნიჭის ზრდისა და გაფურჩქვნის საწინდარია. ამიტომ ბრძოლა ცხოვრებისეული ცოდ-

ნის გამდიდრებისათვის, სამწერლო ოსტატობის სრულყოფისათვის საბჭოთა ლიტერატურის წინსვლას ძირითადი პირობაა.

ამ წერილში ჩვენ შევეცდებით პროზაულ ნაწარმოებთა კონკრეტული ანალიზის საფუძველზე ცხადყოთ ის შესაბამისობა, რომელიც იქმნება ხანდახან წინასწარ განზრახვასა და მის მხატვრულ შედეგს შორის და შეძლებისდაგვარად მივუთითოთ ამ მიზეზებზე, რომლებიც ხელს უშლიან მწერლის ჩანაფიქრის ბოლომდე სრულყოფილ მხატვრულ განხორციელებას.

საანალიზოდ ავიღებთ, ქართული პროზის აღმანახს, რამდენადაც წერილში აღძრული საკითხის თვალსაზრისით იგი მეტად საყურადღებო მხატვრულ ფაქტებს შეიცავს.



ოთარ ჩხეიძე ქართველ მწერალთა ახალთაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია.

ბეჯითად და თანმიმდევრულად მომუშავე მწერალმა მოკლე ხანში სამი მოზრდილი რომანი („ურწყავი“, „ტინის ზიდი“, „ჯებირი“) და ნოველების წიგნი გამოაქვეყნა. ამ ნაწარმოებების იდეურ-მხატვრული ღირსებები ცხადყოფენ ავტორის დიდ შემოქმედებით შესაძლებლობას. ეკვს გარეშეა, რომ ო. ჩხეიძის სახით თანამედროვე ქართულ მწერლობას საიმედო, ორიგინალური და ძლიერი შემოქმედი ჰყავს.

მაგრამ, მიუხედავად ო. ჩხეიძის შემოქმედების ზეაღმავალი ხაზით განვითარებისა, არც თუ ისე ძნელი შესამჩნევია, რომ ამ ნიჭიერი მწერლისათვის ძიების ხანა და შემოქმედებითი ჩამოყალიბების პროცესი ჯერ კიდევ არ დასრულებულა.

დაკვირვებელი თვალი იმასაც შეამჩნევს, რომ ო. ჩხეიძის შემოქმედებითი ძალისა და უნარის სრულად გამოვლინებას წინ თითქოს რაღაცა ეღობება.

ეს „რაღაცა“, ჩვენი აზრით, მწერლის მიერ პროზის ტექნოლოგიისადმი მხატვრული ოსტატობის ზოგიერთი მხარის არასწორ გააზრებაში იმალება.

ვინც დიდი განზოგადებებისაყენ ისწრაფვის და დიდი ტილოების შექმნას ცდილობს (ო. ჩხეიძე კი სწორედ ასეთი მწერალია), მას ოსტატობაც მეტი მოეთხოვება, ოსტატობას კი შედავით არ უნდა სჭირდებოდეს; ჩვენში გაერყელებულია შეხედულება, რომ თუ მწერალი ნიჭიერია და ძირითადად კარგი ნაწარმოები შექმნა, მისი მკაცრი გაკრიტიკება საჭირო არაა, რადგან ამან შეიძლება მას „ხასიათი გაუფუქოს“ ან „გუნება წაუხდინოს“. ეს მანე აზრია. შიში სისუსტის დედაა. მაგრამ თუ მწერლის შიში მასვე ასუსტებს, კრიტიკოსის შიში სამჯერ უფრო საშიშია: იგი კრიტიკოსსაც აძაბუნებს, მწერალსაც აბნევს და მკითხველსაც უკარგავს სწორ ორიენტაციას.

ქვემოთ ჩვენ ო. ჩხეიძის უკანასკნელი ნაწარმოების „ჯებირის“ გარჩევის საფუძველზე გვინდა აღვნიშნოთ ზოგიერთი ნაკლოვანება, რომლებმაც, ჩვენი აზრით, ხელი შეუშალეს ავტორს როგორც კარგი საერთო ჩანაფიქრის მკაფიო და ნათელ დამუშავებაში, ისე (და განსაკუთრებით!) ამ ჩანაფიქრის სათანადო მხატვრულ ხორცშესხმაში.

„ჯებირი“ უკანასკნელი წლების ქართული პროზის მნიშვნელოვანი მოვლენაა. რომანი გვიზიდავს რთული და აქტუალური პრობლემატიკით, ავტორის თამამი და ღრმა შეჭრით სინამდვილეში, საკირბორტო საკითხებზე გაბედული მსჯელობით, მოქალაქეობრივი პათოსით და საკოლმეურნეო სოფლის რიგანი ცოდნით.

ამავე დროს, „ჯებირის“ არსებითი ნაკლოვანებებიც გააჩნია და ამ ნაკლოვანებათა აღნიშვნა მით უფრო საჭიროა,

რომ ისინი დამახასიათებელია ზოგიერთი სხვა ქართველი პროზაიკოსთა ნაწარმოებებისათვისაც.

ავტორმა თავის ნაწარმოებს სახელად „ჯებირი“ დაარქვა, მაგრამ ვინ ან რა იგულისხმება „ჯებირში“—ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მეტად ძნელია, რადგან სათაური ნაწარმოებში გარკვევით არ ხსენება.

თუ „ჯებირის“ ცნება დაკავშირებულია დადებითი გმირის ლაღო სავანელის ცოლის სახესთან, ცოლისა, რომელიც თავისი ინდივიდუალისტური, მეშინური შეგნებით და საქციელით გმირს აღუდგება წინ და მას ერთგვარად ბორკავს (რაზედაც ეპიგრაფიც მიგვითითებს), მაშინ უნდა აღინიშნოს, რომ ლაღოს ცოლთან ურთიერთობის მოტივები რომანის ჩანაფიქრისა და სიუჟეტის შედარებით მეორეხარისხოვან რჯალს ქმნიან და ნაწარმოების პირადულ-საყოფაცხოვრებო მხარეს უკავშირდებიან. ნაწარმოებს სათაური კი ძირითადი თემის მიხედვით უნდა ეწოდოს.

„ჯებირი“ იწყება ეპიგრაფით: „ღმერთო, ნუ მისცემ ვაჟეაცსა ცოლსა ავსა და მძინარსა, ის მოკლავს, ის დაანელებს, ის მისცემს წყალსა მდინარსა“ (ხალხური). ეპიგრაფი, როგორც ცნობილია, ნაწარმოების ძირითად თემასა და მისი გადაწყვეტის მიმართ უღებებს გვანიშნებს. შესაფერისი ეპიგრაფის მოძებნა (განსაკუთრებით მრავალბლანიანი ნაწარმოებისათვის) ძნელია. „ჯებირის“ შინაარსი რომ ამ ეპიგრაფში აღნიშნული თემის ფარგლებით შემოზღუდულიყო, ის დაპყრგავდა თავისი საზოგადოებრივი პრობლემატიკის უდიდეს ნაწილს და ახლანდელთან შედარებით გაცილებით უფრო ვიწრო, კამერული ხასიათის ნაწარმოებად მოგვევლინებოდა.

ჩვენ არ შევჩერდებოდით ამ, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო საკითხებზე, მათ უკან რომ მნიშვნელოვანი მოვლენე-

ზი არ იმალებოდნენ. საქმე ისაა, რომ სათაურისა და ეპიგრაფის განსაკუთრებული გამიზნულობა თვით ავტორის ჩანაფიქრის არასიზუსტეზე მიგვითითებს, ხოლო როდესაც ნაწარმოები არასაკმარისად მკაფიო და ნათელი ჩანაფიქრის საფუძველზე იქმნება, ავცილებლად თავს იჩენს კომპოზიციური შეფუკვრულობა. სიუჟეტის სისუსტე, ხასიათების ცალმხრივობა ან სქემატურობა, შინაგანი წინააღმდეგობები, შეუსაბამობა და სხვა მხატვრულ-შინაარსობრივი ნაკლოვანებანი.

ის გარემოება, რომ „ჯებირის“ სათაური და ეპიგრაფი ზუსტად არ შეეფერება ნაწარმოებს, იმას გვაფიქრებინებს (და ეს შემდეგ სხვაგვარად დასტურდება), რომ ო. ჩხეიძეს არ ჩაუტარებია სათანადო მასშტაბის წინასწარი მუშაობა.

მუშაობის პროცესში რაიმე ახლის მიგნება ხშირი მოვლენაა შემოქმედებითს პრაქტიკაში, მაგრამ ბედნიერი მიგნება, რომელიც აფართოვებს ნაწარმოების თემატურ რჯალს და აძლიერებს მის იდეურ რეზონანსს, მწერლისაგან მოითხოვს მეტ შრომასაც. „ჯებირის“ კი ერთგვარი ნაჩქარევი მუშაობის კვალი ამჩნევია.

წინასწარი ჩანაფიქრის ბოლომდე დაუხვეწელობამ და ამ ჩანაფიქრის ნაჩქარევმა მხატვრულმა განხორციელებამ განსაზღვრა რომანის ნაკლოვანებები. „ჯებირში“ მას ალამ თითქოს დაჯამება და აიყოლია მწერალი და ამის შედეგად მან ვერ გამოყო ნაწარმოების მთავარი და წამყვანი მოტივი და ვერ გაშალა იგი შესაფერისი სიღრმით და სისრულით.

ო. ჩხეიძე სწორად იტყვება, როცა მთავარი გმირის, ლაღო სავანელის, ხასიათის ღრმა და სრული გახსენისათვის გვიჩვენებს მას როგორც პირად ცხოვრებაში, ისე საზოგადოებრივ ასპარეზზე; უამისოდ შეუძლებელია საბჭოთა ადამიანის ბუნების ჩვენება. მაგრამ ცელი

აქ ისაა, რომ ორმხრივი დახასიათების სიძნელემ თითქოს ორი თავისთავადი სიუჟეტური ხაზი, ორი სხვადასხვა, ერთმანეთთან ნაკლებად დაკავშირებული ამბავი წარმოშვა. მოქმედ პირთა ერთიანობის მიუხედავად, ავტორი თითქოს ორ სხვადასხვა ფონტზე იბრძვის. ცხადია, ასეთ შემთხვევაში ხან ერთი მხარე ზარალდება, ხან მეორე. ავტორს ჩანს ერთი ამბისათვის გაბატონებული მდგომარეობა მიენიჭებინა და მეორე ამბავთან დაკავშირებული სიუჟეტური რაკლისათვის კი მხოლოდ პირველას შემავსებელი და გამაღრმავებელი ფუნქცია დაეკისრებინა, რომანი გაცილებით მოიგებდა და მისი იდეურ-მხატვრული გამოკვეთილობაც ბევრად გაიზრდებოდა.

ო. ჩხეიძემ „ჯებირის“ სიუჟეტის რაკლში მოქცეული მრავალი საყურადღებო მოვლენის მხოლოდ თავი და ბოლო გვიჩვენა, მხოლოდ დასაწყისი და ფინალი ასახა, ამ მოვლენათა განვითარების ჩვენებას კი გვერდი აუარა. ასეთ, კალმის ორი მოსმით ნაჩვენებ მოვლენებს, რომელთაც, ამავე დროს, დიდი სიუჟეტური ფუნქცია აქისრიათ, წარმოადგენს, მაგალითად, ორბისის ჩამორჩენილი კოლმეურნეობის მოწინავე გაჩაღებულ და ირაკლი შუბითიძის რაკიონის მდივნობიდან მოხსნა და შემდეგ აღდგენა.

ორბისის კოლმეურნეობის გარღვევიდან გამოსვლისა და მისი „გამოსწორების“ ამბავი „ჯებირის“ სიუჟეტის მთავარი რაკლია. ეს ამბავი ყველაზე მნიშვნელოვანია რომანში. სწორედ იგი განაპირობებს რომანში ძირითად სიუჟეტურ მოტივებს და ავლენს მთავარ ხასიათებს. ავტორმა კი ამ პროცესის ვრცელ და თანმიმდევრულ ჩვენებას რატომღაც გვერდი აუარა, მაშინ როდესაც სწორედ ეს ჩვენება გაზრდიდა ნაწარმოების დამაჯერებლობას, განავითარებდა კონფლიქტს და უფრო სრულად გამოავლენდა ხასიათებს.

ვერ ვიტყვი, რომ „ჯებირში“ არ იგრძნობოდეს ჩამორჩენილი კოლმეურნეობის „შემაღრი“ № 3.

ნეობის გამოსწორების სიძნელეები, მაგრამ ავტორმა მაინც მეტად ჩქარა და დაქმნა ორბისი. საჭირო იყო არა მარტო წინააღმდეგობათა გადალახვის სირთულეთა უკეთ ჩვენება, არამედ თვით ამ პროცესის დროში მომწიფება, ე. ი. მისი ფაქტობრივი და ფსიქოლოგიური მოტივირება.

დროსა და სივრცეში მეტი ვაშლა სჭირდებოდა ირაკლი შუბითიძის ხასიათსაც. ავტორმა ორგანულად დაუკავშირა ეს პერსონაჟი რომანში ასახულ პიროვნებებსა და მოვლენებს, ცოცხლად და გამოკვეთილად დახატა მისი პორტრეტი, მაგრამ ეს სწორად დასახული ხასიათი ვერ არის ბოლომდე გახსნილი და განვითარებული რომანის კომპოზიციურ ჩარჩოებში.

ავტორი სწორად მოიქცა, როცა შუბითიძე რომანის ერთ-ერთ მთავარ გმირად გამოიყვანა. ამით მან არა მარტო ზოგადად გვიჩვენა პარტიის ხელმძღვანელი როლი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ფონტზე, არამედ შეეცადა დაეხატა პარტიული ხელმძღვანელის კონკრეტული, ცოცხალი, ინდივიდუალური თვისებებით შემკობილი სახე. მაგრამ რაკი ავტორი ასე „ახლო მივიდა“ შუბითიძის ხასიათთან და მისი სახით მოგვცა არა „სიმბოლური ხელმძღვანელი“, არა რომანის ფარგლების გარეთ მდგარი რაღაც „წარმმართველი საწყისი“, არამედ ცოცხალი ადამიანი, მახლობელი, ბუნებრივი და მიმზიდველი, — მას უნდა მოეცა ამ ხასიათის ძირითადი თავგადასავლის ჩვენებაც, მით უმეტეს, რომ ეს ამბავი რომანში მოცემული დროის ჩარჩოებშიც მოთავსდებოდა და სიუჟეტურადაც ფრიად მნიშვნელოვანი იქნებოდა.

შუბითიძის ცხოვრებაში კი უმნიშვნელოვანესი მოვლენა თანამდებობიდან მისი უსამართლოდ მოხსნა იყო (ხელმძღვანელ პოსტებზე გაპარულმა კარიერისტებმა და ბიუროკრატებმა თავიდან მოიცილეს „სახიფათო და მოუსვენარი ადამიანი“). შუბითიძეს მთელი თავისი სულიერი ძალის დაძაბვა მოუხ-

დებოდა, რომ სააშკარაოზე გამოეყვანა და დაემარცხებინა ვერაფე მტრები. სწორედ ამ ბრძოლაში გამოჩნდებოდა მისი, როგორც კომუნისტის, ღირსებაც და ადამიანური თვისებებიც. ამ ისტორიის დასურათება საშუალებას მისცემდა ავტორს, ეჩვენებინა მკითხველისათვის მძაფრი და ცხოვრებისეული კონფლიქტიც. უარყოფითის მხილვაც, პარტიის მიერ უღირსი ადამიანების გამოაშკარაებაც და საბჭოთა ადამიანის სულიერი სიმამლვეც. მაგრამ ავტორმა ან ვერ შეაფასა სათანადოდ ამ ამბის ჩვენების საჭიროება რომანისათვის, ანდა შეუშინდა ამოცანის სირთულეს.

რომანში არ არის საკმარისად მოტივირებული ორბისის კოლმეურნეობის ჩამორჩენა და არც მისი გარდაქმნის პროცესია ღრმად ნაჩვენები.

რომანის დასაწყისში ორბისის კოლმეურნეობა მუქ ფერებშია აღწერილი. ჩაცვენილი ზოგირები, გაფუჭებული გზები, სარეველმორეული ნათესები, ცუდად მოვლილი ბაღები, უკაცრიელი სოფელი — ყველაფერი ეს ისეთ მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს, როგორც კრიტიკული რეალისტების მიერ აღწერილი ძველი სოფლის სიდუხჭირე. მაგრამ როდესაც ამ სოფლის თავკაცებს გავეცნობით, გამოირკვევა, რომ ყველა ისინი ჩინებული ადამიანები არიან: გამრჯე, მუყაითი, საქვეყნო საქმისათვის თავდადებული მშრომელები.

რამ მიიყვანა სოფელი ამ მდგომარეობამდე? სად იყვნენ ლადო, კოტე, ბაბე, ფიჩანი და სოფლის სხვა კომუნისტები? სად იყო ირაკლი შუბითიძე? ნუთუ ყველაფერი ეს კოლმეურნეობის თავმჯდომარის ცოლის ქალაქისადმი ავადმყოფურად სწრაფვის ბრალია? რომანში კოლმეურნეობის ჩამორჩენის მიზეზი არ არის ნაჩვენები ღრმად და საქმის ნამდვილი ცოდნით; არ არის ნაჩვენები კოლმეურნეობის უეცარი გამოსწორების პროცესიც.

ავტორი თითქოს გვანიშნებს, რომ კოლმეურნეობის ჩამორჩენა ცუდი ხელ-

მძღვანელობის ბრალია; მაგრამ, შეგვედგინო, ირკვევა, რომ ლადო არც თუ ისე ცუდი ხელმძღვანელია. კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის კრებაზე (რომელიც ავტორს უდავოდ კარგად აქვს აღწერილი) სოფლის კომუნისტები ასეთ ატესტაციას აძლევენ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს: „ლადო საქმეში არ დაიძრახება“, „ლადოს აუგი პირიდან არ ამოიშვებაო“ — ეს თითოთოროლა კოლმეურნის აზრი კი არა, მთელი კოლექტივის აზრია.

როდესაც მკითხველი ლადოს უფრო ახლო ეცნობა, რწმუნდება, რომ ლადო კარგი ადამიანი და თავდადებული მუშაკია.

მაშ რაშია საქმე? საქმე ისაა, რომ ავტორმა არ დაუქვემდებარა რომანის სიუჟეტური სქემა ხასიათის განვითარებას, თავზე მოახვია ეს სქემა ხასიათებს, გამოსავალ წერტილად აიღო წმინდა ლოგიკური სილოგიზმების გზით შექმნილი ამბის განვითარება: თავმჯდომარეს ცოლი არ „გამოადგა“, მას ოჯახური საქმეები აეწეწა, მაშასადამე, იგი საქმეს მთელ გულისყურს ვერ ახმარს; მაშასადამე, კოლმეურნეობა აუცილებლად ჩამორჩება. მაგრამ რაიონში კარგი რაიკომის მდივანია, კოლმეურნეობის თავმჯდომარეც კარგი ადამიანია, და მაშასადამე, კოლმეურნეობა უნდა გამოვიდეს გარღვევიდან და მოწინავეთა რიგში ჩადგეს. აი ამ წმინდა ლოგიკურ ვარაუდზეა აგებული რომანის ეს მნიშვნელოვანი ხაზი. ასე რომ, რომანის სიუჟეტური განვითარების ეტაპები და მიმართულებები, ხასიათების განვითარების თავისებურება და წინააღმდეგობანი გაპარობენ და წინააღმდეგობანი წინამდევლით, რამდენადაც ავტორის წინასწარი გაანგარიშებით, მისი ტენდენციით.

უნდა ითქვას, რომ არც ამ „სქემაში“ და არც ამ „განგარიშებაში“ თავისთავად ცუდი არაფერია; ცუდი ისაა, რომ ეს სქემა არ არის ორგანულად დაკავშირებული ხასიათებთან, რომ ის რომანში

ხშირად სინამდვილიდან კი არ გამომდინარეობს, არამედ მექანიკურად „მორგებული“ და „თავზემოხვეული“ აქვს ამ სინამდვილეს.

ჩვენს ლიტერატურაში იყო შემთხვევები, როცა დადებითი გმირის ნოვატორად გამოყვანის სურვილს კონფლიქტის სწორად გადაწყვეტა ეწირებოდა მსხვერპლად. ვფიქრობთ, რომ ამის კვალი „ჯებირშიაც“ შეიმჩნევა. რამდენიმე რაიონი და მათ შორის ისიც, რომელშიც ირაკლი „შუბითიძე რაიკომის მდივანია, არხს აშენებს. პროექტი და ხარჯთაღრიცხვა მოსკოვშია დამტკიცებული, მაგრამ ირაკლის და ერთი რეჟინრის აზრით, ეს პროექტი არაღამაკმაყოფილებელია. ბუნებრივი იქნებოდა, რომ ირაკლის მიემართა ხელმძღვანელი ორგანოებისათვის ამ საკითხის გადასაწყვეტად და, თუ საჭიროება მოითხოვდა, ებრძოლა კიდევ სწორი თვალსაზრისის ცხოვრებაში გასატარებლად. მაგრამ ირაკლი რაიკომის მდივანისათვის სრულიად შეუფერებლად მოქმედებს, იგი აიყოლებს მეზობელ რაიკომების მდივანებს და „პარტიზანული“ მოქმედებით, თვითნებურად იწყებს საკვშირო მთავრობის მიერ დამტკიცებული პროექტის დარღვევას და არხის მშენებლობის სხვანაირად წარმართვას.

ამ ებიზოლით ავტორის სურდა რაიკომის სამკურთხელო ადამიანების ნოვატორული ბუნებისა და ინიციატივანობის ჩვენება და რაიკომის მდივანის თამამ, საზრიან ორგანიზატორად გამოყვანა. მაგრამ ავტორის ამ კეთილი ჩანაფიქრის სწინააღმდეგოდ სინამდვილეში სულ სხვა რამ მივიღეთ: აღნიშნულ ებიზოდში „შუბითიძე გვევლინება არა ქვეიან, გამოცდილ სახელმწიფო მოღვაწედ, რომელიც ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების მტკიცე და ზუსტი გეგმიანობის პრინციპს იცავს, არამედ თვითნება ადამიანად, რომელიც არც მთავრობის დადგენილებებს დაგიდევთ და არც მის მიერ დამტკიცებულ გეგმებსა და პროექტებს. ზემდგომი ორგანოების სათანადო ნებართვას რაიკომის მდივან-

ნი უწოდებს „ხელისგულისღებნა“ ლაღს, თარღით, სარეგისტრაციო წიშებით და ფაქსიმილითი“, — სადაც შეიძლება თურმე ყველაფერი უკუღმაც კი იყოს. რას იტყოდა „შუბითიძე, რომ მისი ინსტრუქციები და განკარგულებებიც ასევე შეფასებულყო? ზედმეტია მტკიცება იმისა, რომ ავტორს აქ სურდა არა საერთოდ ბრძანება-განკარგულებათა განქიქება, არამედ მხოლოდ „ბიუროკრატებისა, რომლებიც ხალხს წინ უდგებიან“, მაგრამ სხვა გამოუვიდა. მივიღეთ არარეალური სცენა, რომელშიაც „ხალხის ნება“ არსებითად დაპირისპირებულია „ხელმძღვანელობის“ ნებასთან.

აი, როგორ მიმართავს რაიკომის მდივანი სხვადასხვა სოფლიდან ჩამოსულ კოლმეურნეებს: „ირაკლიმ ცივად გადახედა ინჟინერს და ხალხს მიუბრუნდა: — ხალხო, არის თუ არა საჭირო არხი ხარისთვალაზე?!“ ხალხი ერთბაშად ახმაურდა: „არის და ანგრე?! — ყველაზე მეტად აქაოზის უჭირს.. თუ ვინმე გვიწინამძღოლებს, კარგი იქნება, თუ არა და ჩვენვე გავაკეთებთო. ირაკლის შუბლი გაეხსნა, — აი, ინებე უფლება! — დაიძახა ისეთი სიხარულითა და აღტაცებით, გამარჯვებულ ადამიანს რომ სჩვევია“...

ავტორს აქაც კეთილი განზრახვა ამოძრავებდა, მას „ხალხის ხმის ძალის“ ჩვენება სურდა, მაგრამ მიამიტი სცენა კი მოგვცა. ვანა ხალხის ხმისადმი მორჩილება იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო მოღვაწემ კოლმეურნეების ჯგუფს რთული სახალხო მნიშვნელობის სპეციალური პრობლემის გადაწყვეტა დააკისროს და მისი ექსპრობტული ჰასუხი — „საბოლოო ინსტანციის“ დადგენილებად მიიჩნიოს? ავტორი კი პათეტურად გაიძახის — „მართლაც რა შეედრება ამ სიხარულს, ხალხის თანხმობით გამოწვეულ სიხარულს, რა შეედრება ან ნებართვას, ხალხის მიერ მოცემულ ნებართვასო“. აქაც „ხალხის ნებართვა“ ძალაუფლებურად უპირისპირდება „ხელმძღვანელობის“ ნებართვას, თანაც

ეს მსჯელობა ისეთ ზოგად ფორმალურ მოცემულს, რომ არსებითად ვრცელდება არა მარტო ბიუროკრატ ხელმძღვანელებზე, არამედ საერთოდ ხელმძღვანელებზე.

„ჯებირში“ შეეხვედებით იმის მეორე მაგალითსაც, რომ კარგი წინასწარი ზოგადი ჩანაფიქრი, როდესაც მას ზუსტად, ყოველმხრივ დამუშავება აქვია — ყალბად არის რომანში განხორციელებული და ობიექტურად ავტორის წინასწარი სწორი განზრახვის საწინააღმდეგოდ ეღერს.

ო. ჩხეიძემ მართებულად შენიშნა, რომ თანამედროვე სოფლის ზოგიერთ მკვიდრში უკანასკნელ წლებში ქალაქისადმი ლტოლვამ იმატა და რომ ზოგიერთ შემთხვევაში ეს მისწრაფება გამოწვეულია არა კეთილი მიზნებით (სწავლის გაგრძელების, ქარხანაში მუშაობის ან ახალი სპეციალობის შექმნის სურვილით და სხვა), არამედ მეზიანური ლტოლვით „ქალაქისადმი“ და სოფლის ბატონკაცური ათვალისწინებით. ყოველივე ამას არაფერი საერთო არა აქვს საბჭოთა ადამიანის ჯანსაღ სურვილებთან და ეს მხოლოდ კაპიტალისტური გადაწვევის გამოვლინებაა. ავტორმა მიზნად დაიხაზა ამ მავნე ტენდენციის მხილება, მისი „სარჩულის“ ჩვენება და აკვირებული მესწიანური იდეებით გატაცებულთა საამჟამოზე გამოყვანა. მაგრამ ავტორი უკიდურესობაში გადაეარდა და უნებურად სოციალისტური ქალაქის წამყვანი როლი დაამყარა, მისი კეთილისმყოფელი გავლენა უგულვებელყო. როგორც მართებულად იქნა აღნიშნული ჩვენს კრიტიკაში, ავტორმა ვერ დაიკავა სწორი იდეური პოზიცია ქალაქისა და სოფლის ურთიერთობის ჩვენებისას და არსებითად ერთმანეთს დაუპირისპირა ისინი. რომანის მთავარი გმირის, ლადო სავანელის ნაგრძობ-ნათქვამში (რომელშიც ხშირად თვით ავტორის აზრები და ტენდენცია მოჩანს) შეინიშნება გარკვეული უკმაყოფილება ქალაქით.

ო. ჩხეიძეს ხასიათების მახვილად და

დამამახსოვრებლად გამოყვეთის უნარი აქვს. „ჯებირში“ პერსონაჟებუნი გახსნის ორიგინალურ მანერას ვხვდებით. ავტორის მიერ აქ გამოყენებული ხერხი მხატვრული ხასიათების დრამატურ გიულ დამუშავებას უახლოვდება. თავის გმირებს ავტორი რომანისათვის დამახასიათებელი ყოველმხრიობით კარგ გვიჩვენებს, არამედ მათ ხასიათებს კონფლიქტისათვის საჭირო მიმართულებებით ამახვილებს. ცნობილია, რომ დრამატურგიული ხასიათისათვის აუცილებელი შინაგანი მიზანდასახულობა მოითხოვს ყურადღების კონცენტრირებას ხასიათის ერთ რომელიმე წამყვან თვისებაზე. ამ ხერხს, გადმოტანილს რომანის ქანრში, ხასიათის ჩვენების შედარებით სიფიწროვისაკენ მივყავართ. „ჯებირის“ მოქმედი პირებიც ავტორმა განსაკუთრებით მთავარი მიმართულებით გაგვიშუქა. მაგალითად, ირაკლი შუბითიძე დახატულია როგორც თანამდებობის პირი, ჩვენ ისიც კი არ ვიცით. ჰყავს თუ არა მას ცოლ-შვილი, ნათესავეები, მეგობრები, როგორია იგი მახლობლებში. მისი ფიქრები და გრძობებიც მხოლოდ იმას დასტრიალებენ, რაც მას მხოლოდ, როგორც ტაიკომის მდივანს, აინტერესებს. მერა სავანელი კი ამის საწინააღმდეგოდაა დახასიათებული: ჩვენ მას უფრო ვაცნობთ როგორც ლადოს ცოლს, მაგრამ როგორია იგი როგორც მასწავლებელი, როგორც ამხანაგი, ან როგორი იყო იგი ადრე, ამას მხოლოდ სხვა მოქმედ პირთა ნაწევრ-ნაწევრ მოგონებებიდან ვგებულობთ და ისიც მეტად ბუნდოვნად ასევე არიან დახასიათებულნი კოტე, ბაბე, ფირანი და სხვები. მხოლოდ ლადო სავანელის ხასიათთა შედარებით სრულად ნაჩვენები.

მიუხედავად ამ ერთმხრივი გამახვილებულობისა „ჯებირის“ ხასიათები შთამბეჭდავნი და დამამახსოვრებელნი არიან. ავტორის არაერთი ცოცხალი და ბუნებრივი სახე აქვს მოხაზული. ის გარემოება, რომ მას თვით ებიზოლური პერსონაჟებიც (ასეთია, მაგალითად, მი-

ნისტრი, აპოლონ კორკოტაძე, ფირანი, მერი და, სოფლის რამდენიმე ახალგაზრდა და სხვანი) გამოკვეთილად და დამამასოვრებლად აქვს დახატული, მეტყველებს ავტორის ადამიანის სულში ღრმად ჩაწვდომის უნარზე. მაგრამ მწერალს ხანდახან ისე იტაცებს გმირთა ფსიქოლოგიური დახასიათება, რომ იგი თვით წერილმანი მოვლენების აღწერის ცდისადაც კი გმირთა სულში ჩახედვას ცდილობს. ამას კი მიყვარათ თხრობის ზედმეტი და უმნიშვნელო ფსიქოლოგიური ნიუანსებით გადატვირთვისა და მოქმედების რიტმის შენელებისავე. ამავე დროს, არ შეიძლება არ ვუსაყვედუროთ ავტორს ზოგიერთი ხასიათის სქემატურობა (მაგალითად, კოტესი) და ზოგიერთის გაუშლულობა და დაუშთავრებლობა (მაგალითად, ენერგიული, საზრიანი და მომზადებული ბაბესი).

ო. ჩხეიძის გმირებს ერთი საერთო თავისებურებაც ახასიათებთ: ისინი უფრო მეტს ფიქრობენ, ვიდრე მოქმედებენ. ავტორი საჭიროდ თვლის გმირების ყოველგვარი ფიქრი დაწერილებით გადმოგვცეს. ხოლო რადგან გმირთა ფიქრები ხშირ შემთხვევაში საერთო, საზოგადოებრივი ხასიათის პრობლემებს შეეხებიან, ერთნაირი ფორმით არიან გადმოცემულნი და საოცრად ჰგვანან ერთმანეთს, ვიღებთ რაღაც პლაკატურსა და ტრაფარეტულ დეკლარაციებს. მკითხველზე მეტად უამრად მოქმედებენ ეს შიშველი სენტენციები, მაღალფარდოვანი ფრაზები. აი, როგორია, მაგალითად, „ჯეზირის“ გმირის ერთი ჩვეულებრივი ფიქრი: გახურებული საზაფხულო მუშაობის დროს კოლმეურნეობის თავმჯდომარე „...ფიქრობდა ადამიანებზე, ადამიანის ბუნებაზე, ხასიათზე; ფიქრობდა საზოგადოებრივ ნისწრაფებებზე, დიად საერთო, საკეთილდღეო მოვლენებზე და ზოგ თავისებურ დამოკიდებულებაზე ამ მოვლენებისადმი. „რადა ხდება ასე“ — ფიქრობდა ლადო —

რისგან ხდება ეს თავისებურებანი, ნაკიანი თავისებურებანი?! რა ასე ხდება ვებს ბოროტს სოციალისტური თანასწორობის დროს? რა იმორჩილებს ადამიანის ბუნებას, რად ერევა სისუსტე?!“ და ა. შ.

ჩვენ იმას როდი ვამბობთ, რომ რომანის გმირს არ შეუძლია ზოგად ფილოსოფიურ საკითხებზე ფიქროს; მაგრამ ყველაფერს თავისი დრო და ადგილი უნდა მოენახოს.

ცნობილია, რომ გმირთა ნაფიქრალისა და მოგონებების დროული ჩართვა სიუჟეტურ ქსოვილში ხშირად დიდ მხატვრულ ეფექტს იძლევა. ეს ხერხი იმ მხრივაც არის საყურადღებო, რომ იგი ქრონოლოგიური ჩარჩოების გაწევის, მოქმედების ადგილის გავრცობის, პერსონაჟთა უფრო ღრმა დახასიათების საშუალებასაც ქმნის. მაგრამ ამ ხერხს ფრთხილი და გააზრებული მიდგომა უნდა. მოგონებებით და ფიქრებით გადამეტებულად გატაცება ბოროტებს, აფერხებს მოქმედებას და გმირებს რეზონერების ელფერს აძლევს.

საბჭოთა ლიტერატურის გმირი არა მარტო მოაზროვნე, არამედ უაღრესად მოქმედი უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ვერ იქნება შემტევი, — ე. ი. ცხოვრების გარდამქმნელი, მებრძოლი და შემოქმედი. „ჯეზირში“ კი, როგორც აღვნიშნეთ, გმირები ზოგჯერ უფრო მეტს ფიქრობენ და ლაპარაკობენ, ვიდრე მოქმედებენ. თანაც, ხშირად, ფიქრის პროცესი რომანში მეტად ბუნდოვნად და გაუგებრად გადმოცემული; მაგალითად: „ეს იყო ფიქრი მომავალზე, ეს იყო ნამდვილი ფიქრი (?), ნამდვილი მოვლენების განვითარება (!?), ფიქრად წარმოდგენილი ოცნება (!?), თუმცა მომავალს შეეხებოდა“.

მნიშვნელოვანი ნაკლი, რომელიც „ჯეზირის“ მხატვრულობის თვალსაზრისით შეფასებისას უნდა აღინიშნოს, ეს ავტორის მრავალსიტყვაობაა, რომელიც ან მკითხველის მიხედვრილობის უნარის შეუფასებლობის

შედგეია, ან საკუთარი მხატვრული ძალის ურწმუნობისა, ანდა წერის ინდივიდუალური მანერის დაუხვეწელობისა.

რა ქმნის ნაწარმოებში მრავალსიტყვაობას? ჯერ-ერთი, გმირების მაღალფარდოვანი პლაკატური ლაპარაკი იმაზე, რაც უთქმელადაც გასაგებია. მაგალითად, რაიკომის მდივანი ქალს ჰკუთხას არიგებს. ავტორი საპიროდ თვლის მთელი მისი სალექციო ხასიათის მონოლოგი სიტყვასიტყვით გადმოგვცეს. აი, ასე ვთქვათ, მთავარი თეზისები მისი გრძელი სენტენციებიდან: უნებისყოფობა დიდი ნაკლოვანებაა ადამიანისათვის, მით უმეტეს, ჩვენი ადამიანისათვის, „შრომა ყველგან ნაყოფიერია; სადაც საქმეა, სადაც ადამიანი დაუზარებელია, მშვიდობისათვის ბრძოლაც იქაა; არაფერს ნიშნავს ცენტრიდან დაშორება; მშვიდობისათვის ბრძოლა მხოლოდ სამშვიდობო კონფერენციებში მონაწილეობა როდია, ეს მხოლოდ გამოხატულებაა საერთო სახალხო ნებასურვილისა, და თუ, სადაც არ უნდა იყვეთ, ღირსეულად იბრძოლებთ, ესე იგი, ღირსეულად შეასრულებთ თქვენს უშუალო მოვალეობას, ძნელი როდი იქნება სამშვიდობო კონფერენციებშიც მიიღოთ მონაწილეობა თბილისში, მოსკოვში, საზღვარგარეთ“.

თავი რომ დავანებოთ ფრაზების სიმრუდეს, „სამშვიდობო კონფერენციების“ ხსენება ამ დიალოგისათვის საეცებით შეუფერებელია; ისინი საუბრის საგნისათვის უცხონი არიან. ამით ის გვინდა ვთქვათ, რომ შუბთითის სენტენციები არ შეეფერებებიან სიტუაციას. აქ შუბთითივე კი არ ელაპარაკება მოსაუბრეს, არამედ ავტორი ელაპარაკება მკითხველს და, ჩვენი აზრით, უადგილოდ.

რომანში ხშირია მრავალსიტყვაობა, იქაც, სადაც ავტორს შემოქმედებითი სადაცე მოუშვია და ერთი მკვეთრი სურათის მაგიერ, ერთი ძლიერი მხატვრული სახის მაგიერ, ფართო, მაგრამ შიშველ აღწერას იძლევა: „მიჰქრის ქა-

რავანი. მიგუფუნებს ძრავი. მიმხიარულობს, მიხმარობს ხალხი, მშენებელი... ზე მიიჩქარაან ადამიანები, რომლებიც გუშინ ბარადენენ, ხნადენენ, სხადენენ... ისინი ყველგან არიან, ყველგან იქნებიან, სადაც მშენებლობაა, კეთილდღეობისათვის ზრუნვა, განვითარებაა. მათ ბევრი რამ უნახავთ, ბევრი რამ გადაუტანიათ, დარწმუნებულან, რომ სიცოცხლეს ფასი მაშინ აქვს, ადამიანური სიცოცხლე მხოლოდ ისაა, ადამიანი ნამდვილი ადამიანის მდგომარეობაში მაშინაა, როცა განიცდის განვითარებას; ბრძოლაც იმას დაერქმევა, რაც განვითარებისათვის სწარმოებს, სხვა ყველაფერი ამაოა, მანკიერია. ისინი ბევრ რამეს მოსწრებიან, — თუმცა ასაკის მიხედვით ზოგი ცოტას მომსწრეა, ზოგს ცხრაას ხუთის რევოლუციამში მიუღია მონაწილეობა, ზოგი დიდი სამშულო ომის დროსაც ბავშვი ყოფილა, მაგრამ მაინც ერთგვარად იციან, რომ ცხოვრობენ ისეთ ეპოქაში, როცა ზორციელდება კაცობრიობის ყველაზე მოწინავე ადამიანთა ნაფიქრი... იცვლება ადამიანი, იცვლება ბუნება, მათ თვალწინ იცვლება, მათი ხელოვნება იცვლება“.

ლიტერატურა სახეებით აზროვნებაა. აქ კი ლიტერატურას ეს თავისი ძირითადი ნიშანი დაკარგული აქვს.

„ჯებირს“ ძლიერი პუბლიცისტური ელერადობა ახასიათებს. ეს კარგი თვისებაა. იგი ო. ჩხეიძის პატრიოტულსა და მალამოჭალაქობრივ ზრახვებზე მეტყველებს. რომანში ნათლად ჩანს ავტორის პოლიტიკური და ზნეობრივი მრწამსი, მისი მოვლენებისადმი მკაფიო დამოკიდებულება, ცუდის თამამი გაკიცხვისა და კარგის გულწრფელი მოწონების ტენდენცია.

პუბლიცისტის ნიმუშები რომანში მრავალადაა. ისინი ერთგვარი ექსპრესიით ხასიათდებიან და, რაც მთავარია, სიტუაციებს შეეფერებიან, გმირის შინაგანი ბუნების გამოვლინებას წარმოადგენენ. ასეთია, მაგალითად, ლადოს საუბარი ბაბესთან; ასეთია მეშხანობისა და ობივატელობის მახვილი, პუბლიცისტუ-

რი კრიტიკა (მერისა და მისი ქალაქელი მეგობრის სალომეს სახით), ასეთია ირაკლის საუბარი მთავარ ინჟინერთან და სხვა. შეიძლება ეს პუბლიცისტური აზრები აქა-იქ საკამათოც იყოს, მაგრამ, რომ ისინი გულწრფელი მოქალაქეობრივი პათოსითაც არიან ნაკარნახევი და მხატვრული ნაწარმოების ქსოვილში არიან ორგანულად ჩაწული.

მაგრამ ზოგჯერ თავის სწორ პუბლიცისტურ აზრებს ავტორი ვერ „ახევეს“ შესაფერ ფორმაში. რის გამოც რომანში პუბლიცისტკა ხანდახან „ჩაეკრებულის“. ხელოვნურად შეტანილის შთაბეჭდილებას ტოვებს. აი ამისი ტიპური მაგალითიც: „მრავალი (ჩამოთვლილია — გ. ც.) ელსადგურების თითქმის ერთდროული მშენებლობა დიდი სამამულლო ომის დამთავრების მეორე დღიდანვე წარმოადგენდა ბუნების გარდაქმნის დიდ კომპლექსს, მაგრამ მაინც მინიატურულ გამოსახულებას დაემგვანა, დაიწყო თუ არა კომუნიზმის ახალი, დიადი მშენებლობანი — ვერ შეამჩნიონ ეს გრანდიოზული მშენებლობანი. ყურადღება არ მიაქციონ საერთო განწყობილებას და იჭადაგონ თითქოს არა ისინი, არამედ საბჭოთა კავშირი ემზადებოდეს ახალი ომისათვის. ეგებ გაგება არ შეუძლიათ იმპერიალისტ ეკონომისტებს და პოლიტიკურ მოღვაწეებს, ეგებ შეუძლიათ? ეს სულ ერთია. ის მაინც კარგად იციან, რომ მათი საზოგადოებრივი წყობა ვერ გასძლებს. ხოლო მათი მუქარის მიუხედავად ჩვენში დაიწყო უმაგალითო იერაშემი ბუნებაზე... მეცნიერები და მშენებლები, ადამიანი და ფოლადი ეკვეთა ბუნებას. მანქანის, ფოლადის უმაგალითო იერიშების დიდი სამამულლო ომის დროიდან ახლოვს ჩვენს მიწას, ბევრს იცნობს კიდევ: ბულდოზერების, ექსკავატორების, სკრეპერების, გრეიდერების სხეულში დაღეწილი და გადამდნარი საომარი მანქანების ნაწილებიც არის. და როცა ძღვევამოსილი მსოფლიოს ხალხები გადაადნობენ ინგლის-ამერიკელი იმპერიალისტების ახალ საომარ მანქა-

ნებსაც, საბოლოოდ დასძლევენ, დი-მორჩილებენ ბუნებას, ბოლოს მოკლენ ბენ სამუშს. პამსისს, ხუანდესს, ჩინქან ფინს და ბედლანდების ქარებსაც...“

ამ სიტყვებს არც ორგინალურობა ახლავთ და არც სიახლე. ზოგჯერ გგონია, რომ თ. ჩხეიძემ ყველა თავისი ნააზრევი ნაწარმოებში შეიტანა. ავტორი თითქმის ყველაფერზე ლაპარაკობს, რაც კი უკანასკნელ წლებში ჩვენთან თუ სხვაგან მომხდარა. იგი ლაპარაკობს ახალი ჯურის ნეოფაშისტებზე, ნორვეგიაში საბჭოთა მეომრების ხსოვნის შეურაცხყოფაზე, არქეოლოგიურ სამარხებში ნაპოვნი ნივთების დათარღლებაზე, ღირებულებაზე, კუთვნილებაზე, გეაცნობს თავის ვარაუდებს საქართველოს ისტორიაზე, მტრების შემოსევაზე, ნანგრევთა და ნასახლართა წარსულზე, ვოლგა-დონის არხზე, მიწის სამუშაოთა მქანიზაციაზე, კომუნისმის დიად მშენებლობაზე, მოსიარულე ექსკავატორებზე, რაიმონდა დიენზე და ნაზიმ ჰიქმეთზე. ჩვენ ამ ფაქტების ნაწარმოებში ასახვის წინააღმდეგი კი არა ვართ. პირიქით, ყველა ეს მოვლენა ჩვენი დროის, ჩვენი ეპოქის სუნთქვას ქმნის, თანამედროვე ცხოვრებასა და ადამიანებს ახასიათებს, მაგრამ ჩვენ წინააღმდეგი ვართ მათი ისეთი ფორმით გადმოცემისა, როცა ფაქტები და მოვლენები არაბუნებრივად არიან მოტანილი და ორგანულად არ არიან დაკავშირებული ნაწარმოების ქსოვილთან, გმირების ხასიათებთან.

მაგალითად, რომანში რამდენიმე გვერდი ეთმობა ნაზიმ ჰიქმეთისა და საბაჰათინ-ალის შემოქმედების გარჩევას მხოლოდ იმიტომ, რომ მათი სახელები რომანის ერთ-ერთმა მეორეხარისხოვანმა პერსონაჟმა ასხენა.

რომანში ადგილი აქვს ამა თუ იმ მოვლენის წმინდა გარეგნული ხერხებით აღწერასაც, რაც ხანდახან ასახვის იმპრესიონისტურ მანერას უახლოვდება. ასეთი გარეგნული, შემთხვევითი შტრიხებითაა, მაგალითად, აღწერილი არხის მშენებლობაზე ბეტონის მზადება, კედ-

ლის გაზეთებზე მუშაობის პროცესი დასწვა. ჩვენ ყოველგვარი გარეგნული აღწერის წინააღმდეგი ვი არა ვართ, გარეგნულის გარეშე ვერც შინაგანი დახასიათდება, მაგრამ გარეგანი შინაგანის გახსნას უნდა ემსახურებოდეს.

ზოგჯერ ავტორი სენტემენტალურ გრძობიერებას ამჟღავნებს და გულჩუყებულად იწყებს მომავლის ქებას: „აჰ, რა კარგია, ცხოვრობდე და შრომობდე და ოცნებობდე, ოცნებასაც ვერ ასწრებდე — განხორციელებულით ტუბებოდე! რა კარგია სიცოცხლე! კარგია შრომა! ყველა კარგია! ყველაფერი კარგია... კარგია“.

საყოველთაოდ ცნობილია ის უდიდესი მნიშვნელობა, რომელსაც ლიტერატურის კლასიკოსები პერსონაჟთა ენობრივ დახასიათებას აკუთვნებდნენ. გორკის სამართლიანი აზრით, პერსონაჟთა ინდივიდუალურ ხასხასს, უპირველეს ყოვლისა, მათი ენობრივი დახასიათება ქმნის. პერსონაჟთა სრული და მეტყველი ენობრივი დახასიათება მოითხოვს არა მარტო სალაპარაკო ენის ცალკეული გამოთქმებითა და აკვირებული სიტყვებით შეკაზმვას, არამედ ხასიათის თავისებურებათა ჩვენებას ლექსიკით, წინადადებათა წყობით, რიტმით და სხვა ენობრივი ნიუანსებით.

ვფიქრობთ, რომ ამ მხრივ ო. ჩხეიძემ კიდევ დიდი მუშაობა უნდა ჩაატაროს. მისი გმირები უმეტეს შემთხვევაში ერთფეროვანი ენით ლაპარაკობენ, ხოლო, თავის მხრივ, პერსონაჟთა ენა თითქმის არ განსხვავდება ავტორის ენისაგან. მაგალითად, ავტორისათვის დამახასიათებელი მრავალსიტყვაობა ხშირად გმირების ენაშიც იჩენს თავს. აი, მაგალითად, როგორი ტავტოლოგიური სტილით ელაპარაკებიან ერთმანეთს თავზჯდომარე და პარტორგა: „...თესვაზე თუ შენ იქნებოდი, არხვე ფირანი წავიდოდა ან მე წავიდოდი; რახან შენ მიდიოდი, მთესველებთან ფირანი იქნებოდა ან მე ვიქნებოდი. განა არ შეიძლება საჭმის განაწილება? ხოლო ვთქვათ, გარღვევის დროს მოსვენება არ შეგიძ-

ლია — რა თქმა უნდა ვის შეუძლია მონენება? ვთქვათ, არ შეგიძლია საქმის ნიტოვება სხვის ანაბრად, — ვიცი არ შეგიძლია, — მაგრამ...“ და სხვა.

ასეთი ტავტოლოგია გამართლული მაშინ იქნებოდა, რომ იგი პერსონაჟის დახასიათებას ემსახურებოდეს, მაგრამ ეს თვით ავტორისეული მეტყველების თვისებაა და ამ თვისებას იგი თავის პერსონაჟებსაც ახვევს თავზე. ასევე ლაპარაკობს ეთერიც: „ეს დღეს არ დაწყებულა, არც დამთავრებულა, არც ვიცი როდის დამთავრდება, ან დამთავრდება თუ არა... ეს ჩემი საქმეცაა, რაც შენ შეგეხება, მეც შემეხება, რაც შენ გაწუხებს, მეც მაწუხებს, მალეღებებს, განა ისე პატარა ვარ? განა მართლა პატარა ვარ? არა, მე ასე პატარა აღარ ვარ... დედისთვის შეილი ყოველთვის პატარაა, მაგრამ შეილი მანც იზრდება“.

პერსონაჟთა მეტყველებაზე მსჯელობისას არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ „ჯებირის“ მოქმედ პირთა დიალოგის ვადმოცემისას ავტორი ხშირად თითქოს არ ემაყოფილებდა იმ სიტყვებით, რომელთა წარმოთქმა გმირებს სინამდვილეში შეეძლოთ და მათ საუბარში მკითხველის გასაგონად თავის აზრებს ურთავს. გმირების ასეთი, „სხვის გასაგონად“ ალაპარაკება დაგმობილი ხერხია. იგი პერსონაჟებს რეზონერებად აქცევს. ამიტომ არის, რომ გმირები, რომლებიც ურთიერთს მეტად ახლო იცნობენ, და ახლა თითოთოროლა სიტყვითაც კარგად შეუძლიათ მიხვდნენ ერთმანეთის ნაფიქრალს, უცებ ისე ალაპარაკდებიან, გეგონებთ, პირველად შეხვდნენ ერთმანეთს და ამ საგანზედაც თითქოს პირველად საუბრობენო. ასეთი ხერხი დიალოგს ბუნებრიობას, ლაკონიურობას, სისადავეს უკარგავს. ასეთია, მაგალითად, ლადოს საუბარი ფარნაოზთან მხატვრული თვითმოქმედების ორგანიზაციის შესახებ.

დიალოგში ავტორი ზოგჯერ ვერ ბოულობს საუბრის ბუნებრივ ტონს, რას გამოც მისი გმირების საუბარს რაღაც



შვიგნობრული იერი აქვს. მოქმედ პირთა ხელოვნურად ალაპარაკება აუცილებლად სიყალბეს შეაპარებს მწერალს. ამ მაგალითიც ცოლ-ქმარი ერთმანეთს წაეჩხუბა, ამ დავის დროს ქმარი (კოლმეურნეობის თავმჯდომარე) თავის ჯიუტ, მეშინაური ბუნებასა და ღარიბი ინტელექტის მქონე ცოლს ასეთნაირად ელაპარაკება: „— შეილოსნობა ბუნებაა ადამიანისა, ამის წინააღმდეგობა ბუნებრივი და საზოგადოებრივი ბოროტებაა!..“ „— თავისუფლება მოვალეობის შეგნებაა, თავისუფალი იქნები, თუ შეიგნებ მოვალეობას!..“ „— მოვალეობისა და აუცილებლობის შეგნება ადამიანებს საზოგადოებად აერთიანებს. საზოგადოება მაღალია პროგრესული იდეებისა და წმინდა, კეთილშობილური მოვალეობის ღრმა შეგნებით. მაღალი საზოგადოებრივი მოთხოვნილებაა ადამიანის უღირსი ზნეობრივი სიწმინდე, უყოყმანო, სრულიად ბუნებრივი, უშუალო თავგანწირულება საზოგადოებრივი მოვალეობისათვის. ესაა სიმტკიცე საზოგადოებისა, ესაა მაღალგონიერული ადამიანური თავისუფლება... და თუ ვინმე ამითი პირად შევიწროებას გრძნობს, ეს მისი სისუსტეა, ეს მისი შეგნების დაბალი დონეა. მან უნდა დასძლიოს თავი, უნდა დასძლიოს სისუსტე, აიმალოს შეგნების დონე, გაუთანასწოროდეს საზოგადოების მოწინავე ნაწილს“ და ა. შ.

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ თხრობის დროს ავტორს ხშირად ზომიერების გრძნობა ღალატობს. როგორც ცნობილია, ყოველგვარ სიუჟეტს გაგრძელების ტენდენცია აქვს. სიუჟეტის გაუმართლებელი გაგრძელების შემთხვევაში, თხრობის მთავარი ხაზის ზედმეტ განშტოების, ჩართულებისა და წიაღსვლების სიჭარბის შემთხვევაში, ნაწარმოები აუცილებლად დუნდება, კომპოზიციურად სუსტდება და ფრაგმენტებად იშლება. ამ გარემოებას ო. ჩხეიძემ ყურადღება უნდა მიაქციოს, რადგანაც მას, ჩვენი აზრით, ხშირად უმძიმს ხოლ-

მე ამბის თხრობისას წერტილის დროულად დასმა.

აი, ამის ორიოდე მაგალითიც: ლადო სავანელი სახლში შევიდა. ავტორი აღწერს მის მარტოობას, სულიერ დებრესიას და ღრმა განცდებს. მაგრამ ლადო გაზეთის კითხვას შეუდგა და ავტორი მაშინვე იწყებს გაზეთის ამ ნომრის დეტალურ აღწერას. გაზეთების აღწერა ლიტერატურაში იშვიათი როლია. მაგრამ მწერლები იღებენ ერთ ან ორ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას და მათი საშუალებით ახასიათებენ ეპოქის ვითარებას. ავტორს კი აქ დაუგროვებია უკანასკნელი წლების უმნიშვნელოვანესი მოვლენები და ყველაფერი გაზეთის ერთ ნომერში მოუთავსებია.

ლადო და გიორგი ბაღში სხედან და ღვინოს სვამენ. რადიოში ჯერ მუსიკა ნოისმის, მერ დიქტორი იწყებს ლაპარაკს და ავტორს აქაც თავი ველარ შეუკავებია, რომ დაწვრილებით არ გადმოგვეცეს რას ამბობს დიქტორი. ასევე სიტყვასიტყვით აღწერს იგი რკინიგზის სადგურის რადიოკვანძის მიერ გადმოცემულ ცნობას (ქართულად და რუსულად) მატარებლის გამოსვლის შესახებ, თუმცა არც ერთი მისი პერსონაჟი ამ მატარებლით არ მიემგზავრება!

რომანში მრავალი მსგავსი მაგალითის მითითება შეიძლება.

ზედმეტ თავისუფლებას თხრობის რეგლამენტაციის საქმეში რომანის სიუჟეტური ქსოვილის გადატვირთვისაგან მიფავართ. ავტორის მიერ ჩართული ასეთი ეპიზოდები (თავისთავად ზოგჯერ მეტად მეტყველი და გონება-მახვილურიც) ყოველთვის არ ემსახურებიან სიუჟეტური ხაზის განვითარებისა და ხასიათების გახსნის ამოცანას. არაიშვიათად ისინი ქანრულ სცენებს გვაგონებენ და ნატურალიზმის საკმაოდოსასაც შეიცავენ.

„ჯებირის“ ენასაც ხშირად ნაჩქარევი მუსოების კვალი ატყვია.

ო. ჩხეიძის სტილში იგრძნობა ვასილ ბარნოვის გავლენა. ცუდი ისაა, რომ ეს

გავლენა აქა-იქ მიბაძევაში გადადის: „ირხეოდა დაბლა კავკასიონის, თრიალეთის, ლიხის მთათა შორის გადაშლილი ფერად-ფერად დაქარგული დიდი რამ საფენი, რომელზედაც დაებერტყნათ სინათლე, მზე დაებერტყნათ“. ეს გავლენა ჩანს ლექსიკაშიც (აღნიჭესი, შენივთდა, უჩინარქმნილიყო, ჩამოქუფრდა და სხვა).

„ჯებირის“ შესახებ მსჯელობა გეინდა დავამთავროთ მისი ავტორის ერთი მეტად სამართლიანი და დროული შენიშვნით. რომანის დასასრულს ო. ჩხეიძე წერს: „ბოლო დროს ზოგიერთმა ბელეტრისტმა მიგვაჩვია ყალბ ალწერილობებს, უმიზნო დიალოგებს, უსახურ პორტრეტებს, გულის ამრევ პრანქვაგრებას, უძარღვო წინადადებებს“.

კარგი იქნება, თუ ავტორის ეს სამართლიანი სიტყვები მხოლოდ სხვებს სისწავლებლად არ იქნებიან თქმულნი და მათ თვით ო. ჩხეიძეც გაითვალისწინებს, რადგან ამ სიტყვებში აღნიშნულ ზოგიერთ ნაკლისაგან ვერც მან დაიხდვია თავი.



ალმანახაში დაბეჭდილია პირველი თავები აკ. ბელიაშვილის ახალი რომანიდან. ეს ნაწარმოები, რომელსაც ავტორმა „რუსთავი“ შეარქვა, მძიმე ინდუსტრიის ერთ-ერთი უდიდესი გიგანტის მშენებლობის და მუშაობის თემას ეძღვნება; ავტორი მიზნად ისახავს საქართველოს მუშათა კლასისა და ტექნიკური ინტელიგენციის შრომის ჩვენებას. გამოქვეყნებული ნაწილი საექსპოზიციო ხასიათისაა და უმთავრესად გმირების ნაწარმოებში შემოყვანას, მათ დაკავშირებას და სიუჟეტურ პერიპეტეებისათვის საფუძვლის მომზადებას ემსახურება.

რადგან ალმანახში ამ რომანის ერთი, და უნდა ვიფიქროთ, მცირე ნაწილი გამოქვეყნდა, ამიტომ მის აკვარგზე მსჯელობა ჯერჯერობით ძნელია. „რუსთავის“ ფაზი და ღირსება დამოკი-

ლებული იქნება იმაზე, თუ რამდენად შეძლებს აკ. ბელიაშვილმა გაიჭვივოს ნაწარმოების გმირები შემოქმედებითი საქმიანობის პროცესში, შრომაში, მათი პირადი ცხოვრებისა და საზოგადოებრივი საქმიანობის ერთობლობაში.

„რუსთავს“ თავიდანვე ემჩნევა გამოცდილი ოსტატის ხელი. თხრობა ლაღი და გაშლილია, ხასიათები ცოცხალი და შთამბეჭდავი, მაგრამ მოვლენათა განვითარების ლოგიკური თანმიმდევრობის თვალსაზრისით რომანში ყველაფერი რიგზე არ არის. ზოგიერთი სიუჟეტური ნახტომი გაუგებრობასთან ერთად იქვს ჰბადებს და მონათხრობის ზოგიერთ მოტივს დამაჯერებლობას უკარგავს.

რაიმე ამბის თხრობის და მისი ესკიზური მოხაზვის დროსაც კი საჭიროა ამ ამბის ძირითადი, არსებითი მხარეების გადმოცემა, მათი სათანადო ფსიქოლოგიური მოტივაცია. უამისოდ უბრალო და ერთი შეხედვით ნათელი, თითქოს თავისთავად ნაგულისხმევი ამბავიც კი ვერ იქნება დამაჯერებელი. ხელოვნებაში მოტივაციის ოსტატობა უაღრესად მრავალფეროვანია. ზოგი ხელოვანი მას რამდენიმე შტრიხით ალწევს, ზოგს კი ამისათვის გვერდები სჭირდება.

მოტივაცია რთულდება, როცა თვით ალწერილი მოვლენა განსაკუთრებული და ექსტრაორდინალურია. „რუსთავის“ ერთ-ერთი ნაწილი ისაა, რომ მასში განსაკუთრებული, ყოფაცხოვრებითის პრაქტიკაში საკმაოდ იშვიათი მოვლენა ყოველგვარი მოტივაციის გარეშე გადმოცემული და დაუსაბუთებლად, შეუშნადებლად მოწოდებული.

ამ მოვლენისათვის ავტორს მით უფრო უნდა მიექცია ყურადღება, რამდენადაც იგი ძირითადი სიუჟეტური ჯაზის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რგოლად გვევლინება რომანში და საბჭოთა ადამიანის მაღალი მორალური თვისებების, მისი კეთილშობილური ბუნების და სხვა ტიპური ნიშნების კონკრეტული ჩვენების ამოცანას ემსახურება.

არჩილ საგანელიძე სტუდენტობის

დროს შეიყვარებს სტუდენტ ქალიშვილს თალიკოს, მათ რომანს ომი შესწყვეტს. არჩილი ფრონტიდან რამდენიმე წერილს მისწერს ქალს, მაგრამ ქალი არც ერთზე არ უპასუხებს და მათი ურთიერთობაც თითქოს ამით მთავრდება.

1944 წელს არჩილი ბრუნდება სახლში, სადაც მას თალიკოს წერილი ხვდება. წერილიდან ირკვევა, რომ ქალი გათხოვების „დაუძლეველ სურვილს“ შეუპყრია და ამიტომ იგი გათხოვილა კდევ. მაგრამ თალიკოს ქმარი უღირსი ადამიანი გამოდგარა, ოჯახი მიუტოვებია და უმწურო ცოლი ორი პატარა ბავშვით უპატრონოდ დაუყრია. გაიგებს თუ არა ამას არჩილი, მაშინვე გაემგზავრება ერთ-ერთ რაიკენტრში, სადაც თალიკო ცხოვრობს და შუადღეზე ჩასული საღამოთი ქალს თავისი ორი ბავშვით სახლში წამოიყვანს. არჩილი ადვილად გადალახავს შშობლების მცირეოდენ წინააღმდეგობას, ბავშვებს მოსავლელად დედას დაუტოვებს, ხოლო თვითონ თალიკოსთან ერთად სამი წლით რუსეთში გაემგზავრება.

ავტორის ჩანაფიქრის თანახმად, ამ ეპიზოდს უნდა ეჩვენებინა არჩილისა და მისი შშობლების კეთილშობილი ბუნება, მაგრამ თუ ღრმად გავიხარებთ ამ ჩანაფიქრის მხატვრული ხორცშესხმის შედეგად მიღებულ ამბავს, დავრწმუნდებით, რომ „რუსთავის“ გმირები არცთუ ისე მიმზიდველად გამოიყურებიან და თვით ამბავსაც დამაჯერებლად აკლია.

რითი ხელმძღვანელობს არჩილი, როცა თალიკოს ასე იოლად, თითქმის განუსჯელად, ასე ვთქვათ, სამხედრო ევაკუაციის წესით წაიყვანს სახლში? რა ამოძრავებს მას — ალტრუიზმი თუ ინტიმური გრძნობა? და თუ მას ისე ძალიან უყვარს თალიკო, რომ შუადაა მისი გულისთვის ყოველგვარი მსხვერპლი გაიღოს, რატომ არ განიცდის მის დაღატს?

ვინაა თალიკო — უნებისყოფო ასული თუ საეკვო მორალის ადამიანი? რა უფლება აქვს მას, ასე თამამად, ყოველ-

გვარი შინაგანი ბრძოლისა და ღრმა განცდის გარეშე, მიადგეს უცხო რაჯანსა და დაე აქამდე ფეხიც კი არ შეუღვამს? შემდეგ უცნობ ქალს თავისი ორი მცირეწლოვანი ბავშვი ჩააბაროს და თვითონ კი რუსეთში გაემგზავროს იმ ადამიანთან, რომელსაც ომის დაწყების პირველ წლებშივე უღალატა და რომელსაც ახლა ასე თავისუფლად შეეხიზნა?

ეს კითხვები, რომლებიც მკითხველს საესებით ლოგიკურად აღუჭირიან, მეტყველებენ არა მარტო რომანის აღნიშნული მოტივების ნაკლებად დამაჯერებლობაზე, არამედ მოხაზულ ხასიათთა უსრულობაზედაც.

არადამაჯერებელია რომანის ის ადგილებიც, სადაც ირღვევა ხასიათის ბუნებრივი განვითარება, ანდა იგი არ არის საკმარისად მოტივირებული. მაგალითად, ნაძალადევად და ზედაპირულად მოჩანს ნიკოს ობიეტულური და მეშინური ბუნების მეტად სწრაფი და იოლი გარდაქმნა. მან უცებ „სრულიად ახლებურად დაინახა სამყარო“ იგი „მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ აქამდე პოლიტიკურად სრულიად უციცი, ბეცი ყოფილა, მიხვდა, რომ ბოლშევიკები ცხოვრების გარდაქმნას საქმის დიდი ცოდნით შესდგამოდნენ“, და ამიტომაც „განიშნულა უდიდესი პატივისცემით სახელმწიფოს მესვეურებისადმი“. ნიკოს ცოლი მართა კი, ეს ოდესღაც განებირებული თვალის ქალი, რომელიც წინაა „სავესებით კმაყოფილდებოდა ცხოვრებაში მარტო ლამაზი ქალის როლის თანაშით“ და რუსთაველის პროსპექტზე „მამაკაცთა თვალისმომჭრელად დასეირნობდა“ ახლა „გადაიქცა შესანიშნავ ქართველ მეოჯახე დედად“. ყოველივე ეს შეიძლება მომხდარიყო, მაგრამ მკითხველს აინტერესებს, თუ როგორ მოხდა ეს. ავტორს კი სრულიად ავლილი აქვს გვერდი ამ გარდაქმნის პროცესის ჩვენებისათვის და მას ვერ გაამართლებს ის გარემოებაც, რომ ნიკოსა და მართას ისტორიას რომანის ექსპოზი-

ციაში უმნიშვნელო ადგილი უკავია. აქ ხომ მხატვრული აღწერის ხარისხზეა ლაპარაკი და არა ზომასა და რაოდენობაზე.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს წყვილი (ამეამად თუნდაც გარდაქმნილი), რომელსაც სიცოცხლის მთავარ ამოცანად მხოლოდ მყუდრო ბუნების მოწყობა ჰქონდა დასახული, ასე უმტკივნეულოდ მიიღებდა ოჯახში სამ უცხო სულს (რა მკვერმეტყველადაც არ უნდა მოეთხრო თალიკოს თავისი მძიმე თავგადასავალი). ეს მით უფრო ძნელი დასაჯერებელია, რომ ჯიუტი და შვილზე არანაკლებ მტკიცე ხასიათის ნიკო პირველად გულწრფელად წამოიყვარებს „ერთი გაბედოს და სახლში ასეთი ვინმე მომაყენოს. სულ კინწისკერით გავაგდებ მაგასაც (ე. ი. შვილს გ. ც.) და მაგის მოთრეულ დედაცაც, თავისი „ნაბიჭვრებით“. მაგრამ არ გასულა ერთი დღეც, რომ ცოლ-ქმარს შორის ასეთი დიპლომა იმართება: „შენ როგორ ფიქრობ, არჩილი შეირთავს მაგ ქალს? — ჰკითხა მართამ. — თუ შეირთავს, მე არაფერი მაქვს საწინააღმდეგო — პასუხობს ნიკო. — არც მე — კვერს უკრავს ცოლი — ძალიან სიმპატიური ქალია. ნერე ბავშვებმა მომხიბლეს“. განა შეეძლო განებივრებულ მართამს, რომელმაც თვითონ მხოლოდ ერთი შვილი იყოლია, ასე ადვილად ეკისრა სხვისი ორი შვილის აღზრდა? ჩვენი აზრით, ეს ხასიათების არაბუნებრივი განვითარებაა. ხასიათების ბუნებრივი განვითარება კი მხატვრულობის უპირველესი შროხონაა.

ა. ბელიაშვილი პროზის სახელმწიფევილი ოსტატია. იგი ორიგინალური, საინტერესო მძაფრი, ტევადი სიუჟეტის ხელოვანია. მაგრამ რა შესანიშნავიც არ უნდა იყოს სიუჟეტი, მხოლოდ იგი გამარჯვებას ვერასოდეს ვერ უზრუნველყოფს. ნაწარმოების გამარჯვების უშთავრესი საწინდარი დიდი და მართალი ხასიათებია. უამისოდ სიუჟეტი ზედაპირული მომთხრობელობის საზღვრებს ვერ გასცდება ვიმედოვნებთ, რომ

ავტორი, რომანზე შემდგომი მუშაობის პროცესში, გააღრმავებს, ფსიქოლოგიურად და ინტელექტუალურად გააღრმავებს „რუსთავის“ ხასიათებს.

კლავდია დევიდარიანის ნაწარმოების წაკითხვისას იგრძნობა ავტორის სწრაფვა მკითხველის მოსაზიდავად საინტერესო სიუჟეტის შექმნისაკენ. თავისთავად ასეთი სურვილი კანონიერია, მაგრამ როდესაც იგი მეტისმეტად ძლიერია, იქმნება საფრთხე მისი თვითმიზნურ „დამაინტერესებლობაში“ გადასვლისა, რაც მწერალს აუცილებლად ხელოვნურობისაკენ უბიძგებს.

მკითხველში ინტერესის აღძვრა მწერლის თვითმიზანი კი არ უნდა იყოს, არამედ მისი ნაწარმოების შინაგანი ბუნებრივი თვისება. თუ სინამდვილე მართლად და მაღალმხატვრულადაა ავტორის მიერ ასახული, ნაწარმოები აუცილებლად საინტერესო საკითხავი იქნება, ხოლო თუ სინამდვილე მახინჯდება და ხასიათები ყალბდება, ვერავითარ გარეგანი ხელოვნური ხერხები და სიუჟეტური სელები მომთხროვნელ მკითხველში ინტერესს ვერ აღძრავენ.

კ. დევიდარიანის ნაწარმოების სიუჟეტში სწორედ ასეთი ხელოვნურობა იგრძნობა. ამიტომ, რომ ზოგიერთი ნახვილად დანახული დეტალის, კარგად გადმოცემული სურათისა და გააზრებული და ასახული მოვლენის მიუხედავად, ნაწარმოებს მაინც აკლია ბუნებრიობა და დამაჯერებლობა.

მკითხველს რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ სიუჟეტური ხაზის განვითარება მოთხრობაში გაპირობებულია არა იმდენად სინამდვილით და მოვლენათა ბუნებრივი მსვლელობით, რამდენადაც ავტორის დიდაქტიკურ-მორალური მიზანდასახულობით და „დამრიგებლური“ ხასიათის ნაწარმოების შექმნის სურვილით. ამით არის, კერძოდ, ნაკარ-

ნახევი მოთხრობაში ბავშვის უეცარი სიკვდილის სცენის შეტანაც. ეს მით უფრო საწყენია, რომ კ. დევდარიანმა უდაოდ ექსპრესული და კარგად მოწოდებული დეტალებით შექმნილი პატარა ბავშვების მართალი, შთამბეჭდავი და ცოცხალი პორტრეტების დახატვა მაგრამ ავტორმა მხოლოდ მშობლების დასასაჯელად გასწირა ბავშვი და ხოლო შემდეგ მის საფლავზე ცრემლის საღვრელად და მოსანანიებლად მიიყვანა გმირები.

უკვე ამ ეპიზოდთან ჩანს, რომ კ. დევდარიანის ნაწარმოებში მეტად დიდი როლი ეთმობა შემთხვევითობას. ცნობილია, რომ შემთხვევითობა ობიექტური სინამდვილის რეალური მოვლენაა, იგი აუცილებლობის გამოვლინების ფორმაა, და კ. დევდარიანს ჩვენ გვინდა ვუსაყვედუროთ არა შემთხვევითობის გამოყენება საერთოდ, არამედ ის, რომ მის ნაწარმოებში ეს შემთხვევითობა არ გამოხატავს ხასიათების განვითარებისა და სინამდვილის შინაგან კანონზომიერებას, მექანიკურად არის შეტანილი ნაწარმოებში „დაძაბული“, არსებითად მელოდრამატული, სიტუაციების შექმნის მიზნით.

ნაწარმოებში კვანძიც ასეთი შემთხვევითობის საფუძველზე იხასკება (გულოს ავად გახდომა, ქეთევანის სახლში დარჩენა, მარინეს და არჩილის ერთად გამგზავრება), კულმინაციასაც შემთხვევა ქმნის (მარინეს ბარათის ნახვა და სახლიდან გაქცევა), ნაკვსაც შემთხვევა ხსნის (ბავშვის შემთხვევითი სიკვდილი და მშობლების შერიგება).

მოთხრობაში სიუჟეტური ხაზის ძირითად რგოლებს შემთხვევა განაპირობებს, აი როგორია ეს ხაზი: ქეთევანი მთელი დამე სახლში არ მოსულა და არჩილს არც კი უცდია ცოლის მოძებნა. მეორე დღეს არჩილი სამსახურში წავიდა, ბავშვები მარტონა დატოვა და არც მამინ უფიქრია ცოლის მოკითხვა. სამსახურიდან დაბრუნებულ მამას პატარა

რა გოგი საშინელ მდგომარეობაში დაიხვდა. „რატომ დედას არ დაუბრუნებდი ლეფონითო“ — უსაყვედურებს იგი უფროს შვილს და თვითონ ურეკავს ცოლს (რომელიც დასთანაა): „ბავშვს მოუხწარიო“. ქეთევანი რამდენიმე წუთში სახლში გაჩნდება, მაგრამ ეკვე გვიანდაა — გოგი იღუპება. ბავშვის სიკვდილი იმის შედეგია, რომ „მშობლებმა დაიგვიანეს“. იხადება კითხვა: თუ ასე ადვილი იყო ქეთევანის გამოძახება, რატომ არ მოუხმეს მას დროულად ქმარმა ან შვილმა? ანდა რატომ არ მოიკითხა პატარები თვით ქეთევანმა, მითუმეტეს, რომ იგი სულ ორიოდ ნაბიჯზე იყო მათგან? — იმიტომ, რომ ავტორს სჭირდებოდა ბავშვების უპატრონოდ ყოფნა, რათა ამ გზით სიუჟეტი ბავშვის სიკვდილისაკენ წარემართა, ხოლო ეს უკანასკნელი კი მშობლების დასასაჯელ საშუალებად ექცია.

ხელოვნურობის ელფერი, რომელიც ამ ნაწარმოებს დაჰკრავს, ნაწილობრივ იმის შედეგია, რომ ავტორი მეტად სწორხაზოვნად ისწრაფვის ჩანაფიქრის მხატვრული განსახიერებისაკენ.

ნაწარმოების წინასწარი ზუსტი განიზნვა კარგი საქმეა, მაგრამ ჩანაფიქრის მეტისმეტად „პირდაპირი“ გადაწყვეტა ნაწარმოებს ზოგჯერ გარკვეული იდეის ილუსტრაციად აქცევს.

მართებულად აღინიშნა ჩვენს კრიტიკაში, რომ კ. დევდარიანის სტილს ჰარბი სენტრიმენტალურობა ახასიათებს. მოთხრობის ზოგიერთი სურათი ამყარად გულუბრყვილია.

განხილული მასალის საფუძველზედაც შეიძლება დავასკვნათ, რომ ნაწარმოებში კარგი იდეური ჩანაფიქრი ჯერ კიდევ არ უზრუნველყოფს სრულ გამარჯვებას; იგი მხოლოდ ნახევარგზაა ქვეშაირტი მხატვრული ნაწარმოებისაკენ, როდესაც მწერალი სრულყოფილად ვერ ფლობს ჩანაფიქრის

მხატვრული ხორცშესხმის ურთულეს ხელოვნებას, იგი ყოველთვის იმ საფრთხის წინაშე დგას, რომ მისი წინასწარი განზრახვა, მისი იდეურ-თემატური ჩანაფიქრი სხვა ელერადობას მიიღებს, სხვა რეზონანსს გამოიწვევს და ზოგჯერ შეიძლება ნავარაუდევის საწინააღმდეგო ეფექტიც კი მოგვცეს. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ცხადყოფს იმ ჭეშმარიტებას, რომ ფორმა რაღაც პასიური და განურჩეველი რამ კი არ არის შინაარსის მიმართ, არამედ აქტიური, ქმედითი საწყისია.

ჩანაფიქრის სისწორე, სიღრმე, იდეურობა — მხატვრული ნაწარმოების შექმნის პირველი აუცილებელი პირობაა, ხოლო მისი მაღალმხატვრული განხორციელება, მისი ოსტატური მხატვრული რეალიზაცია კი — მეორე.

ადამიანი შეიძლება რაიმე ჰანგს გულში თავისთვის სწორადაც და კარგადაც მღეროდეს, მაგრამ ხანდახან საკმარისია მან იგივე ჰანგი ხმამაღლა წამოიწყოს, რომ ჰანგმა სისწორე და მიმზიდველობა დაჰკარგოს. იმისათვის რომ გულში ნადები ჰანგი საყოველ-

თაოდ გასაგები და სასიამოვნო გახადოს, განსაკუთრებული ოსტატობა და ჩანაფიქრისა და მისი მხატვრული ხორცშესხმის ურთიერთობაც ამ შემთხვევას გვაგონებს. ჩანაფიქრი — ეს გულში ნადები ჰანგია, რომლის ოსტატურ ფორმაში გამოვლინება მწერლის გამარჯვების აუცილებელი პირობაა. მაგრამ ცხადია ისიც, რომ თუ „ჰანგი“ თავისთავად უვარგისია (ე. ი. იდეური ჩანაფიქრი მცდარია), ვერაფერთარი ფორმა მას ვერ უშველის. „თუ იდეა ყალბია, მხატვრულობაზე ლაპარაკიც ზედმეტია, რადგან ფორმა ასევე ყალბი იქნება“ — წერდა ნ. ჩერნიშევსკი. „გარეგანი სახე... ვერასოდეს ვერ დაჰფარავს შინაგანის ცარიელობას, ფუქსავატობას, არარობას“ — ამბობდა ი. ჭავჭავაძე.

ამრიგად, ოსტატობა ანუ ცხოვრების დიდი სიმართლის ჯეროვნად გადაცემის ხელოვნება — ის აუცილებელი პირობაა, რომელიც იდეური ჩანაფიქრის მაღალ მხატვრულ რეალიზაციას განაპირობებს და ცხოვრებისეულ სიმართლეს მხატვრულ სახეებსა და ხასიათებში ავლენს.



მარცხი მონტესკიე

(გარდაცვალებიდან 200 წლისთავის გამო).

მეჩვიდმეტე საუკუნის 80-ანი წლებიდან ერთ დროს ძლიერი საფრანგეთის აბსოლუტური მონარქია პოლიტიკური და ეკონომიური დაქვეითების გზას დაადგა. კაპიტალისტურ ურთიერთობებსა და ფეოდალურ-თვითმპყრობელურ წყობილებას შორის წინააღმდეგობანი მნიშვნელოვნად გაიზარდა. აბსოლუტიზმი გადაიქცა რეაქციულ ძალად, რადგან მან ვერ შეძლო საჭირო პირობების შექმნა საფრანგეთის შემდგომი ეკონომიური პროგრესისათვის. ზანგარძლივი სისხლისმღვრელი ომები, რომლებსაც ლუი მეოთხემეტე აწარმოებდა ინგლისისა და ჰოლანდიის — იმ დროს ყველაზე მოწინავე ბურჟუაზიული სახელმწიფოების წინააღმდეგ, საფრანგეთისათვის მარცხით დამთავრდა. იმი ესპანეთის მემკვიდრეობისათვის თერთმეტი წელი გრძელდებოდა, მშრომელი მასები საშინელ აწიოკებასა და სიღატაკეს განიცდიდნენ. ფრანგი მწერალი ფენელონი 1694 წელს წერდა, რომ „მთელი საფრანგეთი შიმშილთა და სასოწარკვეთილებით აღსავსე უშველებელ ჰოსპიტალს წარმოადგენს“. მონტესკიეს მეგობარი დარეანსონი თავის „მემუარებში“ აღნიშნავდა: „ადამიანები ბალახით იკვებებიან და ბუზებივით იხოცებიან სიღარიბისაგან“. მაგრამ იმდროინდელ საფრანგეთის დაცემისა და გახარისხის ყველაზე ძლიერ და შთაბეჭდველ სურათებს გვიხატავს დიდი ფრანგი მოაზროვნე და მწერალი შარლ ლუი მონტესკიე თავის შესანიშნავ ნაწარმოებში „სპარსული წერილები“ (1721 წ.).

ამ წიგნს მონტესკიე წერდა 1711 წლიდან, აგროვებდა მასალებს, აწარმოებდა

დაკვირვებებს, ეცნობოდა ცხოვრებას და გესლიანი ირონიით ეხებოდა ლუი მეოთხემეტის დროინდელ საფრანგეთის ცხოვრების თითქმის ყველა მწვავე საკითხს. წიგნში გამოყვანილია მინისტრები, ბერები, თვითონ მეფე ლუი, რომის პაპი, მთელი უმაღლესი საზოგადოება, ზნე-ჩვეულებანი, თანაც, ყველაფერი ეს მოცემულია არა მშრალი, მოსაწყენი ტრაქტატის სახით, არამედ ორი წარჩინებული სპარსელის — რიკა და უზბეკის მიწერ-მოწერის ფორმით. წარმოდგენილია მწვავე სატირა აბსოლუტისტურ საფრანგეთზე და დახატულია უმაღლესი კლასების მორალური გახარწვის მკვეთრი სურათი.

ცნობილია, რომ 1715 წელს, ლუი მეოთხემეტის სიკვდილის წელს, საფრანგეთის სახელმწიფო ხაზინა ცარიელი აღმოჩნდა, ვალის თანხა კი 2,5 მილიარდ ლივრს აღწევდა (ლივრი ახლანდელ ფრანკზე ცოტათი ნაკლებია). ამიტომ ახლა ჩვენთვის გასაკვირი არ არის, რომ, მიუხედავად დიდი პატივით მიღებისა, 1714 წლის აპრილსა და მაისს, სულხან-საბა ორბელიანის ელჩობა უშედეგოდ დამთავრდა. მოხსენებაში, რომელიც ორბელიანმა წარუდგინა საფრანგეთის მეფეს, ვახტანგ მეფის ელჩი, სხვათაშორის, მოითხოვდა: 300.000 ეკიუს (ეკიუ იმ დროს 6 ლივრს უდრიდა). ცხადია, რომ ვალებში ჩაფლული სახელმწიფო ვერაფერს ვერ გასცემდა სპარსეთის უღლის ქვეშ მგმინავი საქართველოს დასახმარებლად! მონტესკიეს „სპარსული წერილების“ დღევანდელი მკითხველი ადვილად მიხვდება, თუ რატომ აღმოჩნდა ორბელიანის ელჩობა უშედეგო: 63-ე წერილში მონტესკიე ირონიუ-

ლად აღინიშნავს: „აქ (ე. ი. საფრანგეთში) ხუმრობენ სახელმწიფო საბჭოში, ხუმრობენ ჯარის სარდლობის დროს, ხუმრობენ უცხოეთის ელჩთან საუბრის ეპოქა“. ადვილი შესაძლებელია, რომ 25 წლის მონტესკიეს გაგონილი ჰქონდა „უცხოეთის ელჩის“ ორბელიანის თავგადასავლის შესახებ ვერსალში.

შარლ ლუი მონტესკიე დაიბადა 1689 წელს ლა-ბრედის საგვარეულო ციხე-კოშკში, ქალაქ ბორდოს მახლობლად. პატარა შარლს ძიძად უბრალო გლეხის ქალი მიუჩინეს. აქ, წისქვილში, გასკონილი გლეხებს შორის შარლა შეითვისა მათი დამახასიათებელი თვისებები: სიმკვირცხლე, დამცინავი გონებასახეობა, დაუცბრომელი ცნობისმოყვარეობა. ამიტომ, რომ როდესაც შარლი დიდი მწერალი გახდა, ხშირად ნახულობდა შიშობლიურ ლა-ბრედას და თავის ძიძიშვილს უნაღმარეს მეგობრობდა სიკვდილის უკანასკნელ დღემდე.

კოლეჯის დამთავრების შემდეგ (იქ შარლა შეისწავლა ძველი ბერძნული ლიტერატურა და შეიყვარა ანტიკური რესპუბლიკა) მონტესკიე გახდა ბორდოს პარლამენტის მრჩეველი, ხოლო 1715-1726 წლებში დაიკავა იმავე პარლამენტის პრეზიდენტის თანამდებობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მონტესკიეს ყველაზე საყვარელი მწერალი — გასკონელი მიშელ მონტენი, აგრეთვე ერთ დროს ბორდოს პარლამენტის წევრი და შემდეგ, ოთხი წლის განმავლობაში, ქალაქისთავი იყო.

1728-31 წლებში მონტესკიემ თითქმის მთელი ევროპა მოიარა: იყო ავსტრიაში, უნგრეთში, ამირებდა თურქეთში წახელას, მაგრამ ომიანობის გამო ბელგრადიდან იტალიაში გაუხვია, იქიდან — შვეიცარიაზე გველით და რაინთი ეწევა პოლანდის, საიდნაც ინგლისში გაემგზავრა. იმ დროს ინგლისი ევროპაში ერთადერთი პარლამენტური სახელმწიფო იყო, ამიტომ გასაკვირველი არ უნდა იყოს, რომ აქვე ვოლტერი (1726-29 წლებში) და შემდეგ მონტესკიე (1729-31

წლებში) მეტად აღფრთოვანებული დარჩნენ ინგლისში ყოფნით/ლონდონში მონტესკიე გაეცნო ჯონათან სვიფტს, რომლის „გულივერის მოგზაურობანი“ სწორედ სამი წლის წინათ იყო გამოშვებული (1726 წელს). ინგლისიდან დაბრუნებული მონტესკიე კონსტიტუციური მონარქიის პროპაგანდისტი გახდა, კონსტიტუციური მონარქია გადაიქცა მის პოლიტიკურ იდეალად და „სპარსულ წერილებში“ რესპუბლიკური იდეების მქადაგებელი ახლა ინგლისელი ვიგი გახდა: 1748 წელს მონტესკიემ გამოუშვა „კანონთა სული“, რითაც იგი შევიდა ისტორიაში, როგორც კონსტიტუციური პოლიტიკური მეცნიერების ფუძემდებელი. მიუხედავად ზოგიერთი იდეის მიუღებლობისა, საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი არასწორი მიდგომისა, „კანონთა სულმა“ საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში თავის დროზე პროგრესული როლი შეასრულა. ეს წიგნი აღსავლად იყო დესპოტიზმის, რელიგიური შეუწყნარებლობის, სქოლასტური მეცნიერებისა და ყოველგვარი ობსკურანტიზმის საწინააღმდეგო სულით. ამიტომ იყო, რომ დიდი რუსი განმანათლებელი ალექსანდრე რადიშჩევი მაღლა აყენებდა მონტესკიეს, ხოლო ალექსანდრე პუშკინი მას თვლიდა რევოლუციისწინა საფრანგეთის ერთ-ერთ გამოჩენილ ადამიანად. საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დროს იაკობინელებმა „კანონთა სულის“ ზომიერი პოლიტიკური შეხედულებებიდან უფრო რადიკალური დასკვნები გამოიტანეს, ვიდრე ამას თვითონ მონტესკიე მოელოდა. ჩერნიშევსკი წერდა, რომ „1789 წელს მონტესკიეს მოწაფეები ხელს ართმევდნენ რუსოს მოწაფეებს და ტაშს უკრავდნენ პარიზის უბრალო ხალხს, რომელმაც ბასტილია იერიშით აიღო“. მართლაც, მონტესკიეს „კანონთა სულმა“ და რუსოს „საზოგადოებრივმა ხელშეკრულებამ“ უდიდესი გავლენა მოახდინეს 1789 წლის ფრანგ რევოლუციონერებზე.

მონტესკიე დამწებია იმ პროგრესული კულტურულ-საზოგადოებრივი მოძრაო-

ბისა, რომელიც ცნობილია „ფრანგული განათლების“ სახელწოდებით. ფრიდრიხ ენგელსი წერდა, რომ დიდი მწერლები, რომელნიც საფრანგეთში თავის ნაწარმოებებით ნიადაგს ამზადებდნენ რევოლუციისათვის, თვითონ გამოდიოდნენ უკიდურეს რევოლუციონერებად. მათ არავითარი ავტორიტეტები არ სწამდათ და ყველაფერს შეუბრალებელი კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებდნენ. მე-18 საუკუნის იდეური მოძრაობა, კარლ მარქსის აზრით, გამოხატავდა იმ დიდ მღვლეარებას, რაც ხალხთა მსახურს მოედო, დიდი ადამიანები კი ყოველთვის უხილავი ძაფებით არიან დაკავშირებულინი ხალხთანაო.

ჩვენი დროისათვის, ცხადია, „სპარსულ წერილებს“ უფრო მეტი სიცოცხლისუნარიანობა შერჩა, ვიდრე „კანონთა სულს“. დიდი ჰუმანიზმით გაყენებული „სპარსული წერილები“ მე-18 საუკუნის ფრანგული ენციკლოპედიატური პროზის შედეგად ითვლება. თვითონ მონტესკიე მას რომანს უწოდებდა. და მართლაც, ამ რომანმა დიდი გავლენა მოახდინა რიჩარდსონის „ამიელაზე“ (1740-41), რუსოს „ახალ ელოინაზე“ (1761) და სხვ.

„სპარსული წერილები“ გამოვიდა ჰოლანდიაში ავტორის ზელმოუწერლად. წიგნის გამოსვლამ დიდი სენსაცია გამოიწვია საფრანგეთში და საოცრად მოკლე დროში მთელი ტირაჟი გაერთილდა. საჭირო შეიქმნა მასივ ხელახალი გამოცემა და უნდა აღინიშნოს, რომ მონტესკიეს სიცოცხლის დროს „სპარსული წერილები“ თორმეტჯერ გამოვიდა.

წიგნში გამოყვანილი ორი სპარსელის მიწერ-მოწერა 161 წერილს შეიცავს. მონტესკიემ გამოიყენა ორიგინალური ლიტერატურული ხერხი, რომელიც მანამდე ფრანგმა დიუფრენიმ, (სიამელი გამოიყვანა) და ინგლისელმა ადისონმა (იავანელი) გამოიყენეს. როგორც სხვა კულტურის, ზნე-ჩვეულებებისა და შეხედულებების ადამიანებს საფრანგეთში ჩამოსულ სპარსელებს

ბეგრი რამ უცნაო და ექვემდებარე მონტესკიეს თავისი გამიჯნობის სახელს უდევს. მონტესკიეს თავისი გამიჯნობის მიზეზად ასაქირდა, რომ შენიღბულად, მაგრამ ამავე დროს მკვეთრად და მწვავედ, გაეკრიტიკებინა იმდროინდელი საფრანგეთის სინამდვილე. „სპარსულ წერილებში“ მონტესკიე აგრძელებს თავისი თანამემამულეების ლაბრუერისა და ფენელონის კრიტიკულ ტრაადიციებს. გოეთე თავის შენიშვნებში აღიარებს „რამოს ძმისწულზე“ აღნიშნავდა, რომ მონტესკიე საუცხოო მოთხრობის საშუალებით ფრანგი ხალხის ყურადღებას აქცევს მეტად საჭირო და ამავე დროს მეტად საშარო ამბებს. მართლაც, „სპარსულ წერილებში“ მახვილი და მწვავე დაცინვის ობიექტებად არიან გადაქცეული: კათოლიკური ეკლესიის ორტოდოქსიალობა და მონასტრები, სააღმსარებლოს ინტრიგები, „ერეტიკოსების“ დევნა და შეუწყნარებლობა, მრავალნაირი სექტების პაექრობა და თვით ქრისტიანობის დოგმატებიც.

პოლიტიკური მხრივ „სპარსული წერილები“ გაბედულად ამოთრახებენ ლუი მე-14 ძალმომრეობასა და მფლანგველობას, არისტოკრატიის ყოყმოებასა და ფუფუნებას, ავანტიურისტის ჯონ ლოუს ფინანსიურ კომბინაციებს, დრომოკმეულ ფეოდალურ პრივილეგიებს, ექსპლოატატორული კლასების ზნე-ჩვეულებათა გაქსუვებას, პარიზის აკადემიის პედანტურ მაღალფარდოვანობას. როგორც სოციოლოგს და მორალისტს მონტესკიეს ყურადღების გარეშე არ დაუტოვებია იმდროინდელი საფრანგეთის პოლიტიკური, საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების თითქმის არც ერთი მხარე. ყოველი ფრაზა ამ უბადლო ლიტერატურული ნაწარმოებისა ეპიგრამას გაეს, მრავალი მათგანი ხალხში გადასულ აფორიზმად და ანდაზად იქცა, რადგან მთლიანად ეს წიგნი ხალხური სულითაა გამსჭვალული.

„სპარსულ წერილებში“ მონტესკიემ საკმაო ადგილი დაუთმო აგრეთვე

სპარსეთის ცხოვრების აღწერას: ერთ-ერთ სპარსელს მიწერ-მოწერა აქვს გაჩაღებული ისპაჰანის ჰარამხანაში დატოვებულ ცოლებსა და საქურისებთან. ნაწარმოების ეს „აღმოსავლური“ ნაწილი უთუოდ თავისებური გამოხმაურებაა უცხო ქვეყნების ეგზოტიკით გატაცებაზე, რომელიც იმ დროს მეტად გავრცელებული იყო საფრანგეთის უმაღლეს წრეებში. საქმე ისაა, რომ 1708 წელს პირველად გამოვიდა ფრანგულ ენაზე „ათას ერთი ღამე“ (გალანის თარგმანით). ამ არაბულ ზღაპრებს დიდი წარმატება ზედა წილად და მონტესკიეც კონტრასტის სახით გვიჩაბატავს აღმოსავლეთის ყოფით სურათებს, რომლის ფონზე ავტორი უფრო რელიეფურად წარმოგვიდგენს საფრანგეთის ცხოვრებასაც.

მონტესკიე ქადაგებს პროგრესის, მშვიდობისა და თავისუფლების იდეებს. იგი წინააღმდეგია ავრესიული ომებისა.

„არსებობს მხოლოდ ორნაირი სამართლიანი ომი, — წერს მონტესკიე 95-ე წერილში, — პირველი წარმოებს იმისათვის, რომ უკუაქციო შემოსეული მტერი, მეორე — რომ დაეხმარო თავდასხმულ მოკავშირეს“. ამავე წერილშია: „კავშირი, რომელიც შეკრულია ორი ერის მიერ მესამე ერის დასაჩაგრავად, უკანონოა“ და „ხელშეკრულება კანონიერია, თუ მისი პირობები ისეთია, რომ ორივე სახელმწიფოს შეუძლია შეინარჩუნოს თავისი დამოუკიდებლობა“. 105-ე წერილში აღნიშნულია, რომ თოფის წამლის გამოგონების შემდეგ შეიძლება განადგურების უფრო უარესი საშუალება გამოიგონონ. ამაზე 106-ე წერილში კორესპონდენტი ასეთ პასუხს იძლევა: „აჰა, თუ ასეთი საბედისწერო აღმოჩენა გამოიძებნა, მას მალე აკრძალავენ და ხალხთა ერთსულთვანი შეთანხმება დაასაძარცვს მას“. როგორ ეხმაურება მონტესკიეს ეს სიტყვები ჩვენი თანამედროვეობის მშველდობისმოყვარი ხალხთა უდიდეს მოძრაობას — ატომური და სხვა გამა-

ნადგურებელი იარაღის აკრძალვისათვის ბრძოლას!

„სპარსულ წერილებში“ მონტესკიე ხშირად ახსენებს საქართველოს. უნდა ითქვას, რომ მაშინ დიდი პოპულარობით სარგებლობდა ეს შარდენის მოგზაურობათა წიგნი, სადაც აღწერილია აგრეთვე მისი ყოფნა საქართველოში 1672 წელს. მონტესკიე უთუოდ სარგებლობდა შარდენის წიგნით, რაც ჩანს თვითონ „სპარსული წერილების“ ტექსტიდან. ერთ-ერთ წერილში მას ჩამატებული აქვს დამოუკიდებელი ნოველა „აფრიდონის და ასთარტეს ისტორია“, სადაც მოქმედება ირანში და, ნაწილობრივ, თბილისში წარმოებს.

საინტერესოა პეტრე პირველის პროგრესული როლის შეფასება მონტესკიეს მიერ. „იგი მისიწარაფვის იმისაკენ, რომ ხელოწემა გაიფურჩქნოს, და არაფერს არ ზოგავს, რათა გაუთქვას სახელი თავის ხალხს ევროპასა და აზიამი, ხალხს, რომელიც აქამდე ყველას მიერ მივიწყებული იყო“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მონტესკიეს შემდეგ პეტრე პირველის შესახებ დიდი წიგნი დაწერა ვოლტერმა (1759 წელს).

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ქართული მოწინავე საზოგადოებრიობა დიდ ინტერესს იჩენდა მონტესკიეს მიმართ. ცნობილია, რომ იაგორ კილაშვილმა (1790-1838) ფრანგულიდან რუსულად თარგმნა მონტესკიეს აღმოსავლური მოთხრობა „არზაჰი და ისმენა“, რომელიც პეტერბურგში გამოვიდა 1810 წელს ცალკე წიგნად. ალექსანდრე ამილახვარმა (1750-1802) მონტესკიეს „კანონთა სულის“ შთაგონებით მე-18 საუკუნის 80-ან წლებში დაწერა პოლიტიკური ტრაქტატი: „ბრძენი აღმოსავლეთისა ანუ განზრახვია მისი სახელმწიფოისათვის მმართველობისა“. ამ ტრაქტატის სათაური ამილახვარს აღებული აქვს „სპარსული წერილებიდან“. დავით ბაგრატიონმა (1767-1819) პეტერბურგში თარგმნა რუსულიდან 1814 წელს „კანონთა სული“ სათაურით: „გულისხმისყოფისათ-

ვის სჯულთასა ანუ კანონთა სულიერება“. სერგი გორგაძის აზრით, დავით ბაგრატიონს დედნად უნდა ჰქონოდა კრამარენკოვის 1775 ან 1801 წლის გამოცემა (იხ. „ჩვენი მეცნიერება“, № 4—5, 1923 წ. გვ. 9). დავით ბაგრატიონი წერდა, რომ მონტესკიეს ეს ნაწარმოები არის „ერთი უმჯობესი წერილთაგანი ყოველსა ევროპასა შინა“.

დღეს, როდესაც მშვიდობის მსოფ-

ლიო საბჭოს გადაწყვეტილებით მთელი პროგრესული კაცობრიობა აღწევს შარლ ლუი მონტესკიეს გარდაცვალების ორასი წლისთავს, საბჭოთა ადამიანები დიდი პატივისცემით იხსენიებენ მას, როგორც ფრანგი ზალზის გამოჩენილ შვილს, ფეოდალური ჩაგვრისა და დესპოტიზმის წინააღმდეგ დაუცხრომელ მებრძოლს.



მიხეილ ზიჩი საქართველოში

საქართველოში ძნელად თუ მოიპოვება ისეთი ადამიანი, რომელიც არ იცნობდეს „ვეფხისტყაოსანს“ და იმ სურათებს, რომელთაც ლამაზი ქართული ასოებით მოწერილი აქვს: „ზიჩი“.

ამ წერილით ერთხელ კიდევ გვინდა მოვაგონოთ ჩვენს საზოგადოებრიობას თუ ვინ იყო ზიჩი, რომლის დაბადებიდან უკვე 125 წელი შესრულდა.



გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ქართველმა მოწინავე ინტელიგენციამ გადაწყვიტა განეხორციელებინა „ვეფხისტყაოსანის“ დასურათებული მდიდრული გამოცემა და ამ საქმისათვის სამზადისს შეუდგა.

დასურათებლად მოიწვიეს იმ დროს კარგად ცნობილი მხატვარი ზიჩი, ფრიად დახელოვებული კლასიკური ლიტერატურის ილუსტრირებაში, ხოლო გამოცემის შემამკობლად — მხატვარი ქსილოგრაფი გრიგოლ ტატიშვილი.

ზიჩიმ კმაყოფილებით მიიღო დავალება და უყოყმანოდ შეუდგა ამ რთული სამუშაოს შესრულებას.

დავალების მიღებისთანავე ზიჩი ქართველ ხალხს დაუახლოვდა, შეარჩია სასურველი ტიპაჟები და „ვეფხისტყაოსანის“ ილუსტრირება ცოცხალი სურათების დადგმით დაიწყო. მან შექმნა მრავალი ესკიზი და, დაკვეთილი თორმეტი სურათის ნაცვლად, ოცდაათოთხმეტი გაამზადა. როდესაც აქედან საგამომცემლო კომისიამ ოცდაშვიდი შეარჩია და ვენაში გადაგზავნა დასაბეჭდად, ზიჩიმ თვით იქისრა მათი მეთვალყურეობა. სრული რვა წელიწადი თავს დასტრიალებდა იგი ამ საქმეს.

„ვეფხისტყაოსანის“ დასურათებისათვის მან არც დრო დაიშურა, არც თავი დაზოგა და უსასყიდლოდ მიუძღვნა ქართველ ხალხს დიდი ოსტატობითა და სიყვარულით შესრულებული მხატვრობა.

მას შემდეგ, რაც გამოვიდა ქართველიშვილისეული „ვეფხისტყაოსანი“, უნგრეთის მოქალაქე და, რუსეთის მეფის კარის მხატვარი ზიჩი ქართველი ხალხის საყვარელი ადამიანი გახდა.

მკითხველს დღესაც ანიჭებენ ზიჩის სურათები დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას, მაგრამ ყველამ როდი იცის, თუ ვინ იყო მიხეილ ალექსანდრეს-ძე ზიჩი.

ზიჩი დაიბადა 1829 წლის 14 ოქტომბერს უნგრეთში. დაწყებითი და უმაღლესი განათლება სამშობლოში მიიღო. მისი პირველი ხატვის მასწავლებელი იყო იტალიელი მაროსტანი, ხოლო როდესაც ვენის სამხატვრო აკადემიაში შევიდა, მისი ხელმძღვანელი გახდა აკადემიის პროფესორი ვალდემიულერი.

ვალდემიულერის სკოლამ, რომლის შემოქმედებითი პრინციპები ნატურის რეალისტურ გადმოცემაზე იყო დამყარებული, დიდი გავლენა მოახდინა ზიჩის შემოქმედებაზე.

ზიჩიმ ადრე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. თხუთმეტი წლის ახალგაზრდა იყო, როდესაც მონაწილეობა მიიღო ვენის სამხატვრო აკადემიის გამოფენაში (1844—1845). მისი ნამუშევრები მუზეუმებმა შეიძინეს. როდესაც ზიჩი თერამეტი წლის გახდა, ის, ვალდემიულერის რეკომენდაციით, რუსეთის სამეფო კარზე მოიწვიეს ხატვის მასწავლებლად.

1847 წლიდან ზიჩი პეტერბურგში გადადის საცხოვრებლად. ორი წლის შემდეგ მასწავლებლობას თავს ანე-

ბებს და, მძიმე ეკონომიურ პირობებში ჩავარდნილი, საბაზრო სურათების დამზადებით და რეტუშობით ირჩენს თავს. ამ ყოფაში გაატარა მან რვა წელიწადი.

დადგა 1858 წელი. რუსეთს ეწვია ცნობილი ფრანგი მწერალი, პოეტი, მხატვარი და მოგზაური თეოფილ გოტიე. ის გაეცნო ზიჩის ნახატებს და შემდგომ თავის წიგნში რუსეთში მოგზაურობის შესახებ მთელი თავი დაუთმო ახალგაზრდა მხატვრის შემოქმედებას.

ქებაში საერთოდ მეტად ძუნწი გოტიე ზიჩის შემოქმედებას მაღალ შეფასებას აძლევს. აი ასე აღწერს იგი ზიჩის სურათების გამოფენას. „ჩვენ აღმოვჩნდით ისეთი შედეგების წინ, რომელთაც ვერ მიაწერ ვერც ერთ გამოჩენილ ოსტატს, თუმცა თვითეული მათგანისათვის მათზე ხელის მოწერა საამაყო იქნებოდა... ახალი, ორიგინალური მხატვრული ხერხები, არაჩვეულებრივი გემოვნება, სიფაქიზე... ზიჩი არის გენიის საოცრება, ეულკანი, მუდამ მღერტევი ტალანტისა.“

ამ ზოგად აღწერილობას მოსდევს ზიჩის სურათების საფუძვლიანი გარჩევა.

გოტიეს აზრმა საგრძნობი გავლენა მოახდინა მაშინდელ საზოგადოებაზე. რუსეთის სამხატვრო აკადემიამ ზიჩის აკადემიკოსობა მიანიჭა. მეფე ალექსანდრე მეორემ 1859 წელს კარის მხატვარი მოხუცი შარლემანი ახალგაზრდა ზიჩით შესცვალა.

1869 წელს ომში დაქრილთა სასარგებლოდ გაიმართა ზიჩის სურათების გამოფენა. ამ გამოფენაზე, სხვათაშორის, ყურადღებას იქცევდნენ: „მესია“, „მეფე კანდავლის სიკვდილი“, „ესპანეთის ინკვიზიციის წამებულნი“, „ფლორენციის ორგია“ და სხვა სურათები.

ზიჩის მრავალი მიმბაძველი და მოწაფე გაუჩნდა. მათ შორის ყველაზე ნიჭიერი აღმოჩნდა მხატვარი ქალი მერი ეტლინგერი, რომელიც შემდეგ პარიზის გამოფენების მუდმივი მონაწილე გახდა.

თუმცა ზიჩის ნიჭზე სამეფო კარზე მუშაობამ უარყოფითი გავლენა მოახდინა, მაგრამ მაინც იმდენად ძლიერი იყო მისი შემოქმედებითი ძალა, რომ იგი არ დაკმაყოფილებულა და არ შეზღუდულა სამეფო კარის ცერემონიულებით, ნადირობისა და მოგზაურობათა ასახვით. მან დიდი პროფესიული ცოდნა, რეალისტური დაკვირვება და უმრეტე ფანტაზია გამოაჩვენა როგორც რუსეთის, ისე მშობლიური, უნგრელი და მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსების ნაწარმოებთა დასურათებაში. შეუძლებელია ჩამოვთვალოთ ყველა მისი ნამუშევარი. დავასახელებთ ზოგიერთს.

ზიჩიმ დაასურათა: „ამბავი იგორის ლაშქრობისა“, გოგოლის, გონჩაროვის, შექსპირის, პუშკინის, გოეთეს, ბაირონის, ა. დიუმას, გოტიეს და სხვა მრავალი გამოჩენილი მწერლის ნაწარმოებები. განსაკუთრებით დიდი გამოხმაურება და მოწონება დაიმსახურა ლერმონტოვის ნაწარმოებთა, უპირველეს ყოვლისა, „ღემონის“ ილუსტრაციებმა. ამ სურათების ნაწილი ჯერ კიდევ სამოციან წლებში გამოიცა გრავეურების სახით.

არანაკლები გულისხმიერება და სიყვარული გამოიჩინა მან თავისი თანამემამულეების, უნგრეთის დამოუკიდებლობისათვის თავდადებული მწერლების — შ. პეტეფის, იოჰან არანის და სხვათა ნაწერების დასურათებაში. ზიჩის ნამუშევართა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ემერიხ მადაჩის პოემის „ადამიანური ტრაგედიის“ დასურათება.

1874 წელს ზიჩი პარიზს მიემგზავრება. იგი უნგრეთის მთავრობის დავითთ ხატავს სურათს: „ავსტრიის დედოფალი ელისაბედი გვირგვინით ამკობს დეაქის კუბოს“. არც ეს იყო შემთხვევითი ამბავი ზიჩისათვის. თუ ემერიხ მადაჩი, შანდორ პეტეფი და იოჰან არანი ზიჩისათვის იყვნენ მშობლიური პოეზიის სიამაყენი, დეაქის სახელის უკვდავყოფა არანაკლებ იტაცებდა მას,

რადგან ეს სახელი ყველა უნგრელისათვის იყო სინონიმი პატიოსნებისა, ახალი მოწვევით, ისევ პეტერბურგს ადამიანობისა და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულისა.

1880 წლამდე ზიჩი საზღვარგარეთ რჩება. შემდეგ, სამეფო კარის ხელახალი მოწვევით, ისევ პეტერბურგს ბრუნდება და აქ განაგრძობს მუშაობას.

ზიჩის ნამუშევრები, მცირე გამოცემისით, პატარა ზომისანი არიან; იგი იშვიათად ხატავდა ზეთის საღებავებით, უმთავრესად ხმარობდა აკვარელს, ფანქარსა და ტუშს.

ოფიციალური კრიტიკა ზიჩის შემოქმედების შეფასებაში დიდ თავშეკავებას იჩენდა და მწუხარებას გამოთქვამდა, რომ „ასეთი გასაოცარი ტალანტი წერილმანებზე ხურდავდება“, მაგრამ პროგრესული საზოგადოებრიობა ყოველთვის მეტად მაღალ შეფასებას აძლევდა ზიჩის, როგორც შესანიშნავი ილუსტრატორის, ოსტატობას.

ყოველივე ამის შემდეგ გასაგები ხდება, თუ რატომ მიიწვიო ზიჩის ილია ჭავჭავაძემ ქართული ერის საამაყო ნაწარმოების „ვეფხისტყაოსნის“ დასურათება.

•
•

ასეთი იყო ის ადამიანი, რომელმაც უკან არ დაიხია და მეგობრულად გაუწოდა ხელი რუსეთის რევოლუციონურ-დემოკრატიულ იდეებზე აღზრდილ ახალბაობას, მიიღო მათი წინადადება და დიდი ხნით დაუქავშირდა საქართველოს.

სამწუხაროდ, ზიჩის საქართველოში ყოფნისა და მისი მუშაობის შესახებ „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებაზე მეტად მცირე ფაქტობრივი მასალა მოგვეპოვება. ეს მასალაც გაბნეულია რვა წლის მანძილზე თბილისის ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთებში, უმთავრესად „დროებასა“ და „ივერიაში“.

ფრიად საინტერესო ცნობებს შეიცავს აგრეთვე იონა მეუნარგიას პირა-

დი წერილები, რომელთა ერთი ნაწილი გამოაქვეყნა სოლომონ გვირგვინი „ზუგდიდის მუზეუმის შრომების“ პირველ ტომში.

ამასთანავე, როდესაც „ვეფხისტყაოსანი“ გამოვიდა, გამოცემელმა გ. ქართველიშვილმა, ბოლოსიტყვაობის სახით მცირე განმარტება დაურთო მას გაფორმების საკითხის გამო. ეს განმარტება იმდენად საინტერესო მასალას წარმოადგენს საერთოდ ქართული ნაბეჭდი წიგნის ისტორიისათვის და, კერძოდ, „ვეფხისტყაოსნის“ გაფორმების საკითხის შესწავლისათვის. რომ იგი აქ თითქმის მთლიანად მოგვყავს:

„პირველი აზრი სურათებიანი „ვეფხისტყაოსნის“ დაბეჭდვისა დაიბნა მაშინ, როდესაც ბ. იონა მეუნარგიას თაოსნობით შემდგარმა კომისიამ შეამოწმა ამ პოემის ტექსტი ძველ ვარიანტებთან.

სურათების დახატვა ამ წიგნისათვის იცნირა უსასყიდლოდ გამოჩენილმა მხატვარმა ზიჩიმ, რომელსაც ამ დავალებისათვის უსაზღვრო მადლობას ვუძღვნით. ზიჩის ხელით დახატულიდან ფოტოცინკოგრაფიით ვენაში ანგერმა გადაიღო, ხოლო ფერადებიანი სურათი გაკეთებულია პეტერბურგის, ბრეზეს ქრომო-ლითოგრაფიაში.

არშიები, სათაური ასოები და საბოლოოები შეადგინა გრიგოლ ტატიშვილმა და ამოსკრეს პეტერბურგში ლემაძე და მეიშ. მხატვრობა ამ მორთულობისათვის გადმოღებულა ძველის მწერლობიდან და საქართველოს ციხე-ეკლესიებიდან, მხოლოდ ზოგიერთი ამ მხატვრობათაგანი უფრო დამთავრებული და დასრულებულია. თითქმის ყოველ მონასტერსა და ციხეს,—მცხეთას, უფლისციხეს, ბეთანიას, ქუთაისს, გელათს, საფარას, კაბენს, ახტალას, ფიტარეთს, სამთავისს, ატენს — თვისი წილი უღვეს ამ წიგნში, თავისი კვალი აქვს აღბეჭდილი.

ბეჭდვის დროს ყურისგდება თავს იღვა ივანე გიორგის-ძე მიახაბელმა, რომ-

მელსაც ეკუთვნის ამ წიგნის უკანასკნელი რედაქციაც.

მარტის 20, 1888 წ.“

„ვეფხისტყაოსნის“ ძვირფასი გამოცემის ინიციატორი და სულისჩამდგმელი, როგორც წიგნის ბოლოსიტყვაობიდანაც ჩანს, იყო იონა მეუნარგია.

1874 წელს მეუნარგია გამოიციხეს თბილისის სასულიერო სემინარიის უკანასკნელი კლასიდან თავისუფალი აზრებისადმი მისწრაფების გამო. იმავე წელს იგი გაემგზავრა ენენევაში სწავლის გასაგრძელებლად. იქ მას დახვდნენ მომავალი საზოგადო მოღვაწეები, მწერლები და მხატვრები: ს. მესხი, გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ალ. სარაჯიშვილი, დ. გურამიშვილი და სხვები. ოთხი წლის შემდეგ იონა მეუნარგია პარიზში გადადის, უახლოვდება იქაურ ქართველობას, ეცნობა საფრანგეთის გამოჩენილ მწერლებსა და მოღვაწეებს. ევროპაში ხანგრძლივად ყოფნამ, აღვლამობრივ ცხოვრებაზე დაკვირვებამ, განსაკუთრებით ვ. პოუგოსთან შეხვედრამ და მასთან საუბარმა, დაარწმუნა იგი, რომ საჭიროა „ვეფხისტყაოსნის“ საგანგებო გამოცემა როგორც ქართულ ისე, უცხო ენებზე.

ამ რწმენით გატაცებული ი. მეუნარგია 1880 წელს ბრუნდება სამშობლოში. ჩამოსვლისთანავე მას ირჩევენ ახლად დაარსებულ ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მდივნად.

ეს ის დროა, როდესაც ქართველ მოღვაწეთა შორის განმტკიცდა „ვეფხისტყაოსნის“ საგანგებო გამოცემის აუცილებლობის აზრი.

საზოგადო მოღვაწემ გ. ქართველიშვილმა იკისრა „ვეფხისტყაოსნის“ საგანგებო გამოცემა საკუთარი ხარჯით. ამ ამბით გახარებულმა რ. ერისთავმა, ი. გოგებაშვილმა და ი. მეუნარგიამ გაზეთ „დროებაში“ (1880 № 241) გამოაქვეყნეს შემდეგი მოწოდება: „დიდი ხანია განზრახვა გვქონდა დასტამბული „ვეფხისტყაოსანი“ შეგვეთანხმებია ხელნაწერ „ვეფხისტყაოსანთან“... ვი-

საც აქვს დროებით გადმოგვეზავნო ხელნაწერ-კითხვის გამავრცელებელ ქვეყნადოების კანცელარიაში ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც შემდეგ შესწორებისა დაუბრუნდება პატრონს უკლებლივ და ყოვლის მიზეზის გარეშე“.

გაზეთ „დროების“ რედაქცია ილტაცებით მიეგება ამ განცხადებას და საგანგებო წერილიც მიუძღვნა მას. ამის შემდეგ დაიწყო „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერების დაგროვება და სარედაქციო კომისიის მუშაობა. მასში გარეშე პირნიც მონაწილეობდნენ. კომისიის მდივანი ი. მეუნარგია თანმიმდევრობით აქვეყნებს კომისიის მუშაობის ოქმებს. საზოგადოება აქტიურად ეხმარება ამ წამოწყებას; შემოდის წინადადებები შოთა რუსთაველის ძეგლის დადგმის, ბიუსტის ჩამოსხმისა და სხვათა შესახებ.

სწორედ ამ დროს (1881 წ.) საქართველოში ჩამოდის სახელოვანი მხატვარი ზიჩი.

საქართველოში ზიჩის ჩამოსვლის შესახებ პირველი ცნობა გამოქვეყნებულია გაზეთ „დროებაში“.

„ამჟამად ჩვენ ქალაქში იმყოფება აგრეთვე მეორე¹ არა ნაკლებ გამოჩენილი პირი, მხატვარი ზიჩი. ის მოსულია ჩვენში იმ განზრახვით, რომ შეისწავლოს ჩვენი ტიპები და დასატოს რუსის პოეტის ლერმონტოვის პოემის „დემონის“ სურათებისათვის. დახატოს აგრეთვე ზოგიერთი სურათები ბუნებისა, რომელნიც ამ პოემაში არიან მოხსენებული და აღწერილი“ („დროება“, 1881, № 220).

გაზეთ „დროების“ იმავე ნომერში მოთავსებულია მეორე ცნობა, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალი სურათების დადგმას შეეხება და ფრიად საინტერესოა ჩვენთვის. ამ ცნობაში სწერია:

¹ ცნობა ეხება მოგზაურ ქალს კარლა სერენას, რომელიც კავკასიას ეწეოა მისი შესწავლისა და აღწერის მიზნით.

„დღევანდელს ქართულ წარმოდგენაზე, სხვათა შორის გამართული იქნება ერთი ცოცხალი სურათი „ვეფხისტყაოსნიდამ“, ის სურათი, როდესაც ასათი კომპოზი მოიყვანს ტარიელს ნესტან-დარეჯანთან“.

ამ ცნობიდან ჩანს, რომ ზინისათვის რუსთაველი უცნობი არ ყოფილა, მას რუსთაველის დასურათების აზრი თბილისში არ დაბადებია. იგი „ვეფხისტყაოსანს“, ალბათ, გაეცნო ჯერ კიდევ პეტერბურგში, სადაც დ. ჩუბინაშვილის მიერ დამზადდა და გამოიცა რუსთაველის პოემა ბროსეს რედაქციით (1845 წ.) და მისივე „ქართველი ლიტერატურის ქრესტომათია“ (1846 წ.). უდავოა, რომ ზინი ახლო ნაცნობი იქნებოდა როგორც დ. ჩუბინაშვილის, ისე მ. ბროსესი.

ფრიად საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ იონა მეუნარგია იმავე წლებში მოხვდა საზღვარგარეთ, როდესაც ზინი იქ იმყოფებოდა (1874-1880).

ი. მეუნარგიას წერილებიდან არ ჩანს, იცნობდა თუ არა იგი ზინის საქართველოში ჩამოსვლამდე. მაგრამ, უპიკველია, ზინი ხშირი სტუმარი იქნებოდა მისი ყოფილი მოწაფის, ზემოთმოხსენებულ მხატვარი ქალის მერი ეტლინგერისა, რომელიც ცნობილი მოასპარეზეს, კონა ერისთავის შვილის, დიმიტრის მეუღლე იყო.

შეუძლებელია, რომ ზინის მიერ ემ. მაღაჩის, შ. პეტეფის, ლერმონტოვის და სხვათა ნაწარმოების დასურათების შემდეგ ამ ქართულ ოჯახში არ წამოკრილიყო „ვეფხისტყაოსნის“ დასურათების საკითხიც.

რუსთაველისადმი სიყვარული, ჩანს, აღრევე ჩარჩენია გულში ზინის და მას მოუნდომებია ენახა ის ქვეყანა, რომელმაც რუსთაველი წარმოშვა. სამეფო კარზე მომუშავე მხატვრისათვის ეს არც ისე ადვილი საქმე იქნებოდა, მაგრამ ლერმონტოვის ნაწარმოებთა დასურათების განგრძობის საპირობებამ, უნდა ვიგულისხმოთ, ამ სურვილის შესრულება რეალური გახდა მისთვის.

ამას მეორე გარემოებაც დაემატა: ზინის ძმა ანთროპოლოგი იურ. ვეფხისტყაოსნიდან გამოემგზავრა კავკასიაში, კერძოდ საქართველოში, რათა დაემტკიცებინა კავკასიელ და უნგრელ მოღვათათა თავის ქალის ერთგვარობა. თბილისში ყოფნის დროს ზინი ხშირი სტუმარი ყოფილა ციციშვილებისა. ჩანს, ქართულმა ბაასმა, რაინდულმა სტუმარ-მასპინძლობამ ნათლად გადაუშალეს ზინის თვალწინ რუსთაველის სტრიქონები.

თბილისში სტუმრად მოსულ ზინის „ვეფხისტყაოსნის“ საგამომცემლო კომისიამ რუსთაველის დასურათება შესთავაზა. ეს წინადადება, როგორც ვთქვით, ზინიმ დიდი კმაყოფილებით მიიღო.

ზინი ჩვეულებრივი წესით არ იწყებს მუშაობას „ვეფხისტყაოსანის“ დასურათებაზე. ის ჯერ ხალხს უახლოვდება, — იქ ეძებს ტექსტის მხატვრულ გასაღებს; არ ერიდება დიდ ხარჯებს; ამა თუ იმ კომპოზიციის შესაქმნელად, სათანადო ტიპაჟის შერჩევის შემდეგ დგამს ცოცხალ სურათებს „ვეფხისტყაოსნიდან“. ხალხი ამ სანახაობით ხარობს, ზოლო თვით ზინი დიდი დაკვირვებით აკეთებს ჩანახატებს. მას ყოველმხრივ ეხმარებიან. ერთხელ, მაგალითად, ზინის თავისი მხატვრობისათვის დასჭირდა თურმე ქართული ცეკვა და უთქვამს — თუ კარგ ლეკურს მიჩვენებენ, ცოცხალ სურათებს დადგამო. ერთ კვირასაც არ გაუვლია ამ სურვილის გამოცხადებიდან, რომ ქართული თეატრის დასს შეუკრებია ასამდე ქალი და კაცი, მათ შორის განთქმული მოცეკვავენი, შეუკერავთ მათთვის ძვირფასი ქართული ტანისამოსი, დაუხატავთ ახალი დეკორაციები ზინის ესკიზების მიხედვით. მარტო ტანისამოსზე და დეკორაციებზე თურმე ას თუმანზე მეტი დაიხარჯა.

დანიშნულ დროს (1882 წლის 6 თებერვალს) მართლაც დიდი წარმატებით დაუდგამს ზინის დაპირებული ათი ცოცხალი სურათი.

ამ ამბავს ვრცელი და აღტაცებული წერილით გამოეხმაურა გაზეთი „დროება“.

„აღღეს ჩვენს ქალაქში სტუმრად არის იმპერატორის სასახლის მხატვარი ბ-ნი ზინი, რომელიც განთქმულია, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ თავისი ნიჭითა და ხელოვნებით. ვის არ უნახავს მხატვრობა „დემონისა“. ახლა ზინიმ დიდი ღვაწლი დასდო თავისი შრომით საქართველოს. იმან განახორციელა და სული ჩაუდგა იმ გმირებს, რომელნიც უკვდავმა შოთა რუსთაველმა მშვენიერის ლექსით გამოხატა... რამდენიმე საათში ზინიმ დაგვანახა ჩვენს სცენიდან ცოცხლად რუსთაველის გმირნი და გადმოგვცა მზეული შინაარსი „ვეფხისტყაოსნისა“. ამ შემთხვევაში მიიღეს მონაწილეობა ჩვენმა ქართველმა ქალებმა, რომელნიც არიან ჩვენში გამოჩენილი თავისი სილამაზით, სინაზით და სახის მეტყველებით. ამათ თავის თვისებით და ჩაცმა დაბურვით წარმოგვიდგინეს... ის ქალები, რომელნიც სცხოვრობდნენ... რუსთაველის დროს. ნეტარება იყო ის ათი ცოცხალი სურათი, რომელიც ჩვენა ვნახეთ ნ-ს ამ თებერვალს. ბევრი სურათები გვინახავს სცენაზე, მაგრამ ამ სურათებს არა შეეძრება რა, ეტყობა, რომ აქ მოქმედი პირი პოეტის მეცნიერი კაცი იყო. თუმცა ამ პოეტმა, მხატვარმა ზინიმ ქართული არ იტოს, მაგრამ საქართველოს მდიდარმა ბუნებამ შთააგონა. გააგებინა მას დიდებული რუსთაველის აზრი და მით წარმოუდგინა იმის გრძნობას გმირნი „ვეფხისტყაოსნისა“. ზინიმ გააცოცხლა ჩვენი მკვიდრნი ქართველნი. ამ ცოცხალ სურათებს მთელს რუსეთში და ევროპაში ექნება დიდი მნიშვნელობა რუსთაველისა, საქართველოსა და იმის შეილების გასაცნობად...

... ურიგო არ იქნება, რომ ეს ამისთანა შრომა ბ-ნი ზინისა ჩვენ, ქართველებ-

მა, დაეაგვირგვინოთ რაიმე ნიჭითი მიერთმევით, რასაკვირველია, ქვეყნის დროის ნიჭითა, რომ სახსოვრად პქონდეს რუსთაველის შეილებისაგან“. („დროება“, 1882, № 27).

ცოცხალი სურათების დადგმის ამბავი „ვეფხისტყაოსნიდან“ ელვის სისწრაფით მოედო მთელ საქართველოს, ქალაქები გამოსთქვამდნენ სურვილს — მათთვისაც ეჩვენებინათ ეს სურათები.

ცოცხალი სურათების დადგმის ასეთმა გახმაურებამ რუსეთის სამეფო კარამდეც მიაღწია. იქ, როგორც ჩანს, არ მოეწონათ კარის მხატვრის ასეთი გულისხმიერება. მოვიდა მოთხოვნა ზინის მუშაობის „შესამოწმებლად“, ყველა ცოცხალი სურათის გადაღებისა პეტერბურგში გასაგზავნად.

ცოცხალი სურათების დადგმებში მონაწილეობას იღებდნენ იმ დროს ცნობილი ადამიანები, რომლებიც განთქმული იყვნენ როგორც თავისი გარეგნობით, ისე ცეკვისა და საკრავებზე დაკვირის ოსტატობით. როგორც თვით სურათებიდან ჩანს, ზინი, გარეგნობასთან ერთად, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მონაწილეთა სახის ტიპურ და მხატვრულ გამომეტყველებას. ინტერესს მოკლებული არ არის ვიკოდეთ ამ ადამიანთა ვინაობა, განსაკუთრებით მათი. ვინც მთავარი გმირების როლებს ასრულებდა. ამის შესახებაც მოიპოვება რამდენიმე ცნობა. „დროების“ ერთ-ერთ წერილში ნათქვამია:

„წარსულ კვირას კიდევ გაიმართა ეს სურათები და კიდევ ერთხელ აიგსო გული წარსული ნეტარების მოგონებით. იქამდისინ მშვენიერნი იყვნენ ეს სურათები, რომ მტერი თუ მოყვარე, ქართველი, რუსი, გერმანელი, თათარი — ყველანი აღტაცებაში მოიყვანა. ამ უკანასკნელ გამართულ სურათებს კიდევ ერთი მოემატა: შოთა რუსთაველი და ჩოქილი მხარამევეს პოემას „ვეფხისტყაოსანს“ თამარ დედოფალს. თამარ დედოფალი წარმოგვიდგინა მ. იოსელიანის ქალმა და შოთა რუსთაველი დ. ზ. სარაჯიშვილმა. ორივე ისე შენონდნენ, ისე უხდებოდათ.

ისე ლაზათიანი იყენენ, რომ კაცისგული ნატრობდა ფარდის ჩამოშვების დაგვიანებას...”

გაზეთების ცნობებში ჩვენ ვერსად შევხვდით იმას, თუ ვინ ასრულებდა ტარიელის როლს; ზეპირი გადმოცემით ვიცით, რომ როდესაც ზიჩი საქართველოდან წავიდა, „ნატურად“ იყენებდა იმ დროს პეტერბურგში მყოფ ახალგაზრდა და მკვრივი ტანის, შავგვრემან მხატვარს დავით გურამიშვილს (დიდი პოეტის სენისას!). მართლაც, მისი მკვეთრი, ტიპიური ქართული სახე დიდად მოგვაგონებს ზიჩის მიერ განსახიერებულ ტარიელს. ამასთანავე არსებობს მეორე გადმოცემა, რომ საქართველოში ყოფნის დროს ტარიელის სურათს ზიჩი დავით მიქელაძის (მეველე) გარეგნობას უდებდა საფუძვლად.

თითქმის ორი წლის მუშაობის შემდეგ ცოცხალი სურათებიდან დამზადებული უამრავი ჩანახატები ზიჩიმ პეტერბურგში წაიღო, ხოლო თბილისში შედგა საგამომცემლო ტექნიკური კომისია, რომელსაც მიენდო „ვეფხისტყაოსნის“ როგორც საბოლოო სტილისტური რედაქცია, აგრეთვე მისი პოლოგრაფიული გაფორმების ხელმძღვანელობაც. ამ კომისიას მრავალი რთული საქმე გაუჩნდა: კომისიის მოვალეობას შეადგენდა როგორც წიგნის დაბეჭდვა და ზიჩის მიერ სურათების დახატვის საქმის მოგვარება, ისე ორი წლის წინათ გასწორებული „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის აღდგენაც. ამ კომისიას უნდა გადაეთარგმნა აგრეთვე ზიჩისათვის ფრანგულ ენაზე დასასურათებლად შერჩეული ტექსტები. კომისიას უნდა ეწარმოებინა ამასთანავე ყოველგვარი მიმოწერა გამოცემის თაობაზე. მას უნდა შეეკეთა და გამოეწერა ახალი შრიფტი, სათაური ასოები, შესამკობი ნახატები და სხვა სამკაულები. მასვე უნდა გაეწია ხელმძღვანელობა როგორც ტექსტის, ისე სურათების დაბეჭდვისათვის საქართველოში, პეტერბურგში და უცხოეთში. როდესაც ყოველივე ამას გავითვალისწინებთ, ჩვენ დავრწმუნდებით,

რომ კომისიას მართლაც დიდი შრომისა და ჯათის გაწევა დასჭირდა „ვეფხისტყაოსნის“ დაბეჭდვის დროს. კომისიის თავმჯდომარე იყო ილია ქავჭავაძე, წევრები — რ. ერისთავი, დ. ბაქრაძე, ი. მეუნარგია, პ. უმიკაშვილი და ივ. მაჩაბელი.

პირველ რიგში ზიჩისათვის უნდა მიეწოდებინათ სრული თარგმანი „ვეფხისტყაოსნისა“ ფრანგულ ენაზე, რათა მას საშუალება ჰქონოდა უფრო ღრმად და დაკვირვებით გასცნობოდა „შოთას ქმნილებას, მოქმედ პირთა ხასიათსა და გარეგნობას, აგრეთვე მისთვის საჭირო მრავალ დეტალს.

ამ რთული საქმის შესრულება დაევალა ფრანგულის კარგ მცოდნეს, კომისიის წევრსა და გამოცემის მთავარ მოამაგეს იონა მეუნარგიას.

ილია ქავჭავაძე კომისიის ერთ-ერთ სხლომაზე პირდაპირ მოითხოვს მეუნარგიასაგან, რომ მან უფრო დაჩქარებით თარგმნოს „ვეფხისტყაოსანი“ ზიჩისათვის, ვინაიდან მხატვარს „უკვე მოუთხოვნია ამ პოემის ტექსტი“.

ი. მეუნარგია ამ დავალებას გასაოცარი სისწრაფით ასრულებს იმ დროს საქართველოში მყოფი უცხოელი მწერლების ე. მურიესა და სუტენერების დახმარებით. ორი თვის შემდეგ „დროებაში“ ვკითხულობთ:

„ი. მეუნარგიას თარგმანი, როგორც შევიტყუეთ, ამ დღეებში გაეგზავნება მხატვარ ზიჩის სახელმძღვანელოდ იმ სურათების დახატვისათვის, რომელნიც უნდა „ვეფხისტყაოსნის“ მდიდარულს გამოცემას ჩაერთოს. ფრანციკულად ეს ხელნაწერი გაზაფხულზე იქნება დაბეჭდილი პარიზში“ („დროება“, 1884, № 257).

როგორც ჩანს, ეს თარგმანი იმდენად დამაკმაყოფილებელი ყოფილა, რომ კომისიის თავმჯდომარეს ილია ქავჭავაძეს განუცხადებია: „ვითა მზის შუქით ჰნათობს მთიარე, ისე რუსთველის შუქით იმნათობებს მეუნარგიაც დღეის იქით ჩვენ მოღვაწეთა შორისო“ („დროება“, 1884, № 260).

თარგმანი გადაუგზავნეს ზიჩის. ი. მეუნარგიამ ეს ამბავი სასწრაფოდ აცნობა ნიკო ნიკოლაძეს, რომელიც იმ დროს პეტერბურგში იმყოფებოდა, და სთხოვა დაუყოვნებლივ ენახა ზიჩი. აი ეს წერილიც:

„ძვირფასო ძმო ნიკო! როგორც ეს წიგნი მოგივიდეს, უთუოდ იმ დღესვე, ან მეორე დღეს მაინც, ზიჩისთან მიდი (სემიონოვის შესახვევი). ეს ხუთი დღეა გამიგზავნია მისთვის სურათები და თარგმანი, და ცალკე წერილში მივწერეთ, ნიკოლაძე მოვა და თუ რამე საჭირო იქნეს, იმას უთხარით (თუ თქო, არ ვიცი). შენ იცი, რასაც ეტყვი თარგმანზე, მე მაგინე, რამდენიც გინდა, მხოლოდ წიგნის დიდება არ დაუმცირო იმას, თორემ გულს აიყრის. უთხარი, რომ ჯერ თარგმანს ბევრი შესწორება სჭირიათქო, მთარგმნელი აპირებს კიდევ ორი სამი თვე ზედ იმუშაოსთქო. ახალი ამბავი, დიდი, დიდი ამბავი ეს გახლავს, რომ გუშინწინ მომივიდა რენანის წერილი, მწერს, გამომიგზავნე თარგმანი და მე პარიზის აზიურ საზოგადოებას წარუდგენო... ზიჩისაც უთხარი ეს ამბავი. აქაურობა ისევ ისეა, როგორც დასტოვე, მურჩიმ ძალა წაიღო... ბარონი სუტნერი სამეგრელოში, ჩემ სოფელში მიმყავს ამ დღესასწაულებზე და იქ გვინდა ერთად და ბეჯითად გადავიკითხოთ და გავესწოროთ თარგმანი...“

შენი ერთგული იონა.

შენი ჭირიმე, ნიკოჯან, უთუოდ მალე შედი ზიჩისთან. უთხარი, სხვათა შორის, რომ გექტოგრაფიის მეღნით არის დაწერილი და წყალი არსად დაასხან, თორემ გაფუჭდება; ამას გარდა, ზოგიერთი ქართული სიტყვები, რომელნიც გამოხატავენ თანამდებობას, მუსიკის იარაღებს და სხვ. ქართულად არიან ნახსენები და შენ განუმარტე. არამცდარაბამ არ დაიხარო წასვლა.

მომდევნო წლის (1885) 9 იანვარს ამავე საკითხის შესახებ მეფხვრეფხვრეფხვრე დეე სწერს წერილს ნ. ნიკოლაძეს:

„ძმო ნიკო! ეს ორი კვირაა ქალაქიდან წამოსული ვარ და არ ვიცი მოგიწერია თუ არა რაიმე პასუხი ან ჩემთვის, ან ილიასათვის შესახებ „ვეფხისტყაოსნისა“ და ზიჩისა. ჩემი წერილი, უეპველია, მოგივიდოდა. ამ წიგნს აი რატომ გწერ: როგორც გაცნობე ამას წინათ, მე სუტნერი სოფელში ჩამოვიყვანე და აქ ხელმოკრედ შევეუღებით თარგმნას, უფრო უმეტესის დაკვირვებით და სინდისით. ჯერ უკანასკნელს რედაქციას ვადგენთ ფრანკოცულად. მერე იქვე ნემენცურად ვთარგმნით წიგნსა. ეს ორი კვირაა, დღე-ღამე ვმუშაობთ და, როგორც იყო, ერთს მეოთხედს მოვუღეთ ბოლო. ამ პირველს მეოთხედში ერთი შეცდომა შემხვდა წინანდელის ჩემი თარგმნისა, რომელიც უთუოდ უნდა გასწორდეს ზიჩის ეგზემპლიარში, თორემ მშატერობა ნამდვილი არ გამოვა. ის შეცდომა არის იმ სცენაში, როდესაც ტარიელი პირველად დინახავს ნესტან-დარეჯანსა“. შემდეგ მეუნარგია დაწერილებით აცნობებს ამ ადგილს ნ. ნიკოლაძეს და ბოლოს წერს:

„უხლა ვგრძნობ ყოველს ნაკლოვანებას ჩემის თარგმანისას, მაგრამ ჯერ გვიან არ არის, ჩემგან გამარუღებულს, მევე გავესწორებ. სხვათა შორის, ზიჩის უთხარი ლაპარაკის დროს, რომ ჩემს თარგმანში სიტყვა ქართული „ალეა“ ცუდათ ვთარგმნე“. ი. მეუნარგია სთხოვს ნიკოლაძეს ეს ადგილიც შეასწოროს გადაგზავნილ ეგზემპლიარში და კიდევ განმეორებით მოაგონებს მას: „შენი ჭირიმე, ნიკოჯან, ზიჩისთან უთუოდ მიდი და უთუოდ პასუხი მომიწერე“. წერილში აღნიშნულია აგრეთვე ფრანგულად თარგმნის სიმწელე გერმანულთან შედარებით.

როდესაც მეუნარგია ამ წერილს წერდა ნიკოლაძეს (9 იანვარს) და სთხოვდა პასუხს, „დროების“ რედაქციას უკვე მიღებული ჰქონდა ცნობა და 10 იანვარს გაზეთმა თავის მკითხველებს აც-

ნობა, რომ ზიჩიმ ფრანგული თარგმანი უკვე მიიღო და სურათების ხატვასაც შეუდგაო.

„ვეფხისტყაოსნის“ გამოსვლას მოუთმენლად მოელოდა ხალხი, გამოუდგებით მოდიოდა „დროების“ რედაქციაში შეკითხვები, როდის გამოვა „ვეფხისტყაოსანი“.

გაზეთი უბასუხებს თავის მკითხველებს და არწმუნებს მათ, რომ დაბრკოლება სურათებზე და „რა წამს ბ-ნი ზიჩი ხატვას გაათავებს და თავის შრომას გადასცემს ამომკრელს, გამომცემელი მაშინვე ბეჭდვასაც შეუდგებაო“.

„ვეფხისტყაოსნის“ გამოცემის შეფერხება რასაკვირველია, მარტო ზიჩის სურათების მიზეზით არ იყო გამოწვეული. გარდა სურათებისა, წიგნს ბევრი რამ სჭირდებოდა, პირველ რიგში კი ის შესამკობელი მასალები, რომელთა დაზადება ილია ჭავჭავაძემ მიანდო გრიგოლ ტატიშვილს.

ერთი უცნაური შემთხვევის გამო გრიგოლ ტატიშვილი ფოთში იყო გადახიზნული და იქ მუშაობდა მხატვრად რკინიგზაზე. როდესაც ფოთიდან ჩამოიყვანეს, მას შესაფერი ბინა არ ჰქონდა და, ილიას წინადადებით, ტატიშვილს უფასოდ მისცეს ბანკის შენობაში ოთხოთახიანი ბინა და საცმათ თანხაც მუშაობის დასაწყებად.

გ. ტატიშვილი ილიას ჩავონებით მიხვდა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ღირსეული შემკობისათვის არ გამოადგებოდა ჩვეულებრივი სახის მორთულობა. საჭირო იყო სრულიად ახალი შესამკობელი მასალის გამოჩახვა. ასეთი მასალა მხოლოდ ქართული მონუმენტალური არქიტექტურის ძეგლებში მოიპოვებოდა. ამიტომ ტატიშვილიმა გადაწყვიტა უშუალოდ მისულიყო ამ ძეგლებთან და მათი ვრცელი კედლებიდან, გუმბათებიდან და თალებიდან გადმოეხატა ის, რაც საუკუნეთა მანძილზე შეუქმნია ქართულ მხატვრულ გენიას.

ეს თითქმის შეუძლებელი საქმე იყო, მაგრამ ქვეყნის უზომო სიყვარულმა და საპატიო დავალების შეგნებამ მისცა მას

ძალა ამ უეშვარტად საგმირო საქმის შესრულებისა. ქვეითად შეგვირქვამენ თითქმის მთელი საქართველოდან მხატვარი ძეგლებიდან უშუალოდ გადმოიღო ის, რაც მათ ამშვენებდა მრავალი საუკუნის მანძილზე. მხატვარმა ეს მასალა დიდი ოსტატობით გარდაქმნა წიგნის მორთულობად და შორეული წარსულიდან მომდინარე გრეხილები, წნულები და ფანტასტიკური ხლართები, შეგუებული ხესთან, ქვასთან და ლითონთან, ჭაღალდის ფურცელს შეუთავსა. მათი შინა და ლაზათი, თეთრი და შავი ლაქების შემწეობით, რუსთაველის უხინჯო ლექსის მდინარებას შეურთო და მასთან ერთად აამეტყველა.

როდესაც ტატიშვილი მოგზაურობდა საქართველოში და ძეგლებიდან ჩუქურთმებს იღებდა, თბილისში ზიჩის წერილი და საბოლოოდ დაზადებული ესკიზები მოვიდა. გაზეთმა „დროებამ“ არ დააყოვნა და ეს სასიხარულო ამბავი თავის მკითხველებს საგანგებო წერილით აუწყა. „ძნელი წარმოსადგენი იყო რომ თავის თავაზიანობას ბ-ნი ზიჩი ერთი სამად გადააქცევდა და ასე მოკლე ხანში დასრულებდა პირველს ნაწილს თავის შრომისას. გამოცემისათვის შემდგარმა კომიტეტმა სთხოვა ზიჩის მხოლოდ თორმეტი სურათის დახატვა და ესეც დიდ დავალებად მიჩნდა. იმის მხრივ. ამ საგნისათვის გაუგზავნა კომიტეტმა როგორც სრული ფრანციუელი თარგმანი, აგრეთვე მრავალი ფოტოგრაფიული სურათები საქართველოს ბუნებისა, ხელოვნებისა და ხალხისა. არავის იმედი არ ჰქონდა, რომ ზიჩი თავის სურათებს წელიწადზე ადრე გაათავებდა. მაგრამ ამ დღეებში თბილისში მოვიდა მისგან გამოგზავნილი ესკიზები, რომელნიც გვარწმუნებენ, რომ ნახევარი საქმე დასრულებულად უნდა ჩაითვალოს. ზიჩი იმგვარის თავის სიმდაბლით, რომელიც ყოველ სულდიდს ადამიანს შეშვენის, სთხოვს კომიტეტს, რომ შენიშნოს, თუ რა ნაკლოვანება აქვთ მის ესკიზებს შინაარსთან შედარებით და საჩქაროდ ესკიზები შე-

ნიშნებითურთ უკანვე დაუბრუნოს... ზიჩის წერილიდან ამოვიწეროთ ერთი ადგილი, რომელიც აშკარად მხატვარს, თუ როგორ გულმოდგინედ მოჰკიდებია გამოჩენილი მხატვარი მოთას თხზულებას: „მე თქვენ ვიგზავნით არა თორმეტს, არამედ ოცდაათთხმეტს ესკიზს ამოსარჩევად. შენიშნეთ, რაც შესანიშნავია, ნომრობით დასწერეთ და საჩქაროდ უკანვე გამოგიგზავნეთ, რომ შემძღვოს საქმის მალე დასრულებას... მე დიდად მოხარული ვიქნები, თუ შევიძლებ თქვენის იმედების გამართლებას და რუსთაველის თხზულებას შესაფერად გადმოგცემთ.

კარგი იქნებოდა, რომ ყველა ეს სურათები თქვენს გამოცემაში მოგექციათ ცინკოგრაფიით. ძვირათაც არ დაჯდებოდა: ანგერერი ვენაში და აგრეთვე პარიზში კვადრატულ სანტიმეტრზე 15 სანტიმს თხოულაბენ. მაგრამ მოიქეცით, როგორც თქვენი სურვილი და შეძლება ნებას მოგცემთ. მე ბედნიერად ვრაცხ ჩემს თავს, რომ თქვენის ჩინებულის აზრის განხორციელება შევიძელ. მე ჩემი მხრით გამოგცემ არა მარტო ამ 34 სურათს, იქნება სხვებიც მივემატო და პატარა ფოტოგრაფიული ალბომი დაგაბეჭდინო დასავლეთ ევროპისათვის. ამით სახელი და დიდება ქართველების პოეტის რუსთაველისა უფრო ვრცლად მოიფინება. დასასრულ გთხოვთ მოექცეთ ჩემს სურათებს ისე, როგორც ქართველები უმანკო ქალს მოექცევიან ხოლმე — ნაზად და სათუთად“.

მიღებული ესკიზები დაუყოვნებლივ გაურჩევიათ და თითქმის ყველა მიუღიათ, რის შესახებაც „დროებაში“ სათანადო ცნობა იყო დაბეჭდილი.

ამ ცნობის გამოქვეყნების შემდეგ გავიდა ოთხი თვე და „ვეფხისტყაოსნის“ სურათების შესახებ არაფერი ისმოდა. ისევ დაიწყო შეკითხვები და გაზეთიც კვლავ აძლევდა პასუხს შეკითხვულებს:

„თუ აქამდის არაფერი ამბავი მოგსვლია „ვეფხისტყაოსნის“ სურათების თაობაზე ბ-ნ ზიჩისაგან, ამის მიზეზი ის

არის, რომ ბ-ნი ზიჩი სასახლის მხატვარია და უკანასკნელ მოგზაობაში დროს თან ახლდა უაგვესტროეს ოჯახობას. ამჟამად საიმპერატორო სახლობა დაბრუნდა პეტერბურგს და პატრეცემული ზიჩი გვწერს, რომ მოკლე ხანში მე თვითონ გავემგზავრები ვენაში საუცუთესო ამომკრეღ ანგერერთან და მიუხეხნაშიაც „ვეფხისტყაოსნის“ სურათებზე მოსარიგებლად“ („დროება“ 1885. № 188). როგორც ჩანს, ზიჩის თავისი დაპირება შეუსრულებია, წასულა ვენაში და სურათების ბეჭდვის საქმე არათუ მოუგვარებია, ერთი დაბეჭდილი სურათიც კი ჩამოუტანია პეტერბურგში. გაზეთი „ივერია“, რომელიც ამ დროისათვის დახურული „დროების“ ნაცვლად გამოვიდა, თავის მკითხველებს აცნობებს, რომ ი. მეუნარგია წასულა პეტერბურგში სხვადასხვა საქმის გამო, მოკლეხანში ჩამოვა და სხვა საინტერესო ამბავთან ერთად „ვეფხისტყაოსნის“ სურათების შესახებაც ნამდვილს ამბავს მოგვითხროს მხატვარ ზიჩისაგანო. მართლაც, მეუნარგიათმ საქმრო ცნობებთან ერთად შემოთავაშნული დაბეჭდილი სურათიც ჩამოიტანა. ეს საბოლოოდ დამზადებული სურათი, რომელიც ავთანდილისა და ფატმანის მარტო ყოფნას გადმოსცემდა. დიდად მოსწონებიათ: „ეს სურათი ფოტოგრაფიით გადაუღიათ ვენაში ანგერერის და გეშლის ზედამხედველობითა და მშვენიერებაა“. საგამომცემლო კომისიამ ამ სურათთან ერთად მიიღო სურათების გამოჩენილი მბეჭდავის ანგერერის წერილი. ის ითხოვდა, მოეწოდებინათ მისთვის ცნობები წიგნის ფორმატისა და ტექსტის მოცულობის შესახებ. კიდევ გადის ერთი წელიწადი და სურათების ბეჭდვა დასასრულს უახლოვდება. ამ სასიხარულო ამბავს აუწყებს თავის მკითხველებს გაზეთი „ივერია“ (1887, № 61):

„ფრიად სასიხარულო ამბავი უნდა ვაუწყოთ ჩვენს მკითხველებს: მხატვრის ზიჩისაგან დახატული სურათები „ვეფხისტყაოსნისა“ უკვე დაუბეჭდიათ

ლებიცევიში. ამ სურათებიდან, რომელიც 26-მდეა, ოთხი კიდევ მოსულა ტფილისში, სრულიად დამზადებული და დაბეჭდილი. აბრილიში თვით „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდვასაც შეუდგებიან და მისში უკვე მზად იქნება ვარაყიანი ყდა წიგნისა და აგრეთვე სხვა ყოველივე... სურათებიანი „ვეფხისტყაოსანი“ სულ 600 ცალი დაიბეჭდება და ყლით ეღირება 12-15 მანეთი“.

ამ სასახარულო ცნობიდან ჩანს, რომ გრიგოლ ტატიშვილს უკვე 1886 წელს მოუთავებია ნაკისრი ვალდებულება, ამის შემდეგ ორნამენტული ნახატები პეტერბურგში გადაუგზავნიათ საუკეთესო ამომჭრელებთან—ლეშანთან და მელისთან. ზიჩის მიერ შესრულებული ფერადი სურათი კი, რომელიც გამოცემის პირველ გვერდზეა ჩაყრული, მოუთავსებით ბრუნეს ქრომო-ლითოგრაფიაში. უნდა ვიგულისხმობთ, რომ მის დამზადებასაც ხელმძღვანელობას გაუწევდა პეტერბურგში მყოფი ზიჩი.

გაზეთ „ივერიის“ ამ უკანასკნელი ცნობიდან ისიც ჩანს, რომ თბილისში უკვე შესდგომიან ტექსტის ბეჭდვის სამზადისს.

როდესაც ი. მეუნარგია პეტერბურგს გაემგზავრა, ჩანს, მან გამოცემის ყველა საკითხი, მათ შორის ახალი შრიფტის, ქალაქის, ორნამენტების ამოჭრისა და სხვა საკითხებიც საფუძვლიანად მოაგვარა.

როგორც აღვნიშნეთ, საგამომცემლო კომისიამ ივ. მაჩაბელს დაავალა ტექსტის საბოლოო რედაქცია, გამოცემის ტექნიკური და მხატვრული ხელმძღვანელობა და მრავალი სხვა სამუშაო, რაც ასეთ საქმიანობას თან ახლავს.

ივ. მაჩაბელი ამ საქმეს განსაკუთრებული ენერგიით და გულმოდგინებით შეუდგა.

თბილისიდან დროებით გასული მეუნარგია 1887 წ. 23 ივლისს მოწერილ წერილში მაჩაბელს სთხოვს აცნობოს „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდვის მდგომარეობა და აფრთხილებს მას, არ დაიწყოს წიგნის ბეჭდვა, სანამ ყველაფერი

მზად არ იქნება. ამასთანავე ურჩევს, რომ ჯერ სანიშნუო ამონაბეჭდვები გაეკეთოს, დაუგზავნოს ნაცნობ-მეგობრებს, გაითვალისწინოს მათი შენიშვნები და შემდეგ შეუდგეს მთელი ტირაჟის ბეჭდვას.

მიუხედავად ასეთი გაფრთხილებისა, ივ. მაჩაბელს ტექსტის ბეჭდვა მაინც დაუწყია.

ზუგდიდიდან სენაეთისაკენ გამგზავრებულ მეუნარგიას ეს ამბავი გაზეთში წაუკითხავს, მოსწონებია მაჩაბლის მოქმედება. იგი სწერს ვანოს: „ზომ უნდა დაიწყოს როდისმე ბეჭდვა.— ჩვენი თაობის შეცდომებზე მეორე თაობა დალაქობას ისწავლის. რაც შეიძლება ცდას ნუ დააკლებთ,— გამოცემას შენი სახელი ერქმევა“.

ივ. მაჩაბელმა ერთ ფერში ამოღებული საბოლოო ანაბეჭდი გაუგზავნა მეუნარგიას და თან ასეთი წერილი მისწერა: „ძმო იონა, გიგზავნი „ვეფხისტყაოსნის“ „ოტტისკს“, რასაკვირველია, შავს. შევედგეთ ბეჭდვას, ჯერ უნიფორმით იბეჭდება, ე. ი. უსაოებოდ, უკანტოვებოდ, უბორდითურებოდ, უსათაურებოდ. შემდეგ როცა გათავადება მთელი წიგნი, მაშინ ხელახლად დაუბრუნდებით და ფერადით დავბეჭდავთ ამ მორთულობას წიგნისას (წიგნი ორფერში დაიბეჭდა ბ. გ.). ყდა კარგი გამოდის, სურათებსაც არა უჭირთ რა. ნახავ, თუ ჩვენმა პირველმა დალაქობამ არ გასჭრას. წიგნი პირველ იანვრისათვის ვგონებ გამოვიდეს...“

„ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდვა უკვე დასასრულს უახლოვდებოდა, როდესაც რუსეთის სამხატვრო საზოგადოებამ ზიჩის ორმოცი წლის მოღვაწეობის იუბილზე გადაუხადა. ამ საზეიმო თარიღს საქართველოც გამოეხმურა. გაზეთი „ივერია“ აღნიშნავდა: „ვინც ნახა ამ ხუთი წლის წინად ცხოველი სურათები „ვეფხისტყაოსნისა“, იმას დავიწყებულნი არ ექნება სახელი მხატვრის ზიჩისა, რომელიც მაშინ ტფილისში იყო და რომლის მეცადინეობით და ხელმძღვანელობით გაიმართა ზემოსხენებულნი

სურათები უკვდავის პოეტის მოთხრობიდა. ამ მხატვრის სახელი რამდენიმე თვის შემდეგ მთელს საქართველოს მოეფინება, იმიტომ, რომ მალე დაიბეჭდება მდიდრული „ვეფხისტყაოსანი“, რომლის სურათებიც მიხეილ ზინის დახატულია. ზინიმ დახატა ეს სურათები და უსასყიდლოდ მიუძღვნა „ვეფხისტყაოსნის“ მბეჭდავ კომიტეტს. დღეს ამ მხატვრის 40 წლის მოღვაწეობის იუბილეა. 40 წელი შესრულდა მას აქეთ, რაც ზინი რუსეთის სამეფო სასახლის კარის მხატვარია... მაგრამ სავალდებულო სამუშაოს გარდა, ნიქიერი მხატვარი იმდენს დროს კიდევ შოულობდა, რომ ბევრს სხვა საქმესაც ასწრებდა“. („ივერია“, 1887 წ., № 189)

დადგა 1888 წელი. კიდევ ოთხი თვე გავიდა, სანამ ამდენი წლის წარმომსახურება „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემით მოუთმენლად დაინტერესებული საზოგადოება. მაისში მოლოდინს ბოლო მოეღო: ხელისმომწერლებს დაურიგდა და მალაზიების ვიტრინებშიაც გაჩნდა ძვირფასად და ფაქიზად გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“.

გაზეთმა „ივერია“ 1888 წ. 15 მაისს № 100-ში ასეთი განცხადება გამოაქვეყნა:

„სურათებიანი „ვეფხისტყაოსანი“, ძვირფას ყდაში გამოცემული გ. დ. ქართველიშვილის მიერ, ისყიდება „წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის საწყობში. წიგნში 27 ზინისაგან დახატული სურათია, მრავალი, განგებ ამ წიგნისათვის შეკვეთილი ჩუქურთმების მხატვრობა და სათაფრი. ასოები ამოკრილია პეტერბურგში, წიგნი დიდი ფორმატისაა და ღირს 15 მანეთი“.

ასე დამთავრდა მოწინავე ქართველი ინტელექტუალის მიერ რვა წლის წინათ დაწყებული დიდი კულტურული საქმე. ზინის რეალისტურმა სურათებმა რუსთაველის ქმნილება გაათავისუფლა ირანული მხატვრული სტილის ტყვეობიდან და „ვეფხისტყაოსნის“ დასურათება საერთაშორისო მხატვრული კულ-

ტურის გზაზე დააყენა. ამასი იყო მხატვარ ზინის დიდი დამსახურება.

გრიგოლ ტატიშვილმა თაურის ასოებით, ნაირნაირი არწივებით და ბოლოსამკაულეებით ნათელი გახადა ქართული ორნამენტული ხელოვნების დიადობა, ხაზების კეთილშობილური შეერთებანი, უნაკლო პროპორციები და ლაკონური სტილი, საფუძველი ჩაუყარა ქართული ნაციონალური წიგნის გრაფიკას.

მიხეილ ზინიმ ერთხელ კიდევ მოინახულა საქართველო. ეს მოხდა სწორედ იმ წელს, როდესაც „ვეფხისტყაოსანი“ გამოვიდა.

საქართველოს ეწვია მეფე ალექსანდრე. მეფის სახლობას თან ახლდა კარის მხატვარი ზინი, რომელმაც იყალთოში, გაზეთი „ივერიის“ ცნობით, დახატა ღრმად მოხუცებული ქართველი ქალი ელისაბედ ჩოლოყაშვილისა („ივერია“, 1888, № 219).

ზინიმ დახატა აგრეთვე რამდენიმე სურათი წმინდა ნინოს ცხოვრებიდან. ამ სურათებით უნდა მოერთოთ მითიური წმინდანის სასაფლაო ბოღბის მონასტერში.

ივ. მაჩაბელს ახალი თავსატეხი საქმე გაუჩნდა. მას დაავალეს მეფისათვის მისართმევი „ვეფხისტყაოსნის“ საგანგებო ეგზემპლარის დამზადების ხელმძღვანელობა. ამ ამბით ფრიად აღელვებული მაჩაბელი მეუნარგვას სწერს — რა ჩემი საქმეა ვენზელების ყურადღებაო, მაგრამ ხელდავს, რომ სხვა გამკეთებული არავინ არის და იძულებულია ამ საქმესაც ხელი მოჰკიდოს. ამასთანავე, იგი უფრო საკვიროდ სთელის ზინისათვის მისართმევი ეგზემპლარზე იხარუნოს. ივ. მაჩაბელი მეუნარგვას აცნობებს: „თბილისში ჩავალ 18-ს ან 19-ს, და მაშინ უნდა შევედგეთ ზინისათვის მოსამზადებელ „ვეფხისტყაოსანზე“ ზრუნვასაც. ეს, ვგონებ, ნაკლები საკვირო არ იყოს, თორემ წიგნი დიდი ხანია გამოვიდა და ზინის კი არას ეუფაჰენით“.

ჩვენ არ ვიცით, როდის ან რა სახით მიართვეს ზინის „ვეფხისტყაოსნის“ სა-

განგებო ცალი, ვიცით მხოლოდ, რომ ზინიმ აღბომად შეკრული სურათები „ვეფხისტყაოსნისა“ ქართველ ხალხს მიუძღვნა და თან ასეთი გულთბილი წარწერა გაუკეთა: „В знак моей симпатии и сердечной преданности грузинскому народу“.

საქართველოსაგან კი მხატვარმა ჰონორარის ნაცელად მიიღო ხალხის ღრმა სიყვარული და გულთბილი მადლობა.

ხალხთა ძმობისა და ურთიერთ კულტურული კავშირის ის იდეალი, რომელიც გასულ საუკუნეში ასულდგმულებდა სხვადასხვა ერების მოწინავე მოღვაწეებს — რუსებს, ქართველებს, უნგრელებს, — დღეს არა მარტო გან-

ხორციელებულია, არამედ ახალ, ჯერ უნახავ სიმაღლეზე, საბჭოთა კავშირსა და სახალხო დემოკრატიის (მათ შორის უნგრეთის) ხალხები თავისუფლად იღწვიან ხალხთა ძმობის კეთილშობილ სარბიელზე; ისინი სიამაყითა და უდიდესი მადლობის გრძნობით იხსენიებენ თავიანთ სახელოვან წინაპართა სახელებს, რომლებმაც მცირე წვლილი როდი შეიტანეს ამ ბედნიერი მომავლის მოახლოებისათვის ბრძოლის დიად საქმეში. მათ შორის საპატიო ადგილი უჭირავს უნგრელი ხალხის საამაყო შვილს, რუსეთის ხალხებისა და, კერძოდ, ქართველების, გულწრფელ მეგობარს მიხეილ ზინიმ.



რას მოითხოვს პრინციპული კრიტიკა



„მნათობის“ 1954 წლის № 12-ში დაბეჭდილია ახალგაზრდა კრიტიკოსის გიორგი ხუბაშვილის ბიბლიოგრაფიული წერილი სათაურით: „ახალი პორიზონტის“ მეორე წიგნი“. წერილის მთელი რაგი დებულებები სცილდება ამ წიგნის შეფასების ფარგლებს, ეხება მხატვრული პროზის საერთო საკითხებს და რაკი გ. ხუბაშვილის მიერ ამ საკითხების გადაჭრა ჩვენ პრინციპულად მკდარად მიგვაჩნია, თავს ნებას მივცემთ, გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრებები ამ საკითხებზე.

დღემდე „ახალი პორიზონტის“ პირველი და მეორე წიგნის შესახებ პრესაში გამოქვეყნდა დაახლოებით თხუთმეტამდე წერილი და შენიშვნა; მაგრამ არც ერთ მათგანს წერილობით არ გამოვხმაურებივარ, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ მათგანში რომანის ამა თუ იმ მხარის შესახებ გამოთქმული იყო ჩემთვის მიუღებელი მოსაზრებაც.

ჩემი ღრმა რწმენით, ისეთ ავტორს, რომელიც კრიტიკას ვერ ითმენს (არათუ მართებულს, ზოგჯერ უმართებულოსაც კი, თუ საქმე რაიმე სერიოზულ გაუგებრობამდე არ მიდის), ვერავითარი გამოქომაგება ვერ უშველის.

ამხ. ხუბაშვილის წერილში გამოთქმული მოსაზრებები რომ ჩემი რომანის ფარგლებს არ სცილდებოდეს, მაშინ ცხადია, დაეას არ დაეიწყებდი. რა მოსწონს და რა არ მოსწონს რეცენზენტს ჩემს ნაწარმოებში მხატვრული შესრულების თვალსაზრისით — მისი ლიტერატურული პოზიციისა და

გემოვნების საქმეა. ასე რომ, ყოველივე ის, რაზედაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, არ უკავშირდება ჩემი წიგნის მხატვრული ღირსებების შეფასებას. მე ვეხები საკითხის მხოლოდ პრინციპულ მხარეს, ამა თუ იმ დებულების მხოლოდ თეორიულ და მეთოდოლოგიურ არსს.

წერილის უდავო ღირსებაა, რომ იგი დაწერილია გულახდილად, ყოველგვარი რევერანსების და წინასწარი მობოდიშების, (როგორც ეს ხშირად გვჩვევია ზოგიერთი მწერლისა და ნაწარმოების მიმართ) გარეშე. ეს გარემოება მით უფრო მთავალეს, ჩემს პასუხში ამხ. ხუბაშვილის მიმართ გამოვიჩინო ასეთივე გულახდილობა და პირდაპირობა.

მხატვრული ნაწარმოების გარჩევისას, ყოველი დაკვირვებული და მართებული შენიშვნა, განსახილველი საკითხის სწორი გადაწყვეტა, ორიენტაციას აძლევს მკითხველსაც და მწერალსაც, ხოლო უმართებულო შენიშვნა და საკითხის არასწორი გაშუქება, თუ ყველასი არა, მკითხველის ერთი ნაწილის დეზორიენტაციის საფრთხეს ქმნის.

მხატვრული ნაწარმოების გარჩევის ის ხერხი, რომელიც ამხ. ხუბაშვილს ამ შემთხვევაში აღრჩევია, ზერელეა და შეუფერებელი, ღრმა პრინციპული კრიტიკისათვის. ამ გარემოებას ცხადყოფს ავტორის მიერ წერილის მეორე აბზაცშივე დასმული კითხვა: „... თამარელამ მოუწოდა ქალებს — ფრონტზე წასული მამაკაცები შეეცვალოთ შახტებში“. მაგრამ საკითხავია, როგორ მოხდა, რომ თამარელამ იმ დღესვე დაასვენა, შახტ-

ში უნდა ვიშუშავო?" ამ კითხვებზე რეცენზენტი იძლევა კატეგორიულ პასუხს: „ავტორმა თავისი გმირის სულეერ ცხოვრებაში მომხდარი რთული პროცესი დეკლარაციული განცხადებით გადმოგვცაო“. მე არას ვიტყვი იმის შესახებ თუ როგორ, რა მხატვრულ დონეზე მაქვს მე ნაწევნები რომანში გმირის გადაწყვეტილების ფსიქოლოგიურად მომხადების პროცესი, მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნო, რომ რომანის პირველი წიგნი სწორედ ამ მიზანს ემსახურება (ცუდად თუ კარგად, სხვა საკითხია), რომ ჩემი ამოცანა იყო — მეჩვენებინა თუ რატომ მოიქცა თამარელა ისე, როგორც წიგნშია, რა შინაგანი იმპულსები ამოძრავებდა მას. სხვა საქმეა როგორ დავძლიე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნაწარმოებში ეს ამოცანა და ეს მიზანი საერთოდ არ იყო დასახული. გ. ხუხაშვილის მტკიცებიდან კი მხოლოდ ეს აზრი გამოსჴვივის. რაც შეეხება რეცენზენტის მიერ დასმულ კითხვას, თუ რატომ განაცხადა თამარელამ იმ დღესვე შახტში მუშაობის სურვილი, ამის შესახებ ამხ. ხუხაშვილს უნდა გავახსენოთ. ფურმანოვის შესანიშნავი განმარტება პერსონაჟის მიერ უეცრად მიღებული გადაწყვეტილებისა: „როდესაც რომელიმე მტკივნეული, სერიოზული ფიქრი გამსჴვალავს მთელს მის არსებას, ადამიანი მოულოდნელად, მკვეთრად ცვლის თავის ქცევას“. გარდა ამისა, სწორ გადაწყვეტილებას ხომ მხოლოდ მაშინ აქვს მნიშვნელობა, თუ ის თავის დროზეა მიღებული? განა უკეთესი იქნებოდა, რომ თამარელას სწორი გადაწყვეტილება ერთი წლის შემდეგ მიეღო? განა გვექნებოდა მაშინ რომანში ის ხასიათი ადამიანისა, რომლის დახატვასაც მე ვცდილობდი? წერილის ავტორის ეს პირველივე შენიშვნაც გვარწმუნებს იმაში, რომ ამხ. ხუხაშვილს ყურადღებით არ წაუყიფხავს რომანი, ანგარიში არ გაუწევია ავტორის ჩანაფიქრისათვის (ან ვერ გაუგია იგი) და ზერეულედ მოჴიკიდებია მხატვრული ნაწარ-

მოების ანალიზს. ამას კიდევ უფრო მკაფიოდ მოწმობს მისი შემდგომი მსჯელობა.

მინდა შევაჩერო მკითხველს ყურადღება კონფლიქტის საკითხზე. გერ-ერთი, ჩემი რომანის არც პირველი, არც მეორე წიგნის მიხედვით, ვიდრე რომანი არ არის დამთავრებული, რეცენზენტს არ ჰქონდა საფუძველი გამოეტანა საბოლოო დასკვნა მასში კონფლიქტის განვითარების შესახებ. ეს გარემოება არ გაითვალისწინა ამხ. ხუხაშვილმა. ახლა შევეხოთ საკითხის არსებით მხარეს. რეცენზენტი ამტკიცებს, რომ მწერალმა „... ნაკლებ იზრუნა კონფლიქტის გაღრმავებისათვის. ამიტომაცაა, რომ ნაწარმოები კომპოზიციურად არ არის შეკრული და სიუჟეტები დუნედ ვითარდება“. ამ შენიშვნაში, ერთი შეხედვით, თითქოს არაფერია პრინციპულად საკამათო, მაგრამ წერილის კონტექსტიდან ჩანს, რომ ავტორს სწორად არ ესმის მხატვრული ნაწარმოების ეს ერთ-ერთი ძირითადი საკითხი — კონფლიქტის საკითხი. თუ სიტყვას — „კონფლიქტი“ პირდაპირი მნიშვნელობით გავიგებთ, მაშინ ზოგიერთი ჩვენი კრიტიკოსი-მართალი გამოდის, როცა ნაწარმოების გარჩევის დროს ათამდე კონფლიქტს ჩამოთვლის ხოლმე. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ხშირად კონფლიქტისა და ინტრიგის ცნებების აღრევასთან გვაქვს საქმე. ის, რასაც კონფლიქტად ნათლავენ, შეიძლება მართლაც იყოს ათამდე: ესაა ინტრიგა და არა კონფლიქტი. კონფლიქტის შედეგად წარმოშობილი ბრძოლა ნაწარმოებში ვითარდება სიუჟეტური ინტრიგის სახით. ინტრიგათა გარკვეული რაოდენობა ან პარალელურად ვითარდება ნაწარმოებში ან ერთმანეთს გადაკვეთს. როდესაც ამხ. ხუხაშვილი წერს: „რომანის კონფლიქტად პირველ წიგნში („ახალი პერიზონტისა“ — ლ. ა.) დარჩა ე. წ. ტრადიციული „სიყვარულის სამკუთხედი“, ხოლო ავტორმა მეორე წიგნში ამ კონფ-

ლაქტისაც წაუყრუაო," ის აშკარად ურევს ერთმანეთში კონფლიქტისა და ინტრიგის ცნებებს, სასიყვარულო ინტრიგას კონფლიქტად ნათლავს. მაგალითად, ჯ. წერეთლის „პირველ ნაბიჯში“ კონფლიქტი ემყარება ფეოდალური არისტოკრატის წარმომადგენლის — ერემია წარბასა და ვაჟართა კლასის წარმომადგენლის — ბაბუა ფულავას ძტორიული კანონზომიერებით გაპირობებულ დაპირისპირებას. ამ დაპირისპირებულ მხარეთა ბრძოლა კი ვლანდება, კერძოდ, სიყვარულის სფეროში და სიუჟეტიც იშლება სასიყვარულო ინტრიგის გზით. თუ ამ უკანასკნელ გარემოებას კონფლიქტად მოვხატავთ, შეცდომას დავუშვებთ.

ზნორად ნაწარმოებში თითქოს ყველაფერი რიგზეა, „ჭიდილიცაა“, „სიუჟეტიც დაძაბულია“. მაგრამ მასში ჭეშმარიტი კონფლიქტის რაიმე ნასახის არსებობაზედაც კი ლაპარაკი ზედმეტია. ასეთი ჭიდილი, საინტერესო არ იქნება დიდი ლიტერატურის თვალსაზრისით, თუ ის არ არის ტიპიური გამომხატველი გარკვეული დროისა და ამ დროის ფარგლებში სოციალური ძალების მისწრაფებებისა. ისეთი დაპირისპირება, რომელიც უშუალოდ ადამიანს ამა თუ იმ ინდივიდუალური თვისებიდან, ტემპერამენტიდან, მიდრეკილებიდან და ა. შ. გამომდინარეობს, შეიძლება იყოს კერძო მოქალაქეთა შორის ატეხილი დავა და არა კონფლიქტი, ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით.

ნაწარმოების სიუჟეტის შესახებ მსჯელობის დროს უნდა გავითვალისწინოთ, რა ეჭრის ნაწარმოებთან გვაქვს საქმე. ამხ. ხუხაშვილი გვისაყვედურებს: „ახალი ჰორიზონტი“ „... კომპოზიციურად არ არის შეკრული და სიუჟეტიც დუნედ ვითარდებაო“. ეს მტკიცება რეცენზიაში არ არის დასაბუთებული. სიუჟეტის სწრაფი თუ ნელი დინება ხომ დამოკიდებულია მთელ რიგ პირობებზე, გამოწვეულია გარკვეული მხატვრული აუცილებლობით და თავისთავად არც ღირსებად და არც ნაყ-

ლად არ შეიძლება იყოს გამოცხადებული. რეცენზენტს უნდა დაესაბუთებინა, თუ რატომ უნდა განვითარებულიყო სიუჟეტი რომანში უფრო სწრაფად, რომელი ხასიათი და რა გარემოება მოითხოვდა ამას. ეს იმას ჰგავს, ღინჯს რომ უთხრა, რატომ ფიცხი არა ხარო! თუკი თამარელა ისეა დახატული რომანში, როგორც ეს რეცენზენტმა აღიარა, რატომ უნდა სპირდებოდეს მას სიუჟეტის განვითარების მეტი სისწრაფე? ამხ. ხუხაშვილი უფრო ღრმად უნდა გარკვეულიყო სათავგადასავლო და საყოფაცხოვრებო რომანების სიუჟეტური განვითარების კანონზომიერებასა და საეციფიკაში. რეალისტურ რომანს, მით უმეტეს, დიდი მოცულობისას, არ ახასიათებს, ასე ვთქვათ, გაქვებულ სიუჟეტი. ამბის მსვლელობაში მრავალი შენაკადის გაჩენა, მოქმედი პირობის ურთიერთობათა სირთულე, ხასიათების - ჩამოყალიბება ამ სირთულეთა ვითარებაში არ იძლევა ამის საშუალებას. წერილის ავტორი კი, ეტყობა სათავგადასავლო ეჭრის კრიტერიუმს უყენებს საყოფაცხოვრებო რომანს და ამიტომ მას არ მოსწონს, რომ ჩემს ნაწარმოებში წამდაუწუმ სიუჟეტურ ხლართებს ვერ პოულობს, ბევრის ხილებს არ აწყვდება. საინტერესოა, რას გულისხმობს ამხ. ხუხაშვილი სიუჟეტის „მოუქნელობასა და უძარღვობაში“, რომელიც თურმე „...გაყლენას ახდენს მთელი რიგი გმირების ხასიათების გამოკვეთაზე?“ ჯერ-ერთი, არაზუსტია მტკიცება, თითქოს რეალისტურ ნაწარმოებში სიუჟეტი განაპირობებს ხასიათების გამოკვეთას. სიუჟეტი ხომ თვით არის დამოკიდებული ტიპიური ხასიათების ტიპიურ გარემოში მოქმედებაზე! და განა შეიძლება ერთნაირი მიდგომით გარჩეულ იქნეს სხვადასხვა ეჭრის ნაწარმოებები, მაგალითად, გრიბოედოვის „ვაი ქუჩისაგან“ და გოლდონის ანსკრიბის კომედიები? განა ამ ნაწარმოებთა სიუჟეტები ერთსა და იმავე კანონზომიერებას ემორჩილებიან?

სიუჟეტის საკითხში გაურკვეველობა აშხ. ხუხაშვილს საშუალებას არ აძლევს, სწორად ახსნას რომანში მოცემული ზოგი სიტუაცია. მაგალითად, სულიკოს მიერ შატბიას სახელით წერილის შეთხზვა სიუჟეტის გამაფრებლის საპირობით კი არაა გამოწვეული, როგორც ეს აშხ. ხუხაშვილს ჰგონია, არამედ მხოლოდ და მხოლოდ სულიკოს ხასიათისათვის ერთი შტრიხის მიმატების და მისი ბუნების ერთი მხარის გამოაშკარაების საპირობით. ამიტომაც ამ ამბავს რომანში არ შეიძლება მოჰყოლოდა ისეთი განვითარება, რომელიც სათავგადასავლო ქანარის ნაწარმოებში კანონიერი იქნებოდა, მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც აღნიშნულმა ამბავმა თავისი დანიშნულება საყოფაცხოვრებო ქანარის რომანის ფარგლებში საცხებით შეასრულა. აშხ. ხუხაშვილი სულიკოს ზემოთაღნიშნული საქციელის გამოც გვისაყვედურებს და თითქოს უხერხულადც თვლის მას. მაგრამ ყალბი წერილის შეთხზვის ამბავი ხომ სულიკოს სცხებს ლაქას და არა რომანის სხვა გმირებს, როგორც ეს აშხ. ხუხაშვილს ჰგონია. სულიკო კი უსინდისოა და უსინდისოდაც იქცევა.

შემდეგი საკითხი, რომელიც წამოჭრა აშხ. ხუხაშვილმა და რომელიც აგრეთვე სცილდება რომანის ფარგლებს, მდგომარეობს იმაში, თითქოს — „მეორე წიგნი ძალზე პირობითად არის დასრულებული, რადგან სამამულო ომი ერთი მთლიანი ისტორიული მოვლენაა და ამ რომანის სხვადასხვა წიგნში მისი დაყოფა-დანაწილება არ არის არც მხატვრული, არც ლოგიკური აუცილებლობით გამოწვეული.“ ეს შენიშვნა იმდენად ეწინააღმდეგება მთლილი ლიტერატურის პრაქტიკას და იმდენად ცხადყოფს რეცენზენტის მექანისტურ მიდგომას მხატვრული ნაწარმოებისადმი, რომ მასზე ზედმეტყვია ლაპარაკი. თუ ასეთი რწმენა ჰქონდა აშხ. ხუხაშვილს ჩემი რომანის გამოქვეყნებამდეც, რატომ არ უსაყვედურა მან იგივე „თეთრი არყის ხის“ ავტორს

მ. ბუბენოვს და სხვა ავტორებს? ყველა ისტორიული მოვლენა, მათ შორის სამამულო ომიც, შეიცავს გარკვეულ ეტაპებს და არათუ ამის მიხედვით, მწერალს შეუძლია თვით ამ ეტაპებშიც იპოვოს მხატვრული ნაწარმოების ნაწილებად დაყოფის საკმარისი საბაბი.

ასევე უმართებულოა რეცენზენტის საყვედური, თითქოს „გუმართლებელია რომანის მეორე წიგნის ორბიტიდან მთლიანად დაკარგვა მთავარი გმირის შატბია არაბიძისა“. საინტერესოა, რით არის გამართლებული აშხ. ხუხაშვილის აზრით, „წყნარი დონის“ მეორე წიგნის „ორბიტიდან“ ამ ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი გმირის აქსინიას „მთლიანად დაკარგვა“ დ. ფურმანოვი თავის დღიურებში აღნიშნავს: „როდესაც მოათავებ ძირითადად ვინმეს ამბავს (დენისოვი, დილოხოვი), შეგიძლია დიდი ხნით მიატოვო ეს გმირი, ასე, ერთნახევარი — ორი ტომის მანძილზე თითქოს დაივიწყო კიდევ და კვლავ დაუბრუნდე, როდესაც ეს აუცილებელი იქნება.“ მეც გარკვეული მიზანი და მხატვრული ამოცანა მიკარნახებდა, რომ მეორე ნაწილში შატბია არ გამოემყვანა, და ამ საკითხის ასე ნაადრევად „გამორკვევია“ რომ არ მოეწადინებინა აშხ. ხუხაშვილს, უკეთესი იქნებოდა.

გ. ხუხაშვილი განაგრძობს: „მთლიანად მეორე წიგნი არ არის გამსჭვალული იმ დაძაბულობით და მღელვარებით, რაც ომმა მოიტანა“. მეორე წიგნი მოიცავს ომის დაწყებიდან გასულ პირველ ათ დღეს, მესამე კი — მთელ სამამულო ომს ამ ათი დღის გამოკლებით. საკითხავია, რითღა „გაგვემსჭვალა“ ეს მესამე წიგნი, თუ მეორეში ვიტყვით ყველაფერს წერილის ავტორის მიერ ნაკარნახევი „დაძაბულობისა“ და „მღელვარების“ შესახებ? ყველაფერი შედარებითია. განა შეედრება ომის დაწყების პირველი დღეები თავისი დაძაბულობით და სიმკაცრით მომდევნო პერიოდებს? გარდა ამისა, აშხ. ხუხაშვილს რომ წარმოუდგენია, ისეთი ელფერიც შემოსილი დაძაბულობის,

მღელვარებისა და ალიაქოთის ვითარება შესახებთა ქალაქში არც ყოფილა საერთოდ და მითუმეტეს, ომის დაწყების პირველ დღეებში.

რეცენზენტი ამბობს: თურმე „ლ. ავალიანი თავისი რომანის მეორე წიგნშიაც ვერ ასცდა იმ ნაკლს, რაც საერთოდ ახასიათებდა ე. წ. საწარმოო რომანებს“, „მწერალი გაიტაცა საწარმოო ცხოვრების აღწერამ, შრომითი პროცესების ჩვენებამ და ნაკლებ იზრუნა კონფლიქტის გაღრმავებისათვის“.

აქაც ამბ. გ. ხუხაშვილი პრინციპულ შეცდომას უშვებს. ის იმაში კი არ გვედავება, რომ ჩვენ თითქოს ცუდად დავხატეთ შრომის პროცესი, არ დავუცავთ შირეთ მისი აღწერა ადამიანების ხასიათების გახსნას და ა. შ., არამედ საერთოდ შეცდომად მიიჩნია ამ პროცესების აღწერით გატაცება. ნუთუ „საწარმოო“ რომანის ნაკლი ისაა, რომ იქ შეიძლება საწარმოო პროცესები იყოს აღწერილი? ყოველ რომანში, რომელიც წარმოებაში მომუშავეთა ცხოვრებას, საქმიანობას ეხება, მკითხველი აუცილებლად შეხვდება კარგად თუ ცუდად აღწერილ წარმოებას და ადამიანებს, ჩამბულთ გარკვეულ საწარმოო პროცესში, ისევე, როგორც ყოველ რომანში, რომელიც ომის თემაზეა დაწერილი, აუცილებლად დავინახავთ ზოგან დეტალურად აღწერილ ბრძოლის ეპიზოდებსაც. ადამიანთა საქმიანობის დახატვის გარეშე, მკითხველს ვერ შეეკმნება წარმოდგენა იმ თავისებურებებზე, რომლებიც გარკვეულმა პროდუქციამ გამოუმუშავა ამა თუ იმ ადამიანს.

რომანის პირველი და მეორე წიგნის მოცულობა პო საავტორო ფორმას აღწევს და აქედან ე. წ. „საწარმოო პროცესებს“ სამი ფორმაც არა აქვს დათმობილი. დავხატე რა თამარელას თვალით დანახული შახტის, როგორც მიწისზედა ისე მიწისქვეშა „სამყარო“, მე მივეცი მკითხველს იმ გარემოში ორიენტაციის საშუალება, სადაც რომანის გმირებს უხდებოდათ და შემდეგშიც მოუხდებოდათ მოქმედება.

„საწარმოო“ რომანის მთავარი ნაკლი ისაა, რომ იქ ავტორი ჩანს გარკვეულ გორც სულის, არამედ როგორც წარმოების ინჟინერი და იგი, ცხადია, ვერ ახერხებს კერძო პიროვნება, რომელიმე მუშაკი ამ წარმოებისა, ვთქვათ, „ივანე“ აიყვანოს ტიპის სიმალღმდეგ. ამიტომ „საწარმოო“ რომანებში აღძრული საკითხები კონკრეტული წარმოების მუშაკებისათვის თუ იქნება გასაგები (მაგრამ არც იმდენად საინტერესო) და არა საერთოდ მკითხველთა ფართო მასისათვის. გასაგებია, რომ არც ერთ, ვგრეთუოდებულ, „საწარმოო“ რომანს არც მიუღია საყოველთაო-სახალხო აღიარება. რაკი ასეთი ნაწარმოები მოკლებულია ფართო განზოგადების ძალას, ამიტომ მასში ნამდვილი კონფლიქტის ადგილი უჭირავს რაიმე ტექნიკური სიახლის დანერგვის მიზეზით წარმოშობილ უღელქორ დაპირისპირებას და — საკითხის გამწვავების შემთხვევაში — სათანადო დადგენილებით გადაჭრილ დავას.

როგორც აღენიშნეთ, ამბ. ხუხაშვილს „ახალი ჰორიზონტის“ ორი წიგნი ზერელედ აქვს წაკითხული. ამას მოწმობს კიდევ ერთი მაგალითი. რომანის მეორე წიგნში მოგონების სახით ჩართულია ათი წლის წინ მომხდარი ამბავი, რაც ხაზგასმითაა აღნიშნული („...ვიდრე ნიკო იქ მყოფთ ამ ათიოდე წლის წინანდელ ამბავს მოუთხრობდა...“) მაგრამ ამბ. ხუხაშვილს რატომღაც ჰგონებია, რომ ეს ყველაფერი ახლა ხდება და თავისივე შეცდომისათვის ჩვენ გვისაყვედურებს: „...მკითხველს უჭირს წარმოდგენოს ამ კაცის გარეგნობა და ხასიათი...“ ამბ. ხუხაშვილი ლაპარაკობს ათი წლის წინათ პარტორგანიზაციის მდივნად ნამყოფ ალექსიზე, რომელიც მოხსენებულა ნიკოს მიერ მოთხრობილ ამბავში. ჩვენ საქიროდ არ დავგინახავს ალექსის გარეგნობის აღწერა და ამიტომაც ვერაინ იპოვიდა ამ აღწერას რომანში, მაგრამ რაც ყველა მკითხველმა დაინახა, ამბ. ხუხაშვილმა კი ვერა, ეს უფრო საგულისხმოა: თუ ათი წლის წინათ

პარტიოგანიზაციის მდივნად ნამყოფი ალექსი მოგონებაშია დასახელებული, სამაგიეროდ, პარტიომის ახლანდელი მდივანი ელიზბარი დეტალურად არის აღწერილი რომანის მეორე წიგნის 174-ე გვერდზე, ეს კი ამხ. ხუხაშვილს რატომღაც გამოჩნია. შემდეგ გ. ხუხაშვილი განაგრძობს:

„მეორე წიგნის ეს სერიოზული ხარვეზი (ე. ი. თავისივე შეცდომა, პარტიომის ძველი მდივანი რომ ახალი ეგონა და მისი „მკრთალად“ დახატვა გვიხავედურა. — ლ. ა.) ვერ შეავსო რაიკომის მდივნის, ბეგლარის გამოჩენამ შახტში. ვანა იმისათვის, რომ ვუჩვენოთ მასების კომუნისტური ხელმძღვანელობა, აუცილებელია რაიკომის მდივანს ხელში მივაჩქროთ ბურღი და ნახშირის ფენება ვანგრევენოთ?“ აქაც რეცენზენტი იმას კი არ გვიასყვედურებს, რომ რაიკომის მდივანი, ვთქვათ, სუსტადაა დახატული, არამედ პრინციპულად წინააღმდეგია მისი ასეთ ვითარებაში გამოყვანისა და კიდევ ერთხელ ამქაღვანებს თავის მექანიკურ, დოგმატიკურ მიდგომას მხატვრული ნაწარმოებისადმი. საინტერესოა, რას გვიასუსხებდა ამხ. ხუხაშვილი შემდეგ კითხვაზე: რა აუცილებლობით იყო გამოწვეული გენიალური ბელადის — ლენინისათვის შაბათობაზე გამოსვლა და მუშებთან ერთად საკუთარი მხრებით მორების ზიღვა? ნუთუ ამხ. ხუხაშვილს არ მოეხსენება, რომ ყველაფერი დამოკიდებულია პირობებზე, ადგილსა და დროზე!

ამხ. ხუხაშვილი იმასაც გვასწავლის, რომ თავის უნდა მიგვექცია ყურადღება რომანში, რომ კონფლიქტი გაგვემძაფრებინა და ერთგვარ გულისტყვილსაც გამოთქვათ.

„ნუთუ მწერალმა ვერ დაინახა მაღაროელთა ქალაქში ვერც მუშანები და ეგოისტები, ვერც მშობრები და გაქნილი გაიძეურები, ზნედაცემული პიროვნებანი, რომელთაც დაუპირისპირდებოდა პატრიოტული მებრძოლის სულსკვეთების, მაღალი მორალის მატა-

რებელი დადებითი გმირები. სინამდვილის მხატვრული ასახვა მორიგობაზე ძველისა და ახლის, მომავლადისა და მზარდის ჩვენებას“.

რა ვუპასუხოთ რეცენზენტს ამ ტირადაზე? ის, რომ კონფლიქტი ყოველთვის არ გულისხმობს „გაქნილი გაიძეურებისა“ და „ზნედაცემული პიროვნების“ ჩვენებას? ანდა ის, რომ ნაწარმოები ჯერ არ არის დამთავრებული, „ახალი პიროვნების“ გმირებს ჯერ კიდევ დიდი წინააღმდეგობები აქვთ გადასალახავი, დიდი გზა აქვთ გასავლელი, და თუ რას დახატავს მომავალში ავტორი, ამის წინასწარი გამოცნობა აშკარად არავის ევალდება? ასეა თუ ისე, ჩვენთვის ცხადია, რომ კრიტიკის ის მეთოდი, რომელსაც მიმართავს ამხ. ხუხაშვილი, სარეცენზიო წიგნის ავტორგანიზებისაგან დამოუკიდებლად, მცდარია და გაუმართლებელი. იგი ლიტონ, დეკლარაციულ მტკიცებებზე, ყურმოკრული დებულებების დოგმატიკურად გამოყენებაზე დაფუძნებული, მრავალი წინააღმდეგობის შემცველია, ნაწარმოებისადმი გულგრილი დამოკიდებულებითაა ნაკარნახევი... როგორ შეიძლება შეფასდეს იმ კრიტიკოსის პოზიცია, რომელიც მარცხენა ხელით ხაზს გადაუსვამს იმას, რაც მისმა მარჯვენა ხელმა დაწერა? აი ამისი მკაფიო მაგალითიც: რეცენზენტი თავის წერილში ერთგან გვეკითხება: „რა გავიგეთ ჩვენ მეორე წიგნიდან?“ და ნაწარმოების ზოგიერთი მომენტის ჩამოთვლის შემდეგ დაასკვნის „...ის, რომ ავტორს სათქმელი არაფერი დარჩაო“. ცოტა ზემოთ კი რეცენზიაში აღნიშნულია: „მეორე წიგნის მთავარი გმირია თამარელა. მკითხველის თვალწინ იცვლება და ღრმავდება თამარელას ხასიათი: მოკრძალებული და გაუბედავი ქალიშვილიდან იგი თანდათანობით გაბედულ და აქტიურ პიროვნებად იქცევა. სულ სხვაა თამარელა მეორე წიგნის დასაწყისში... მაგრამ სულ სხვაა თამარელა ნაწარმოების ბოლოს, როდესაც იგი შახტს შეჩვეული, გამურული და დაქანცული ამოდის გვირაბიდან და თა-

ვისი შრომით კმაყოფილი და ბედნიერი შეგპყურებს განთიადს“. ჩემს მიზანსაც ხომ ამის ჩვენება შეადგენდა, და თუ თვით ხუხაშვილის აზრით, მე ეს შევძელი, რაღა მნიშვნელობა აქვს კითხვას— „რა გავიგეთ ჩვენ მეორე წიგნიდანო?“ მაგრამ საქმე ისაა, რომ ამხ. ხუხაშვილი სრულიად არ უწევს ანგარიშს ავტორის ჩანაფიქრს, ნაწარმოების ობიექტურ ლოგიკას და ეძებს მასში ამ ჩანაფიქრის მიღმა მდებარე მოვლენებს, დოგმატიკურად იყენებს „კონფლიქტისა“ და „უკონფლიქტობის“, „გამძაფრებული სიუჟეტისა“ და „საწარმოო რომანის“ ცნებებს. ნაწარმოების სერიოზული, ობიექტური, კემპარიტად შემოქმედებითი ანალიზი კი რეცენზენტს საშუალებას მისცემდა აღმოეჩინა მასში ნამდვილი ნაკლიც და ღირსებაც ეჩვენებია მკითხველისათვის, თუ რამდენად შეძლო ავტორმა თავისი ჩანაფიქრის მხატვრული განხორციელება, ანდა, თუ თვით ჩანაფიქრია მცდარი, რაშია მისი სისუსტე.

რთულია და მეტად საბასუხისმგებლო

კრიტიკოსის მოვალეობა. მან უნდა ვაარკვიოს კონკრეტული ანალიზის საფუძველზე ნაწარმოების საზოგადოებრივ-მხატვრულ-ესთეტიკური რაობა, მისი ტენდენცია და ავტორის პოზიცია, გააშუქოს თემის გახსნის ინდივიდუალური ხერხები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ხასიათების და პორტრეტების ძერწვის ხელოვნება, კომპოზიციური წყობის თავისებურება, ენობრივი ქსოვილის ხარისხი, სტილი. ერთი სიტყვით, კრიტიკული ნაშრომიც უნდა იყოს სათანადო შემოქმედებითი მღელვარების, წვის შედეგი და ისიც ისეთივე სერიოზული შრომის შედეგად უნდა იზადებოდეს, როგორც მხატვრული ნაწარმოები. ნათქვამია: მთქმელს გამგონე უნდაო და, ვფიქრობ, კრიტიკოსი ამ „გამგონეთა“ შორის ყველაზე გულისხმიერი უნდა იყოს, რადგან კრიტიკოსმა თავის მხრივ უნდა მოამზადოს მკითხველი ნაწარმოების სწორად გასაგებად.

ლადო ავალიანი.



მასლის ტყვეობაში



ძველ ქართულ ლიტერატურაში ერთ-ერთ შიშვენლოვან დარგს წარმოადგენდა ლირიკა. ქართულ მკვლევართა საბატიო მოვალეობას შეადგენს სათანადოდ შეისწავლონ და შეაფასონ ძველი მწერლობის ეს დარგი.

ტიტონ რუხაძის წიგნი „ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან“ მიზნად ისახავს მეცნიერულად შეისწავლოს ე. წ. აღორძინების ხანის ლირიკა და მკითხველთა ფართო მასებს მიაწოდოს მისი ნიმუშები.

ავტორი ცდილობს ზოგადად მოხაზოს მწერალთა ბიოგრაფიები და ანალიზი გაუკეთოს მის მიერ გამოკეცილ ტექსტებს (თუმცა ეს პრინციპი თანამიმდევრულად ვერ არის დაცული).

წიგნში უხვადაა თავმოყრილი ფაქტოლოგიური მასალა, რომლის გარკვეული ნაწილიც მკვლევარმა პირველად გააბა შესწავლის საგნად. აქ ეხედავთ ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის საინტერესო დავიერებებს. მიუხედავად ამისა, ნაშრომი არ არის დაზღვეული სერიოზული შეცდომებისაგან. პირველ ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ წიგნის ემპირიული ხასიათი. ავტორი მასლის ტყვეობაში იმყოფება, სწორ შემთხვევაში თავს ვერ ართმევს დაგროვილ დიდი მასალას. წიგნი იმდენადაა გადატვირთული, რომ ის ძველი ქართული ლირიკის მასალების კრებულის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამასთან, მასალა უსისტემოდაა განლაგებული, ნაწილი კი მის თემას უშუალოდ არ ეხება. მაგალითად, ბგრატი ბატონიშვილის შესახებ მკვლევარი აღნიშნავს: „ჩვენ არ ვიცნობთ მის პოეტურ ნაწარმოებს“ (გვ. 111), მაშინ როდესაც ის საგანგებოდ იხრება მის ცხოვრება-მოღვაწეობაზე. ასევე ზედმეტია და ლირიკის ისტორიასთან არაფერი აქვს საერთო 127-ე გვერდზე მოცემულ ცნობებს.

ნაშრომში მხატვრულ ქმნილებათა ლიტერატურულიდებრი ანალიზი უმეტესად შეცვლილია შიშველი ფაქტოლოგიით. ამ გარემოებაში კი თავისი ცვალი დაინაა ნაშრომს, მასში არა ჩანს

ძველი ქართული ლირიკის განვითარების მაღალი ხაზი.

აღებულ პერიოდს მწერალთა შემოქმედების მიმოხილვისას ავტორს დაცული არა აქვს ერთი გარკვეული პრინციპი: გაუგებარია, რას მიხედვით განიხილავს იგი ცალკეული პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებას (დაცული არაა ქრონოლოგიური, თვმატურ-შინაარსობრივი ან სხვა რაიმე პრინციპი). მკვლევარი სუბიექტური ფაქტობრივით იხილავს ქართულ მწერალთა შემოქმედებას, ამითაა გამოწვეული, რომ დასახელებული პერიოდის ცნობილი მწერლების შემოქმედება განიხილეს სულ რამდენიმე სტრიქონში და ძალზე არასწორად. ასე მაგალითად, ითანე ბატონიშვილის, პეტრე ლარაძის, გიორგი ბაგრატიონის, გრიგოლ ბატონიშვილის და სხვათა ცხოვრებისა და შემოქმედების მიმოხილვას დათმობილი აქვს ნახევარ გვერდამდე, ხოლო გოდერძი ფირალიშვილისთვის გამეტებულია მხოლოდ რვა სტრიქონი.

ტიტონ რუხაძის არ მიუპარ თავს დაგროვილი მასალის სისტემატიზაციას და კლასიფიკაციასთვის, არ შეუსწავლია ის კრიტიკულად, ამის გამო წიგნში გვხვდება ერთმანეთისაგან განსხვავებული, ზოგჯერ კი ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნობები და საპირისპირო მოსაზრებანი. ავტორი უხვად იძლევა სხვადასხვა ცნობას ამა თუ იმ საკითხზე, მაგრამ არ მიუთითებს, რომელ მათგანს მიიჩნევს სანდოდ. ზემოთქმულის დასადასტურებლად მოიყვანთ რამდენიმე მაგალითს.

ავტორის ცალკე თავად აქვს გამოყოფილი „ქე-შიშ დარღმინდი და ღოსითეოზ არქიერი“ (გვ. 211), სადაც საკმაო ცნობებს იძლევა ღოსითეოზ არქიერის (ფიცხელაურის) ბიოგრაფიასთვის, მაგრამ ზოლის ასეთ დასკვნას აკეთებს: „წელია ეამტეციოთ, რომ ღესესები, რომლებიც ღოსითეოზის სახელათა ზედწარწერილი, ღოსითეოზ ფიცხელაურის ეეუთენილეს“ (გვ. 214). საკითხვია, რატომ დასკვირდა ავტორის ღოსითეოზზე საგანგებოდ შეჩერება, თუ ღოსითეოზის პოეტობა მას სპეკულ მიანია?

წიგნის 39-ე გვერდზე ვკითხულობთ: „დავით რექტორი დამწვეოდებელი, ან კიდევ შემომღები იყო შემდეგი პოეტური ტერმინებისა: „ლათიური ლექსი“, „დაბალი შარი“, ლექსი „კრიტიკა“ (181). ეს სიტყვები, ეგვი არა, წინათაც იხმა-

ტიტონ რუხაძე, „ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან“, რედკატორი კ. ყველიძე, განათლების სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური კაბანეტის გამომცემა, 1954 წ.

რებადა". თუ აღნიშნული პოტიციური ტერმინები „წინათუ იხმარებოდა“, მაშინ რატომ არის მათი დამოკიდებულება ან შემოქმედები დავით რეპტორი?

ნაშრომის 141-ე გვერდზე სწერია: ილია ბატონიშვილს „მოეწერება ლექსი ასევედ მომხვია გულსა ზრგყალები“ (დასახელებულია ზელნიწერები. — გ. მ.), ამ ლექსში, რომელიც ზოგ ვაშლიკეშვიძის შიის შექმანურებს მოეწერება, პოეტი დასტურის თავის ბედს“. როგორც ვხედავთ, საბოლოოდ გაუგებარი რჩება, ვის ეკუთვნის აღნიშნული ლექსი.

პირდაპირ ეტრობოზა ზაალ ბარათაშვილის ერთი ლექსის ისტორია. ეს ლექსია „ვით გასძლეს გული.“ 220-ე გვერდზე ეს ლექსი, რომელიც წიგნში სხვადასხვა სახელწოდებითაა აღნიშნული, მიკეთვებოდა ზაალ ბარათაშვილს. მაგრამ 239-ე გვერდზე, სადაც განიხილულია იოსებ მელიქიშვილის შემოქმედება, კეთხოვლობთ, რომ მელიქიშვილის „სატრფილო ლექსებია: „შენდა შეყრამდის, ვით გასძლეს გული.“ და ა. შ. ლექსის აღნიშნული სათაურს გაკეთებული აქვს შენიშვნა: „ეს ლექსი ზაალ ბარათაშვილისაა“. საკითხავია, თუ ლექსი ზაალ ბარათაშვილისაა (რაც კემშარტებია!), რატომ ასახელებს ამხ. რუხაძე მას ი. მელიქიშვილის სატრფილო ლექსებში? მკვლევარი ამითაც არ კმაყოფილდება და განაგრძობს: „ლექსში „შენდა შეყრამდის ვით გაძლეს გული“ პოეტი ამბობს...“ და საილესტრაციოდ მოყვანილია ერთი სტროფი. მაგრამ, მკვლევარი ხომ აღნიშნავდა შენიშვნაში—ეს ლექსი ზაალ ბარათაშვილისაა, მაშ რატომ იხილავს მას მინც ი. მელიქიშვილის მხატვრულ შემოქმედებასთან ერთად? ყოველივე ეს მკითხველისათვის გაუგებარია. და კიდევ უფრო გაუგებარია ის, რომ სანიმუშოდ მოტანილი სტროფი არ ვხვდება არც ზ. ბარათაშვილის და არც ი. მელიქიშვილის გამოკვეთებულ ტექსტებში. ეს მავალითი მოწმობს, თუ რაოდენ დაუკვირებლობას იჩენს მკვლევარ-გამომკვეთელი ე. წ. ვარდამავალი ხანის ლირიკის ისტორიის შესწავლის საკითხში.

წიგნის ხშირად ვხვდებით მცდარ მოსაზრებებს. ასე მავალითად, მკვლევარი იხილავს დავით რეპტორის „ზმებს სატრფილო კალებზე“ (გვ. 25-26). და თუ მას დაუფიქრებთ, პოეტს 10 სტროფი ჰყოლია ასეთი „მეცნიერული“ დასყენა, სასაკუთრებელია, მხოლოდ ჩრდილსა ჰქონს მწერალს.

წიგნის ბოლო თავს — „რუსულიდან ნათარგმნი ლირიკის ისტორიიდან“, ავტორი მთლიანად უთმობს რუსულიდან თარგმნილი თხზულებების „საფუძველნი სიტყვიერებისანი“ მიმოხილვას. საკითხავია, რა შეშინია „საფუძველნი სიტყვიერებისანი“ და რუსულიდან ნათარგმნი ლირიკის ისტორია? „საფუძველნი სიტყვიერებისანი“ სინტაქსისა, როგორც ქართულიდან მიერ რუსული

პოტიციური ძეგლებით დაინტერესების დაქტურებში ქართული მთარგმნელს, რუსულიდან თარგმნილი და არა მხატვრული ნიმუშების თარგმნა, რაც თუნდაც იქიდან ჩანს, რომ, ჯერ-ერთი, სანიმუშოდ მოყვანილ ლექსებს იგი ყოველთვის მთლიანად არ თარგმნის, მნიშვნელოვნად ამოკლებს მათ, და, რაც მთავარია, ქართული მთარგმნელი ისტრტე მატუტ რად იძლევა ლექსების სიტყვისიტყვის, ბუქარედ თარგმანს. ამიტომ სწორი არაა ტ. რუხაძის ცნობა, თითქოს დასახელებული ნაშრომის ქართული მთარგმნელი საილესტრაციო მასალა ეთარგმნოს „ზოგ-ჯერ ლექსად და ზოგჯერ პროზად“ („ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია“, გვ. 147, დაყოფა ჩვენ გვეკუთვნის. — გ. მ.).

ბრონიის ცნების შესახებ წიგნში ვკითხოვლობთ: „საანალიზო მასალიდან ჩანს, რომ ჩვენს ძველ პოეტებს სწორად ჰქონდათ გაგებელი ბრონიის, როგორც პოეტური ბრონიის, სოციალური ფუნქცია“ (გვ. 297). საკვირველია, რა შეშინია აქ ჩვენი (ქართული) ძველი პოეტები, როდესაც ბრონიის განმარტება თარგმანია რუსულიდან? ვარდა ამისა, მითითებული განმარტებიდან არა ჩანს ბრონიის სოციალური ფუნქცია.

წიგნის 291-ე გვერდზე ვკითხოვლობთ: „ბონდო... ჩვეულებრივ გულისხმობს 13 ან 24 სტროფიან ლექსს. ქართულში კი მ ს ტ რ ი ფ ი ა ნ ი ლ ე ქ ს ი ა წ ა რ მ ი დ ე ვ ე ნ ი ლ ი“ (ხსენება ჩვენ ვეკუთვნის.— გ. მ.). მკვლევარს უნდა ახსოვდეს, რომ ბონდო არის რუსტროფიანი ლექსი; და აღნიშნული რუსტროფიანი ლექსი ქართულში კი არ არის ასე წარმოდგენილი, არამედ რუსულში, სადაცაც, ბენებრივია, ქართულმა მთარგმნელმაც რვა სტროფად გადმოიღო.

ტ. რუხაძე თავისი შრომის 293-ე გვერდზე წერს: „ცნობილია, რომ ქართული ელგეური პროზა (1) და თვით პოეტური ელგეა ძველია... მაგრამ, რატომღაც, ლიტერატურის ისტორიის ქართულ მკვლევარებში (1) ელგეის ნიმუშად გრეის ამ ლექსის („მსოფლიოებრი სასაფლაოს“.— გ. მ.) დასახელება უფრო უადვილდება“ (ხსენება ჩვენ ვეკუთვნის.— გ. მ.). რა შეშინია აქ ლიტერატურის ბრონიის ქართული მკვლევარები, როცა საილესტრაციო მასალად ორიგინალში (რუსულში) ზემოდასახელებული ლექსია მოცემული? ქართული მთარგმნელს ხომ სწორედ ეს ლექსი უნდა ეთარგმნა?

ტ. რუხაძეს ხშირად მცდარად ესმის მის მიერ მოყვანილი მასალის შინაარსი. ამისი ნათელი დადასტურებაა ლექსიკონი, რომელიც წიგნში აქვს დათოლილი. ზოგჯერ ეს ლექსიკონი უხერხულ მავალითარგმანში აყენებს ავტორს.

მავალითისთვის დავსახელებთ რამდენიმე სიტყვის განმარტებას.

ნაკრტენი განმარტებულია როგორც „ნაკონი“, სინამდვილეში კი ბ უ მ ბ უ ლ ი ა ქ ა რ

ქვეთი განმარტებელი როგორც „ქარის სახე“, სინამდვილეში ფიზიკაა: „ჯერანს (ჯერანს) ტ. რუხაძე ასე განმარტავს: „გარტული, ონავარი ფრინველი“. ნამდვილად კი ჯეირანი გარტული თხაა, ქურციკი; შარ-ხიკანი ლექსიკონში „ხანგთა ჯგირა“, სინამდვილეში კი — „მშრბოლნი შოხარნი“ (საბა), მარბიელი, ხოლო მითითებულ კონტექსტში ეპითეტია და მასში იგულისხმება წამწამები; შაე-ის განმარტებაში ვითხელობთ: „ლურჯი პერანგი“ (საბა). ავტორს შეეძლოაში შეჰყავს მეთხელი, საბას არა აქვს მოვანილი განმარტება, მის ლექსიკონში ვითხელობთ: „სხვათა ენაა, ქართულად ლურჯი პქიანი“ (1949 წ., გვ. 364). ასევე არასწორად არის განმარტებული სიტყვები: აშან-აშან, იერიჭოს ვარდი, ლიტონი, მოგვი, სოთები, ებაო, ტატანი, ფორტენა, ჯეირნი და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ ტ. რუხაძე არ იღებს ხელნაწერების მიმართ ფაქიზ დამოკიდებულებას. დაბეჭდილ ზოგჯერ სიტყვები აკლია, ზოგჯერ მასში სიტყვებია ჩამატებული, ბევრ შემთხვევაში ხელნაწერის არასწორ წყითხვასთან გვაქვს საქმე, გამოცემულ ტექსტებში შედარებით აქვს გადმოწერილი, სასვენი ნიშნები სათანადო ადგილზე არა აქვს დასმული. ასეთ დამახინჯებებს გავრკვევლობა და ბუნდოანება შეაქვს ტექსტის გაცემაში. მოვუყვანთ რამდენიმე მაგალითს.

1. ტ. რუხაძის მიერ დაბეჭდილ ელფიგის ტექსტში ვითხელობთ: „სათყურნი დახშულთა ძილთა განუღვიძებულთა მძინარებენ“ (გვ. 293). ხელნაწერში ვარკვეულად სწერია: „...ძილთა განუღვიძებულთა მძინარებენ“. იქვე: „ოღენ ელური შეეკუნესელი ძველსა ქვეშე კამარასა“; ხელნაწერში კი სწერია: „ოღენ ელური ბუძეკუნესელი“. „შმაურტებენი მტოწველნი შეკარბებანი მღინარესა ზედა“ (გვ. 292); ხელნაწერში სწერია: „მტოწველნი“.

2. დერევიანის ლექსის თარგმანში სწერია: „მოიქცევის იბრძვის. არყევს ზღუასა და ხეულსა“ (გვ. 287); ხელნაწერში ვითხელობთ: „მოიქცევის, იბრძვის...“.

3. „შუხარებობ წარმოსთქვა მს“ (გვ. 285); ხელნაწერში: „წარმოსთხეკს“...

4. „პოი შენ, დიდ შექმლებულ ბუნდოანებაო“ (გვ. 290), ხელნაწერში: „შემქმლებულ“.

5. „ლაღაბებითა და კენესითა და შინა თვისთა“ (გვ. 290); ხელნაწერში: „გულთა შინა თვისთა“.

6. „თქვენ, თხერთა ხელთა მიერ მოკლდათა შექმნილნი“ (გვ. 291) რა თქმა უნდა, აქ „თხერი“ (ძველქართულად „ტრის“ ნიშნავს) არაფერ შუაშია, ხელნაწერში: „თხერი“.

7. „დანილი მათა მალათა პირამიტთა შენაზანო, დასცხრილი!“ (გვ. 290); ხელნაწერში: „დანილოურთა მალათა პირამიტთა შენაზანო“.

8. „გლოა ვითარ საზარელ არს“ (გვ. 286), ხელნაწერში სწერია: „სლოა“...

მოვანილი მასალა, ვეტიკობთ, საცხებით საცხობისა იმის დახელსაყოფად, თუ როგორ დამოკიდებულებას იჩენს გამოცემული ტექსტების მიმართ. მაგრამ აქ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ კიდევ ორ ნიმუშზე.

დერევიანის ლექსის ახალი თარგმანის დაბეჭდვისას გამოცემულს კურობი მოსეკლია, აღნიშნულ ლექსს ტ. რუხაძე ასეთი სახით ბეჭდავს (გვ. 289):

„ყო შენ იძიე განზოხა ღრმისა ოყენისა, აღირცხვა ქეიშათა და სხიეთა პლანტათა“... ერთი შეხედვით, თითქმის აქ ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ორიგინალისა და ქართული ტექსტის შედარებიდან ნათელი ხდება ის უხეში შეცდომა, რაც გამოცემულმა დაუშვა. ხელნაწერში ვითხელობთ:

„პოი შენ, იძიე წ 61 განზოხა ღრმისა ოყენისა აღირცხვა ქეიშათა და სხიეთა პლანტათა“...

(S 1519, ფ. 25)

როგორც ვხედავთ, გამოცემულს პირველი სტრიქონი შეუერთებია მეორისთვის და ამგვარად დაბეჭდავს ტექსტი. საქმის ვითარება კი ასეთია: ხელნაწერის მიხედვით პირველ ტაქტში აღნიშნულია: „პოი შენ“-ით დაწყებული სტროფი მოქმენ 61-ე პარაგრაფში. მართლაც, აღნიშნული სტროფი მოვანილია მითითებულ პარაგრაფში (S 1519, ფ. 14), რომელიც ასე იწყება: „პოი, შენ სიყვითა დაესრულებელი“.

ცხოველო მომარბასა შინა ნივთებისასა“... როგორც ჩანს, ადგილის ეკონომისთვის მთარგმნელს აღარ გაუმეორებია ეს სტროფი, რომელიც ათი ტაქტისაგან შედგება. ტ. რუხაძის დაუღვერობით კი ლექსი ნაკლები და არასწორი სახით დაიბეჭდა.

ტ. რუხაძე აქვეყნებს საყოველთაოდ ცნობილსა და მრავალჯის დაბეჭდილ ლექსს ახალ აღწერულად, რომლის ავტორია დიმი. თემანი-შვილი. აღნიშნული ლექსის ერთ-ერთ ტაქტს გამოცემული ასე ბეჭდავს:

„ბესიკო, ეშით მორთლო“... (გვ. 179). დ. თემანიშვილის ამ სატრფილო ლექსში არაფერ შუაშია პოეტი ბესიკი. სტროფი სწორად ასე იკითხება:

„ბესიკო, ეშით მორთლო“... ბეჭეტი. ბეჭეტი ქართულ ლიტერატურაში საქაოდ ვაგრცელებული სიტყვაა, მისი განმარტება მოიპოვება ლექსიკონებში (საბა, დ. ნუბინაშვილი, ი. ვრიშაშვილი...), ამ სიტყვის განმარტება მოიპოვება თვით სარეცენზიო წიგნის ლექსიკონშიც... მაშ იქნებ ნაბეჭდ ტექსტში კორექ-

ტრული შედგომა? არა! ტ. რუხაძეს ჰგონია, რომ სიტყვა „ზეზვი“ პოეტის ბესიკის სახელსაც აღნიშნავდა (იხ. გვ. 221 და 303).

ავტორი მკლარი მნიშვნელობით ხმარობს ლიტერატურულ თუ სხვა სახის ტერმინებსა და ცნებებს. ასე ვაგალითად, მას არასწორად ესმის მებად ვაერცელელები ტერმინი — „პოეტის“ მნიშვნელობა. მკვლევარი წერს: „ღვეით რექტორი იცნობდა და იყენებდა ძველი ქართული ისტორიული პოეტის ყველა ენარს თუ ხერხს...“ (გვ. 20). „თეიმურაზ ბატონი-შვილს გამოყენებულნი აქვს ძველი ქართული პოეტის სხვა სახეებიც: წყობილი, იამბიკო, ანანთქება, აქროსტიხი“... (გვ. 135) და სხვ.

ცნობილია, რომ პოეტია არის მცნებებზე მხატვრული ლიტერატურის შესახებ, პოეზიის თეორია, რომელიმე ლიტერატურული მიმართულების ან პოეტის მხატვრული თავისებურებებისა და პრინციპების კრებადობა და სისტემა. ამიტომ პოეტის არ ვაიზნა „ენარი თუ ხერხი“, „სახეები“, ის თათონ სწავლებს მხატვრულ ხერხებსა და ნაწარმოებებს ენარებს.

მკვლევარის განმარტებით, „სტოპი (crona) უღრის ქართულში ვაერცელელებულ ცნებას— ტეპს, ტერფს, რაც გულისხმობს ერთ საღეჭო სტრიქონს“ (გვ. 294). თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში ტერფი აღნიშნავს ტაემის შემადგენელ ნაწილს, ტერფების კრებადობით კი ეილებს ტაებს. ამიტომ არ შეიძლება ტერფისა და ტაემის გაიფიება.

ნაშრომის 286-ე გვერდზე ტ. რუხაძე წერს: „გალობა“ და „ღიმინ“ მოყვანილ მასალებში დიფერენცირებულად (!) გვხვდება. ჩანს, აქ ომონიმურ პარალელს მთაან ვაქვს საქმე“ (ზაგასმა ჩვენ გვეყვითნის.—ა. შ.). მკვლევარისთვის უცნობია ცნება „ომონიმური პარალელიზმი“. აღბათ მას ავტორი რეეს სინთეზურ პარალელიზმში. მკვლევარს არასწორად ესმის ტერმინი „რედაქცია“. იგი წერს: „აქ მოყვანილია „მწუხრის ზარის“ ოთხი რედაქცია —

ინგლისური, რუსული და ორი ქართული“ (გვ. 301, შენ. 4).

ერთი და იმავე ნაწარმოებისთვის წიგნში მოცემულია სხვადასხვა სათაური. ვაგალითად, ლეთისწყალობა ბებუდაშვილის ლექსის სათაური წიგნში შემდეგნაირად გვხვდება: „სასაპეტის სპა შესევა ჯაზად“ (გვ. 198), „მუხამზაში — სასაპეტის სპა შესევა“ (გვ. 197) და „სასაპეტისა მუხამზაში სპა“ (გვ. 202); ზაალ ბარათაშვილის ლექსი დასათაურებულია შემდეგნაირად: „შენდა შეყვამდის ვით გასძლებს გული“ (გვ. 220, 239), „ეთი გაძლებს გული“ (გვ. 222, 224), „შენდა შეყვამდინ“ (გვ. 238); რუსულიდან ნათარგმნი პოეტის ერთი ნაშრომის სახელწოდება ორნაირად არის მოცემული: „საღუძველი სიტყვიერებისანი“ (გვ. 284) და „საღუძველი სიტყვიერებისანი“ (გვ. 286). ვაუგებარია, ამ უკანასკნელს მკვლევარი სისტემატურად რატომ უწოდებს „მასალებსა“ (გვ. 286) და „სტატისტიკურ მასალებს“ (გვ. 295).

წიგნში გვხვდება საბუთის ასეთი მითითებაც: „სიცილი ინახება ლინიძეების საგვარეულო არქივში“ (გვ. 157, შენ. 5). ვარაამ ზადაა ეს არქივი, მკითხველისთვის გამოუცნობი ჩიგბა.

წიგნში მითითებულია თეიმურაზ ბატონი-შვილის „მოგზაურობა ჩემი ევრაპიისა სხვათა და სხვათა ადგილას“ გამოცემაზე. შეჯერებულიდან გამოირკვა, რომ არც ერთი ვერდი არ დავიხვება ვამოცემის ვერდიებს. თორემ ავტორი მითითებს ვამოცემულ ტექსტზე, ხოლო აღნიშნავს ზელნაურის ვერდიებს (ივ. 135—136).

ბოლოს დავიქვით, რომ ნაშრომის მთელი რიგი ადგილები დამწერილია ვაუმართავი ქართული ენით. ზშირად ავტორი არ იცავს ქართული სალიტერატურო ენის ელემენტარულ ნორმებსაც კი.

ტ. რუხაძის წიგნი „ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან“ შეიცავს უხვმ შეუღობებსა და ხარვეზებს, ამიტომ იგი მოითხოვს საღუძველიან ვადამუშავეებს.

ზიზი მიქაძე

წიგნი დიდ რუს ხალხზე



კრემლში საბჭოთა არმიის სარდლების პატივსაცემად ვამართულ მიღებაზე ამზანაჟმა სტალინმა ნათლად დაბასათა რუსი ხალხის დამსახურება დიდ სამამულე ომში. სტალინის სიტყვებში ვამოხატულია მილიონობით საბჭოთა ადამიანის აზრი და გრძნობა.

რუსი ხალხის ისტორიული დამსახურების ფართო ვამუშებას დიდი პოლიტიკური და საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. ამ ამოცანის შესრულებას ისახება ვამოხენილი საბჭოთა ისტორიკოსი, სტალინური პრემიის ლაურეატი ანა პანკრატოვა თავის წიგნში „დიდი რუსი ხალხი“. რომელიც ვასტულ წიგნს ქართულ ენაზე ვამოვიდა. ქართული ვამოცემის თარგმანი ვამოვრ შევსებული რუსულ გამოცემიდან გვერდების მ. ქავთარაძეს.

ა. პანკრატოვა. „დიდი რუსი ხალხი“, რედაქტორი ვ. შალამბერიძე, სახელგამი, 1954 წ.

შრომის დასაწყისში ა. პანკრატოვა მოგვითხრობს, თუ როგორ ვალბედებოდა გარეშე და შინაური მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში რუსი ხალხის ეროვნული თვითშეგნება. განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა რუსი ხალხის ღრმა პატრიოტიზმი შეთორმეტე საუკუნის უცნობი პოეტის ნაწარმოებში „თქმულემა იგორის ლაშქრობაზე“.

ავტორი ისტორიული წყაროების გამოყენებით დასაჯერებლად და სადად ვაღმოგვცემს რუსი ხალხის თავგანწირულ ბრძოლას მონღოლებისა და გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ მესამეტე, მეოთხმეტე და მეთხუთმეტე საუკუნეებში. ამ ბრძოლებში თავი იჩინა რუსი ხალხის ღრმა პატრიოტიზმმა, შეუღრველმა გმირობამ და მტკიცე ნებისყოფამ.

რუსი ხალხის ნაციონალური და პოლიტიკური გაერთიანების საქმეში უდიდესი როლი შეასრულა ქალაქმა მოსკოვმა, რომელსაც ფიქციური დიდი დიდიგორუკი ჩაუყარა. თავის მისაღმებში მოსკოვის რეაისი წლისთავად დაკავშირებით ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა, რომ მოსკოვი „ყო და არის რუსეთში ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნის საფუძველი და ინციტორი“.

მემვიდმეტე საუკუნიდან განსაკუთრებით გამოვლენდა ფეოდალური რუსეთის კლასობრივი წინააღმდეგობა, რაც გამოიხატა გლეხთა მასობრივ აჯანყებებში. ა. პანკრატოვა ვრცლად ვაღმოგვცემს ივანე ბოლტნიკოვის, სტეფანე რაზინისა და ემელიანე პუგაჩოვის ხელმძღვანელობით წარმოებულ გლეხთა იმებს. ამავე თავში ავტორი მოგვითხრობს ალექსანდრე რაღაშჩევისა და დეკაბრისტების მოღვაწეობის შესახებ.

მეცხრამეტე საუკუნის რუსეთში ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვით რევოლუციონერ დემოკრატებს, რუსეთის სოციალდემოკრატის წინამორბედებს — ბელანსკის, ჩერნიშევსკის და დობროლიტოვის მათ ღრმად სწამლათ რუსი ხალხის გათავისუფლება მზაყრელთა უფლისაგან და კიდევაც შეეწირნენ ნათელი მომავლისათვის ბრძოლას.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთში ჩამოყალიბდა ახალი რევოლუციური კლასი — პროლეტარიატი. იგი სათავეს ჩაუდგა რუსეთის იმპერიაში შეშავალ ხალხთა სოციალური და ნაციონალური ჩაგვრისაგან გათავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეს და საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანა.

ავტორი მკაფიოდ გვიჩვენებს რუსეთის მუშათა მოძრაობის განვითარების ისტორიას. მეცხრამეტე საუკუნის 90-ან წლებში ლენინის შერ დაარსებულ იქნა პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი“, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა მუშათა მოძრაობის განვითარებაში. ამ დრო-

დან იწყება რუსეთში მუშათა მოძრაობის სოციალიზმთან შეერთების განსჯისკენ მიმავალი გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე მტკიცე ლეტარიატის საბოლოო გამარჯვებისთვის. ლენინური „ბრძოლის კავშირი“ ახალი ტიპის მარქსისტული პარტია — ბოლშევიკების პარტიის ჩანასახი იყო.

ლენინური „ბრძოლის კავშირის“ მსგავსად სტალინის მეთაურობით თბილისში 1898 — 1900 წლებში ჩამოყალიბდა ცენტრალური სოციალდემოკრატული პრეტვი ეს პრეტვი მტკიცედ იბრძოდა ამიერკავკასიაში სოციალიზმთან მუშათა მოძრაობის შეერთებისათვის.

მეცხრამეტე საუკუნის მიწურულიდან რუსეთი მსოფლიო მუშათა მოძრაობის ცენტრი გახდა, რუსეთში წარმოიშვა რუსული და მსოფლიო კულტურის უმაღლესი მიღწევა — ლენინიზმი. ლენინმა იმპერიალიზმის ეპოქაში განავითარა მარქსისა და ენგელსის მოძღვრება და საფუძველი ჩაუყარა ახალი ტიპის მარქსისტულ პარტიას, რომელიც სათავეში ჩაუდგა რუსეთის პროლეტარიატს ცარიზმისა და ბურჟუაზიული წყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად. იგი თავიდანვე აგებული იყო პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპზე. ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე ბოლშევიკური პარტია საფუძველს უდევდა ხალხთა იმ მუშაობას, რომელიც განმტკიცდა და ურღვევი გახდა სოციალისტური მრავალნაციონალური სახელმწიფოს პირობებში.

რუსეთის 1905 — 1907 წლების რევოლუცია, თავისი ხასიათით ბურჟუაზულდემოკრატული რევოლუცია იყო, მაგრამ რევოლუციის ხელმძღვანელსა და მთავარ მამოძრავებელ ძალას პროლეტარიატი წარმოადგენდა, რომელსაც მეთაურობდა ლენინის მერ შემწილი კომუნისტური პარტია. რუსეთის ამ პირველმა რევოლუციამ მოძრაობაში მოიყვანა მილიონობით მუშა და გლეხი, დასაბამი მისცა ჩაგრულ ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. რუსი პროლეტარიატი მხარს უჭერდა უკრაინის, ბელარუსის, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სხვა პარტიკულარული რევოლუციის, მასებს, რამაც მათში გამოიწვია ახალი რევოლუციური აღმავლობა, კიდევ უფრო განამტკიცა რუსი და არა რუსი ხალხების მეგობრობა. ჩაგრულმა ხალხმა დაინახა, რომ რუსი პროლეტარიატი წარმოადგენს მათ ერთგულ დამცველსა და მომხრეს, მათ ხელად ცარიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ წარმოებულ რევოლუციურ ბრძოლაში — სამართლიანად აღნიშნავს ა. პანკრატოვა.

წიგნი დიდი ადგილი აქვს დათმობილი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით რუსეთის პროლეტარიატის მსოფლიო მნიშვნელობის გამარჯვების ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციაში. ამ გამარჯვებით ახალი ტრა და-

იყო კაცობრიობის განვითარების ისტორიაში. რევოლუციის შედეგად შეიქმნა უმაღლესი ტიპის დემოკრატიული სახელმწიფო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, რომელშიც უზრუნველყო ყველა ხალხის ეროვნულ მისწრაფებათა განხორციელება.

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გატარებისას კომუნისტურ პარტიას მოუხდა ვადამწვეტი ბრძოლის ჩატარება ტროცისტების, ზონავიელების, ბუხარინელებისა და სხვა კაპიტულებების წინააღმდეგ, წინააღმდეგ ყველა იმისა, ვისაც არ ესმოდა ჩვენი პარტიის გენერალური ხაზის არსი. პარტიას გენერალური ხაზის გატარების საქმეში განსაკუთრებით გამოვლინდა დიდი რუსი ხალხის ხელმძღვანელი და დამარაზველი როლი, რაც წიგნში ნაჩვენებია კონკრეტული მაგალითებით.

დიდი სამამულო ომის პერიოდში რუსი ხალხი იღვა საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად თანამეგობრობის სათავეში. ამ დროს რუსმა ხალხმა გამოიჩინა ნათელი გონება, მტკიცე ხასიათი და მოთმინება, რამაც უზრუნველყო ვერაფერზე ბრწყინვალე გამარჯვება. რუსი ხალხის ეგვიპტოი ომში მამაცურად იბრძოდა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი.

რუსი ხალხის ხელმძღვანელობით და დახმარებით საბჭოთა კავშირის მშრომლებმა სამამულო ომის შემდგომ მოკლე დროში მოიშვეს მძიმე კრილოები და შეუდგნენ კომუნისტური საზოგადოების აშენებას.

ა. პანკაჯოვის წიგნის „დიდი რუსი ხალხი“ გამოსვლა ქართულ ენაზე მისასალმებელია. იგი დიდ სარგებლობას მოუტანს მკითხველ საზოგადოებას.

ილია ტაყეშელაშვილი.

კარგი თარგმანი



„ნიკოლას ნიკოლის“ პირველი გამოცემის წინასტყვაობაში დაცემის აკვირებს მამინდელ ინგლისში მოხარდა აღზარდა და სწავლების აღმასწავლებელ სურათებს. „მამინ იორკშირაში. — გადმოგვიყვანს დიკენსი. — ძალიან ბევრს ნახავდით იაფფასიან სკოლებს... კერძო სკოლები დიდხანს იყო იმის მშვენიერ მაგალითი, თუ როგორ საშინლად უგუნდებუყოფილია ინგლისში აღზარდა და რა უგუნდოდ ეკრძება ამ საქმეს — კარგი თუ ცუდი მოქალაქის ჩამოყალიბების, ადამიანების უბედურ თუ ბედნიერ გაზრდის დაყენების საქმეს — სახელმწიფო. ყველას, ვინც ეს სხვა საქმიანობაში უზრუნველს გამოიჩინდა, თავისუფლად შეუძომრებლად შეეძლო გაეხსნა სკოლა, როცა მოესურებოდა. დისტაქარს, რომელიც ხელს უწყობს ბავშვის გაიზნას, ან, ზოგჯერ იქნება საჭირო გახდეს ამ ქვეყნად მის წასვლასაც შეუწყოს ხელი, უსაფრთხოდ მოსთხოვდნენ ზოგჯერ სათანადო განათლებას; ამგვარსავე მოითხოვნილებას წაუყენებდნენ მუადთიქებს, ევქილს, უსახებს, ზაბაზს, სანთლს შეუთებულს... ერთი სიტყვით, ყოველგვარი ხელშეშობა და საქმიანობის ადამიანს, გარდა მასწავლებლისა. მთელი მოდგმა ყვენი და არაშხადა მასწავლებლებისა ასეთ პირობებში მრავალდებოდა და კუვაოდა, ამასთან იორკშირელი მასწავლებლები კიბის ყველაზე დამპაღდა და ქვეითა საფეხურს წარმოადგენდნენ. მშობლების სიზარბისა, შეიღებინაღმდი აგდებული დამოკიდებულობისა თუ

უკუკობის, აგრეთვე ბავშვების უმწეობის წყალობით, მრავალი უციცი, ბილწი, გულქვა ადამიანი, რომელთაც უკუთმყოფელი კაცი ცხენსა და ძაღლსაც კი არ ანდობდა, გასადა ქსეუთხედის ისეთი საზოგადოებისა, რომელსაც ისეუღელესა თუ გულსოვობაში ქვეყნად ბავალი არა კუოლია“.

იღრღის ასეთი სისტემის წინააღმდეგ მიმართა დაცემისათვის თავისი სატირის ზახილი. მან საკუთარი თვალთ ნახა იორკშირაში ასეთი სკოლები, აღსაზრდელები და მათი მასწავლებლები. იორკშირელი ხარბი და გაიძებრა მასწავლებელსაქმისნების ტიპობრი სახებზე, ბავშვების შემაზრხენი და აუტანელი ყოფა ამ დიდმა პეზანისტმა შესანიშნავი რეალისტური საღებავებით დაგვიხატა. „ნიკოლას ნიკოლის“ გამოქვეყნებამ მამდილი სენსაცია გამოიწვია, იორკშირელმა მასწავლებლებმა და ასეთი სკოლების ყველა სხვა „მუდაგოგამაც“ სკეირსის სახით თავინთი თავი იცნეს, ზოგერთმა დიკენსის წინააღმდეგ საჩივრის აღძვრაც კი გაიზარბა. მებრამ რა საიწუხარო სურათებაც უნდა დაბატია დიკენსმა, რა დაბატოლებები და წინააღმდეგობებიც უნდა შეხედეს მის გარბებს ცხოვრებაში, ისინი მაინც იმარჯვებენ და მკითხველიც, რომელსაც დიკენსის რომელიმე რომანი წაუთხთხავს, ამის იშთავითვე გრძნობს. დიკენს გულბრყვილოდ სჯერბა, რომ მორალური ზემოქმედებით შეიძლება ამ არაადამიანური ბურჟუაზიული საშუაროს შეეკლა მისი იზრბით, ყოველგვარი კონდოლქტი მორალური ზემოქმედებითა და შთავინებით გადაიჭრება. დიკენსის წარმოდგენით, სოციალური ბორბების მიზეში ცალკეული ცუდი ადამიანები არიან. მებრამ დიკენსი, როგორც

ჩარლზ დიკენსი. „ნიკოლას ნიკოლი“. წიგნი პირველი, თარგმანი ინგლისურიდან ვ. კელიძისა. რედქტორი ვ. ვაჩეჩილაძე. საბლიტგამო, 1954 წ.

რელიგია მხატვარი, ძლიერია იქ, სადაც ის სოციალურ ფონს ვეიწვენებს და საბჭოთა მკითხველიც სწორედ ამას უთვლის დიდ ჰუმანისტს დამსახურებად.

ამ რომანიში დიკენსი შორს გასცდა დასახულ მიზანს — ეხვეწებინა იორჯორის სკოლებში გამდგებული ახადამაინური რეჟიმი. აქ გამოყვანილია ნიკოლასის ბიძა, ყოველგვარი ბინძური, ბნელი საქმეების სულისჩამდგმელი, საქმიონა და სხეულანტი, რაღუ ნაკლები და პარლამენტის წევრი მისტერ ვრეგსბერი. ეს უკანასკნელი შენობებული უყვითა, როგორც პარლამენტის ყველა სხვა დანარჩენი წევრი. ასეთი უქნარა „სახელმწიფო მოღვაწე“ ამავე დროს დიდი თაღლითი და დღევანდელი მისი შთამომავლობის „ღირსეული“ წინაპარი. ვრეგსბერიც იცის, როგორ უნდა მოატყუოს ხალხი. მან ნიკოლასთან საუბარში პირდაპირ განაცხადა: „თუკი ზევი ინტერესები არ არის შელახული, ასეთ შემთხვევაში ხალხი ენერჯიულად უნდა წამოიწიო, რადგან ეს ძალიან კარგ შედეგებს იძლევა არჩევნების დროს“. ამავე დროს, დიკენსი ხაზს უსვამს იმ გარემოებასაც, რომ ხშირად პარლამენტის წევრები თავიანთი ცოლების კანონებით წვეტიან თე იმ სახელმწიფო საკითხს: „ჩემი აზრით, პარლამენტის არც ერთმა წევრმა ცოლი არ უნდა შეირთოს, რადგან ოთხი ცოლიანი წევრისაგან სანი ხმას აღუვს არა საკუთარი, არამედ ცოლის სწინის მისხდელი (თუ საერთოდ გაინით ასეთი რამ)“.

რომანი ნიღაბს ხდის ბურჟუაზიულ საზოგადოებას, ამბილებს მისი ცხოვრების სხვადასხვა მხარის მარკირებას, ყოველივე ეს საკმაო საფუძველს გვაძლევს რომ ამ ნაწარმოების მთარგმნელის არჩევანი გამართლებულად მივიჩნიოთ. მთარგმნელმა კარგად გაართთა თავი შეტად მწელ ამოცანას და ქართულ მკითხველს მისცა დიკენსის საქმიად მწელი ერთი დანერგული ნაწარმოების აღფრთხილ თარგმანი. მთარგმნელი კარგად გადამსცემს დიკენსის მსუბუქ იუმორს, რომელიც ნაწარმოებს თავიდან ბოლომდე ვასდევს.

ცნობილია, რომ ყოველ ენას აქვს თავისი გრამატიკული წესობა, თავისი ლექსიკური შემადგენლობა და თავისებურებანი. ეს ვალდებულს ხდის მთარგმნელს მოთენხოს ზუსტი გვეყვადუნტები, რათა ორიგინალს საკუთარი კოლორითი შესწარმოოს. სრულესოვანი თარგმანის შესაბუღებლად, როგორც ცნობილია, არ კმარა ორივე ენის ზედმოწვევით ცოდნა. მთარგმნელი კარგად უნდა იცნობდეს ქვეყნის წყნომოტიც ცხოვრებას, ხალხის ფსიქოლოგიას, წესობას, რიც დაეხმარება, ამომწურავად გადამსცემს ნაწარმოების სული და მიზანდასახულობა.

ვსატანე ჰელიძე შექსპირის უკვდავ მწილებთან საუკეთესო მთარგმნელი და ივანე მინაბლის მერ დანერგული ტრადიციების განმარტობით. მთარგმნელი „ნიკოლას ნიღბშიც“ ჩვეული ის-

ტატობით პოულობს ინგლისური ენის ქართულ შესატყვისებს და ტექსტს თავიანთ მონაწილედ დახვეწილი, ძარღვიანი ერთი გემომდებელი მსმელის ყვანთ რამდენიმე მაგალითს: „ბარონი ფონ კელდითოუტი ისეთი წინეული ახალგაზრდა ბარონი იყო, რომ ერთ ნახვად ღირდა“. დედამი ნათქვამია: ბარონი კელდითოუტი ისეთი წარმოსადგეი ახალგაზრდა იყო, რომ მისი ნახვა მოგინდებოდათო. მთარგმნელმა ამ „ნახვის მონდომებას“ შესანიშნავი ქართული გამოთქმა — „ერთ ნახვად ღირდა“ მოუწია.

დიკენსი მისის სკეჩისს ხატავს, როგორც ანზლ დედაკაცს, რომელიც ლონდონიან დანარტუნებულ ქაშას გადაეხვევა და ორჯერ ხშიანდ ნიკოლასს. მთარგმნელი ამ წინადადებას შესანიშნავად აქართულდებს: „ორ წუთსაც არ გაუვლია, რაც ისინი სახლში შემოვიდნენ, რომ ოთახში შემოვიერთითა დედრობითი სქესის არსებამ, მისტერ სკეჩისს ყელზე გადაეკლო და ორჯერ მეგრად ნაბროშტა“. კარგია „ნამომხმარი დედაკაცა“ დედნისეული „გამხდარის“ ნაცუღად: „ზრდილობა პირდაპირ თავზე გადავლით“, ნაცულად დედნისეული „თქვენ მეტად ზრდილობიან ბრძანდებით, ქალბატონო“; „თუ გული გულბას, ქადა ორი ხელი იშვიათი“, ნაცულად დედნისეული „სადაც სერვილია, იქ ზვაც აღმოჩნდება“. ასეთი მაგალითების საგანგებოდ მიძებნა თარგმანის კითხვისას არ დაგვირდებათ, რადგან თარგმანი დიდი მასუბისმებლობით და ნიჭიერადაა შესრულებული.

გვაქვს მცირეოდენი შენიშვნებიც. მაგალითად: She would have died earlier, perhaps, had she been less happy said the first speaker with much feeling“. თარგმნილია „ეი იცის, იქნებ უფრო ადრე მომკვდარიყო, ნალებ ბედნიერი რომ ყოფილიყო, — თქვა პირველმა მოთელის გატაცებით“, უნდა იყოს: „ეი იცის, იქნებ უფრო ადრე მოკვდარიყო, ნალებ ბედნიერი რომ ყოფილიყო, — თქვა პირველმა დიდი გრძობით. ან ალექსებით“. ვინაიდან სიტყვა feeling ნიშნავს გრძობას, ალექსებებს, სელიერ განცდასა და თანაგრძობას. თანაც ტექსტში ლაბაჩაკია უფროოდ დაღუბულ ქალიშვილზე, რასაც ამბის მომთხრობი „მოთელის გატაცებით“ ვერ მოკვეთბოდა.

თარგმანის 22-ე გვერდზე სწერია: „მისტერ რაღუ ნიკლბ გულმზურადლედ გამოვხზოვა თავის თანამოსაგრეებს და უჩვეული მზიარული გუნებით წარმართა ნაბიჯები დასაველეთისაკენ“, უნდა იყოს: „გავმართა დასაველეთისაკენ“. ნაბიჯების წარმართა არ შეიძლება. „Noggs gave a peculiar grunt, as was his custom at the end of all disputes with his master, to imply that he (Noggs) triumphed“. ეს ადგილი ასეა თარგმნილი: „ნოგსმა თავისებურად წაიღრტუნა. ასეთი ჩვეულება ჰქონდა — ბატონთან ყოველგვარი დავის შემდეგ წაიღრტუნებდა ზოლზე, იმის გამოსახატავად, რომ ის

(ნოესი), გამარჯვებას ზეიმობდა“. ჯერ-ერთი, უნდა იყოს „წაიბუღუნება“, ღრუბრუნება, აღმანიწუნ არ იტყვიან. მეორეც, ნიუშენ ნოესი დიუნსს გამოიყვანს, როგორც დადებითი გმირი და მასზე არავითარ შემთხვევაში არ იტყოდა ასეთი შეურაცხყოფელ სიტყვას: „წაიბუღუნუნება“.

შვენი აზრით, უცხო ენიდან ავტოლებად უნდა ითარგმნოს ყოველი სიტყვა, რომელსაც სათარგმნელ ენაზე შესატყვისი მოგვარება-მთარგმნელს კი ზოგიერთი ასეთი ინგლისური სიტყვა პირდაპირ შემოუტანია ქართულ ტექსტში. ასეთებია, მაგალითად, სიტყვები Spencer

(სპენსერი), pantaloon (პანტალონი), attorney (ატორნი) და სხვ. რა თქმა უნდა, შეიქცევიდა ამ სიტყვების თარგმნა ანდა სკოლაში მიწიწუნება მაინც.

ქართულად ღვედმედ არ მოგვეპოვებოდა დოკუნის ეს საუცხოო რეალისტური ნაწარმოები. მისასალმებელია, რომ ვახტანგ ჭელიძემ მოგვცა გამოჩენილი ინგლისელი ჰუმანისტი მწერლის რომანის შესანიშნავი თარგმანი, ხოლო „სახალტ-გამმა“ დიდი ტრიაკით და ლამაზად გაფორმებული სახით მიაწოდა იგი ქართველ მკითხველ საზოგადოებას.

ელგუჯა მარჩაძე.

სახალხო განათლების მოღვაწეები



წიგნი განხილულია მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრისა და მეოცე საუკუნის დასაწყისის საზოგადო მოღვაწეების — ნიკო ცხეუდაძის, ალექსი კუიუნაძის, შოა ჩიტაძისა და ილიანე გომელაურის ცხოვრება. პედაგოგიკაში მოღვაწეობა და პედაგოგიურ-ლიტერატურული ნაწარმები. ნახევრებია, თუ როგორი გამოხატულება პირობა ნაციონალურ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების დარტყმა იმდროინდელი საქართველოს პირობებში.

საესებით სწორია ავტორის დებულება, რომ მოწინავე ქართველ პედაგოგთა იმ პუნქტს, რომელთა თვისი პრაქტიკული და თეორიული მოღვაწეობით ამ მოძრაობაში მონაწილეობდა და ეროვნული სწავლა-განათლების ტრადიციას ქმნიდა, სათავეში ედგა ილია ქავეჯაძის უახლოესი თანამებრძოლი, დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი. ილია ქავეჯაძისა და იაკობ გოგებაშვილის დაუცხრომელ ბრძოლას ქართველი ხალხის უფლებათა დაცვავედ, მათს პროგრესულ იდეებს განუტყველდ ახორციელებდნენ მოწინავე პედაგოგები, რომელთა დეაქტის შესწავლა და დავისება შესაძლებელი გახდა მხოლოდ სამკობთა ხელისუფლების პირობებში.

დიდი ღვაწლი თავის ცნობილ ნაშრომში „სახალხო განათლების სამინისტროს პოლიტიკის საკითხისათვის“ მუღის რუსეთში სახალხო მასწავლებელთა მდგომარეობას ასე ახასიათებდა: „სახალხო მასწავლებლები მიმშობლებენ და იყენებენ საცხოვრებლად თითქმის სრულიად უეარებას ქობებში, რომელთაც არც კი ათბობენ სახალხო მასწავლებლები ცხოვრობენ პირუტყუთან ერთად, რომელიც ზამთრობით გლუხს ქობში მსკეპს. სახალხო მასწავლებლებს სდევნის ყოველი ურიალნაკი, სოფლის ყოველი შავრაზმელი ან მოხალისე ჯაშუში და ამებარია, ხე-

ლისუფალთა შარის მოდებანსა და დევნაზე რომ არაფერი ეთქვათ“.

ზემოხსენებულ ქართულ პედაგოგებს სწორედ მათ პირობებში უხდებოდათ მოღვაწეობა. მათ დიდი ამაგი დასდეს ქართველ საზოგადოებაში კულტურა-განათლების დანერგვისა და გაგრძელების საქმეს და ამ დარტყმა თავიანთი მოვალეობა მშობლიური ხალხისა და ქვეყნის წინაშე უმწიკველი შეასრულეს.

ცხედამდე, კუიუნაძე, ჩიტაძე, გომელაური — იმდროინდელი მოწინავე პედაგოგიური აზროვნების დონეზე იდგნენ. მათი პედაგოგიური მოღვაწეობის მიზანი იყო მაშინდელი რუსეთის პროგრესული იდეების დანერგვა ასე მაგალითად, სახელოვანი პედაგოგი ნ. ცხეუდაძე საგანგებოდ ზრუნავდა სემინარიის მოწინავე იდეების შეტანა-გაგრძელებასთან. ამ მიზნით მან ი. გოგებაშვილთან ერთად შეადგინა რუსეთის გამოჩენილი მწერლები, მოღვაწეებისა და მოაზროვნეების (პეტსერის, ვოგოლის, ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიტოვის და სხვ.) თხზულებებისა და პროგრესული მიმართულების ეფრინაღბის („სოცრემენიკი“ და სხვ.) სია და სემინარიის ბიბლიოთეკა გაავსო უარუყსად მოწინავე იდეოლოგიის მატარებელი სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურით. იგი ამ გზით სემინარიის მოწინავეები წერგავდა პროგრესულ იდეებსა და მოწინავეებს.

ნარკვევში „ნიკო ცხეუდაძე“ საარქივო და სხვა უცნობი ლიტერატურული მასალების საფუძველზე დასასაბამებელია დიდი პედაგოგის მოღვაწეობა თბილისის სასულიერო სემინარიაში და მისი სემინარიიდან განდევნა. ნ. ცხეუდაძის პედაგოგიური საქმიანობა პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა სასულიერო უწყების რეაქციულ სისტემას და ამიტომ იგი, როგორც პოლიტი-

ვარლამ ქავჯაია, „ქართველი პედაგოგები“. რედაქტორი პროფ. დ. ლორთქიფანიძე. 1955 წ.

ვ. ა. ღვინია, თხზულებანი, ტომი 19, 23. 151-152.

კრად არაქეთილსამედლო" პიროვნება, სამსახურიდან დაითხოვეს. ნარკვევში დახასიათებულია ნ. ცხვედაძის თეორიული ნაშრომები, გამოკვეთებული უმათერკნად „წნათობა“ და „კრებულში“. ერთერთი ნაშრომში („მწათობა“ 1871 წ.) ავტორი ეხება რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობას და იმ დებულებას ასახულებს, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარება, ქართული კულტურის წინსვლა შეუძლებელი იყო დიდ რუს ხალხთან მჭიდრო კავშირისა და ურთიერთობის გარეშე. საყურადღებოა ის თავი, სადაც არის განხილული ქართულითა შორის წერა-კითხვის საზოგადოების დაარსებისა და საქმიანობის ისტორია ცხვედაძის მოღვაწეობასთან დაკავშირებით. ამ საზოგადოების ისტორიისათვის აქ ბევრი ახალი მნიშვნელოვანი მასალა მოცემული. საინტერესოა თავი: „ნ. ცხვედაძე და ბრძოლა ქართული უნივერსიტეტისათვის“.

მეორე ცნობილი პედაგოგი, რომლის მოღვაწეობა ვრცლად არის აღწერილი ვ. ქაჯაიას წიგნში, არის ალექსი კიკინაძე. იგი პეცხარამეტე საყურადღებო მეორე ნახევრისა და მე-20 სუდეუნის დასაწყისის გამოჩენილ ქართულ პედაგოგთა ღვაწლშობილი წარმომადგენელია, მან თავისი ხანგრძლივი საზოგადოებრივ-პედაგოგიური მუშაობა ხალხის და მოზარდი თაობის საუკეთესო მტრმისისათვის დაუცხრომელ ბრძოლას მოახმარა. წიგნში დახასიათებულია ალ. კიკინაძე, როგორც დირექტორი სახალხო სკოლებისა, ხონის სამასწავლებლო სემინარიისა, თბილისის ქართული გამზნაზისა, ვრცლადაა განხილული მისი პედაგოგიურ-დოქტორული შეხედულებანი. კიკინაძე იყო არა მარტო დიდი პრაქტიკოსი პედაგოგი, არამედ, ამავე დროს, იგი ჩვენში პედაგოგიის მრავალ, იმ დროისთვის აქტუალურ თეორიულ საკითხსაც აშუქებდა. ა. კიკინაძის პედაგოგიურ-დოქტორული შეხედულებანი ჩამოვალბნდა რუსეთის დიდი პედაგოგების (ჩერნიშევსკი, პიროგოვი, უშიშკი) პროგრესულ პედაგოგიურ მოძღვრებათა საფუძველზე.

ვ. ქაჯაიას წიგნში პირველად ჩვენს პედაგოგიურ ლტერატურაში ფართოდ არის განხილული პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის შიო ჩიტაძის ცხოვრება და შემოქმედება. შიო ჩიტაძე მთელი თავისებური მოვლენა იყო ქართული

აზროვნების ისტორიაში. მან დაგვიტოვა მრავალმხრივ საყურადღებო პუბლიცისტური და პედაგოგიურ-ლიტერატურული შემოკიდებობა. იგი იყო ნიჭიერი კრიტიკოსი და ბევრ მის ნაშრომს დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

შიო ჩიტაძე დაუცხრომლად იბრძოდა მეფის-დროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და სწავლა-აღზრდის სისტემის ძირველად გარდაქმნისათვის. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ჩიტაძის მოღვაწეობის კვივის პერიოდს. ღვემდის უცნობი მასალის გამოყენებით, ვ. ქაჯაია აშუქებს ამ პერიოდის საინტერესო მომენტებს, ჩიტაძის ურთიერთობას ლესია უკრაინკასთან და სხვა მოწინავე მოღვაწეებთან. სხვათა შორის, მეტად საყურადღებოა ლესია უკრაინკას წერილი, გამოკვეთებული ფერხად „მწათობა“ (1954 წ. №1) შ. სიხაიულოძის მიერ. ცნობილი მწერალი ჭლი თბილისიდან სწერს თავის დედას: „აქ მოხდა ამოხება ყველა საშუალო სკოლაში... ქართულ სათვალავ-ნაწარმო სასწავლებელში, სადაც ჩიტაძე, შეიმუშავებს წესდება, რომელიც უფლებას ანიჭებს მოწაფეებს — მასწავლებელთა თანდასწრებით მოიწვიონ თათბირები და შექმნან მოწაფეთა საბჭო. ეს მოღწეულ იქნა ფანჯრის ბინების ჩაუღწევეად და წესიერების დაურღვეველად დირექტორის — შიო ჩიტაძის ტაქტის წყალობით“.

ვ. ქაჯაიას ნაშრომში გამოკვეთებულია ჩვენს მუსეუმებში დაცული ხელნაწერთა ფონდები, რომლებიც აშუქებენ დღემდე უცნობ არა ერთსა და ორ საკითხს. ავტორი აგრეთვე შიღრავს რამდენიმე ფსევდონიმს, არკვევს პედაგოგთა ბიოგრაფიების სადავო საკითხებს...

წიგნი არ წარმოადგენს ერთ პოლიან ნაშრომს (იგი ნარკვევების კრებულია), ამიტომ ავტორის თავიდან ვერ აუცდენია განმეორებანი, ამავე დროს, ნარკვევი თანხარის სისრულით არ არის დამუშავებული. გადატვირთულია წიგნის სქოლიოებიც. მაგალითად, ზედმეტია ნიკო ნიკოლაძის უმათერკნებზე მითითება 111-ე გვერდზე; ისინი ორიგინლად არაა დაკავშირებული წიგნში აღბრუნ საკითხებთან.

მიუხედავად ამისა, ვ. ქაჯაიას ნაშრომი სასარგებლოა ყველა მისთვის, ვინც დაინტერესებულია ჩვენი სახალხო განათლების ახლო წარსულის საკითხებით.

ნარსაზ კიქიძეანი.



ახალი წიგნები

სახელმწიფო გამომცემლობა

პოლიტიკური ლიტერატურა

- ვიორჯი ერემოვი** — სახელმწიფო ხელისუფლებისა და მშრომელობის ადგილობრივი ორგანიზაციები სსრ კავშირში. რედაქტორი ე. ვაშაქიძე. ფასი 1 მან. 20 კაპ.
- იასონ ლალაშვილი** — ერთიანი მსოფლიო ბაზრის დაშლა. რედაქტორი დ. ენუქიძე. ფასი 40 კაპ.
- ნიკოლოზ ცხაკია** — შემარჯვენე სოციალისტები ამერიკის იმპერიალიზმის სამსახურში. რედაქტორი მ. კობახიძე. ფასი 1 მან.

მხატვრული ლიტერატურა

- ვასილ ხტეფანკო** — რჩეული. თარგმანი ვ. თორდუასი. რედაქტორი ი. ხოშტარია. ფასი 4 მან. 5 კაპ.
- სერჯი ქილაია** — ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზა. რედაქტორი ე. ჩხეიძე. ფასი 7 მან. 55 კაპ.
- სანდრო ეული** — რჩეული ლექსები და პოემები. რედაქტორი ბ. მიტუხუაძე. ფასი 6 მან. 20 კაპ.
- ანა ნიკოლაძე** — ეტიუდები რუსული ლიტერატურის ისტორიიდან. რედაქტორი ლ. ასათიანი. ფასი 9 მან. 20 კაპ.

სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურა

- ირაკლი მაქავარიანი** — სახაშორის ეკლურა. რედაქტორი რ. სანებლობე. ფასი 1 მან.
- პაპუ უორდანი** — სანადირო ძალა. რედაქტორი ვ. ბურჯანაძე. ფასი 2 მან. 70 კაპ.
- ზორის გოჭაძე** — რა უნდა იკლდეს კოლმეურნეობის მეცხოველეობის საშენებლო ბრიგადის ბრიგადირმა. რედაქტორი ვ. ჩიხლაძე. ფასი 60 კაპ.

საბავშვო

- მიხეილ ლერმონტოვი** — პოემები. რედაქტორი შ. აფხაძე. თარგმანი ნ. ნადირაძის. ფასი 1 მან. 10 კაპ.
- იოსებ ნონშვილი** — საბავშვო გარკვევები. რედაქტორი ელ. გოგოლაშვილი. ფასი 2 მან. 20 კაპ.
- კონსტანტინე სტანიუკოვიჩი** — მაქსიმო. რედაქტორი ელ. გოგოლაშვილი. თარგმანი ფ. ნიშნიანიძის. ფასი 2 მან. 80 კაპ.
- როსტომ ელანიძე** — მასწავლებელი. რედაქტორი ვ. შატბერაშვილი. ფასი 2 მან. 10 კაპ.
- მარიუჯან** — გელა. რედაქტორი ვ. შატბერაშვილი. ფასი 2 მან. 60 კაპ.
- გრიგოლ ჩიქოვანი** — მეორე ოჯახი. რედაქტორი რ. მარჯანი. ფასი 2 მან. 20 კაპ.
- რობინ ჰუდი** — ინგლისური ხალხური ბალადები — ყრებულა. თარგმანი ვ. ვაჩეჩილაძის. რედაქტორი ო. ჩხეიძე. ფასი 3 მან. 30 კაპ.

ტანკა და შრომა

- მიხეილ მახათაძე** — ლიტონების ჩქაროსნული ჰრა და მჭრელი იარაღები. რედაქტორი ვ. ჩხეიძე. ფასი 7 მან. 40 კაპ.
- კონდრატი ტაბატაძე** — სფერული ტრიგონომეტრია. რედაქტორი ნ. თევზაძე. ფასი 4 მან.
- ივხიხი მუჯირი** — მასალათმკოდნობა. რედაქტორი პ. ბურთიკაშვილი. ფასი 8 მან. 10 კაპ.
- ვალენტინ ხახუბია** — უმაღლესი მათემატიკის პრაქტიკუმის სახელმძღვანელო. რედაქტორი ნ. ლომჯარია. ფასი 6 მან. 40 კაპ.
- ტერენტი ვეფხვაძე** — ფოტოგულმენტი. რედაქტორი ტ. კაცუაძე. ფასი 85 კაპ.
- ი. ბაგვი, ი. მერკულავი** — თეიმფრინაგი-შეშხუნა. რედაქტორი ც. ანდლუაძე. მთარგმნელი ა. ყურაშვილი. ფასი 1 მან. 10 კაპ.

შეცდომის განწმენა

„მნათობს“ № 2-ში ს. ჩიქოვანის წერილში — „აკაკი წერეთლის პოეზია“ გვ. 116, მე-5 სტრ. ზემოდან უნდა იკითხებოდეს: „ჯერ კიდევ ბავშვობაში შეთხზული ლექსები აკაკის მესტერულია და პოეტის რაობაზე ამგვარი წარმოდგენა მან ხალხური პოეტური ეკლურის ათვისების შედეგად შეიმუშავა“. გვ. 117, მე-14 სტრ. ზემოდან უნდა იკითხებოდეს: „აკაკი წერეთელმა პატრიოტული გრძნობა რომანტიკულ სამოსელში ვახვიდა და მას ხალხური ხელი ჭაბერა, თითქოს მთელი საქართველო ფეხით მოიარა და ეს კეთილშობილური გრძნობა თვითველი ოჯახში მოაშინურა“.

3360 8 8.

~~5/3/202~~

5-3/202



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„М Н А Т О Б И“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ